



**ვლადიპერ (ლადო) აღნიაშვილი**

ციური ბერიძე

## **ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი**

ცხოვრება და მოღვაწეობა

მეღვნება ლადო აღნიაშვილის დაბადებიდან – 150,  
ქართული „სოროს“ დაარსების – 125 და  
იოსებ რატილის დაბადებიდან 170-ე წლისთავს.



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თბილისი  
2010

ნაშრომის მიზანია ნათლად წარმოაჩინოს ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის (1860-1904) — პირველი „ქართული ზოროს“ დამაარსებლის, გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, ლინგვოლოგიკოსისა და ლექსიკოგრაფის, ფოლკლორისტიკოსისა და ეთნოგრაფის, პუბლიცისტის — ცხოვრება და მოღვაწეობა.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

**წიგნი დაიბეჭდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბატონ ნიკა რურუას თანადგომით.**

რედაქტორი

ციური ხეთერელი

რეცენზენტი

ლევან ფრუიძე

დიზაინერი

დალი ჯვარშიეშვილი

© ციური ბერიძე

ISBN 978-9941-16-106-3

## შესავალი

საყოველთაო გლობალიზაციის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გადაფასებისა და დამკვიდრების პირობებში საქართველოში მუდამ აქტუალური არის და იქნება ზრუნვა ჩვენი ეროვნული სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის, ჩვენი ზნეობრივი საგანძურის აღორძინება-განვითარებისათვის.

სამშობლოსათვის თავდადებული რაინდობის, ჭკმშიარტი მამულიშვილობის მრავალი მისაბადი მაგალითი შემოგვინახა საქართველოს ისტორიამ. ერთ-ერთი მათგანია ლადო აღნიაშვილი (1860-1904) – პირველი „ქართული ხოროს“ დამაარსებელი, გამორჩენილი ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ლინგვოლოდაქტიკოსი და ლექსიკოგრაფი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი. ქართველი ხალხის ამ საამაყო შვილის ცხოვრება და მოღვაწეობა უთუოდ იმსახურებს ერთ-ერთ განსაკუთრებულ, გამორჩეულ ადგილს ერის ისტორიაში.

2002 წელს გამოიცა წინამდებარე მონოგრაფიის ავტორის წიგნი „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ბიობიბლიოგრაფია“. წიგნი შედგენილია საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების, იკონოგრაფიულ კოლექციაში არსებულ ისტორიულ და საარქივო, ასევე, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (სცსსა) მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით. პირველად მომზადდა ლადო აღნიაშვილის მიერ და მასზე გამოცემული წიგნების, ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში გამოქვეყნებული მასალების სრული ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, პირველადვე შეფასდა ლადო აღნიაშვილის

დვაწლი პედაგოგიკის, ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფიის ისტორიაში.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, საზოგადოებრივი საქმიანობა, ცოდნა, გამოცდილება, ნიჭი ლაღო აღნიაშვილმა მოახმარა სახალხო განათლების, ქართული კულტურის განვითარების უკეთილშობილეს საქმეს და ერის თვითმყოფადობის დაცვას.

ლაღო აღნიაშვილი მოღვაწეობდა XIX საუკუნის II ნახევარში. ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით იმ პერიოდში ჩამოყალიბდა ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია. „თერგდალეულთა“ თაობამ ფართოდ გაშალა აქტიური რეფორმატორული საქმიანობა. ლაღო აღნიაშვილი სავსებით იზიარებდა რა ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების შეხედულებებს, მჭიდროდ დაუკავშირდა მათ თავისი შემოქმედებითი იდეებით. მისი სულიერი მეგვიდრეობის დედააზრი იყო ეროვნული სულისკვეთება და ერის საკეთილდღეოდ სამსახური. ეს მაღალზნეობრივი მიზნები ასულდგმულეებდა მას, როგორც ერის დიდ მოჭირნახულეს, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

**თავი I. პედაგოგიური აზრი და საზოგადოებრივი მოქარაობა  
საქართველოში  
XIX საუკუნის მეორე ნახევარში**

**სახალხო განათლება XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ  
საქართველოში**

XIX საუკუნის რეფორმის შემდგომი ხანა საქართველოში, სახალხო განათლების მხრივ, არაერთი დიდმნიშვნელოვანი სოციალური მოვლენით აღინიშნა. წოდებრივ-ბატონყმური სკოლა კლასობრივ-ბურჟუაზიულ სკოლად გარდაიქმნა.

1867 წელს დამტკიცდა „კავკასიის და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის დებულება, რომლის მიხედვით სახალხო სკოლებში, პირველი ორი-სამი წლის მანძილზე სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა, იკრძალებოდა ფიზიკური დასჯა და სხვ.

მაგრამ 70-იან წლებში ახალმა რეაქციულმა დებულებებმა და წესდებებმა განათლების საქმე და პირობები საქართველოში მნიშვნელოვნად გააუარესა. 1871 წლიდან არსებული დებულება უკვე აღარ ითვალისწინებდა ეროვნულ უმცირესობათა თავისებურებებს. შემოღებულ იქნა უნიფიცირებული სასწავლო გეგმები, ქართული ენა სკოლებიდან იღვენებოდა და ფაკულტატურ დისციპლინად იქცა. გაძლიერდა ლათინური და ძველი ბერძნული ენების სწავლება. 1899 წელს საქართველოში იყო 8 კათოლიკური და 6 ლუთერანული სკოლა 300-მდე მოსწავლით, 9 ებრაული სკოლა – 503 მოსწავლით.

საეკლესიო-სასულიერო განათლების საქმეს იმპერიაში „წმინდა სინოდი“ ხელმძღვანელობდა, საქართველოში კი – ეგზარხატი, რომლის სათავეში რუსი მოხელეები იდგნენ და რუსიფიკატორულ პოლიტიკას ახორციელებდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასულიერო განათლების მესვეური ი. ვოსტორგოვი (1894-1918 წ.წ.), რომელიც 1894-95 წლებში საღვთო სჯულს ასწავლიდა გიმნაზიაში, 1900 წელს კი ქართულ სამრევლო სკოლაში მუშაობდა

ზედამხედველად. ი. ვოსტორგოვი მის დაქვემდებარებაში მყოფ სასწავლებლებში სასტიკად ახშობდა ყოველგვარ ეროვნულს და პირველ რიგში ქართულ ენას, აღვივებდა შუღლს აფხაზ, რუს და ქართველ ხალხებს შორის. ამავე დროს, იმ პერიოდში საქართველოში მოღვაწეობდა ქართველი ხალხის დიდი ქომაგი, ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწე, რუსული ეკლესიისა და ძველი დამწერლობის ისტორიის მკვლევარი ნიკოლოზ დურნოვო, რომელიც რისკის ფასადაც კი იცავდა ქართველი ხალხის ინტერესებს. მის კეთილშობილურ საქმეებს და ღვაწლს საქართველოს წინაშე დიდად აფასებდნენ ისეთი გამორჩენილი საზოგადო მოღვაწეები, პედაგოგები და მწერლები, როგორებიც იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, თედო სახოკია და სხვ. ნიკოლოზ დურნოვოს კრიტიკული სტატიები, რომლებიც შეეხებოდა ი. ვოსტორგოვის საქმიანობას საქართველოში, იწვევდა მოწინავე ქართულ საზოგადოებაში საყოველთაო ინტერესსა და დადებით გამომხმაურებას.

XIX საუკუნის 70-იან წლებში გაიხსნა საკვირაო სკოლები, რომლებიც ელემენტარულ განათლებას აძლევდა მოზარდებსა და მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს, მომრავლდა კერძო სკოლები და მოსამზადებელი კურსები, ხოლო 90-იანი წლების დასასრულს დაიწყო სასკოლო რეფორმებისათვის მზადება, საშუალო სასწავლებლებისათვის პროექტების შედგენა. პრესაში გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის პროგრესულად მიაზროვნე პედაგოგები: კ. დ. უშინსკი, ლ. ნ. ტოლსტოი, ნ. პიროგოვი, ნ. კორფი და სხვ.

ხელოსნებისა და მიწათმოქმედთა მომზადება XIX საუკუნის 70-იან წლებიდან ოსტატ-შეგირდობის წესით ხდებოდა, მოგვიანებით კი გაიხსნა სპეციალური სახელოსნო სასწავლებლები. პირველი სახელოსნო სასწავლებელი დაარსდა თბილისში 1873 წელს, როგორც ელემენტარული სახელოსნო სკოლა, 1880 წელს კი იგი გადაკეთდა სახელოსნო სასწავლებლად და მიხეილის

(კავკასიის მეფისნაცვლის) სახელი ეწოდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სოფ. წინამძღვრიანთკარში ილია წინამძღვრიშვილის მიერ 1883 წელს დაარსებულ ქართულ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს, სადაც მოსწავლეები ეუფლებოდნენ მიწათმოქმედების, მებაღეობის, მებოსტნეობისა და სხვა პროფესიებს და სწავლობდნენ, აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებსაც.

აღსანიშნავია, რომ 1868 წელს თელავის მაზრის სოფ. შილდაში ლადო აღნიაშვილის მამის – დიმიტრი მღვდლის ინიციატივით გაიხსნა პირველი საშუალო სკოლა (სასოფლო სასწავლებელი).

1870 წელს რუსეთის სახალხო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სამასწავლებლო სემინარიების დებულება, რომლის მიხედვით ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა, საეკლესიო-სლავური ენა, მათემატიკა, რუსეთისა და მსოფლიო ქვეყნების ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, მართლწერა, პედაგოგიკა და დიდაქტიკა. პროგრამა საკმაოდ რთული იყო დასაძლევად. ამავე დროს, კარგად იყო დაყენებული მომავალ მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური დაოსტატების საქმე.

პირველი პედაგოგიური სემინარია ამიერკავკასიაში (ქ. გორი) დაარსდა 1876 წელს. სწორედ ეს სემინარია დაამთავრა წარჩინებით ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილმა 1881 წელს. აღსანიშნავია, რომ სემინარიაში ქართულ ენას ასწავლიდნენ ისეთი გამოჩენილი ქართველი მწერლები და პედაგოგები, როგორებიც იყვნენ ნიკო ლომოური და სოფრომ მგალობლიშვილი.

ქართველ ინტელიგენციას კარგად ესმოდა სწავლა-განათლების ფასი და მისთვის კოლექტიური ზრუნვის დიდი მნიშვნელობა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ამ მიზნით, რამდენიმე საზოგადოება დაარსდა. მათ შორის, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“, რომელიც დაწყებით სკოლებს ხსნიდა კავკასიის მთიან რაიონებში. 1866



წელს ამ საზოგადოებამ გახსნა პირველი პედაგოგიური სასწავლებელი – ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი.

იყო სხვა საზოგადოებებიც, რომელთა შორის სახალხო განათლების ისტორიისათვის უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც მკვეთრად წარმოაჩინა „სამოციანელების“ განათლების კონცეფცია და რეფორმატორული საქმიანობით ახალი პერსპექტივები დაუსახა სახალხო განათლებას რეფორმის შემდგომ საქართველოში.

### **„სამოციანელების“ განათლების კონსეფცია და რეფორმატორული საქმიანობა**

ქართული პედაგოგიკური აზროვნების საწყისები შორეულ წარსულს განეკუთვნება. პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლად აღიარებულია ი. გოგებაშვილი – გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი.

ახალგაზრდობის სწავლა-განათლება და მისი ხნეობრივი აღზრდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ მოაზროვნეებს მიაჩნდათ უდიდეს საზოგადოებრივ საქმედ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მოწინავე დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით შეუდგა და თავდადებულად იბრძოდა დიდი ისტორიული პროგრამის განხორციელებისათვის, აღიზარდა პედაგოგიკის სახელგანთქმული კლასიკოსების ი. ა. კომენსკის, ჟ.-ჟ. რუსოს, ი. კ. პესტალოცის, კ. დ. უმინსკის, ლ. ნ. ტოლსტოის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაზე.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა გაიზიარეს „რაზნოჩინული“ ინტელიგენციის – მოწინავე რუსი

მოაზროვნეების – ბ. გ. ბელინსკის, ა. ი. გერცენის, ნ. გ. ჩერნიშევსკის, ნ. ა. დობროლიუბოვის, ნ. ა. ნეკრასოვის, დ. ი. პისარევის, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის და სხვათა იდეები და ჩვენი ერის საკეთილდღეოდ წარმართეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში. ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო განათლების, ბეჭდვითი სიტყვის, ხელოვნებისა და მეცნიერების შემდგომ განვითარებასა და მათ ხალხის ინტერესებთან დაკავშირებას.

ი. ჭავჭავაძის გვერდით იდგნენ – ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, ი. როსტომაშვილი, ი. წინამძღვრიშვილი, ნ. ცხვედაძე – „თერგდალეულთა“ თაობა. სწორედ ამ თაობას, XIX საუკუნის 60-იანელებს, ეკუთვნის წამყვანი როლი ქართული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებაში.

ამ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეთა შორის იღვწოდა ლადო აღნიაშვილი, რომელიც სავსებით იზიარებდა მათ შეხედულებებს და მხარში ედგა მათ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან რუსეთის იმპერიაში დაიწყო პოლიტიკური რეაქცია. 1881 წელს ხალხოსნების მიერ მოკლულ იმპერატორ ალექსანდრე II-ის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი შვილი, ალექსანდრე III, რასაც მოჰყვა კოლონიური ჩაგვრის კიდევ უფრო გაძლიერება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის დევნასა და შევიწროებაში გამოიხატა.

განათლების დარგში რუსიფიკატორულ პოლიტიკას საქართველოში აქტიურად ატარებდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (უფროსი) კ. იანოვსკი. საქართველოში არსებულ ყველა ტიპის სკოლაში რუსული ენის სწავლება დაწყებითი კლასებიდანვე გახდა სავალდებულო. ქართული ენა, როგორც არასავალდებულო საგანი, მხოლოდ პირველ და, ნაწილობრივ, მეორე კლასებში ისწავლებოდა. ამრიგად, ქართული ენა თითქმის განიდევნა სკოლებიდან. იმავედროულად, დაიწყო ქართველ მასწავლებელთა

შევიწროება. სკოლებში აღარ უშვებდნენ, ვითომდა, სეპარატიზმში შემხნეულ ქართველ პედაგოგებს. ბევრ ცნობილ ქართველ პედაგოგს მოუხდა სკოლის დატოვება.

პოლიტიკური რეაქციის პირობებში მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ქართული პრესა, გამკაცრდა ცენზურა. სიტყვა „საქართველოს“ ხსენებაც კი აიკრძალა. წარმოდგენლად ძნელ პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა გაზეთებს – „ივერიას“, „დროებას“ და სხვ. ამ პირობებში ქართული პრესა აღეგორიებითა და მინიშნებებით მაინც ახერხებდა სიმართლის თქმას.

პოლიტიკურმა რეაქციამ და კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ ვერ შეაფერხა ეროვნული მოძრაობა. ქართველი ერის ასიმილაციის, საქართველოს მოსპობის გეგმამ ამჯერად მარცხი განიცადა.

განათლების დარგში რუსიფიკატორული პოლიტიკის ანტიპედაგოგიური ხასიათი დაუფარავად ამხილეს ეროვნული ძალების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა: ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ს. მესხმა, დ. ყიფიანმა და სხვ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში იწყება ახალი ეტაპი. შემუშავებულ იქნა ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის ორიგინალური პროგრამა – ეროვნული მოძრაობის პროგრამა, რომლის სათავეში იდგა „თერგდალეულთა“ დასი. მასში შედიოდნენ: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. „თერგდალეულთა“ აღიარებული ლიდერი იყო ი. ჭავჭავაძე.

ეროვნული მოძრაობის საბოლოო მიზანს საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. ამისათვის კი საჭირო იყო ქართული ეროვნული ცნობიერების გამოდვიძება-გაძლიერება, ეროვნული კონსოლიდაცია და სხვ. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართული ენის სიწმინდის დაცვას, მის გადარჩენას.

2000 წელს პრესის ფურცლებზე აღინიშნა „ქართველთა

შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ 120 წლისთავი. მისი დაარსება და საქმიანობა იყო XIX საუკუნის 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის დაუღალავი შრომის შედეგი. მუშაობა დაიწყო ახლად აღდგენილმა მუდმივმა დასმა. საზოგადოების საქმიანობა ი. ჭავჭავაძის წერილებით დაიწყო. ამას მოჰყვა გამოსვლა ჟურნალ „ცისკარში“ და გაზეთ „დროების“ გამოცემა. 70-იანი წლების დასასრულს განახლდა ქართული თეატრი, გიმნაზია, შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაარსდა 1879 წლის 15 მაისს, თავისი წესდება შეიმუშავა 1878 წლის 30 იანვარს. მაგრამ იმას, რომ მთავრობას წესდება დაემტკიცებინა, თითქმის წელიწადი დასჭირდა.

ამ საზოგადოების მიზნები და დანიშნულება მხოლოდ წერა-კითხვის გავრცელებით როდი განისაზღვრებოდა.

დიმიტრი ყიფიანმა ვრცელი განმარტება წარუდგინა მთავრობას წესდების პროექტის მესამე მუხლის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო: „საზოგადოება თავის საგანს მიაღწევს იმით, რომ სახალხო სკოლებში დაწყებით სწავლებას შემოიღებს ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე“. კერძოდ, მან მოიშველია ალექსანდრე II 1861 წლის 30 აგვისტოს „რესკრიპტი“, რომელიც დედაენაზე სწავლებას აკანონებდა. 1879 წლის 31 მარტს წესდება დამტკიცებულ იქნა მთავრობის მიერ. იმავე წლის 15 მაისს თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის შენობაში დ. ყიფიანის თავმჯდომარეობით და 45 დამფუძნებელი წევრის დასწრებით შედგა საერთო კრება, რომელმაც აირჩია საზოგადოების პირველი გამგეობა ზემოაღნიშნული 7 წევრის შემადგენლობით. დამფუძნებელთა სურვილი იყო უპირველესად შექმნა სკოლისა, როგორც მძლავრი განათლებისა და კულტურის კერისა, რამეთუ ის ხელს შეუწყობდა ხალხის სულიერსა და კულტურულ განვითარებას.

დასახელებული მიზნის განსახორციელებლად ამ საზოგადოებამ თავის გარშემო შემოიკრიბა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძალები.

„თერგდალეულთა“ ძირითად მოტივებს წარმოადგენდა ეროვნული ჩაგვრისა და სოციალური უკუღმართობის, მეფის თვითმპყრობელობისა და მისი კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა.

„თერგდალეულთა“ ინიციატივით შექმნილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაუპირისპირდა განათლების სისტემაში რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანებს კარგად ესმოდათ, რომ მეფის თვითმპყრობელობა დიდ უბედურებას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიაში შემაჯავალი მცირე ერებისათვის, რადგან იღვენებოდა მათი ეროვნული კულტურა, იკრძალებოდა დედაენაზე სწავლება, გახეთებისა და წიგნების გამოცემა.

ასეთ პირობებში საჭირო გახდა საქართველოში შექმნილიყო ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ქართული კულტურის წინსვლისა და განმტკიცებისათვის იბრძოლებდა, ხელს შეუწყობდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერების საქმეს და ხელს შეუშლიდა ცარიზმს თავისი მიზნების განხორციელებაში.

მხოლოდ 70-იან წლებში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ამ საკითხის უფრო რადიკალურად გადაჭრისათვის.

ამ დიდ ეროვნულ საქმეს მეთაურობდნენ – დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ბესარიონ ლოლობერიძე და ვახტანგ თულაშვილი.

„თერგდალეულები“ ი. ჭავჭავაძის წინამძღოლობით შეუპოვრად იბრძოდნენ ქართული ენის დევნისა და შეზღუდვის წინააღმდეგ. ისინი არაერთხელ დაუპირისპირდნენ იმ რუს მოხელეებს, რომლებიც ქართული ენის უფლებებს ამცირებდნენ.

„თერგდალეულთა“ ეროვნულ პროგრამაში განსაკუ-

თრებული ადგილი ეჭირა ქართული სკოლების ორგანიზაციის საქმეს.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ დიდი ამაგი დასდეს – დ. ყიფიანმა, გრ. ორბელიანმა, ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ლადო აღნიაშვილმა, ს. მესხმა, ივ. როსტომაშვილმა, ი. წინამძღვრიშვილმა, ნ. ცხვედაძემ და სხვ. ისინი ენერგიულად ცდილობდნენ მოეპოვებინათ საზოგადო და კერძო სკოლების გახსნისა და მართვის უფლება.

ცნობილი ქართველი პედაგოგი გ. თავზიშვილი აღნიშნავს, რომ „XIX საუკუნის 60-იანი წლების მთავარ ამოცანად სახალხო განათლების დარგში კვლავ რჩებოდა დაწყებითი ცოდნის გავრცელება მოსახლეობის ფართო მასებში, პირველ ყოვლისა, გლეხობაში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, როცა უმიწოდ დარჩენილი გლეხობა ქალაქს აწყდებოდა სამუშაოსა და „საშოვრის“ საძებრად. წერა-კითხვა და ელემენტარული განათლება საარსებო საკითხად გადაიქცა“ [10. 495]. „ცოდნა-განათლების დაბალი დონე ერის თვითშეგნების განვითარებას აფერხებდა“, – აღნიშნავს ვ. გაგუა თავის სადოქტორო დისერტაციაში და მოჰყავს ამის დამადასტურებლად ციფრები და ფაქტები დაწყებითი საერო, საეკლესიო-სამრევლო, საკვირაო და მოძრავი, სასულიერო სასწავლებლების, კერძო სკოლებისა და საბავშვო ბაღების შესახებ [2. 46-131]. აქვე აღნიშნულია, რომ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ამ სკოლებისათვის შეიქმნა სახელმძღვანელოები. კერძოდ: 1889 წელს გამოვიდა რ. ჯაჯანაშვილის სახელმძღვანელო „მეგობარი“, რომელიც „ანბანის“ შემდგომ საკითხავ წიგნად იყო გამიზნული საეკლესიო-სამრევლო სკოლებში. ი. გოგებაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა რ. ჯაჯანაშვილის ეს სახელმძღვანელო.

1890 წელს გამოქვეყნდა ალ. ნათიძის „ბავშვების მოკეთე“. ი. გოგებაშვილი ამ სახელმძღვანელოსაც კრიტიკული წერილით გამოეხმაურა „ივერიის“ ფურცლებზე.

მან უმართებლოდ მიიჩნია ამ წიგნის მაღალი შეფასება „კვალის“ რედაქტორის მიერ (1897, № 43.).

1891 წელს გამოვიდა არისტო ქუთათელაძის „წყარო“ – ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი.

ეს სახელმძღვანელოები განკუთვნილი იყო დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის.

ლადო აღნიაშვილის ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანი“ იყო სრულიად განსხვავებული წიგნი. ამას აღნიშნავს ვ. გაგუა თავის სადისერტაციო ნაშრომში [2. 157-159], თუმცა, დაწვრილებით ანალიზს არ იძლევა. აღსანიშნავია, რომ დღემდე იგი სათანადოდ არ არის გაანალიზებული.

განსაკუთრებით დიდია „ქ.შ.წ.კ.“ გამავრცელებელი საზოგადოების ღვაწლი სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნის საქმეში.

საზოგადოებას დიდი ღვაწლი მიუძღვის, აგრეთვე, ქართული წიგნების, სახელმძღვანელოების, საბავშვო ლიტერატურის, სამეცნიერო-პოპულარული წიგნების, მხატვრული ნაწარმოებების გამოცემაში.

იმდროს, როცა „ქ.შ.წ.კ.“ გამავრცელებელ საზოგადოებას“ მოუხდა მოღვაწეობის დაწყება, საშინელი რეაქცია იყო გამეფებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ცენზურა განსაკუთრებულ ზომებს მიმართავდა კულტურის მიმართ, კრძალავდა წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გამომშვებას ეროვნულ ენაზე.

საზოგადოების დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ გამგეობამ გაზეთ „დროებაში“ გამოაცხადა ოთხი სახის პრემია საუკეთესო სახელმძღვანელოების შემდგენთათვის სასოფლო სკოლებში გამოსაყენებლად: არითმეტიკის, პირველდაწყებითი გეოგრაფიის, საქართველოს ისტორიისა და ბუნებისმეტყველების დარგში. ამისთვის შეიქმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ: ივ. მაჩაბელი, გ. უთურგაული, ი. გოგებაშვილი, დ. ყიფიანი და რ. ერისთავი [314].

პრესაში გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ საზოგადოების მმართველობას წარედგინა სხვადასხვა

პირებისაგან შედგენილი ხელნაწერი წიგნები, რომლებიც დაწვებითი სკოლებისათვის იყო გათვალისწინებული.

თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოებამ გახსნა 33 სკოლა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, რომლებსაც თავისი ხარჯით ინახავდა და დახმარებას უწევდა მათ სასკოლო ინვენტარითა და სახელმძღვანელოებით.

საზოგადოებას სასკოლო მოღვაწეობასთან ერთად ევალებოდა წიგნსაცავ-ბიბლიოთეკების და სამკითხველოების მოწყობა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საზოგადოებამ ხელი მოჰკიდა ამ საქმეს განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან და მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა.

უასდაუდეგელია ი. გოგებაშვილის ღვაწლი სკოლების გახსნასა და სახელმძღვანელოების შექმნაში, სამკითხველოების ქსელის გაშლაში და სხვ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ზრუნავდა მდაბიო ხალხში ცოდნისა და სწავლა-განათლების გავრცელებისათვის, მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისათვის, მოწინავე პროგრესული იდეების დანერგვისათვის, ეროვნული კადრების გამოსზრდისათვის. ამ მიზნით საზოგადოება ხსნიდა სახალხო სკოლებს და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, სიძველეთა საცავებს, სტამბას, წიგნის მაღაზიებს; კრებდა და იცავდა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს – ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ხუროთმოძღვრების ნაშთებს, ძველ ქართულ მონეტებს, ფოლკლორულ მასალებს; გამოსცემდა და ავრცელებდა სახელმძღვანელოებს, მეცნიერულ-პოპულარულ წიგნებს, ხალხურ სიმღერებს, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს; საზოგადოება დახმარებას უწევდა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა საბავშვო ლიტერატურის განვითარებას. საგამომცემლო სექციამ



სპეციალური სხდომები მიუძღვნა საბავშვო ლიტერატურის შერჩევას, შექმნასა და გამოცემას, საბავშვო ჟურნალების საქმიანობას.

საზოგადოების გამგეობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხისათვის გასაგები ენით დაწერილი იაფფასიანი წიგნების გამოშვებას.

ქართველ მწერალთა, ლიტერატორთა წასახალისებლად საზოგადოების გამგეობამ შექმნა სალიტერატურო ფონდი, ხოლო საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორებს ეძლეოდათ პრემიები.

არანაკლებ ყურადღებას აქცევდა საზოგადოება ხალხური სიტყვიერების და ხალხური მუსიკის ნიმუშების შეკრება-დამუშავებისა და გამოცემის საქმეს. ამ მხრივ, საყურადღებოა საზოგადოების მიერ შემუშავებული „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოებების შეკრებისათვის“ (თბ., 1882). სწორედ ამ მიმართულებით ლადო აღნიაშვილმა დიდი შრომა გასწია, როგორც ფოლკლორისტმა.

საზოგადოების გამოცემებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თარგმნილ ლიტერატურას. პირველი კატეგორიის თარგმანისათვის მთარგმნელს თაბახზე ეძლეოდა 450 მანეთი, ხოლო მეორეს – 350 მანეთი.

გამგეობის წევრები მკაცრ კონტროლს უწევდნენ თარგმნილ ლიტერატურას, მოითხოვდნენ სრულყოფილ თარგმანებს.

თარგმნილი ლიტერატურა მაღალ დონეზე იყო შესრულებული და საკმაო ადგილი ეჭირა საზოგადოების გამოცემებს შორის.

თარგმნიდნენ როგორც რუსი, ასევე საზღვარგარეთელი კლასიკოსების ნაწარმოებებს. ამ საქმეში დიდი როლი მიუძღვით ი. ჭავჭავაძეს, ივ. მაჩაბელს, აკ. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილს. ლადო აღნიაშვილმაც თარგმნა რამდენიმე ნაწარმოები. ესენია: „დაკარგული შუბი“. სამხრეთ აფრიკის ზღაპარი. [111, 68-77], ჩეხოვის „რაშევიჩი“ (თარგმანით – „ლაქლაქა“) [99, 49-61], „პატარა

გურული“ [დ. ამიჩისის მოთხრობიდან გადმოკეთებული [118,11-13].

ამ დიდი კულტურული და პატრიოტული საქმის სამსახურში იდგა ლადო აღნიაშვილი, რომელიც XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მოღვაწეობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ლადო აღნიაშვილს ბედნიერება ხვდა წილად ემოღვაწევა იმ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა გვერდით, რომლებიც პირადი მაგალითით, მაღალი ზნეობრივი იდეალებით შთააგონებდნენ მას, ებრძოლა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცულია „ქ.მ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრთა სიები და ვრცელი დოკუმენტური მასალა. ამ საზოგადოების წევრთა შორის, ზემოაღნიშნული გამგეობის წევრთა გარდა, არიან: გ. ე. წერეთელი, თ. დ. ჟორდანიას, ი. ე. გამყრელიძე, გ. მ. თუმანიშვილი, ი. მ. მუხნარგია, გ. კ. უთურგაული. მათ შორის, არის, აგრეთვე, ლადო დიმიტრის ძე აღნიაშვილი — ფრანგების სკოლიდან. როგორც საარქივო მასალები ცხადყოფენ, ამ საზოგადოების ნამდვილი წევრი ის გახდა 1892 წლის 1 სექტემბერს [314]. ამ საზოგადოებამ რამდენჯერმე განიხილა ლადო აღნიაშვილის სახელთან დაკავშირებული საკითხი. ასე მაგალითად, 1892 წლის აპრილ-დეკემბერში, ზ. ჭიჭინაძესა და სხვა ავტორებთან ერთად, იგი მიმართავს საზოგადოების გამგეობას თხოვნით — თავისი თხოვნების გამოცემისა და შემდეგ კი მათი შესყიდვის შესახებ [315, 319]; 1893 წლის 3 ივნისით თარიღდება მისი წერილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი“ მის მიერ შედგენილი „ახალი ანბანის“ რამდენიმე ეგზემპლარის გამგეობის წიგნსაცავიდან გატანის თაობაზე [316]. აქვე დაცულია ანა აღნიაშვილის წინადადება მისი ძმის, ლადო აღნიაშვილის მიერ გამოცემული „ახალი ანბანის“ შექმნის

შესახებ [318]; სხვადასხვა განცხადებები და მოხსენებები, ი. ჭავჭავაძის სურათები და სხვ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საარქივო მასალებში დაცულია მრავალი დოკუმენტური მასალა, სადაც განხილულია ლადო აღნიაშვილის და მისი დის – ანას განცხადებები, მოხსენებები, ინფორმაციები მის მიერ გამოცემული თხზულებების ხელახალი გამოცემის შესახებ და სხვ. დიდი დახმარება გაუწია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ლადო აღნიაშვილს ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანის“ პოპულარიზაციაში, რამდენადაც, მაღალ შეფასებას აძლევდა მის პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ლადო აღნიაშვილიც სიტყვით, საქმით, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით განამტკიცებდა თავის მოქალაქეობრივ პოზიციას და ეროვნულ სულისკვეთებას, სულიერად და მატერიალურად მუდამ მხარში ედგა ი. ჭავჭავაძეს, დ. ყიფიანს, ი. გოგებაშვილს და ამ საზოგადოების სხვა მესვეურებს.

საზოგადოებამ იარსება თითქმის 50 წელიწადი (1879-1927) და ფრიად ნაყოფიერადაც. მან გამოსცა 250-ზე მეტი დასახელების წიგნი, თარგმანები, სახელმძღვანელოები, კრიტიკული ხასიათის, მხატვრული, პოლიტიკური და სხვ. ლიტერატურა, რაც, არც თუ ისე მცირე იყო იმ პერიოდისათვის.

## **თავი II. ლადო აღნიაშვილის მსოფრთველი და მოღვაწეობის ქირითადი აგაპეზი**

### **ოჯანური გარემო სოფელი შილდა**

ლადო დიმიტრის ძე აღნიაშვილი დაიბადა 1860 წლის 23 იანვარს თელავის მაზრის სოფელ შილდაში (ამჟამად ყვარლის რაიონი). სხვადასხვა წყაროში ლადო აღნიაშვილის დაბადების თარიღი არ ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ ჩვენ მოვიძიეთ მისი „დაბადების მოწმობა“ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის (სცსსა) ფონდებში და დავადგინეთ ზუსტი თარიღი. მოგვყავს დაბადების მოწმობის სრული ტექსტი: „ვლადიმერ დიმიტრის ძე აღნიაშვილი დაიბადა 1860 წ. 23 იანვარს, მონათლულია 29 იანვარს. ნათლობა შეასრულა სოფ. შილდის წმ. ნინოს, ამავე სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელმა ვართლომე იორდანოვმან, ამავე სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიის პრიხეტნიკების (დიაკვნების) იოსებ და ალექსი აღნიაშვილებისათა.

მშობლები – სოფ. შილდის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი და ბლადოჩინი დიმიტრი იოკის ძე აღნიევი და სჯულიერი ცოლი მისი ეკატერინე ზაქარიას ასული, ორნივე მართლმადიდებლობითის სარწმუნოებისანი. ნათლია (მიმრქმელი) – საქართველოს ქვეითი პოლკის III როტნის აფიცერი თავადი ლევან ესტატეს ძე ჯორჯაძე“ (სტილი და ცუელია) – [309].

როგორც დაბადების მოწმობიდან ჩანს, ლადო აღნიაშვილი დაიბადა და აღიზარდა დიმიტრი მღვდლის ჭეშმარიტად ქართულ, ქრისტიანულ ოჯახში, რომელიც დიდად დაფასებული იყო თელავის მაზრაში.

საარქივო მასალებში მოიპოვება დიმიტრი მღვდლის – ბლადოჩინის მოხსენება თელავის მაზრის საბლადოჩინოს მღვდმარეობის შესახებ და მისი დადებითი დახასიათება [323].

ნაშრომის ავტორმა ეთნოგრაფიული კვლევა განახორციელა ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში, შეისწავლა თბილისელი აღნიაშვილების რამდენიმე ოჯახი, რის შედეგადაც მოიპოვა საინტერესო ფოტომასალა, შესწავლილ იქნა გვარის გენეალოგია, რომელიც თან ერთვის წიგნს [45].

აღნიაშვილების ოჯახის გენეალოგიიდან ირკვევა, რომ დიმიტრი აღნიაშვილს მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავდა – 9 შვილი: რომანი, ილია, ლადო, ნიკოლოზი, ნუშო, ნინო, ვანო, ანა, ქეთევანი. მათი შვილთაშვილები ამჟამად ცხოვრობენ თბილისში, ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში და სხვა. სამწუხაროდ, საზოგადო საქმეებით გატაცებულ ლადო აღნიაშვილს არ შეუქმნია ოჯახი.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი მღვდლის ოჯახი დიდად განათლებული გახლდათ. მათი ინტერესების სფეროში შედიოდა ხელოვნებისადმი დიდი სიყვარული.

აღნიაშვილების ოჯახს ძალიან უყვარდა თეატრი. საგარეჯოს სცენისმოყვარეთა საქველმოქმედო სპექტაკლებში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ლადოს დედა – ეკატერინე, პაპიდა ვარო (ბარბარე) მჭედლიშვილი-აღნიაშვილისა, პაპის ძმები – საშა, ვასო, კოტე, რომლებიც თავად მართავდნენ სპექტაკლებს, ასრულებდნენ როლებს. აღნიაშვილების ოჯახის აქტიური მონაწილეობით დაიდგა სპექტაკლები: „პეპო“ (1878) და „თამარ ბატონიშვილი“ (1896) (რეჟისორი – ალექსანდრე ცხვეთაძე).

1897 წელს საგარეჯოს სცენისმოყვარეთა კოლექტივმა ამ თვითმოქმედი თეატრის დაარსების 20 წლისთავის აღსანიშნავად დადგა „ხანუმა“, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა ლადო აღნიაშვილის პაპიდა – ვარო (ბარბარე) მჭედლიშვილი-აღნიაშვილისა.

ლადო აღნიაშვილის ბავშვობა და ყრმობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოჯახურ წეს-ჩვეულებებთან, მის მშობლიურ სოფელ შილდასთან, მის სახელოვან ტრადიციებთან.

შილდა – გარე კახეთის ეს უღამაზესი სოფელი, რომელიც ილია ჭავჭავაძის მშობლიური ყვარლის მეზობლად მდებარეობს, მოხსენიებული აქვს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს თავის ისტორიულ ნარკვევებში,<sup>1</sup> ცნობილ მკვლევარს ვახტანგ ჭელიძეს თავის ნაშრომში.<sup>2</sup>

შილდას დიდი ისტორიული წარსული აქვს. პირველ დარტყმას სპარსეთიდან, როგორც ცნობილია, ყოველთვის ეს კუთხე იღებდა.

კახეთის ამ მშვენიერ კუთხეს ბევრი რამ აქვს საამაყო: შილდის ტერიტორიაზე აღრიცხულია 43 ისტორიული ძეგლი. შილდის სიამაყეა ნეკრესიცი, საეკლესიო ნაგებობების მთელი კომპლექსი (IV-XVI სს). აქ არის ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სამლოცველო საქართველოს ტერიტორიაზე. ამას ადასტურებს ი. ელიზბარაშვილი თავის ნაშრომში.<sup>3</sup> აქვეა აგრეთვე „აღნიაანთ ციხე“ (XVIII ს), ღვთისმშობლის კომპლექსი (VII-VIII სს).

შილდას შესანიშნავი ტრადიციები აქვს. აქაურები არიან დედას ლევანა (ასაბაშვილი), მერი შილდელი, ლადო აღნიაშვილი. აღსანიშნავია, რომ ამ სამი ცნობილი პიროვნების პორტრეტები ამშვენებს სოფლის შუაგულს.

1868 წელი ღირსშესანიშნავი თარიღია შილდის ისტორიაში: ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელმა დიმიტრი აღნიაშვილმა – ლადო აღნიაშვილის მამამ, საკუთარი ინიციატივით გახსნა შილდის პირველი სასოფლო სასწავლებელი.

ამ სკოლას 2008 წელს 140 წელი შეუსრულდა. მისი დაარსების ისტორიულ ფაქტს ეხმაურება გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი წერილი „კახელის“ ხელმოწერით.

შილდის №1 სასოფლო სასწავლებლის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო ლადო აღნიაშვილი, ვის სახელსაც ამჟამად №1 საშუალო სკოლა ატარებს.

1 ჯავახიშვილი ი., ისტორიული ნარკვევები, ტ. II. თბ., 1983, გვ. 47.

2 ჭელიძე ვ., ქართლის ცხოვრების ქრონიკები, თბ., 1981, გვ. 406.

3 ელიზბარაშვილი ვ., „ნეკრესი“, თბ., – 1986.

შილდის №1 საშუალო სკოლის კედლებში სხვადასხვა დროს აღიზარდა 100-მდე გამოჩენილი პიროვნება, მათ შორის: აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი, პროფესორები: აღამ ჩახტაური, ნოდარ გაბლიშვილი, კრიტიკოსი ანდრო მირიანაშვილი, მსახიობი დოდო ჭიჭინაძე, მწერალი სილოვან ნარიმანიძე, მათემატიკოსი მერაბ აღნიაშვილი.

ამ სკოლაში აღიზარდნენ ლაღო აღნიაშვილის დისშვილები: ვანო მაჩაბელი – ცნობილი ქირურგი, რევაზ მაჩაბელი – ცნობილი მევიოლინე, სახელმწიფო კვარტეტის წევრი და ა. შ.

შილდის ისტორიის მემატთანე ციური გუღიაშვილი, სპეციალობით ისტორიკოსი, საინტერესოდ მოგვითხრობს ამ სოფლის სახელოვან ტრადიციებზე და ადამიანებზე თავის წიგნში „შილდა“ [46]. აღსანიშნავია, რომ ამ სოფელში პირველად აღნიაშვილები დამკვიდრდნენ. ამჟამად აქ, „აღნიაანთ“ უბანში, გვარის 30-მდე ოჯახი ცხოვრობს.

### **აღნიაშვილების გვარი**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმეებში არაერთხელ არის ნახსენები აღნიაშვილების გვარი: აღნიაშვილი გ. – 1825 წ. 3. 12. დანიშნულია მღვდლად ქ. თბილისში, შემდეგ ღუშეთის მაზრის სოფ. ბოკოწინში. ხოლო იგივე გიორგი აღნიაშვილმა 1879 წლის 1 აგვისტოს მოახსენა ამ საზოგადოების გამგეობას სოფ. შილდის სკოლის მდგომარეობის შესახებ. შემდეგ თხოვნით მიმართა მას სოფელ შილდის ღარიბი სკოლისათვის სასკოლო წიგნებისა და სასკოლო ინვენტარის შექმნისათვის დახმარების გაწევის შესახებ [322] და სხვ.

აღნიაშვილების გვარში ბევრი იყო სასულიერო პირი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. ისინი იყვნენ დიდად განათ-

ღებულები პიროვნებები. მათ ღირსეული წვლილი შეჰქონდათ მოზარდი თაობის, ხალხის განათლების საქმეში, მათ მართლმადიდებლურ სულისკვეთებით აღზრდაში. ღაღო აღნიაშვილიც ღირსეულად აგრძელებდა ამ შესანიშნავ ტრადიციებს. ამას მოწმობენ საარქივო მასალებიც.

აღნიაშვილების გვარს შეუძლია იამაყოს თავისი სახელოვანი წინაპრებით, რომლებიც ერთგულად ეწეოდნენ ღვთისმსახურებას.

თბილისში, ეროვნული ბიბლიოთეკის უკან, მღებარეობს სამების პატარა ეკლესია, რომელიც აიგო თავდაპირველად 1790 წელს სამლოცველოს სახით, დედაქალაქში მცხოვრები პეტრე (ყარაულის) აღნიაშვილის მიერ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მისმა შვილმა – შიო აღნიაშვილმა – სამლოცველოს მიაშენა სვეტებიანი კარიბჭე და სამრეკლო. შემდეგ დეკანოზ არდაზიანის თაოსნობით აგებულ იქნა გუმბათიანი ეკლესია, რომელიც აკურთხეს 1868 წლის დეკემბერში.

აღსანიშნავია, რომ სამი აღნიაშვილი შესულია „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ [53]. ესენი არიან ღაღო აღნიაშვილი, მისი დისშვილები – პეტრე და ღევან სიმონის ძე აღნიაშვილები (მშობლები მოგვარეები იყვნენ). ღევან აღნიაშვილი 1933-1935 წლებში თსუ-ს რექტორი იყო.<sup>4</sup>

წიგნის ავტორის მიერ შესწავლილ იქნა აღნიაშვილების გენეალოგია (I-II შტო) და ამ გვარის სახელოვან ადამიანებზე არსებული დღემდე უცნობი მასალები. მოვიყვანო რამდენიმე საინტერესო ფაქტს წარსულიდან. მაგრამ, სანამ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ აქ მოყვანილი ფაქტები შეეხება აღნიაშვილების საგვარეულოს მხოლოდ პირველ შტოს, მეორე შტოდან ცნობილია ალექსი აღნიაშვილი, რომელიც რუსეთის მეფის – ნიკოლოზ II კარზე იყო მეფის პირადი ეპისკოპოსი. ამას ადასტურებენ ამ გვარის წარმომადგენლები.

---

4 „მეცნიერება და ტექნიკა“, 1998, №4-6.



ერთხანს ემიგრაციაში (ვენევა– პარიზი) ცხოვრობდა დიდად განათლებული კაცი, პოლიგლოტი და მთარგმნელი ნიკო (ლოზ) აღნიაშვილი. ერთ დროს იგი ბათუმში მუშაობდა საფრანგეთის კონსულად და აქვეყნებდა საინტერესო მასალებს ქართულ პერიოდულ პრესაში (გაზეთი „ივერია“, 1893-1896, ჟ. „ჯეჯილი“, „კვალი“, „მოამბე“, „მოგზაური“ - 1893-1905). ეს იყო პოლიტიკური მიმოხილვები, სტატიები ქართული ენის სიწმინდის საკითხებზე, პუბლიცისტური მასალები, თარგმანები და ა. შ. მაგ.: საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია მისი პატარა წიგნი „დედა-მიწა და კუდიანი ვარსკვლავები“ (გერმანულიდან), გამოცემული ბათუმში 1904 წელს. ეს წიგნი გამოსცა ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის სტამბამ და წიგნის ყდაზე აღნიშნულია, რომ ამ წიგნის „წმინდა მოგების 10% გადაიღო საზღვარგარეთ მოსწავლე ახალგაზრდობის სასარგებლოდ. შესაშური ქველმოქმედებაა!

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ აღნიაშვილმა ძალზე საინტერესო ლექსიკონი გამოაქვეყნა ქართული ენის სიმდიდრის წარმოსაჩენად. დაინტერესებული მკითხველი სიამოვნებით გაეცნობა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე მასალებს, რომლებიც ნიკოლოზ აღნიაშვილს ჰქონია შესწავლილი რაჭასა, ზემო იმერეთსა და ზემო ქართლში და, სადაც სიტყვები ისეა ახსნილი, როგორც ხალხში გაუგონია. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ მან უკვე ცნობილი სიტყვები „გადაათვალიერა სულხან-საბა ორბელიანის, დ. ჩუბინაშვილის, რ. ერისთავის, კ. ყიფიანის, თ. სახოკიასა და კ. ბაღაშვილის ლექსიკონებში“ და თავის ლექსიკონში დატოვა „მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც იქ არ აღმოჩნდა“.<sup>5</sup>

ნიკო აღნიაშვილს ორი ვაჟი ჰყავდა: ნიტო (ნიკოლოზი) და ატო (ანტონი), რომლებსაც ვენევის უნივერსიტეტი

---

5 „ივერია“, 1900, №194; №196, გვ. 4; №199, გვ. 3-4; №200; №201; №202, №209, – შეცდომების გასწორება.

ჰქონდათ დამთავრებული. ნიტო საფრანგეთში დარჩა საცხოვრებლად, ატო კი საქართველოში დაბრუნდა და თსუ-ში განაგრძო სწავლა სამშენებლო ფაკულტეტზე. ნიჭიერი და ფრანგული ენის კარგი მცოდნე სტუდენტი შეამჩნია ცნობილმა მეცნიერმა გიორგი ნიკოლაძემ, რომლის თხოვნითაც ატო აღნიაშვილმა შესანიშნავად თარგმნა ცნობილი მათემატიკოსის მ. ფრეშეს და ინჟინერ ჰ. რულეს წიგნი „ნომოგრაფია“, რომელიც დიდად ესაჭიროებოდა სტუდენტობას სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის უქონლობის გამო. ეს წიგნი გამოვიდა 1932 წელს და ამჟამად ინახება საქართველოს „წიგნის სახელმწიფო პალატაში“. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ატო აღნიაშვილი მონაწილეობდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციაში, ის პირველი ავიდა მყინვარწვევრზე (1923), რასაც ადასტურებს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების „მოამბე“.<sup>6</sup> მასში გამოქვეყნებულია დაწვრილებითი ინფორმაცია ამ ექსპედიციის შესახებ და, მათ შორის, დოცენტ გიორგი ნიკოლაძის მოხსენება, სადაც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „მყინვარის გაფრენაზე 27 კაცი მონაწილეობდა: 18 „ძმა“ და 9 „და“, მოცემულია მათი სიაც. აქვე ატო აღნიაშვილის შესახებ მითითებულია, რომ იგი იყო ტანვარჯიშის მწვრთნელი, სტუდენტი, 19 წლის. „ღებში“ კი ფიგურირებს 21 წლის რუსთაველი სტუდენტი მარიამ ტყავაძე – ტანვარჯიშის მასწავლებელი, და ა. შ.

პირადი ცხოვრება მომავალი თაობის აღზრდას მიუძღვნა და 25 წელზე მეტხანს ემსახურა საყვარელ საქმეს ნინო რომანის ასული აღნიაშვილი (1888-1969) – ლაღო აღნიაშვილის ძმისშვილი. როგორც ცნობილი თეატრმცოდნე და ჟურნალისტი თამარ გომართელი თავის წერილში „საამო ტვირთი“ აღნიშნავს, ნინო აღნიაშვილმა 1905 წელს გიმნაზია ოქროს მედლით დაამთავრა. აქედან იწყება მისი შრომითი საქმიანობა ნაძალადევის მუშათა უბანში, სადაც იგი რუსულ ენასა და ლიტერატურას

---

6 საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების „მოამბე“, №1, ტფ., 1924.

ასწავლიდა. ყველასათვის საყვარელი მასწავლებელი იყო. ხელმოკლე მოსწავლეებს უფასოდ ამეცადინებდა, მშობლებს უფასო წრეებს უხსნიდა, რათა მათ შემდგომში უმაღლესი განათლება მიეღოთ. ბევრი მისი აღზრდილი ცნობილი მეცნიერი გახდა... ზემოთ აღნიშნულ წერილში ვკითხულობთ: „მძიმეა პედაგოგის ხვედრი, მაგრამ ისე მიყვარს, კვლავ 18 წლის რომ გავხდე, ისევ პედაგოგობას დავიწყებდი. მძიმეა პედაგოგის ტვირთი, მაგრამ ასეთი ტვირთი საამოც არის“.<sup>7</sup>

ნინო გიორგის ასული აღნიაშვილი (1919-1992) თანამედროვე საბავშვო მწერალი იყო. იგი წერდა მოთხრობებს სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის. მისი პირველი მოთხრობა დაიბეჭდა 1948 წელს. პირველი წიგნის კრებულში (1949) მოთავსებულია მწერლის 11 მოთხრობა, მეორეში („სახუქარი“) – 19, მესამე კრებულში („მამუკა და მურიკა“, 1963 წ.) კი, – 27. მისი მოთხრობები ხასიათდება თემატიკის მრავალფეროვნებით, სადაც საინტერესოაა წარმოჩენილი ბავშვის ბუნება. საგნები და მოვლენები დანახულია მახვილი, დაკვირვებული თვალთ. ყოველი თემა მარჯვედ ემსახურება აღმზრდელობით მიზანს, მათში ნათლად ჩანს მწერლის ადლო და ზომიერების გრძნობა.

აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ აღნიაშვილთა სხვა ღირსეული სახელებიც: ეთერ აღნიაშვილი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, როგორც მას უწოდებდნენ, „ხალხური სიმღერის მოჭირნახულე“.<sup>8</sup> გიორგი ზურაბის ძე აღნიაშვილი – სასაზღვრო ძალების ვიცე-პოლკოვნიკი,<sup>9</sup> აღნიაშვილი ორბი – თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობი.<sup>10</sup>

7 გახ. „თბილისი“, 1960, 23 ივნისი, №148, გვ. 3.

8 „სოფლის ცხოვრება“, 1981, 5 ივლისი, გვ.4; თბ., 1992, 4 მაისი, გვ. 3.

9 საქართველოს რესპუბლიკა, 2001, 1 მარტი, გვ. 8.

10 კომუნისტი, 1986, 12 ოქტომბერი, გვ. 3.

მინდა აღვნიშნო აღნიაშვილების ერთ-ერთ წარმომადგენელზე, გიორგი (გიგა) აღნიაშვილზე, რომელსაც ოთხი შვილი ჰყავდა: ვახტანგი (1923-1943), ვერა (1917-1995), ნინო (1919-1992) და თინათინი (1921-2000). ვახტანგი დიდ სამამულო ომში დაიღუპა და ოჯახი ვერ შექმნა. ვერა – აგრონომ-დეკორატორი, ბისერის ყვავილებსა და ულამაზეს აბაჟურებს აკეთებდა, 70-იან წლებიდან უკვეთავდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც (რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა, კანადა). ეს ნიჭი გამოჰყვა მის ქალიშვილს – ქალბატონ ლინას. ნინო საბავშვო მწერალი გახდა. მისი ერთადერთი შვილი – სოსლან მაჭარაძე – ნიჭიერი პოეტი, 9 აპრილის მსხვერპლია (მოიწამლა და გარდაიცვალა). თინათინს ერთი შვილი ჰყავს – ინა დგებუაძე. ვერას კი ორი შვილი, – ელენე (ექიმი) და ალექსი (კომპოზიტორი და მევიოლინე). სწორედ ამ უკანასკნელის ოჯახზე მინდა მოგიხსნათ:

ალექსი შანიძე (დედით – აღნიაშვილი) – ძირძველი თბილისელია. მას მუსიკოსთა შესანიშნავი ოჯახი ჰყავს. მისი მეუღლე პედაგოგი-პიანისტია, შვილები – ვერიკო და ქეთევანი – ხელოვანები არიან.

უმცროსი – ქეთევანი, ნიჭიერი ფლეიტისტია, ამაზე მეტყველებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის – უვე შრამის წერილი, რომელშიც გამოხატულია გულწრფელი მადლობა გერმანიის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით: „თქვენი მუსიკით თქვენ უდიდესი სიამოვნება მიანიჭეთ ყველა მონაწილეს და სტუმარს. მომავალშიც დიდ წარმატებებს გისურვებთ შემოქმედებით საქმიანობაში“.<sup>11</sup>

მსურს, აქვე მკითხველს ვუამბოთ თავად ალექსი შანიძეზე (დედით აღნიაშვილზე).

ალექსი კონსტანტინეს ძე შანიძემ 1975 წელს დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია კომპოზიციისა და ვიოლინოს კლასი, პროფესორების: ა. ბალანჩივაძის, ა. შავერზაშვილისა

11. თბ., 2002, 9 ოქტომბერი.

და შ. შანიძის ხელმძღვანელობით. 1977 წლიდან არის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი. ავტორია არაერთი სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური, საგუნდო და კამერული ჟანრის ნაწარმოებებისა, სტატიებისა, ქართული მუსიკის ამა თუ იმ საჭირობორტო საკითხებზე. ამჟამად ა. შანიძე ასწავლის კომპოზიციას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიაში.

ა. შანიძის აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციაზე და ადამიანურ კეთილშობილებაზე მეტყველებს თუნდაც ეს ორი ფაქტი.

გაზეთ „ახალ თაობაში“<sup>12</sup> გამოქვეყნდა კომპოზიტორ ა. შანიძის ღია წერილი „დიდი მამულიშვილის ხსოვნისათვის“, რომელშიც იგი მიმართავს ქალაქის მერს ვ. ზოდელავას და შეახსენებს საზოგადოებას გამომჩენილი ქართველი კომპოზიტორის, კომპოზიტორთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებლისა და მრავალი წლის განმავლობაში მისი თავმჯდომარის, ქართველ და არაქართველ კომპოზიტორთა არაერთი თაობის აღმზრდელის, თბილისის ერთ-ერთი პირველი საპატიო მოქალაქის ანდრია მელიტონის ძე ბალანჩივაძის ღვაწლის შესახებ ერის წინაშე. ღია წერილი შეეხება განსვენებულის საფლავის მოვლა-პატრონობას, რომელიც არ მოპირკეთდა და საფლავი დაკარგვის პირასაა მისული, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საფლავის კეთილმოწყობის პროექტი. ღია წერილის ავტორი – ა. შანიძე შეახსენებდა ქალაქის ხელმძღვანელობას, რომ 1999 წლის 18 ივნისს ა. ბალანჩივაძეს 95 წელი უსრულდება და სასურველია საფლავის სასწრაფოდ გაკეთება, რისთვისაც საჭიროა 3.000 ლარის გამოყოფა. მიუხედავად ორი წერილობითი თხოვნისა და მაშინდელი ვიცე-მერის გივი წერეთლის დავალებისა, თბილისის კულტურის სამმართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობას (ო. ბერძენიშვილი) სიტყვიერი დაპირების გარდა, არაფერი

---

12 ა. შანიძის ღია წერილი „დიდი მამულიშვილის ხსოვნისათვის“, II „ახალი თაობა“, 1999, 24 აპრილი, გვ. 3.

გაუკეთებია. ეს ა. შანიძეს უდავოდ სამართლიანად მიაჩნდა „ქართული კულტურის ერთ-ერთ სამარცხვინო ლაქად“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, ა. შანიძის კიდევ ერთ პუბლიკაციაზე. გახეთ „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნდა „მადლობის წერილი“, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია: „კომპოზიტორმა ალექსი შანიძემ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტს, და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა სხვადასხვა დასახელების სამასამდე წიგნი, რომელთა შორისაც არის მ. გორკის, ვ. ბარნოვის, ა. ფადეევის, ვ. კოროლენკოს, რ. თაგორის, ო. ბალზაკის, ა. პუშკინის, ვ. მაიაკოვსკის, მ. ლერმონტოვის, ა. ტვარდოვსკის, ნ. გოგოლის, ჯ. ლონდონის, ა. გერცენის, ა. ჩეხოვის, ლ. ტოლსტოის, მ. სერვანტესის, ე. ზოლას და სხვა გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებები. ინსტიტუტისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლები ბატონი ალექსი შანიძის ამ კეთილშობილურ მოქმედებას მომავალი თაობისათვის ზრუნვის სანიმუშო მაგალითად მიიჩნევენ და უდრმეს მადლობას უხდიან მას ამ ძვირფასი საჩუქრისათვის“.<sup>13</sup>

აღნიაშვილების გვართან დაკავშირებით მინდა ისიც აღვნიშნო, რომ 2004 წლის 7 მარტს მოხდა აღნიაშვილების გვარის კურთხევა, ხოლო 2006 წლის შემოდგომაზე შედგა აღნიაშვილების საგვარეულო შეკრება, შეიქმნა აღნიაშვილების კავშირი.

---

13 „სახალხო განათლება“, 2004, 26 მაისი.

## ლადო აღნიაშვილის მოქალაქეობრივი ჩამოყალიბებისა და პიროვნული თვისებების ფორმირების პერიოდები

როგორც აღინიშნა, ლადო აღნიაშვილი დაიბადა 1860 წლის 23 იანვარს თელავის მაზრის სოფ. შილდაში, ღვთისმშობლის ეკლესიის ბლადოჩინის დიმიტრი მღვდლის მრავალ შვილიან ოჯახში.

1868 წლის სექტემბერში იგი შევიდა სოფელ შილდის №1 სასოფლო სასწავლებელში, რომელიც იმ წელს მისი მამის ინიციატივით გაიხსნა.

1872 წელს ლადო აღნიაშვილმა დაამთავრა დაწყებითი სკოლა.

1872-1877 წლებში სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში.

1877-1881 წლებში – გორის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა სანიმუშო ყოფაქცევით და წარჩინებით 1881 წლის 14 ივნისს.

1881 წელს დაინიშნა ქართული და რუსული ენების პირველ მასწავლებლად ტფილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში (ინსპექტორი -- ნ. ლომოური).

1883-1893 წლებში მუშაობდა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში.

ლადო აღნიაშვილის პირველი ლექსიკოლოგიური მცდელობები დაკავშირებულია რუსული ენის სახელმძღვანელოს და რუსულ-ქართული უბის ლექსიკონის გამოცემასთან.

1883 წელს გამოსცა სახელმძღვანელო «Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школъ» („პირველი ნაბიჯი რუსული ენის შესწავლაში დაწყებითი ქართული სკოლებისათვის“) [36. 192].

1887 წელს გამოიცა ლადო აღნიაშვილის რუსულ-ქართული („ნამცეცა“) უბის ლექსიკონი («Карманный словарь») [47 გვ.]. ამავე წელს ლ. აღნიაშვილის ინიციატივით საპირკველი ჩაეყარა „ქართველთა წიგნების გამომცემელ

ამხანაგობას“, რომელიც ოფიციალურად გაფორმდა 1894 წლის 31 მაისს.

1885-1888 წლებში ლადო აღნიაშვილი ქმნის ქართული ხალხური სიმღერების ეთნოგრაფიულ გუნდს, შემდგომში ცნობილს სახელწოდებით: „ქართული ხორა“. ლადო აღნიაშვილი მისი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელია.

პირველი კონცერტი გაიმართა 1886 წლის 15 ნოემბერს (გიორგობისთვის) ქართულ თეატრში.

1888 წელს ლ. აღნიაშვილმა განახორციელა ორი წარმოდგენა-ფეერია ქართულ ხალხურ თქმულებებზე დაყრდნობით – „ყარამანიანი“ (3 მოქმედებად, 11 სურათად) და „ტარიელი“ (3 მოქმედებად და 10 სურათად) [71, 72; 330, 331].

1889 – ლადო აღნიაშვილი ქართული თეატრის ზედამხედველია.

1890 წელს „ქართველთა წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ“ გამოსცა ლადო აღნიაშვილის მიერ ხალხში შეგროვილი ხალხური ზღაპრები (წიგნი 1), რომელშიც 15 ზღაპარი შევიდა.

1892 წლის 1 სექტემბერს ლადო აღნიაშვილი გახდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი [314].

1892-1893 წლებში ლადო აღნიაშვილი გამოსცემს ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანის“ 8 წიგნს:

„ან“, „ბან“, „გან“, „დონ“, „ენ“ -- 1892 წ.;

„ვინ“ - პაწაწა მინერალოგია, „ზენ“, – პაწაწა ბოტანიკა, „თან“, – პაწაწა ზოოლოგია – 1893 წ.

1893 წლის 5-10 მაისი – გამოხმაურება „ახალი ანბანის“ კრიტიკაზე – „პასუხად ქაჩალ, უღმობელ კრიტიკოსს, ბ-ნ „პაატას“ და ორი კითხვა „ივერიის“ რედაქციისადმი“ (99 გვ.).

1894 წელს ლადო აღნიაშვილი გაემგზავრა სპარსეთს იმ მიზნით, რომ შეესწავლა სპარსეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე ქართველების მიერ შემონახული ქართული ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და სხვ.



1896 წელს – შურნალ „მოამბეში“ (№2-8) გამოქვეყნდა ლადო აღნიაშვილის „მგზავრის წერილები“ წიგნიდან – „სპარსეთი და იქაური ქართველები“. ამავე წელს გამოიცა ამავე სახელწოდებით ცალკე წიგნადაც [97. 328].

1895-1899 წლებში – ლადო აღნიაშვილი თანამშრომლობდა საყმაწვილო ყოველთვიურ შურნალ „ჯეჯილთან“, რომელშიც გამოაქვეყნა სტატიების ციკლი „საკვირველებანი ბუნებისა“ – მცენარეებზე და ცხოველებზე [113-138].

1896-1897 წლებში სოფელმა საგარეჯომ ლადო აღნიაშვილი აირჩია მამასახლისად. აქ მან განავითარა აქტიური საზოგადოებრივი მუშაობა. გაზეთმა „ივერიამ“ თავის ფურცლებზე 1898 წელს განიხილა საგარეჯოს საზიარო მამულების დაყოფის საკითხი. საქმე ეხებოდა დავას საგარეჯოელებსა და გიორგიშინდელებს შორის, მინდვრების საზღვრების გამო. ამ საკითხის გადაწყვეტაში საგარეჯოელთა სასარგებლოდ მონაწილეობდა ლადო აღნიაშვილი – იმ დროს საგარეჯოს მამასახლისი [232. 233].

1898 წლის 24 მაისს „ივერია“ აქვეყნებს ლადო აღნიაშვილის წერილს რედაქციის მიმართ, სადაც აღნიშნავს, რომ „ივერიის“ წინა, №107-ში დაბეჭდილია საგარეჯოდან ერთი ამბავი, წერილში ნათქვამია: „ამ დღეებში მოხდა დიდი ჩხუბი, მთელი სოფ. საგარეჯო გამოვიდა მინდორში, შეიარაღებული თოფებით და კომბლებით გიორგიშინდელების გასარეკად. ჩხუბში გარეჯელებმა მოკლეს 1 კაცი და რამდენიმე მძიმედ დასჭრეს...“.

ლადო აღნიაშვილი არ ეთანხმება კორესპონდენციას და აღნიშნავს, რომ რამდენიმე დღეში მოახსენებს გაზეთის რედაქციას სინამდვილეს. ამავე წლის 3 ივნისს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი საგარეჯოს საზიარო მამულების დაყოფის შესახებ, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ნინოშინდელების, გიორგიშინდელების და საგარეჯოს გლეხთა დავა მიწის ნაკვეთების შესახებ. აღსანიშნავია, რომ გიორგიშინდელებმა ლადო აღნიაშვილს უწოდეს „საგარეჯოს მამა“ და გიორგიშინდის „მამინაცვალი“.

1897 წელს – ლადო აღნიაშვილის თაოსნობით დაარსდა

„ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობა „შუამავალი“ (კოოპერატივი), იმდროინდელი „ცნობის ფურცელი“ გამოეხმაურა კოოპერატივ „შუამავლის“ დაარსებას.

1900-1901 წლებში ლადო აღნიაშვილი იყო მამა-დავითის სკოლის მასწავლებელი.

დაუღალავმა ხანგრძლივმა შრომამ წელში გაწყვიტა ლადო აღნიაშვილი და სულიერად მოქანცა, იგი სულიერად დასნეულდა, დაემართა ტვინის სიდამბლე. მისმა ძმამ, ილიამ, 1901 წლის 27 თებერვალს იგი მოათავსა მიხეილის საავადმყოფოში, სადაც ლადო აღნიაშვილი გარდაიცვალა 1904 წლის 10 აპრილს. დაიკრძალა 16 აპრილს კუკიის სასაფლაოზე [312].

### **თავი III. ლადო აღნიაშვილის დიდაქტიკური შახედაზიება**

#### **ლადო აღნიაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა**

ლადო აღნიაშვილის მამას, დიმიტრი მღვდელს, სურდა, რომ შვილი, ამ გვარის ტრადიციისამებრ, სასულიერო პირი გამხდარიყო, რადგან ბევრი ეწეოდა ღვთისმსახურებას.

მაგრამ შვილმა სხვა გზა აირჩია: თავის მოწოდებას ლადო აღნიაშვილი ხედავდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ლადო აღნიაშვილი ბუნებით ღვთისნიერი პიროვნება იყო და მიაჩნდა, რომ პედაგოგიც მოძღვარია!

დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ (1868-1872 წ.) ლადომ სწავლა განაგრძო თელავის სასულიერო სასწავლებელში (1872-1877), რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა გორის სამასწავლებლო სემინარიაში და დაამთავრა 1881 წლის 14 ივნისს წარჩინებით, ამას მოწმობს მისი ატესტატი, რომელიც დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში [340].

პედაგოგიური მოღვაწეობა ლადო აღნიაშვილმა დაიწყო 1881 წელს. სწორედ ამ წელს ტფილისში გაიხსნა ქართული სათავადაზნაურო სასწავლებელი. სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნა ცნობილი ქართველი პედაგოგი და მწერალი ნიკო ლომოური, რომელმაც მიიწვია ვლადიმერ აღნიაშვილი ქართული და რუსული ენის პირველ მასწავლებლად. მაშინ ეს სკოლა იმყოფებოდა ჩუღურეთში, თაქთაქიშვილის ქუჩაზე, შემდეგ იგი გადაიტანეს ჩუღურეთიდან სოლოლაკში, პასკევიჩის (ამჟამად გ. ქიქოძის) ქუჩაზე, ბაისოდოლოვის ოჯახში.

ნიკო ლომოურმა თავისი სკოლის ყველა მასწავლებელს შეუქმნა შემოქმედებითი მუშაობის კარგი პირობები. მათ შორის იყო ალექსი მირიანაშვილი, რომელიც ძალზე გულთბილად იგონებს როგორც ნიკო ლომოურს, ასევე ლადო აღნიაშვილს.

აი, რას წერს ა. მირიანაშვილი სათავადაზნაურო სასწავლებელში არსებულ მდგომარეობაზე: „სკოლაში სუფევდა ჯანსაღი და გულთბილი ატმოსფერო, რომელსაც ქმნიდა ყოველთვის მომდიმარე და ტაქტიანი ნიკო ლომოური, „მომხიბლავი დამოკიდებულებით“, რაც იწვევდა მასწავლებლებში ერთნაირ გრძნობას, ერთნაირ ფიქრს, ერთნაირ აღფრთოვანებას და ხალისს შრომისას და მეცადინეობისას არა მარტო სკოლის ზღუდეთა შორის, არამედ მათ გარეშეც“ [83, 12].

აი, კიდევ რას წერს იგი: „მისვლისთანავე ნიკო ლომოური მომეგება სწორედ ნათესაურის და არა უფროსის გამომეტყველებით. აღერსიანი კილოთი, ტკბილის ქართულის ენით ნიკო ლომოურმა ისეთი მძლავრი, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მთლად მომაჯადოვა... [82]. „...ნიკომ შემიყვანა თავის კაბინეტში, მომიდგა სკამი და მთხოვა დაჯდომა“. გაცნობის შემდეგ ნიკო ლომოურს ალექსი მირიანაშვილისთვის ასეთი სიტყვებით მიუმართავს: „ჩვენი სკოლა ნამდვილი ქართული ეროვნული დაწესებულებაა. ჩვენ აქ ვუმზადებთ სამშობლოს ერთგულ, შეგნებულ

შვილებს, მომავალ მოღვაწეებს და გულშემატკივრებს. ამიტომ ყოველი ჩვენგანი მოვალეა ემსახუროს ამ წმინდა ეროვნულ საქმეს (იქვე)“.

სათავადაზნაურო სასწავლებელში ლადო აღნიაშვილმა ორი წელი იმუშავა.

მაღალი ზნეობრივი თვისებების წყალობით ლადო აღნიაშვილმა თავიდანვე მიიპყრო მოსწავლეთა და მასწავლებელთა ყურადღება და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა. იგი გარეგნობითაც მიმზიდველი ყოფილა. თანამედროვეთა აღწერით, ლადო წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, გამომეტყველი სახით, ჭკვიანი თვალებით, ხუჭუჭა თმით, შავი წვერ-უღვაშით. მუდამ თავაზიანი, მორიდებული, თავმდაბალი და, ამასთან, ინიციატივიანი. მეგობრებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ყოველი მათგანი მასთან ახლო ყოფნას ცდილობდა.

ჯერნალში „თეატრი და ცხოვრება“ 1914 წელს გამოქვეყნდა სტატიების მთელი ციკლი, მიძღვნილი ლადო აღნიაშვილის გარდაცვალებიდან 10 წლისთავისადმი. ამ ციკლიდან აღსანიშნავია მისი კოლეგის, გამოჩენილი ქართველი პედაგოგის ალექსი მირიანაშვილის მოგონებები, რომლებიც იწყება 1881 წლის მარტიდან, როცა იგი სათავადაზნაურო სკოლაში მიიწვიეს მასწავლებლად.

ა. მირიანაშვილი იგონებს: „შევნიშნე სრულიად ახალგაზრდა, მეტად მიმზიდველი სახის უცნობი პირი. უცნობი აღმოჩნდა ლადო აღნიაშვილი. პირველს ნახვაშივე აღნიაშვილმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: სასიამოვნო გარეგნობა, მეტად მშვიდი, წყნარი და სოფლის ძველებურ პატარძალივით მორცხვი ხასიათი, კაი ქართულით საუბარი – ყველა ეს თვისებანი ხელს უწყობდა ლადოს, რომ ნაცნობთა შორის მსწრაფლ აღეძრა მასთან დაახლოების და დამეგობრების სურვილი“ [82, 83, 84]. „გაოცებული ვიყავით მისი ფანტაზიით. მის ლაპარაკს მუდამ ოპტიმისტური ელფერი ჰქონდა; საზოგადო საქმე სათაყვანებელ კერპად ჰქონდა გამხდარი, კერძო ინტერესი, საკუთარი ჭირ-ვარამი მისთვის არ არსებობდა. ქართული სკოლა, ქართული ენა,

ქართული ლიტერატურა, ქართული ისტორია, ქართული გალობა-სიმღერა, ხალხური ზეპირსიტყვიერება, ქართული დაწესებულებანი – აი, ის საგნები, რომელთა ფარგლებშიც ტრიალებდა მუდამ მისი ფანტაზია და მსჯელობა.

ყოველ საქმეს, – ვკითხულობთ აქვე, – ფანტასტიკურის გატაცებით ეპყრობოდა; არ იცოდა, რას ჰქვია დაბრკოლება, თუ რასმე განიზრახავდა, კიდევ სისრულეში მოიყვანდა. არც ერთი საქმისთვის არ ზოგავდა თავის ჯიბეს, თუმცა არასდროს საკმარისი ჯამაგირი არ ჰქონია. მან თითქმის პირველმა მიაქცია ყურადღება ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნაწარმოებთა შეგროვებას. ამისათვის დაბეჭდა გაზეთებში მოწოდება სოფლის ინტელიგენციისადმი, რომელსაც სთხოვდა ჩაეწერა და მოეწოდებინა ხალხში გაგონილი ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, ლეგენდები და სხვა, რისთვისაც ჰპირდებოდა მათ ფულით დაჯილდოებას. ამ მოწოდებისა და ხარჯის გაღების ნაყოფია მის მიერ გამოცემული ჩინებული ზღაპრების კრებული. მანვე განიზრახა „ანბანის“ სახელით გამოეცა ქართველ ბავშვთათვის ოჯახსა და სკოლაში სახმარებელი ენციკლოპედია პატარ-პატარა წიგნაკებად რიცხვით იმდონი, რამდენიც ქართულ ანბანში ასოა. შეუდგა და ერთი მესამედი წიგნაკებისა მშვენივრად გამოსცა, მაგრამ, საუბედუროდ, შრომის დამთავრება აღარ დასცალდა [83]. უჭირდა თუ, არ უჭირდა, ჰქონდა თუ, არ ჰქონდა, ლადო მუდამ მხიარული, მუდამ მომღიმარე, მუდამ ოპტიმისტურ გუნებაზე იყო, მუდამ ახალ-ახალ სამოქმედო გეგმებს და პროგრამებს სთხზავდა“ [83].

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის 10 აპრილს შესრულდა 100 წელი ლადო აღნიაშვილის გარდაცვალებიდან. 1901 წლის 27 თებერვალს მისმა ძმამ – ილიამ იგი მოათავსა „ტფილისის“ მიხეილის სახელობის საავადმყოფოში, სადაც იგი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. როდესაც პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია მისი ავადმყოფობის შესახებ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა წერილები, თხოვნები, შემოწირულობები მის სასარგებლოდ.

1901 წლის 19 ივნისს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ [267] გამოქვეყნდა წერილი რედაქციის მიმართ. ეს იყო მისი ყოფილი მოსწავლის მოგონება საყვარელ მასწავლებელზე. ეს წერილი პირველად ქვეყნდება დაბეჭდიდან 108 წლის შემდეგ. მოვიყვანო მის სრულ ტექსტს: „უზომოდ შევწუხდი, როდესაც წავიკითხე თქვენს გაზეთში, რომ ლადო აღნიაშვილი სამი თვეა, რაც ტფილისის მიხეილის სულით ავადმყოფთა განყოფილებაში იმყოფებაო. შევწუხდი მისთვის, რომ ერთი: მოაკლდა წვერი ქართველ მოღვაწეთა გუნდს და მეორე: მიყვარდა იგი, არა მარტო მე, არამედ ყველა მის შეგირდებს, როდესაც გვასწავლიდა იგი ტფილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. არც ერთი მასწავლებელი არ გვიყვარდა ისე, როგორც ლადო. მან კარგად იცოდა, თუ რა რიგად ვიტანჯებოდით და ვდარდობდით სოფლიდან ახლად ჩამოსული ბავშვები.

ლადომ ისე მიგვიზიდა ახალ-ჩამოსულები თავის ტკბილის ენით, ხუმრობით და ხანდახან თამაშობითაც, რომ სოფელი და სახლი დაგვავიწყა. ისე დავდევდით შეგირდები უკან, როგორც კრუხს წიწილები. თუმცა პატარები ვიყავით, მაგრამ ყველა იმას ვცდილობდით, რომ მისი გაკვეთილი კარგად გვესწავლა და არ გაგვეჯავრებინა. ყოველ დღე სწავლის შემდეგ შეგირდები თავის სახლამდის მივაცილებდით ხოლმე. მივმართავ მის შეგირდებს და ჩემ ამხანაგებს: თუ რომ მთლად არ გაქვთ გაცეიბული გული და არა გყავთ დავიწყებული ჩვენი მასწავლებელი ლადო აღნიაშვილი, რომელსაც ამდენი დვაწლი მიუძღვის ჩვენზედ, გთხოვთ ყველას და მოვალენიც ვართ, არ დავზოგოთ ჩვენის ამაგდარის მასწავლებლისათვის ჩვენ ჩვენი წვლილი, ვისაც რა შეგვიძლიან. მით უმეტეს, რომ ბევრს მათგანს თვეში ათი თუმანიც აქვს და ზოგს მეტიც და სჭამს ქვეყანაზედ კეთილ სვინიდიისიერ ლუკმა პურს, და მეცა, ერთი მისი შეგირდთაგანი, რომელსაც წილად მხვდა ბერობა, გარდავსცემ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას სამ მანეთს დიდი ბოდიშის ხდით, ვითარცა მცირე ჯამაგირის პატრონი და ვთხოვ მოახმარონ მას,

როგორც ესაჭიროებოდა და ვთხოვ ჩემის ცოდვილის პირით ყოვლად შემძლებელს უფალს, რათა განიკურნოს იგი. „კაცთა მიერ შეუძლებელი ღვთისა მიერ შესაძლებელ არს“. შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ტარასი.

1883-1893 წლებში ლადო აღნიაშვილი მუშაობდა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში. სამწუხაროდ, ამ სკოლაში მისი მუშაობის შესახებ ჯერ ვერ მოვიპოვეთ ბევრი დოკუმენტური მასალა.

საინტერესოა მისი ერთი გამოსმაურება, რომელიც შეეხებოდა ვინმე აკოფაშვილს, რომელიც ქუთაისის კათოლიკეთა სამრევლო სკოლის საქმეებში სრულიად უსაფუძვლოდ ჩაერია. აღნიაშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში წესდების გადამუშავებაში, რომელიც დამტკიცებული იყო, ჯერ კიდევ 1856 წელს, და აღარ შეეფერებოდა დროთა მოთხოვნებს: „უკვე მეოთხე წელიწადია, რაც თბილისის კათოლიკეთა სამრევლო სასწავლებელი სრულიად ახალ გზას ადგია. აქვს ახალი წესდება და პროგრამა“, – აღნიშნავდა გაზეთი „დროება“ [152, 3-4]. ეს იყო ლადო აღნიაშვილის ინიციატივით შეცვლილი პროგრამა და წესდება.

1900-1901 წელს ლადო აღნიაშვილი მამა-დავითის სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. დაწვრილებითი ინფორმაცია ამის შესახებ ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

ლადო აღნიაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას, მის დიდაქტიკურ შეხედულებებს ეძღვნება ჩვენი ნაშრომის III თავი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლადო აღნიაშვილი კარგად იცნობდა პედაგოგიკის კლასიკოსების მოძღვრებას, მათ პედაგოგიკურ მემკვიდრეობას და სავსებით იზიარებდა მათ პროგრესულ შეხედულებებს. ესენი იყვნენ ი. ა. კომენსკი, ჟ.-ჟ. რუსო, ი. ჰ. პესტალოცი, კ. დ. უშინსკი, ლ. ნ. ტოლსტოი და სხვ. ამ ცოდნას იგი ამჟღავნებდა ოპონენტებთან კამათში და იყენებდა თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში. იგი უაღრესად დიდ პატივს სცემდა ი. გოგებაშვილს, მის ღვაწლს განათლების დარგში.

**ლინგვოლოგიური და ლინგვოლოგიური  
პრობლემები ლალო აღნიაშვილის  
პედაგოგიურ მემკვიდრეობაში**

ლალო აღნიაშვილმა ღირსეული წვლილი შეიტანა რუსული ენის სწავლების ისტორიაში. შექმნა და გამოსცა სახელმძღვანელო დაწვებითი ქართული სკოლებისათვის. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მოკლედ მიმოვიხილოთ ქართველების მიერ შექმნილი რუსული ენის სახელმძღვანელოების ისტორია და მათი წვლილი ამ პრობლემის გადაწყვეტაში.

საქართველო დიდი ხნით ადრე, გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამდე, მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთთან. მანამდე საქართველოს მოწინავე საზოგადოებას ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის ქალაქებთან, ამიტომ რუსული ენის პრაქტიკულ დაუფლებას ქართველი საზოგადოება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

იმ დროს რუსეთის იმპერიის არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლება ორასზე მეტი სახელმძღვანელოთი მიმდინარეობდა. ამ პრობლემას სათანადო ყურადღებას უთმობდნენ რუსეთის იმპერიის შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებები, პედაგოგიური ჟურნალები და პრესა. არც ერთ ეროვნულ სკოლაში არ იყო გამოყენებული რუსული ენის პირველდაწყებითი სახელმძღვანელო, რომელიც ამ საგნის სწავლებას ახორციელებდა ზეპირი, ლექსიკური, წინასაანბანო კურსის გამოყენებით. ეს სიახლე პირველად არამშობლიური ენების სწავლების სისტემაში როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, ქართველი პედაგოგების მიერ იქნა დანერგილი (გ. კალანდარიშვილი, ლ. აღნიაშვილი, ი. გოგებაშვილი).

იყო დრო, როცა, არამცთუ ზეპირი, წინასაანბანო ლექსიკური კურსი, არამედ სასწავლო სახელმძღვანელო უცხოური ენის სწავლებისას საერთოდ არ გამოიყენებოდა და უცხოური ენის სწავლას და სწავლებას იწყებდნენ ჩვეულებრივი წიგნით (ანტიკური საბერძნეთი, ძველი რომი



და ძველი აღმოსავლეთი, რუსეთი). შუა საუკუნეების ევროპისა და აზიის ქვეყნებში უკვე აღგენდნენ სპეციალურ სახელმძღვანელოებს. მათ შორის, ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელო იყო იან ამოს კომენსკის „ხილული სამყარო სურათებში“.

რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების შედგენა-გამოცემის საქმეს დიდი ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში. ამ საკითხის ისტორია გადმოცემულია პროფ. ს. კ. ბულიჩის წიგნში „Очерки истории языкознания в России“, [19], რომელშიც აღნიშნულია, რომ, ჯერ კიდევ 1732 წელს იქნა შედგენილი და გამოცემული რუსული ენის სახელმძღვანელო ქართველი ახალგაზრდებისათვის. მას თვითონ უნახავს ეს წიგნი პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში. ამავე ბიბლიოთეკაში ინახება რუსული ენის მეორე სახელმძღვანელო ქართველთათვის, რომლის შესახებაც პროფესორი ს. კ. ბულიჩი უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს. ეს სახელმძღვანელო ამჟამად სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაკარგულადაა ცნობილი, მაგრამ ამ წიგნის ფოტოპირები შემონახულია საქართველოს წიგნის პალატაში. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. პროფ. კ. მაჭარაშვილის შრომა „Основные принципы составления первоначального учебника русского языка для грузинской школы“ [27].

ეს სახელმძღვანელო, რომელიც 1737 წელს გამოიცა პეტერბურგში, ეკუთვნის დიდი ქართველი პოეტის – დავით გურამიშვილის უფროს ძმას – ქრისტეფორე (ქაიხოსრო) გურამიშვილს, რომელიც უაღრესად განათლებული სასულიერო პირი იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი სახელმძღვანელოს მასალები ოთხ ენაზეა წარმოდგენილი (ლათინურ, გერმანულ, რუსულ და ქართულ ენებზე). ქრისტეფორე (ქაიხოსრო) გურამიშვილმა სხვებთან (ოსებთან) ერთად მონაწილეობა მიიღო ოსური ანბანის შედგენაში, რისთვისაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ის პეტერბურგიდან ოსეთში (რუსეთის მთავრობის თხოვნით)

სპეციალურად მიაგლინა. მას, როგორც გამოჩენილ მწიგნობარს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ სთხოვა დაეხმებოდა აკადემიისათვის რამდენიმე მეტად საჭირო წიგნი. ეს დავალებაც მან პირნათლად შეასრულა. რუსეთის მთავრობის თხოვნით ქრისტეფორე გურამიშვილმა დიდი როლი შეასრულა ოსეთის გაქრისტიანებაში. მან ამ საქმესაც წარმატებით გაართვა თავი. ამასთანავე, იგი ითვლებოდა წიგნის ბეჭდვის დიდ სპეციალისტად. ქრისტეფორე გურამიშვილმა პეტერბურგში დაბეჭდა ათამდე მეტად საჭირო წიგნი და საქართველოშიც გამოეზავნა. ყოველივე ამასთან ერთად, ქრისტეფორე გურამიშვილი სასულიერო-საეკლესიო საქმის კარგი მცოდნე იყო და პეტერბურგში წასვლამდე საქართველოში ერთ-ერთ სასულიერო სასწავლებელში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, საიდანაც მივლინებული იყო სანქტ-პეტერბურგში ქართული შრიფტის ჩამოსახმელად ბატონიშვილ ბაქარისა და იოსებ სამებლის მიერ.

ამ დავალებათა შესრულებასთან ერთად, თავისი ინიციატივით, მიუმაობდა „რუსულ-ქართული ანბანის“ შედგენაზე: „При академии наук России по почину игумена Христофора, предлагавшего даже свои услуги в качестве наборщика, печаталась грузинская азбука на российском и грузинском диалектах“. ამავე დროს, ბულიჩის აზრით, რუსულ-ქართული ანბანი რუსებისათვის ქართული ენის შესასწავლი პირველი სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო.

ამ წიგნში პირველი ადგილი უკავია რუსულ ანბანს, რომელიც უაღრესად კაპიტალურადაა დამუშავებული. საყურადღებოა, რომ აქ ქართული ანბანის სახელწოდებანი წარმოდგენილია რუსულად. შენიშვნები გაკეთებულია ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურებების ასახსნელად. მთელი რიგი განმარტებები და ტექსტების სათაურები სახელმძღვანელოში ლათინურ და გერმანულ ენებზეა მოცემული.

სახელმძღვანელოს არა აქვს თავფურცელი. მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ ქრისტეფორე გურამიშვილის

„რუსულ-ქართული ანბანი“ ქართველთათვის რუსული ენის შესასწავლი სახელმძღვანელოა. ამავე აზრისაა ამ საკითხზე პროფ. კ. მაჭარაშვილი, რადგან, მისი აზრით, სახელმძღვანელოში პირველი ადგილი უკავია რუსულ ანბანს და მის დამუშავებას. სახელმძღვანელოში სულ 32 გვერდია. პირველიდან მეექვსე გვერდის ჩათვლით გაშლილია მუშაობა რუსული ანბანის შესასწავლად. შემდეგ (მომდევნო) გვერდებში მოცემულია საკითხავი ტექსტები.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქრ. გურამიშვილის ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო რუსებსაც სათანადოდ გამოადგებოდათ ქართული ანბანის შესასწავლად. ჩვენ ვეთანხმებით პროფ. კ. მაჭარაშვილს იმაში, რომ ეს აზრი არ უნდა იყოს მართებული, რადგან მაშინდელი პეტერბურგისა და მოსკოვის რუსულ ინტელიგენციაში და, საერთოდ, მოსახლეობაში, ამის საჭიროება არ იქნებოდა. ამიტომ ეს სახელმძღვანელო მხოლოდ ქართველთათვის რუსული ენის შესასწავლადაა განკუთვნილი და მას სხვა, მეორადი დანიშნულება არ უნდა ჰქონოდა, მით უფრო, რომ ამ მხრივ არასდროს წარმართულა მუშაობა არც მოსკოვსა და არც პეტერბურგში.

ქრ. გურამიშვილის ამ სახელმძღვანელოს არა აქვს რაიმე განმარტებითი ბარათი ან წინასიტყვაობა. მიუხედავად ამისა, მასალის შინაარსი და განლაგება ერთგვარ შესაძლებლობას იძლევა მისი მეთოდოლოგიური შეფასებისათვის. ეს წიგნი იმ სახელმძღვანელოების ანალოგიურია, რომლებიც მაშინდელი რუსეთის სახელმწიფოში იწერებოდა და გამოიყენებოდა არარუსთათვის.

აღნიშნული სახელმძღვანელო შედგენილია იმ დროისათვის არსებული მეთოდოლოგიური პრინციპების ყოველმხრივ სრულყოფილი გამოყენებით. სპეციალისტის თვალს არ გამოეპარება ის მეტად მნიშვნელოვანი სიახლე, რაც ამ წიგნში გვხვდება სხვა ანალოგიური სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, რომლებიც მაშინ არარუსთათვის იყო გამოყენებული. საქმე ეხება ქრ. გურამიშვილის რუსულ-ქართული ანბანის

საანბანო ნაწილის წინ მოთავსებულ სავარჯიშოებს, აქ ანბანის შესასწავლად სპეციალური სავარჯიშოებია მოცემული. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქრისტეფორე გურამიშვილმა კარგად იცოდა, რომ არამშობლიური ენის სწავლების დაწყებით ეტაპზე, საჭიროა მოსწავლეებს, რუსული ტექსტების წაკითხვამდე, რამდენადმე გაუადვილდეთ რუსული ასო-ბგერების შეთვისება. ამიტომ სახელმძღვანელოს შემდგენელმა ჯერ ყველა ასო-ბგერა მიაწოდა შემსწავლელს, ამის შემდეგ მისცა მარცვლები (слоги) სხვადასხვა ვარიანტში: ხმოვნები – თანხმოვნებთან, ერთ თანხმოვნები, მჟღერ თანხმოვნებთან. ეს კარგადაა მოცემული წიგნის საანბანო ნაწილში.

წიგნის პირველი გვერდი გაფორმებულია მოსკოვის ქართულ სტამბაში 1737-1794 წლებში დაბეჭდილი წიგნებისათვის დამახასიათებელი თავკაზმულობით, წარწერით: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ“, რუსულ და ქართულ ენებზე. ამას მოსდევს: 1. რუსული ანბანი (სამი სტრიქონი), 2. ქართული ანბანი (სამი სტრიქონი), 3. პარალელურად განლაგებული რუსული და ქართული ანბანი თითო სტრიქონზე: а а Азъ АНЪ ან აზაპ, შემდეგ б – რუსული სამი ასო ერთმანეთის გვერდით, რუსული სახელი ამ ასოსი; იქვე გვერდით ქართული სახელი რუსული ტრანსკრიპციით; იმავე სტრიქონზე ქართული ტრანსკრიპციით განმეორებულია იგივე, იმ განსხვავებით, რომ რუსულად სამი ასოა (ერთი და იგივე) დაწერილი, ქართულად კი – ორი. ანბანური თანმიმდევრობა დაცულია რუსული: ა, ბ, გ, დ და ა. შ.

შემდეგ გვერდებზე პირველი ადგილი უჭირავს ქართულ ანბანს და სავარჯიშოებს. პარალელურად ქართული ანბანისა, მოცემულია ლათინური ტრანსკრიპცია გერმანული შენიშვნებით, ზოგიერთი ქართული ასო-ბგერის გამოთქმის განმარტებით. წიგნის ამ ნაწილში ქართული ანბანი დაბეჭდილია ქართული „მამაო ჩვენო“-ს გერმანული სათაურით: „Das Crusishe Pater unter“. ქართული შრიფტით დაბეჭდილ ყოველ სტრიქონს მოსდევს იგივე ტექსტი

ლათინური ტრანსკრიპციით და ა. შ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სახელმძღვანელოს შემდგენელი იმ დროისათვის სათანადოდ გამოცდილი და დაკვირვებული მასწავლებელია, რომელმაც კარგად იცის და წარმოდგენილი აქვს მოსწავლის რთული მდგომარეობა უცხოური ენის ანბანის შესწავლა-დაუფლებისას.

ქრ. გურამიშვილის სახელმძღვანელოში ანბანი სულ 32 გვერდზეა განლაგებული და სასწავლო ტექსტები ძირითადად რუსულ ენაზეა წარმოდგენილი, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მასში რამდენიმე ასეული სიტყვაა მოცემული შესასწავლად. ეს სიტყვები, ფრაზები და ტექსტები ნაკლებადაა პედაგოგიზირებული.

ამ სახელმძღვანელოში პირველივე გვერდიდან იწყება მუშაობა ანბანზე და მას არ გააჩნია წინასაანბანო მოსამზადებელი ნაწილი. ეს, როგორც აღინიშნა, უფრო ცივილიზებული ევროპის მოწინავე პედაგოგებმაც ვერ შესძლეს. მიუხედავად ამისა, თვით ფაქტი ამ წიგნის არსებობისა, უთუოდ, დიდი წარმატების მომასწავებელია ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიისათვის.

წინასაანბანო, ზეპირი ლექსიკური გაკვეთილები თანამედროვე დედა ენის სახელმძღვანელოებშიც სათანადოდაა დამუშავებული და წარმოდგენილი (იხ. ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი და უკანასკნელ წლებში გადამუშავებული ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის სახელმძღვანელო „დედა ენა“).

ამგვარად, რუსული ენის პირველდაწყებითი სახელმძღვანელო შედგენილ იქნა ქრისტეფორე გურამიშვილის მიერ და გამოიცა 1737 წელს პეტერბურგში. იმ დროიდან დაწყებული ქართული რუსისტიკა ინტენსიურად მუშაობდა ქართველთა მიერ რუსული ენის ორგანიზებული, მეცნიერულად დასაბუთებული სწავლების უზრუნველსაყოფად.

ქრ. გურამიშვილის სახელმძღვანელოდან იწყება რუსული ლინგვოლოგიის დასაბამი საქართველოში.

1819 წელს პეტერბურგში გამოიცა გოლდერძი

ფირალიშვილის რუსული ენის თვითმასწავლებელი. სწორედ გ. ფირალიშვილმა თავის თვითმასწავლებელში გამოიყენა სასაუბრო ვოკაბულები რუსულ და ქართულ ენებზე. გ. ფირალიშვილის თვითმასწავლებელში საინტერესოდ და მოხერხებულადაა გამოყენებული შესასწავლი ტექსტის თანმიმდევრობა რუსულ და ქართულ ენებზე. საჭირო შემთხვევაში მოსწავლეს ეძლევა სათანადო მითითება. ეჭვგარეშეა, რომ გ. ფირალიშვილმა კარგად იცოდა კ. მაგერის მეთოდური დებულებები სახელმძღვანელოების შედგენის საქმეში.

ქართველი ინტელიგენცია გარკვეულ პირობებში არ წყვეტდა ძიებას რუსული ენის დაუფლებისათვის და ცდილობდა გამოიყენებინა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა ღირსეული სახელმძღვანელო მიეცა ქართველ მოზარდ თაობისათვის იმხანად სახელმწიფო ენის შესწავლისა და სათანადოდ დაუფლებისათვის. სწორედ ამ ძიებამ განაპირობა ნიჭიერი პედაგოგის, გერასიმე კალანდარიშვილის მიერ, დაწყებითი სკოლის რუსული ენის სახელმძღვანელოს შედგენა და გამოცემა.

1866 წელს ქუთაისში ქვეყნდება გერასიმე კალანდარიშვილის რუსული ენის სახელმძღვანელო „Начальный курс русского языка для грузин по практическому методу“, (Кутаиси, 1866 г.), რომელიც 15 წელი სათავეში ედგა ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების საქმეს. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მაშინდელი საქართველოს სკოლებში, რადგან მანამდე ქართულ სკოლებში მასობრივად იყო გამოყენებული რუსული სკოლებისათვის შედგენილი სახელმძღვანელოები (უშინსკის, ვოლპერის, ლევიტსკის, ბუნაკოვის და სხვ.), რომელთა ჩამოთვლა არ მიგვაჩნია საჭიროდ. ეს სახელმძღვანელოები ქართული სკოლებისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო, რადგან იქ სრულიად უგულებელყოფილი იყო მშობლიურ ენასთან შეპირისპირებითი სწავლების მეთოდი. ამას გარდა, დასახელებულ სახელმძღვანელოებს სხვა უამრავი ნაკლიც ჰქონდა.

ყოველივე ამის გამო გერასიმე კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს გამოცემა უდიდესი მნიშვნელობისა იყო ქართული ეროვნული სკოლებისათვის. ამის შესახებ მაშინდელი პრესის ფურცლებზე უამრავი მასალაა გამოქვეყნებული.

როგორც ცნობილია, გერასიმე კალანდარიშვილმა მხოლოდ 38 წელი იცოცხლა. მისი გარდაცვალების შემდეგ, მისმა მამამ, ღარიბმა მღვდელმა, მიმართა დიდ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს თხოვნით, გამოეცა მისი შვილის, გერასიმე კალანდარიშვილის, სახელმძღვანელო. იაკობ გოგებაშვილმა ეს თხოვნა შეასრულა და, ამასთანავე, ამ წიგნის მექვეყნე გამოცემას თავისი შენიშვნებიც დაურთო.

იაკობ გოგებაშვილმა სათანადოდ გადაამუშავა გერასიმე კალანდარიშვილის სახელმძღვანელო, დაურთო წინასიტყვაობა და ამით დიდი სამსახური გაუწია ქართულ სკოლას, გზა გადაუღობა ქართული სკოლისაკენ შავრაზმელი რუსიფიკატორების ჩერნიაევისა და ლევიტსკის ყოველად უვარგის სახელმძღვანელოებს.

სახელმძღვანელოს შედგენისას გერასიმე კალანდარიშვილი ხელმძღვანელობდა შესაბამისი მეცნიერული დიდაქტიკური პრინციპებით. ეს პრინციპებია: 1. ზეპირი, ლექსიკური კურსის პრინციპი, 2. თარგმნითი პრინციპი, 3. რუსული და ქართული ენების შეპირისპირების პრინციპი, 4. მშობლიური ენის ანგარიშგაწვეის პრინციპი.

ოთხივე ეს პრინციპი იმ დროისათვის დამაკმაყოფილებელადაა განხორციელებული აღნიშნულ სახელმძღვანელოში.

შემდგომში ამ პრინციპებმა დიდი ცვლილებები განიცადა მათი სრულყოფისა და მეცნიერული დასაბუთების მიზნით, ჯერ ლადო აღნიაშვილის, შემდეგ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში.

გერასიმე კალანდარიშვილი იყო იმ დროისათვის უაღრესად ფართო და ღრმა განათლების მქონე პედაგოგი. მან ძალიან კარგად იცოდა ქართველებისათვის არამშობლიურ

(რუსულ) ენაში პირველდაწყებითი სახელმძღვანელოების შედგენის ისტორია. მისი სახელმძღვანელო თავისი მეთოდური აპარატით ახლოს დგას გოდერძი ფირალიშვილის მიერ პეტერბურგში 1819 წელს გამოცემული რუსული ენის თვითმასწავლებელთან.

გერასიმე კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ ის კარგად იცნობდა რუსეთის სკოლებში ფართოდ გავრცელებულ მარგოს, ფიდლერისა და მაგერის სახელმძღვანელოებს.

აი, სად იძებნება რუსული ენის, როგორც არამშობლიური ენის სახელმძღვანელოებში ზეპირი ლექსიკური, წინასაანბანო კურსის თეორიისა და პრაქტიკის ჩანასახი, პირველდაწყებითი სახელმძღვანელოს შედგენის ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპისა, რაც ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი მეცნიერული დებულების აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი აზრით, მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიაში გერასიმე კალანდარიშვილმა თავის სახელმძღვანელოში პირველად განახორციელა ზეპირი ლექსიკური, წინასაანბანო კურსი (რა თქმა უნდა, ელემენტარულად), ხოლო შემდეგ ეს პრობლემა სრულყოფილად, ყოველმხრივ იქნა დამუშავებული უაღრესად ნიჭიერი პედაგოგის, მკვლევარისა და განმანათლებლის ლადო აღნიაშვილის შესანიშნავ სახელმძღვანელოში „Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школь“ (Тფ., 1883). დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა კი ამ კურსს მისცა უფრო სრულყოფილი, პრაქტიკული და მეცნიერულად დასაბუთებული სახე თავის განთქმულ და საზოგადოდ აღიარებულ „Русское слово“-ში (Тფ., 1887).

აღნიშნული პრობლემა აქამდე არ იყო სათანადოდ შესწავლილი და დამუშავებული. ჩვენ შევისწავლეთ ეს პრობლემა და წარმოვადგინეთ წინამდებარე გამოკვლევაში. ესაა ნაშრომის ერთ-ერთი სიახლე და მეცნიერული შედეგი.



ამჯერად, ჩვენი გამოკვლევის ობიექტია ლადო აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა ქართულ დაწვებით სკოლებში რუსული ენის სწავლების საქმეში, კერძოდ, მისი სახელმძღვანელო „Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школь“ (Тფ., 1883).

როგორც უკვე აღინიშნა, 1883 წელს ლადო აღნიაშვილმა 23 წლის ასაკში გამოსცა თავისი პირველი წიგნი – რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული დაწვებითი სკოლებისათვის. გამოცემას გამოეხმაურა იმდროინდელი პრესა. გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენ მოგვივიდა ბატონ აღნიაშვილისაგან გამოცემული პატარა წიგნი ამ სათაურით „Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школь“ (Тფ., 1883)“. ეს არის სახელმძღვანელო ქართველის ბავშვებისათვის [151]. ამ ინფორმაციას მოჰყვა დაინტერესებულ მკითხველთა გამოხმაურება. შეფასებები არაერთგვაროვანი იყო. პედაგოგთა ნაწილი მაღალ შეფასებას აძლევდა ამ წიგნს. იყვნენ ისეთიც, ვინც იწუნებდა და აკრიტიკებდა მას, მიუთითებდა ავტორს ნაკლოვანებებზე. ერთ-ერთ ნაკლად მიაჩნდათ ის, რომ სახელმძღვანელოს არ ჰქონდა მიღებული მსწავლელი კომიტეტისაგან ოფიციალური ნებართვა.

„მაღაროელი გლეხის“ ფსევდონიმით „ივერიამ“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „ძნელი საქმე“, რომელიც შეეხებოდა ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოს აკარგიანობას და გამოთქმული იყო საყურადღებო მოსაზრებები [87]. ავტორი პირველივე სტრიქონებიდან აღნიშნავს: „სახალხო მასწავლებლობა პირველდაწვებით სკოლაში ძნელი საქმეა. აქ არ კმარა მარტო ცოდნა..., აუცილებლად საჭიროა ნიჭი, ბუნებრივი ლტოლვილება, ხასიათის მიდრეკილება უთუოდ ამ საქმისადმი. აქ არ კმარა ერთი რომელიმე საგნის ცოდნა. სახალხო მასწავლებელმა ყველა საგნები უნდა იცოდეს... და ამასთან, იცოდეს პსიხოლოგია, როგორც მამაო ჩვენო. ჯერ ისეთი გამოურკვეველი საგანია ჩვენს დროში პსიხოლოგია, რომ მისი ზედ-მიწევნით ცოდნა არა თუ არც ერთ სახალ-

ხო მასწავლებელს, არამედ თვით სწავლის მამებს, პროფესორებსაც არა აქვთ. მაშ, რითი აიხსნება, თუ არ ბავშვის ბუნების შეუფერებლობით, თუ არ სრული უმეცრებით პსიქოლოგიაში, როზგები და სილა-წიკეპლები, რომელსაც ძლივს დაეხწია ჩვენი ცხოვრება, მაგრამ, საუბედუროდ, დიდის ხნით არა... სჩანს, რომ მასწავლებელი უნდა ზედმიწევნით იცნობდეს თავის მრავალ მოწაფეთ, იცოდეს ტემპერამენტი, იცოდეს ყოველი მათგანის ზნეობითი და გონებითი ძალა. რაც ერთისთვის ადვილია, ის მეორესთვის ძნელია...

გადაფურცლეთ მთელი ისტორია პედაგოგიისა, განანგრძობს „მადაროელი გლეხი“, თუ ერთი კაცის მეტს შეჰხედეთ, რომელიც ღირსი იყოს ამ წოდებისა. თეორიული მომსახურებელი ბევრი იყვნენ, მაგრამ კაცი, რომელმაც თეორიას ფრთები შეასხა, რომელმაც განახორციელა იგი, იყო ერთი პესტალოცი. იგი სახით იმღებოდა ბავშვების სიყვარულით, ის მთელი დღეობით პურს არ ჭამდა, რომ რამე მისი ნათქვამი ბავშვს ვერ შეეგნო და მაინც აღმოაჩენდა წამალს. მაგრამ მაინც ესევე კაცი ისევ ჰგრძნობდა, რომ მას კიდევ აკლია ბევრი თუ არა, ცოტა მაინც, რომ დაიმსახუროს მაღალი სახელი სახალხო მასწავლებლისა...

ძნელია, თუ არა, ყველა, მოწოდებული და არა მოწოდებული, ადვილად ჰკიდებს მას (მასწავლებლობას) ხელს.

ძნელია პირველ-საკითხავის წიგნის შედგენა სახალხო და ყოველ პირველ-დაწყებითი სკოლებისათვის. რა ძნელია პირველის წიგნის შედგენა სამშობლო ენაზედ, თორემ უცხოზედ კი არა! თქვენი წიგნი ენასაც უნდა ავარჯიშებდეს, გონებასაც, ადვილი და გასაგები საკითხავიც უნდა იყოს, მოსაწყენი შიგ ერთი იოტის ოდენიც არ უნდა ერიოს რა...

უშინსკი ამბობს ერთ ალაგას თავის თხზულებაში: „ყველაზე ძნელი მთელ დიდაქტიკაში პირველი საკითხავი წიგნის შედგენაა“-ო. უშინსკიმ მისცა პატარა ბავშვს სასიამოვნო, სასარგებლო და ღამაში წიგნი, ეგრეთ წოდებული „Родное слово“.

უშინსკის წიგნის დაბადებამ ახალი ხანა შექმნა რუსულ

სკოლაში... მისი პაწია წიგნი არის შედეგი მთელი ათი წლის დაკვირვებისა, მთელი ევროპის სახელმძღვანელოების კრიტიკულად გადაჩხრეკისა და გარჩევისა და ბოლოს პრაქტიკისა და საკუთარი ბეჯითობისა. მისი შრომა არ არის გადასხვაფერება წინანდელ შრომათა. იგი დაიბადა ახალ აზრზე, ახალ მეთოდზე, ახალ სისტემაზე აშენებული... უშინსკის შემდეგ დაბადებული სახელმძღვანელოების ავტორები პაულსონი, ვოდოვოხოვი, ბარონ კორფი გამოდრიდნენ ასპარეზზე, ადგენდნენ პირველ საკითხავ წიგნებს, მაგრამ ისინი იმეორებდნენ უშინსკისავე აზრებს, მხოლოდ დამახინჯებულად, ამიტომ არც ერთ მათ შრომას წარმატების დღე არ ეღირსათ. ყოველ ახალ შრომას, თუ თავისებურება არ ეტყობა, თუ რამე ახალს არ ამბობს, რასაკვირველია, იმისი დღენი დათვლილი უნდა იყოს.

ჩვენ ქართულ სკოლაზეც რომ გადმოვიდეთ, იგივე ითქმის. ბ. გოგებაშვილმა გვაჩუქა ჩვენ „დედაენა“ და „ბუნების კარი“. არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენს, საიდან წარმოსდგნენ ეს სახელმძღვანელოები და ვისი ბეჭედი ახით მათ. რუსებს რომ „Родное слово“ და „Детский мир“-ი არ ჰქონოდათ, ჩვენ კიდევ ჩვენი სახელმძღვანელოები არ გვექნებოდა. თუ „დედა-ენას“ და „ბუნების კარს“ წარმატება მიეცათ, ეს პირ-და-პირ მიეწერება ჯერ უშინსკის ნიჭს და ძალას და მერე, რასაკვირველია, მადლობა გადმომკეთებელსაც ეთქმის.

დიდ ხანს გასტანს კიდევ უშინსკის მეფობა რუსის სკოლაში, იქამდის, ვიდრე არ დაიბადება ის პედაგოგი, რომელიც პირველად უარს ჰყოფს მის მეთოდს, მის სისტემას; შემდეგ დაადგენს უფრო გონივრულს შეხედულებას და ამ უკანასკნელის შეფერებით შეადგენს სახელმძღვანელოს. იმდენ ხანსვე ქართულ სკოლაში იმეფებს ბ. გოგებაშვილი.

დიახ, ძნელია და დიდი საქმეა პირველ საკითხავის წიგნის შედგენა...

წიგნის შეთხზვა უცხო ენის შესასწავლად დიდ გამჭრიახობას მოითხოვს. წიგნი უნდა შეიცავდეს რასმე

ახალს, თვისას, შემდგენლის ან ახალი პედაგოგიის რამე განსაკუთრებული ნიშანი უნდა ეტყობოდეს.

მთელმა ევროპამ აქამდის ძლივს გამოარკვია მხოლოდ ორი მეთოდი უცხო ენის შესწავლისთვის: გრამატიკული და პრაქტიკული. გრამატიკულს მეთოდს ცოტად თუ ბევრად თითქმის ყველანი იცნობენ. ამ მეთოდზედ არის შედგენილი, მაგალითები, ფრანგულის ენის სახელმძღვანელო – მარგოსი და იმის მიზაძვით შედგენილი ჩვენი რუსული ენის სასწავლო წიგნი ბ. კალანდარიშვილისა. ამ მეთოდის აზრი ის არის, რომ ენის შესწავლა იწყობა გრამატიკით. მეორე ან მესამე გვერდზევე ამათთანა წიგნებში იწყობა გრამატიკა და გასდევს ბოლომდის. აქ უნდათ, რომ გრამატიკის სწავლით შეასწავლონ ენა.

პრაქტიკული მეთოდი უარ-ჰყოფს პირველს მეთოდს. ეს ამბობს, რომ გრამატიკა შეადგენს ენის გვირგვინს, ენის შესწავლის ბოლოს და არა თავსაო. ამიტომ ამ მეთოდით იწყობა ჯერ წინადადებების, სტატიების შესწავლა, ენის შესწავლა, და შემდეგ ამ ცოდნის შესწავლის, თუ დროა, გრამატიკისაც... რომელი მეთოდია ამ ორში უფრო გონივრული? პირველმა მთელი დიდის-ხნის თავის არსებობით არავითარი სარგებლობა არ მოიტანა და მეორემ კი თავისი ძალა იჩინა დაარსებაშივე... როგორ სწავლობდნენ მარგოს წიგნზე? მთელი რვა წელიწადი კაცს უნდა ეთუთიყუნა...

ბევრს აქებს ბ. გოგებაშვილი კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს, მაგრამ მისი ქება და დიდება ვერაფერი დამარწმუნებელი საბუთია. თუ მარგო მიზანზე შორსა სცემს, კალანდარიშვილის წიგნი ათასჯერ უფრო შორს გასცდება მიზანს, რადგან ამ უკანასკნელს წიგნი აგებული აქვს იმავე სისტემაზედ. ის, რასაც პირველი რვა წელს ვერ ასრულებს, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია შეასრულოს მეორემ ორს, სამს ან ოთხ წელს.

ასპარეზი... თხოულობს დიდ ღვაწლს, დიდ მამხადებას, როგორც თეორიულს, ისე პრაქტიკულს და ნიჭსაც.

ჩვენ ვაკვირდებით აღნიაშვილის შრომას და გვინდა, ძალიან გულითა გვსურს, რომ იგი წარმოადგენდეს რასმე კარგს“ [87..., 72].

შემდეგ „მადაროელი გლეხი“ ყურადღებას ამახვილებს ლადო აღნიაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს ნაკლოვანებებზე. ის აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს სჭირდება „კარგი საბუთიანი და დალაგებული წინასიტყვაობა (ავტორმა უნდა ახსნას მიზეზი წიგნის დაბადებისა, რას შეიცავს და როგორ და სად უნდა იხმაროს იგი – სოფლის სკოლაში, სახელობაში და ა. შ.). წერილის ავტორი ვერ ხედავს ამას. უწუნებს წიგნის სტრუქტურას („ორ ფურცელს გადაშლით და ახალი თავი ანუ ნაწილი იწყობა“ [87, 74].

ეხება რა სახელმძღვანელოს ლექსიკურ გაკვეთილებს წინასაანბნაო პერიოდში, რომელთა მეშვეობითაც ყმაწვილი სწავლობს 120 სიტყვას, სტატიის ავტორი ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ მისთვის გაუგებარია, რომელ წელს უნდა დაიწყოს ეს გაკვეთილები: პირველსავე ფეხის შედგმიდან სკოლაში, თუ მეორე წელს („უნდა ვივარაუდოთ, რომ ბავშვი სწავლობს ჯერ ქართულს წერა-კითხვას და შემდეგ იწყობს რუსულს „პირველ ნაბიჯით“).

„მადაროელი გლეხი“ იხსენებს ქუთაისში ჩატარებულ სოფლის მასწავლებელთა კრებას, სადაც სხვადასხვა აზრი გამოითქვა, თუ როდის უნდა იწყებოდეს სასოფლო სკოლებში რუსული ენის სწავლება: პირველ წლიდანვე, მეორე, თუ მესამედან. გორის პედაგოგების აზრით, რუსული ენის შესწავლა სასარგებლოა კვირაში რამდენიმე გაკვეთილით პირველ წელსვე ლექსიკური მეთოდით (აღნიაშვილმა კიდევ გამოთვალა, მისი აზრით, შეიძლება 120 სიტყვა შეისწავლოს). ამ მეთოდის მომხრე, წერილის ავტორის აზრით, იყო ბ. სიმონოვი.

„მადაროელი გლეხი“ არ იზიარებს ლექსიკური გაკვეთილების შემოღების აუცილებლობას, უარყოფს მათ, მით უმეტეს, სულ 120 სიტყვისაგან შემდგარს.

სახელმძღვანელოს კრიტიკის შემდეგ ავტორი გადადის წიგნში მოცემულ თვალსაჩინო სურათებზე და აღნიშნავს,

რომ საჭიროა სურათის ქვეშ წარწერების გაკეთება, აქვე საჭიროა ფონეტიკური სავარჯიშოები.

„მადაროელი გლეხი“ მიიჩნევს, რომ „ამ შრომას საზოგადოდ აჩქარება ეტყობა“. ეს მკაცრი შეფასება, შესაძლებელია, ობიექტურიც იყოს, მაგრამ გავითვალისწინოთ ლადო აღნიაშვილის გამოუცდელიობა, ასაკი – 23 წელი, როცა ეს სახელმძღვანელო დაწერა და, ამასთან, გულწრფელი სურვილი: თავისი წვლილი შეეტანა პატარა მოსწავლეებისათვის რუსული ენის შესწავლაში.

იყო სხვაგამოხმაურებებიც. 1885 წ. 13 იანვრის „დროებაში“ (№10, გვ. 1-2) გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, სათაურით „საკვირაო ფელეტონი“, რომელშიც ავტორი იწუნებდა ლადო აღნიაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს და აღნიშნავდა, რომ ავტორმა დაიმსახურა ქართული ენის მასწავლებლის ადგილი ერთ-ერთ სასწავლებელთაგანში იმიტომ, რომ პროგრამის შეცვლა მოიწადინა, მის მიერ ხსენებული პროგრამა შემოკლებულ და მოწონებულ იქნა, რაც სიმართლეს შეესაბამებოდა. ამ წერილს ვლადიმერ აღნიაშვილის გამოხმაურება მოჰყვა [153, 3], სადაც იგი აღნიშნავდა, რომ კრიტიკა გამოწვეულია „შურითა და პირადი მიუღვარებით... წიგნი თუ ვარგა, ადრე თუ გვიან, დღეს თუ ხვალ, თავის თავად გაიკვლევს გზასა კრიტიკის მიუხედავად“, – ასკვნის ვლადიმერ აღნიაშვილი.

ლადო აღნიაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელომ მკვიდრად ვერ მოიკიდა ფეხი. ამას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. კრიტიკის ქარ-ცეცხლის მიუხედავად, იგი შეიძლებოდა დროს გამოეცვალა, მაგრამ უსახსრობის გამო აღნიაშვილმა ვერ გამოსცა სახელმძღვანელო საკმარისი რაოდენობით გასაგრცვლებლად. ამიტომ მეორედ აღარ გამოცემულა. ოთხი წლის შემდეგ კი ი. გოგებაშვილმა მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და ქართველ მოსწავლეებს დაუმკვიდრდა საყოველთაოდ ცნობილი სახელმძღვანელო „Русское слово“, რომელიც ტფილისში 1887 წელს გამოიცა.

ი. გოგებაშვილი იმ დროს უკვე დიდად სახელმოხვეჭილი ავტორი იყო და, რა თქმა უნდა, ავტორობის გზაზე ახლად გამოსული აღნიაშვილი მას მეტოქეობას ვერ გაუწევდა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლადო აღნიაშვილის სახელმძღვანელო ერთადერთი საუკეთესო სახელმძღვანელო იყო იმ დროისათვის რუსულ ენაში არარუსთათვის თავისი მეთოდით, ლექსიკით, გრამატიკით, მეტყველების განვითარების მისებური სავარჯიშოებით, თვალსაჩინოებით, საკითხავად შერჩეული ტექსტებით და, ყოველივე ამასთან ერთად, უადრესად მნიშვნელოვანი იყო იმ უნიკალური აღმოჩენისა – ესაა წინასაანბანო, ზეპირი ლექსიკური კურსის ზედმიწევნით მაღალ მეცნიერულ დონეზე სრულყოფილად დამუშავება, რომელიც გერასიმე კალანდარიშვილის უკვდავ სახელთანაა დაკავშირებული.

გ. კალანდარიშვილმა შემოიღო პრაქტიკაში და მოგვცა საკმაოდ რთულ ფორმაში ეს ზეპირი ლექსიკური კურსი, ლ. აღნიაშვილმა კი მეცნიერულად სრულყო და პრაქტიკულად განახორციელა ეს კურსი. ამაშია მისი უდიდესი დამსახურება პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაში.

1883 წელს ლადო აღნიაშვილმა შეადგინა და გამოსცა რუსული ენის სახელმძღვანელო „Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школь“, რომელიც მხოლოდ ერთხელ გამოიცა. მიუხედავად ამისა, ამ სახელმძღვანელომ წარუშლელი კვალი დატოვა და უდიდესი მეცნიერული, თეორიული და პრაქტიკული გავლენა მოახდინა რუსული ენის ლინგვოლოგიის განვითარების მთელ მომდევნო პერიოდზე საქართველოში და, საერთოდ, პედაგოგიკურ მეცნიერებაში.

ლადო აღნიაშვილმა დახვეწა და მნიშვნელოვნად სრულყო პირველად არამშობლიური (აქ: რუსული) ენების სწავლების ისტორიაში გერასიმე კალანდარიშვილის მიერ შემოღებული და სათანადოდ მეცნიერულად დასაბუთებული წინასაანბანო, ზეპირი ლექსიკური გაკვეთილების თეორია და პრაქტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ ზეპირი ლექსიკური კურსის

პრობლემა პედაგოგიკის ისტორიაში დაკავშირებულია დიდი ქართველი პედაგოგის, ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის სახელთან, განუხომლად დიდია ამ საქმეში გერასიმე კალანდარიშვილისა და ლადო აღნიაშვილის დამსახურება, რომელთა დგაწლი პედაგოგიკურ მეცნიერებაში პირველ აღმომჩენთა დონეზეა. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია სათანადოდ არ განვიხილოთ ლადო აღნიაშვილის ეს უდიდესი დამსახურება.

სახელმძღვანელო „Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школъ“ ხუთი ძირითადი განყოფილებისაგან შედგება: 1. წინასაანბანო, ლექსიკური გაკვეთილების განყოფილება, 2. ანბანი, 3. საკითხავი მასალა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული წინასაანბანო, ზეპირ ლექსიკურ კურსთან და საანბანო გაკვეთილებთან, 4. ხელოვნურად, სპეციალურად პედაგოგიზირებული საკითხავი ტექსტების განყოფილება და 5. რუსული ორიგინალური მხატვრული ლიტერატურიდან სპეციალურად შერჩეული, მცირე მოცულობის ქრესტომათიული ტექსტების განყოფილება.

ლადო აღნიაშვილმა თავის სახელმძღვანელოს დაურთო ბოლოსიტყვაობა, სადაც ვკითხულობთ: „დღევანდლამდის ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლებას აწეებინებდნენ ან კალანდარიშვილის წიგნით და ან იმგვარი ანბანით, როგორებიც არის უშინსკის, პავლენკოვის, ბუნაკოვის, გერბაჩის, ვოდოვოხოვის და სხვადასხვა წიგნებით. თუმცა, ამ ბოლო დროს ყველა მასწავლებელს ესმის, რომ არც ერთი ზემოხსენებული წიგნი სრულიადაც არ აკმაყოფილებს თავისი დანიშნულების შესაფერ მათხოვნილებათა. მაგრამ, იმ რუსული ანდახისა არ იყოს „უთევზობაში კიბოც თევზიაო“, – რა გაეწყობა, როცა მეტი არა არის რა. ყველამ კარგად იცის, რომ ამგვარი სახელმძღვანელოებით ენის შესწავლაში ძლიერ დიდი და ამასთანავე შეუსაბამო შრომა მიუძღვის პაწაწა ბავშვს და თუ ძლიერ დახელოვნებული და გამოცდილი მასწავლებელი



არ შეხვდა, შეიძლება სარგებლობის მაგიერ დაახარალოს თავის მოსწავლეები. აი, ამის გამო განვიზრახე და შევადგინე სახელმძღვანელო წიგნი ჩვენს სკოლებში სახმარებლად „პირველი ნაბიჯი“, – რუსული ენის შესწავლაში. ამით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ ეს წიგნი დააკმაყოფილებს თავისი დანიშნულების ყოველგვარ მოთხოვნილებას და ან ეს ნამდვილი „ვარდი-სახარი“-ა მეთქი. სრულებითაც არა! მე მხოლოდ ვცდილობდი, რომ ცოტად თუ მეტად შემემცირებინა ბავშვისათვის „ჯოჯოხეთი“ და, მაშასადამე, შეძლებისა და გვარად დამეკმაყოფილებინა უპირატესი პედაგოგიური მოთხოვნილებანი. მე თვითონვე ვგრძნობ, ამ წიგნს ბევრი ნაკლუვანება აქვს ჯერ-ჯერობით, მაგრამ მაინც და მაინც იმედი მაქვს, რომ მრისხანეს თვალით არ შეხედავენ ჩვენი მასწავლებელნი და უეჭველად სხვა ამავე დანიშნულების წიგნებთან შედარებით ახსენებენ. თუ ამასთანავე ვიქონიეთ სახეში ისიც, რომ ჯერ ძლიერ ნაკლებად არის შემუშავებული უცხო ენათა შესწავლის მეთოდები, ადვილი წარმოსადგენია, რომ არავითარი ადვილი არ უნდა ჰქონდეს სასტიკ სიტყვასა და წყრომის თვალს. რაიც კი შეეხება „პირველი ნაბიჯის“ ზოგიერთ ნაკლულევანებათა, შემდეგი გამოსცემისათვის, თუ რომ სასარგებლოდ ცნობილი იქმნა და ღმერთმა დღე მისცა, ბევრად შეცვლილი და შესწორებული იქმნება.

„პირველი ნაბიჯი“ შედგება ხუთი ნაწილიდგან. პირველი ნაწილი შეიცავს ლექსიკურ გაკვეთილებს, რომელზედაც ყმაწვილი სწავლობს ზედ-მიწევნით 120 სიტყვამდის. ყველა ეს სიტყვები არის იმისთანა საგნების და საგნის თვისებათა სახელები, რომლებიც გარდა ძლიერ მცირედი ნაწილისა, ყმაწვილს შეუძლიან იქავ კლასში ნახოს, მაგალითად: წიგნი, ქაღალდი, საწერელი; ვკითხულობ, ვდგევარ, ვლაპარაკობ, ერთი, ხუთი, ათი, თავი, თვალი, ხელი, მაღალი, გრძელი, ოთახი, კუთხე, ხატი და სხვა... ამ სიტყვების (I ნაწ.) სწავლება სიტყვიერადვე (უწიგნოდ) უნდა ხდებოდეს. „თუმცა მე ეს ნაწილი დავეყავ გაკვეთილებად და თითო გაკვეთილში ათ სიტყვამდე

მოვაქციე. მაგრამ დარწმუნებული ვარ: ეს მასწავლებელთ არ შეავიწროებს. ამავე ნაწილში ესწავლებათ ყმაწვილებს ზოგიერთი გრამატიკული ფორმები, მხოლოდ უგრამატიკოდ, პრაქტიკულად (ვიოთხეულობ, კვიოთხეულობ, კიოთხეულობს, იკიოთხე, იკიოთხეთ; წიგნი, წიგნები და მონათესავე სხვა სიტყვები). ყველაზე მომეტებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ნაწილში და მთლად პირველ წელიწადს სიტყვების ნამდვილ გამოთქმას და ხმის ამალღებას, რადგანაც რისმეს შეჩვევა გაცილებით ადვილია, ვიდრე გადაჩვევა. ამავე ნაწილს ეკუთვნის წერის სავარჯიშოები. პირველი ფურცელი არის დანიშნული თითების, მაჯის, წერის და მთლად ხელის სავარჯიშოდ. ამისი ადვილი პირველ-დაწყებით წიგნშია. მაგრამ „დედა-ენიდგანაც“ და დედნებიდგანაც იგი განდევნილია და ამისთვის შევაფარე ამ ჩემს წიგნში. შემდეგი სავარჯიშოები ეკუთვნის ასოების ელემენტებს, რომლებიც უნდა ლექსიკური გაკვეთილების დროს ესწავლებოდეთ.

ამ ნაწილის დანიშნულება ის არის, რომ მოამზადოს ყმაწვილი შემდეგი ნაწილისათვის (ანბანის შესასწავლად). როცა ბავშვი ისწავლის 120 სიტყვას, მაშინ იმას კარგი საწერი და საკითხავი მასალა ექნება; როცა ყმაწვილმა იცის ასოების ყველანაირი ელემენტები, თვით ასოების წერაც აღარ იქმნება იმისთვის ისრე გასაჭირი, როგორც უამისოდ.

მეორე ნაწილი შეიცავს ანბანს, ცალკე სიტყვების გაკვეთილებს თავისის სავარჯიშოებით და შვიდიოდე პატარ-პატარა მოთხრობებს. ყოველ ანბანის გაკვეთილზედ ყმაწვილს ესწავლება ორ-ორი ასო. ეს ასოები ბეჭდურად არის ჩახატული ბადეში; ამავე ბადეში არის უბრალოდ ჩახატული თვით ის საგანი, რომლის სახელიც ბადეს ქვეშ არის მიწერილი, გერბაჩის ანბანის მსგავსად. მე მგონი, მნიშვნელობას მოკლებული არ იქმნება, რომ მასწავლებელთ ყმაწვილებს თავიანთ რვეულებში გადაახატვინონ ეს ასოები, როდესაც მასწავლებელი რამდენიმე განყოფილებას ასწავლის. ასოები ანბანში ელემენტების მიხედვით არის

დალაგებული და ბოლო გაკვეთილებში არის მოქცეული შემდეგი ასოები: „ზ, ზ“, ოთხნაირი ენი (ე, ე, ე, ზ) და ოთხნაირი ინი (ი, ი, ი, ი).

შიგა და შიგ ანბანის გაკვეთილებში არის ზეპირად დასასწავლი ცალკე სიტყვების გაკვეთილები თავისი სავარჯიშოებით. რადგან ჩემი გულითადი სურვილი იყო, რომ გაკვეთილებს ერთი ფერი არ დასდებოდათ და ამითი უფრო ინტერესი არ მოჰკლებოდა ისრეც უინტერესო საგანს, როგორც არის საზოგადოდ ენის შესწავლა, ამისთვის ჩაუერთე ანბანთ შესწავლის გაკვეთილებში ცალკე სიტყვების გაკვეთილები. ამისათვის თვით ზეპირად სასწავლი სიტყვების გაკვეთილებიც სხვა და სხვანაირი: ა) ლექსიკური, როგორც ამ წიგნის პირველ ნაწილში, ბ) რუსულ-ქართული, როგორც კალანდარიშივლის წიგნში და გ) მარტო რუსულად დაწერილი, როგორც უშინსკის „Учебные вещи, игрушки, мебель, посуда“... ამავე მიზეზის გამოს შეგხვდებოთ ყველა შემდეგი ნაწილების ბოლოში ორ-ორი ქართული მოთხრობა.

შემდეგ (მესამე, მეოთხე და მეხუთე) ნაწილები უფრო ერთნაირებია: ჯერ ცალკე სიტყვები. თითქმის, რომ ყველანაირი სავარჯიშოებით და შემდეგ მოთხრობები. ყველა მოთხრობაში (გარდა მცირე ნაწილისა\* (აი სტატიები, რომლებშიც კურსივად აღარ არის დაბეჭდილი: “Лягушка и мышь“, “Баба и курица“, “Курица и золотые яйца“, “Золотое яичко“, “Нашдка“, “Орёл, царь птица“, “Кошечка“, “Нашдка и пылята“, “Дурачёк“, “Льстница“.

მოთხრობაში 1-4 სიტყვა კურსივად არის დაბეჭდილი და ეს იმისათვის, რომ მასწავლებელმა ერთი დახედვითვე გაიგოს, რომელი სიტყვებიც ბავშვებს ჯერ არ უსწავლიათ.

და ბოლოს, ვალად ვხედი ჩემს თავს, რომ აქვე გამოუცხადო ჩემი გულითადი მადლობა და განუხაზღვრელი პატივისცემა ბ. მირიანაშვილს იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც მან აღმომიჩინა ამ წიგნის სურათების უსასყიდლოდ და მხურვალედ შესრულებისათვის“.

*ლადო აღნიაშვილი, 1883 წლის 9 მარტი*

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სახელმძღვანელო „პირველი ნაბიჯი“ ხუთი განყოფილებისაგან შედგება. პირველი განყოფილება – „ზეპირი ლექსიკური გაკვეთილები“ შედგება მხოლოდ 120 სიტყვისაგან. ეს სიტყვები აღნიაშვილს სახელმძღვანელოში ქართულ ენაზე აქვს მოცემული, შეიცავენ მეტყველების პირველ საფეხურზე უადრესად საჭირო და თემატურად მახლობელ სიტყვებს მოსწავლეებისათვის. ამ სიტყვების მნიშვნელობა მოსწავლეებისათვის ცნობილია მშობლიურ ენაზე და არ მოითხოვს განმარტებებს. პირველ რიგში მოსწავლეს მიეწოდება გასაგები სიტყვები, თანდათანობით ძნელი და მისთვის მიუწვდომელი ცნებები კი სახელმძღვანელოში უფრო მოგვიანებით მიეწოდება. ზეპირ, წინასაანბანო გაკვეთილებზე დიდი ყურადღება ექცევა სწორი წარმოთქმის ჩვევების გამომუშავებას, მახვილის მართებულად დასმას.

ზეპირ, წინასაანბანო გაკვეთილებზე სიტყვები ასეა განაწილებული:

**I ბაკვეთილი:** სკოლა, კლასი, კარანდაში, მასწავლებელი, სკამიკა, რეზინი (საშლელი), სტოლი (მაგიდა), მოსწავლე, გაკვეთილი, ცარცი.

**II ბაკვეთილი:** სახაზავი, კალამი, იატაკი, კალმისტარი, წიგნი, ფანჯარა, ქაღალდი, ფენი, დაფა, რვეული.

**III ბაკვეთილი:** სკამი, ხატი, სახურავი (სახლის), მელანი, კარი, კუთხე.

**IV ბაკვეთილი:** ჭერი, მინა, და, ეს, აქ, იქ, სად? სად არის კალამი? ცარცი, იქ (არის), ეს კალამია, წიგნი და რვეული, აქ სკოლაა, დაფა და ქაღალდი, ეს მოსწავლეა, სად არის მასწავლებელი?

**V ბაკვეთილი:** მე, აი, შენ, ის, მე ვხედავ, მე ვწერ, მე ვზივარ, მე და შენ, ის მასწავლებელია, აი ქაღალდი, და რეზინი (საშლელი), მე ვეძებ ცარცს, ის მოსწავლეა, მე ვხედავ კარსა და ფანჯარას, აი კარი, კედელი და კუთხე, მე ვზივარ და ვწერ.

**VI ბაკვეთილი:** მე დავდივარ, მე ვლაპარაკობ, მე ვკითხულობ, მე მაქვს, მე ვაძლევ, მე ვღებვარ და

ვკითხულობ, მე დავდივარ და ვეძებ, მე მაქვს რვეული, მე ვდგავარ და ვლაპარაკობ, მე ვხატავ ხატს, მე ვაძლევ ფანქარსა და ცარცს.

**VII ბაკვეთილი:** არა, ძირს, რა?, ვინ?, დედა, მე მივდივარ, მე მყავს, მე ვიცი, ძირს რაა?, მე მყავს დედა, მე ვიცი გაკვეთილი, ძირს ვინ (არის)?, მე არ ვწერ და არც ვკითხულობ.

**VIII ბაკვეთილი:** სამი, ერთი, ხუთი, ორი, რვა, თერთმეტი, ცხრა, ოთხი, თექვსმეტი, ექვსი, თორმეტი, ოცი, ცამეტი, თვრამეტი, შვიდი, ცხრამეტი, ჩვიდმეტი, ხუთმეტი, ორი და ერთი, სამი, ხუთი და ექვსი, თერთმეტი, სამი და ოთხი, შვიდი, ერთი მაგიდა, ერთი ფანქარი, 1, 3, 5, 7, 9, 11, 13, 15, 17, 19, 2, 4, 6, 8, 10, 12, 14, 16, 18, 20.

**IX ბაკვეთილი:** სამშაბათი, პარასკევი. კვირა, ხუთშაბათი. ორშაბათი, ოთხშაბათი, შაბათი.

**X ბაკვეთილი:** კვირა (შვიდი დღე) დღე, დღეს, გუშინ, ხვალ, დამე, ახლა, ახლა მე ვწერ და ვკითხულობ, დღეს კვირაა – ხვალ?, მე ახლა ვმუშაობ, ხვალ პარასკევია. დღეს?

**XI ბაკვეთილი:** მე მინდა, მე ვთამაშობ, ძმა, და, პაპა, მამა, ბიძა, ბებია, მე მყავს ბიძა, მე მყავს მამა და დედა, დღეს ხუთშაბათია, ორი ფანქარი, მე მყავს ბიძა და ბებია, მე მინდა და ვთამაშობ, დღეს შაბათია, ხვალ კვირაა, სამი სკამი.

**XII ბაკვეთილი:** თავი, ხელი, პირი, ზურგი, მუცელი, თმა, თვალი, ცხვირი, კბილი, ენა.

**XIII ბაკვეთილი:** მე ვხედავ, შენ ხედავ, შენ ლაპარაკობ, შენ დადიხარ, შენ ზიხარ, შენ დგახარ, შენ წერ, შენ იცი, შენ კითხულობ, შენ ეძებ, შენ მუშაობ, შენ გაქვს, შენ გყავს, შენ თამაშობ, შენ დადიხარ და კითხულობ, შენ ზიხარ და წერ, შენ ხედავ და ლაპარაკობ, ხელი და ფეხი, შენ გაქვს ცხვირი და ენა.

**XIV ბაკვეთილი:** ჩემი, შენი, იმისი, ჩვენი, თქვენი, იმათი, შენი მასწავლებელი, იმისი მოსწავლე, მე მაქვს თქვენი ფანქარი, შენ წერ გაკვეთილს, სად არის ჩვენი

კლასი?, შენ კითხულობ და წერ, იმათი წიგნი აქ არის, იცი შენ გაკვეთილი?, შენ გაქვს ხელი, თვალი და ყური.

**XV ბაკვეთილი:** თეთრი, საყვარელი, შავი, წითელი, მადალი, დაბალი, პატარა, დიდი, საყვარელი ძმა, მადალი მაგიდა, თეთრი ცარცი, დიდი კლასი, მე მაქვს წითელი ფანქარი, დაბალი სკამი, შავი თვალი, პატარა ცარცი, საყვარელი მამა.

**XVI ბაკვეთილი:** თეთრი კედელი, შავი მეღანი, წითელი კალმისტარი, დაბალი ოთახი, ასპიდის დაფა, კლასის დაფა, საყვარელი და, დიდი წიგნი, მადალი ფანჯარა, შავი კალამი, შავი სახაზავი, თეთრი ხელი, პატარა ფანჯარა.

**XVII ბაკვეთილი:** გრძელი, მოკლე, კაცი, ქალი, ამხანაგი, ბავშვი, გრძელი ოთახი, საყვარელი მამავ, დიდი ფანჯარა, მოკლე ფანჯარა, აი ქალი და ბავშვი, შენი ამხანაგი, საყვარელი ბებია, პატარა კალამი და დიდი კალმისტარი, სად არის წითელი კალმისტარი?

**XVIII ბაკვეთილი:** წიგნი, წიგნები, კედლები, დღეები, დამეები, გაკვეთილები, მოსწავლეები, ბავშვები, ამხანაგები, აი ფანქარი, სად არის საწერკალამი? მაგიდები და სკამები, შენ გაქვს წიგნები, შენ ეძებ რეკულებს, მე ვხედავ დაფებსა და დრუბლებს.

**XIX ბაკვეთილი:** კარგი, იმას, მაგრამ, და, კი, ჩქარა, ზევით, თუ კარგად, შენ წერ თუ კითხულობ?, შენ გინდა ქაღალდი, მე კი ფანქარი, შენ არ კითხულობ წიგნს, მე ვაძლევს იმას კალამს, ბიძა ზევით არის, მე ვლაპარაკობ, ჩქარა, შენ კარგად წერ, მე ვწერ და შენ კითხულობ.

**XX ბაკვეთილი:** მე ვხედავ, შენ ხედავ, ის ხატავს, ბიძა ამბობს, ბებია დადის, კაცი დგას, ქალი ზის, ყმაწვილს აქვს ფანქარი, ჩემი ძმა კითხულობს და წერს, მამა მაძლევს წითელ კალმისტარს, მასწავლებელი მიდის, მოსწავლემ იცის გაკვეთილი, პატარა ყმაწვილი თამაშობს.

**XXI ბაკვეთილი:** მე ვლაპარაკობ, შენ ლაპარაკობ, ის ლაპარაკობს, ილაპარაკე, იკითხე, წერე, იდექი, იჯექი, იდექი და იკითხე, იჯექი და წერე, მოდი, მეძებე, იცოდე.

ითამაშე, მომეცი ჩემი ფანქარი, გააკეთილი კარგად იკითხე, მოდი და ითამაშე.

**XXII ბაკვეთილი:** სახლი, შინ, საჭმელი, პური, ღვინო, წყალი, ფრინველი, იქ არის გრძელი ჯოხი, აი პატარა ფრინველი, ჩემი სახელი სანდროა, აი შენი მოკლე ჯოხი, პური საჭმელია და ღვინო კი არა, მომეცი წყალი, ჩემი წითელი წიგნი შინ არის.

**XXIII ბაკვეთილი:** თქვენ, მე ყურს ვუგდებ, მე მესმის, შენ ყურს უგდებ, შენ გესმის, ის ყურს უგდებს, გაიგე, ყური უგდეთ, გაიგეთ, წაიკითხეთ, წერეთ, იდექით, მე ყურს ვუგდებ, რასაც მასწავლებელი ლაპარაკობს, თქვენ იკითხეთ, – მე კი ყურს დაუუგდებ, ეს წყალი კი არა – ღვინოა, მე მესმის, რასაც კითხულობ, მოდით და ითამაშეთ, ისხედით და წერეთ.

**XXIV ბაკვეთილი:** ახალი, ძველი, დევს, წევს, ვსვამ, კატა, ქათამი, კატები, ახალი წიგნი, მე მაქვს ძველი კალამი, ქათამი ფრინველია, იქ დევს დიდი ჯოხი, მამა სვამს თეთრ ღვინოს, შენ გაქვს ახალი კალამი, მე კი ძველი, შენ ზიხარ და კითხულობ, მე ვსვამ კარგ ღვინოს, იწევი და იკითხე, სვი.

**XXV ბაკვეთილი:** ხერხი, საცვრი, ცოცხი, ბაყაყი, რკო, პეპელა, ცხენი, გაზი, ჩანგალი, ხერხები, პეპლები, ცხენები, ჩანგლები, მე მყავს კარგი ცხენი, მომეცი ხერხი, სად არის ბაყაყი.

ახლა ვფიქრობთ, მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნება ლ. აღნიაშვილის მიერ ზეპირი, წინასაანბანო ლექსიკური კურსის უაღრესად დახვეწილ და გამარტივებულ კურსზე. ამასთან, უფლება გვაქვს მეცნიერულად გავაანალიზოთ ამ სახელმძღვანელოს სხვა ნაწილებიც, მისი სათანადოდ შეფასებისა და სკოლაში პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

წინასაანბანო, ზეპირი ლექსიკური ბაკვეთილების შემდეგ ლ. აღნიაშვილის სახელმძღვანელოში წიგნის ოთხ გვერდზე მოცემულია წერაში ხელის გასაჯარჯიშებელი სამუშაოები. ეს სამუშაოები საკმაოდ მარტივად და

მხატვრულადაა გაფორმებული. აქვეა მოცემული სათანადო რვეულის ნიმუშიც – ოთხხაზიანი დახრილი ცხრილით. მოცემულია ყველა ასოს მოხაზულობა, მისი დაწყება და დამთავრება, ხელის მოძრაობის მიმართულების შესაბამისად, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ დაეუფლონ პირველდაწყებით ჩვენებს, წერონ დედნის გარეშე.

ამ გვერდებს მოსდევს სახელმძღვანელოს საანბანო ნაწილი, რომელსაც დათმობილი აქვს 15 გაკვეთილი.

სახელმძღვანელოს „Первый шаг“ – მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება. ამ ნაწილებში მოცემულია ავტორის მიერ ხელოვნურად შედგენილი სიტყვებისა და წინადადებების დასაუფლებლად ტექსტები და, აგრეთვე, რუსული ლიტერატურიდან შერჩეული პატარა მოთხრობები (ძირითადად ზღაპრები).

ანბანს ახლავს გაძლიერებული სავარჯიშო, რომელსაც ზეპირი მეტყველების დასაუფლებლად, სახელმძღვანელოს ამ ნაწილში, 12 გვერდი უჭირავს.

ქართული ტექსტები გამიზნულად შედარებით იოლია, იმისათვის რომ მოსწავლეებს რუსულად მათი თარგმნა არ გაუჭირდეთ.

ამავე მეთოდს მიმართავს ავტორი რუსული ზღაპრების შერჩევის დროსაც. საზოგადოდ, ჭარბობს დიალექტური გამოთქმები, მოტანილია ტექსტები, სადაც ენა უფრო ლიტერატურული და ქართველი მოსწავლეებისათვის ადვილად გასაგებია.

სახელმძღვანელოს დართული აქვს ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები. ქართულ-რუსულ ლექსიკონში 150 სიტყვაა ახსნილი. ეს სიტყვები წინასაანბანო ლექსიკონიდან და საკითხავი ტექსტებიდანაა აღებული. რუსულ-ქართულ ლექსიკონში შესულია სულ 450 სიტყვა.

ლ. აღნიაშვილი, როგორც უაღრესად მრავალმხრივ განათლებული პედაგოგი, ზედმიწევნით კარგად იცნობდა რუსეთის იმპერიაში გავრცელებულ რუსული ენის სასკოლო



სახელმძღვანელოებს, როგორც ევროპის, ისე რუსეთის ენათმეცნიერულ და ლინგვოლიდაქტიკურ მოძღვრებას. ეს კარგად ჩანს მის სახელმძღვანელოში მოთავსებული განმარტებიდან და თვით სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო მასალებიდან. ამაზე მეტყველებს მისივე შედგენილი სახელმძღვანელოებიც ქართულ ენაში და ის მეტად საინტერესო პუბლიკაციები, სადაც ის მსჯელობს ამჟამინდელი მეცნიერების დონის და სახალხო განათლების სისტემის მოწყობის შესახებ, რომლებიც ქვეყნდებოდა მაშინდელ პერიოდულ გამოცემებში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და, რაც მთავარია, მისი სახელმძღვანელოს – „Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школь“ – მასალების სათანადო შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მან თავის სახელმძღვანელოს საფუძვლად დაუდო შემდეგი დიდაქტიკური პრინციპები: 1. წინასაანბანო, ზეპირი ლექსიკური კურსის პრინციპი, 2. მშობლიური ენის გათვალისწინების პრინციპი, 3. ლექსიკური მინიმუმის პრინციპი, 4. გრამატიკული მინიმუმის პრინციპი.

განვიხილოთ ამ სახელმძღვანელოს უმთავრესი – 1. წინასაანბანო, ზეპირი ლექსიკური კურსის პრინციპი მოკლედ, რადგან ამ საკითხზე ჩვენ უკვე გვექონდა სათანადო მსჯელობა. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ ლაღო აღნიაშილის დამსახურებას, თუ როგორ გააუმჯობესა მან, პირველად არამშობლიური ენის სწავლების ისტორიაში, ქართველი პედაგოგის – გერასიმე კალანდარიშილის მიერ განხორციელებული სიახლე სახელმძღვანელოში: „Начальный курс русскаго языка для грузин по практическому методу“.

თუ გ. კალანდარიშილის ზეპირი, წინასაანბანო ლექსიკური კურსი დაახლოებით 800-ზე მეტ სიტყვას მოიცავს, ლაღო აღნიაშილთან მხოლოდ 120 სიტყვაა მოცემული. ამის შესახებ თვითონვე წერს სახელმძღვანელოს „ბოლოსიტყვაობაში“, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი.

ამრიგად, ლ. აღნიაშვილის სახელმძღვანელოს შედგენის ერთი უმნიშვნელოვანესი დიდაქტიკური პრინციპია ზეპირი, წინასაანბნო ლექსიკური კურსის პრინციპი, რომელიც მან უაღრესად დახვეწა და წარმოადგინა 120 სიტყვით. ამაშია მისი უდიდესი დამსახურება.

მშობლიური ენის ანგარიშგაწევის პრინციპი უფრო თვალსაჩინოაა გამოყენებული საკითხავ ტექსტებში. ზმნების გამარტივებული ფორმების ხმარებით: „напишу“, „прочту“, „нарисую“, „сделаю“ და ა. შ.

ლექსიკური მინიმუმის პრინციპი სახელმძღვანელოში – „Первый шаг“ .. – შესრულებულია უმაღლეს დონეზე.

ამ მოთხოვნის მიხედვით, არსებულ პირველდაწყებით სახელმძღვანელოებს შორის ეს სახელმძღვანელო დღესაც სანიმუშოდ ითვლება. პატარა მოთხოვნები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძნელი სიტყვებისა და ფრაზებისაგან გაწმენდილი და დახვეწილია, თითქმის არ გვხვდება რთული დიალექტებიდან აღებული ლექსიკა, ფრაზები კი, უკეთ შესწავლის მიზნით, სპეციალურად განსხვავებული შრიფტითაა აწყობილი.

სიტყვათა უაღრესად შეზღუდულმა რაოდენობამ ავტორს საშუალება მისცა სახელმძღვანელოს ყველა ნაწილში, სათანადო შესწავლის მიზნით, შეეტანა ლექსიკონი – მინიმუმის ყველა სიტყვა სულ სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ბრუნვაში (არსებითი და ზედსართავი სახელები), დროში (ზმნები) და ა. შ. ეს იძლევა გარანტიას მოსწავლეთა მიერ სიტყვების მტკიცედ დასწავლისა და ზეპირმეტყველებაში მათი სრულყოფილად გამოყენებისათვის. ახალი სიტყვები სპეციალურადაა გამოყოფილი კურსივით.

ამრიგად, ლ. აღნიაშვილის სახელმძღვანელოს ლექსიკური მინიმუმის პრინციპი დამუშავებულია სათანადო დონეზე, როგორც მისი რაოდენობის, ისე მიწოდების მეთოდის მოთხოვნათა შესაბამისად.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და აქ კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ სახელმძღვანელოში ლექსიკა მეთოდურად, მეტყველებაში გამოსაყენებლად და საერთო რაოდენობით, გაცილებით უკეთაა შედგენილი, ვიდრე დღევანდელ ზოგიერთ მოქმედ სახელმძღვანელოში. ამ მხრივ, ჩვენ სპეციალური კვლევა ვაწარმოეთ რუსთავის სკოლებში. მასწავლებელთა დიდი ნაწილი უკმაყოფილოა სკოლაში ამჟამად არსებულ ზოგიერთი სახელმძღვანელოთი.

ლადო აღნიაშვილის სახელმძღვანელოში რუსული ენის გრამატიკა მოცემულია ლექსიკურად, გრამატიკული თეორიის გარეშე. წიგნში არაა საერთოდ რაიმე გრამატიკული განმარტება. როცა ამას აღვნიშნავთ, ჩვენს მიზანს არ შეადგენს ხაზი გავუსვათ სახელმძღვანელოს ნაკლს, პირიქით, ლექსიკურად კარგად შერჩეული მაგალითების დონეზე სახელმძღვანელოში ზედმიწევნით ზომიერადაა მოცემული რუსული ენის პრაქტიკული, გამოყენებითი გრამატიკა. ყველა მაგალითი ავტორის მიერ უადრესად ზუსტადაა ილუსტრირებული სათანადო ლექსიკური (პრაქტიკული) მასალით.

სახელმძღვანელოს ყველა განყოფილებაში მოცემულია გრამატიკული ტექსტების მაგალითები. ამასთანავე, გრამატიკული ფორმების პრაქტიკულად დაუფლებისათვის სათანადო რაოდენობითაა მოცემული სპეციალური სავარჯიშოები.

პრაქტიკული გრამატიკა, რუსული ენის გრამატიკული მინიმუმი, მხოლოდ ლექსიკურად შეისწავლება და ესაა ამ სახელმძღვანელოს ღირსება, მისი ელემენტარული გრამატიკის სასწავლო ტექსტებიდან გამომდინარე.

სასწავლო მასალის ასეთი იდეალური შერჩევა და მათი განაწილება სახელმძღვანელოს შესაბამის ხუთივე ნაწილზე შემდგენლისაგან მოითხოვდა საქმის ღრმა ცოდნას, სათანადო პრაქტიკას და, რაც მთავარია, უდიდეს ნებისყოფას. ლადო აღნიაშვილმა მეცნიერულად მნიშვნელოვნად განავითარა და სრულყო დიდი ქართველი

პედაგოგის გერასიმე კალანდარიშვილის მიერ პრაქტიკულად განხორციელებული უცხოური ენის სწავლებაში ზეპირი, წინასაანბანო ლექსიკური კურსი. ეს ლაღო აღნიაშვილის უდიდესი დამსახურებაა პედაგოგიკისა და რუსული ლინგვოლოგიის ისტორიაში.

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელმა ი. გოგებაშვილმა კიდევ უფრო სრულყო და შემდგომ განავითარა ეს პრობლემა 1887 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში „Русское слово“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც რუსულ, ასევე ქართულ საზოგადოებაში. ამ სახელმძღვანელოს განხილვა არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს. მხოლოდ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულ ზეპირი წინასაანბანო ლექსიკური კურსის უფრო დახვეწილ და მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ ვარიანტზე, რომლის რაციონალური მარცვალი ი. გოგებაშვილმა გ. კალანდარიშვილისა და ლაღო აღნიაშვილის სახელმძღვანელოებიდან აიღო და მისთვის ჩვეული მეცნიერული მიდგომით გვირგვინით შეამკო ზეპირი ლექსიკური წინასაანბანო კურსი.

არამშობლიური ენების სწავლების ისტორიაში ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლე, რომელსაც დღესაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და ამით იწყება ყველა სახელმძღვანელო არამშობლიურ ენაში. სწორედ ამაშია ქართველი პედაგოგების: (გ.კალანდარიშვილის, ლ. აღნიაშვილის, ი. გოგებაშვილის) დამსახურება, რომ პირველად არამშობლიური ენების სწავლების ისტორიაში მათ თეორიულად და პრაქტიკულად დაამუშავეს ზეპირი წინასაანბანო ლექსიკური კურსი და დაამკვიდრეს ქართულ სკოლაში.

ამდენად ლაღო არნიაშვილმა თავისი დიდი წვლილი შეიტანა ამ პრობლემის გადაწყვეტაში.

წინასაანბანო ზეპირი ლექსიკური კურსი, რომელიც ესოდენ დახვეწა ლადო აღნიაშვილმა თავის სახელმძღვანელოში – „Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школъ“, მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებაში მისი განვითარების მომდევნო ეტაპებზე – ი. გოგებაშვილისა და სოლომონ ფურცელაძის მემკვიდრეობაში, რომელთა ტრადიციების გამგრძელებელია ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი კარლო მაჭარაშვილი. მან, თანამედროვე პირობების შესაბამისად, გადაამუშავა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო, რომელშიც წინასაანბანო ლექსიკური კურსი დღემდე გამოიყენება ქართულ სკოლებში.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გაცხოველდა ინტერესი ქართული და უცხო სიტყვათა ლექსიკონების შედგენის და გამოცემის მიმართ. საზოგადოებაში დაიბადა აზრი დიდი ლექსიკონის შედგენის თაობაზე. ჯერ კიდევ ადრე, გაზეთ „ივერიაში“ 1888 წელს (№114) რაფიელ ერისთავმა დაბეჭდა წერილი, სადაც იყო დასახული გეგმა, თუ რა წესების დაცვით უნდა შედგეს ლექსიკონი. ამ წერილს რამდენიმე დღეში გამოეხმაურა იმავე გაზეთში ალექსანდრე (ივანე) სარაჯიშვილი, რომელიც სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ზოგიერთებს განუზრახავთ ქართულის ენის სხვადასხვა შტოების ლექსიკონების შედგენა (ქართულ-სვანური, ინგილოური) და მიაჩნია მისაბამ მაგალითად.

ქართული პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა განცხადებები რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების შექმნის და გამოცემის შესახებ, რაც განპირობებული იყო საზოგადოების მოთხოვნილებებით.

იმ დროისათვის არსებული ლექსიკონები – სულხან-საბა ორბელიანისა და გ. ჩუბინაშვილისა ვერ აკმაყოფილებდა მკვლევართა და ქართველ მწერალთა გაზრდილ მოთხოვნებს. ამ მხრივ, განსაკუთრებული მოთხოვნილება იყო ზოლოტოვიურ-ბოტანიკურ ლექსიკონზე. მაგრამ გართულებული ისტორიული პირობების გამო

ვერ გამოიცა ბევრი მომზადებული ლექსიკონი (რუსულ-ქართული, ქართულ-ფრანგულ-რუსული და სხვ.), თუმცა ამ საკითხებს დიდ ყურადღებას აქცევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობა.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს და შემდგომშიც, ლექსიკონების შედგენით ბევრი იყო გატაცებული, მათ შორის ლადო აღნიაშვილსაც გაუღვივდა ინტერესი საენათმეცნიერო, ლექსიკოლოგიური მუშაობისადმი.

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის გრ. ჩარკვიანის სტამბაში, ცენზურის ნებართვით, 1887 წელს გამოიცა ლადო აღნიაშვილის 47 გვერდიანი რუსულ-ქართული უბის ლექსიკონი („Карманный словарь“). ლექსიკონის მკითხველისათვის საინტერესო იყო ავტორის მიმართვა, სადაც ლადო აღნიაშვილი გულისწეროვით აღნიშნავს, რომ „ქართველები არ უფროსილდებიან თავისი ენის სიწმინდეს: იწყებენ ლაპარაკს ქართულად, „გადაუხვევენ“ რუსულზე. „ამისი წყალობით დღეს ჩვენი ენა რაღაც ნარინჯუნად გაკეთდა, რომელიც დვთისაც წინააღმდეგია და კაცისაც არასასიამოვნო“.

აღნიაშვილი არ აცხადებს პრეტენზიას ამ ლექსიკონის სრულყოფილებაზე. მას მხოლოდ სურს მკითხველს იგი „მეგობარივით განუშორებლივ უბეში ჩახუტებული“ ჰქონდეს და გააფროთხილოს: „ჰა, კიდევ წამოგცდა! კიდევ წამოურიე! ეცადე, ეცადე გზა აუხვიო!“.

ამ „ნამცეცა“ ლექსიკონში, როგორც თვითონ უწოდებს იგი, შეტანილია „მომეტებულად ისეთი სიტყვები, რომლებიც შეწყნარებულია ჩვენის მწერლობისაგან, ანუ „უკვე ცნობილია და მიღებული ჩვენის მეღექსიკონეთაგან, გარდა ორიოდ სიტყვისა. ეს შესავალი („მკითხველს“), დათარიღებულია 1886 წლის 14 მარტით.

ლადო აღნიაშვილის ლექსიკონში შესულია სულ 852 რუსული სიტყვა და რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი თავისი თარგმანით. ალბათ, საინტერესოა, რამდენ სიტყვას მოიცავს

თითოეული ასო: ა - 16, ბ - 35, ვ - 33, გ - 30, დ - 21, ჯ - 9, ჰ - 27, ი - 15, კ - 87, ლ - 23, მ - 38, ნ - 39, ო - 42, პ - 159, რ - 41, ს - 97, თ - 32, ყ - 17, ფ - 21, ხ - 14, ც - 10, ჩ - 20, შ - 16, წ - 5, ჯ - 5.

ამ ლექსიკონში ძირითადად წარმოდგენილია იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობაში ყოველდღიური მეტყველების ამსახველი ლექსიკა. ზოგიერთი სიტყვების ქართული თარგმანები დღეს უცნაურადაც კი ჟღერს.

მაგალითად: водоворот – ბეღლარი, вождь – რალია, венок лавровый – პოტკინი, гангрена – სხმილი, двойной – მრჩობლი, жук – ფუნდურა, замша – ნატი, зверинец – ფილფატი, ქოქური, канцелярия – საგანგაო, капитал-თაენი, козырь – თულფი, коммерция – ფარდვა, компресс – ტლე, конфета – გავალო, копия – პეტენასა, коридор – ტალანი, кострюля – ჩაღხანა, крыжовник – კინკრიქა, крыша – ხვიძირა, кукла – თოჯა, ჭუპრა, курьёзный – მაკვილაკი, кухмейстер – ჩუნჩურახი, лакей – ჩაჩნავირი, лак - სანდილოზი, лампада – ბაზმა, лысый – მელოტი, პოსლიკა, люстра – ხვამლი, мальчишка – ბოსლაკი, წიწლაკი, мель – მეჩეხი, металл – ოლეკრო, нерв – ტენონი, печать – დამდა, пикник – არიფანა, ფსონი, пирамида – წოწოლა, приставка – ართრონა, пьедестал – მექონთი, пытка – ჯაჯა, резина – შომიზი, ресторан – საგნობილისი, роща – ეწერი, руда – ბენძლი, решётка – სერსეროთი, рюмка – კვანჩხი, склонение – კანკლელობა, солёный – ვეპა, источник – ხაშური, соли разные – წკირა, статуя – ჭორტი, творог – ხაჭო, თელმუზი, телескоп – ჭოგრი, туалетное мыло – მარანდული, форма – დარეჯავი, футляр – ჩაღათა, хирургия – ჯარაობა, хобот слона – ჩიჩირი, цепь гор – სერი, чемодан – გვალაკი, четверть часа – წენტილი, шоколад – ბაი, штукатурка – განგოზვა.

აღნიაშვილის „უბის ლექსიკონში“ გვხვდება ისეთი ფრაზეოლოგიზმები, როგორიცაა: изрыгать жвачку, незванный гость – (აბუჩი), нездоровый климат – (ხაშმი), расстройство

желудка – (ინთილი), утварь домашняя – (საციქველი), და სხვა.

ლადო აღნიაშვილის უბის ლექსიკონი შეიცავს 47 გვერდს. იგი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

რა თქმა უნდა, ლადო აღნიაშვილის უბის ლექსიკონი შორსაა სრულყოფილებისაგან. საკმარისია ითქვას, რომ ლექსიკონში შესული ქართული სიტყვები თანამედროვე მკითხველში დიმილსა და გაკვირვებას იწვევს: სად მონახა რუსული სიტყვების ასეთი თარგმანები (რა თქმა უნდა, ხალხში), ამიტომ იგი ვერ აკმაყოფილებდა და ვერც დააკმაყოფილებს არა მარტო იმდროინდელ, არამედ თანამედროვე მკითხველსაც. საინტერესოა, რომ თავად აღნიაშვილი გრძნობდა ამ ლექსიკონის არასრულყოფილებას და ფიქრობდა მის დახვეწაზე. 1898 წლის 28 იანვარს გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ „კერძო კაცთ განუზრახავთ რუსულ-ქართული ახალის ლექსიკონის გამოცემა“ [230, 1]. საუბარი შეეხებოდა ლადო აღნიაშვილს, რომელმაც თავისი უბის ლექსიკონის გამოცემის შემდეგ, დააგროვა რა გამოცდილება და გაითვალისწინა თავისი და სხვისი ლექსიკონების ნაკლი, ჩაიფიქრა ახალი, გადამუშავებული რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემა. ამის შესახებ მან გამოაქვეყნა განცხადება გაზეთ „ივერიის“ პირველ გვერდზე, სადაც იუწყებოდა: „ჩვენ შევუდექით „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ შედგენას, რომელშიც შეტანილ იქნება სისრულით, გარდა ჩვენი საკუთარი თარგმანისა, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკა, ხელთნაწერი უსახელო რუსულ-ქართული ლექსიკა და ახალი აკადემიური ლექსიკონი. ჩემი უბის ლექსიკონი საფუძვლად დაედება ამ ლექსიკონს [239, 1].

სამწუხაროდ, ლადო აღნიაშვილს არ დასცალდა მეორე ლექსიკონის გამოცემა ავადმყოფობის გამო. მაგრამ მან თავისი მცირე წვლილი ლექსიკოგრაფიის დარგში მაინც შეიტანა.



უნდა აღინიშნოს, რომ ლაღო აღნიაშვილი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს უცხო სიტყვათა ლექსიკონების შესახებ და გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას, ლექსიკონების ავკარგიანობასა და პოზიციას მათი ავტორების მიმართ.

1897 წელს გამოიცა თედო სახოკიას „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, რომელსაც მოჰყვა გამოხმაურება პრესაში. ლაღო აღნიაშვილმაც თავისი კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვა ამ ლექსიკონის შესახებ „დროების“ ფურცლებზე, რამაც ძალზე გაანაწყენა ავტორი. მან საპასუხო წერილით მიმართა თავდაპირველად „ივერიის“ რედაქციას, მაგრამ ხსენებულმა რედაქციამ არ ინება მისი დაბეჭდვა და ეს წერილი დაიბეჭდა 1897 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ [262, 3-4]. სათაურით: „პასუხად ფერეიდანელ ქართველს“ (იგულისხმებოდა ფერეიდანში ნამყოფი ლაღო აღნიაშვილი). საინტერესოა ამ წერილის შინაარსი, რომელიც გაგრძელებით გამოქვეყნდა 2-5 დეკემბერს. მოვიყვანო ნაწყვეტს წერილიდან:

„ცნობის ფურცელი“, 1897, 2 დეკემბერი, №388, გვ. 3-4.  
რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ  
(პასუხად „ფერეიდანელ ქართველს“):

...როცა ამ ლექსიკონს ვადგენდი, როგორც თვით წიგნის წინასიტყვაობაში მოვიხსენიე, აზრად მქონდა, შეძლებისდაგვარად, სამსახური გამეწია ჩვენის საზოგადოებისათვის. შევადგინე ლექსიკონი, გარნა შორს ვიყავი იმ პრეტენზიაზე მეთქვა, ჩემი ლექსიკონი უნაკლოა... შეცდომების აცილება, განსაკუთრებით ლექსიკონის შედგენაში, ძნელია. მე იმედი მქონდა, თუ რამე შეცდომა მომივიდოდა, ვინც ჩემზე მეტი იცის, გამისწორებენ, გულწრფელ შენიშვნას მომცემენ...

თვისის ორის ფელეტონითა (იხ. „ივერია“, №212, 213) „ფერეიდნელი ქართველი“ სცდილობს დაუმტკიცოს მკითხველს უგვანობა ჩემის ლექსიკონისა, ჩემი შეცდომა და, თუ გნებავთ, უცოდინარობაც ქართულის ენისა.

თ. სახოკია დასძენს: „ჩვენ სულ იმის ცდაში უნდა

ვიყვნეთ, ყოველს უცხო სიტყვას მოუუძებნოთ ამავე მცნების გამომხატველი სიტყვა ქართულად. ეს ახალგამონახული სიტყვა, შეიძლება, პირველად გვეუცხოვოს, ენოთიროს ყურს, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, ახალ სიტყვას თან-და-თან შეეჩვევა ყური და ისიც მოქალაქეობის უფლებასაც დაიმკვიდრებს“.

1900 წლის 28 აპრილს გაზეთი „ივერია“ წერდა, რომ „დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი სასყიდლად აღარსად იშოვება და აქა-იქ ერთი-ორად მეტს ფულს იძლევიან მისი შეძენის მსურველნი. მარტო ეს გარემოება აშკარად ჰმოწმობს ასეთის ლექსიკონის საჭიროებას“ [236... 1-3].

1900 წელს „კვალში“ [259, 417-418] დაიბეჭდა დ. აღნიაშვილის კრიტიკული წერილი „საარაკო ამბავი“ (დავით ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის ნაკლი და მისი დაბეჭდვის განზრახვა), სადაც ლადო აღნიაშვილი კრიტიკულად აფასებდა ბ-ნ. ჩუბინოვის (ჩუბინაშვილის) ლექსიკონის გამომცემელს და მიუთითებდა: „არათუ უცვლელად დაბეჭდვა, არამედ შესწორება მისი ყოვლად შეუძლებელია. შესწორებას, თვით ახლის შედგენა ჯობია. მივეც წინადადება რუსულ-ქართული ლექსიკონისა და გეგმაც ამ საქმისა სისრულით მოვისხენე“. (ეს იყო გამოხმაურება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის შეკითხვაზე ჩუბინოვის მემკვიდრის მიმართ, რომელმაც თანხმობა განაცხადა სრულიად უცვლელად დაებეჭდათ ხემოადნიშნული ლექსიკონი).

როგორც ცნობილია, დავით ჩუბინაშვილი (1814-1891) – ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენებისა და სიტყვიერების, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, პროფესორი, მოღვაწეობდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში და იმ პერიოდში საკმაოდ სახელგანთქმული და ამ დარგში ავტორიტეტული პიროვნება იყო. დავით ჩუბინაშვილმა შეადგინა ქართულ-რუსულ-ფრანგული,

ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია და ქართული ენის გრამატიკა. რამდენად მართებული იყო აღნიაშვილის კრიტიკა მისი ლექსიკონის მიმართ, დრომ გვიჩვენა.

### **ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანი“. პოლემიკა მის ირგვლივ**

ლადო აღნიაშვილს ძალზე აწუხებდა და გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ჩვენში სახალხო განათლების საქმე ცუდად იყო დაყენებული: „არა გვაქვს სურვილი ცოდნის შეძენისა, არა გვაქვს სურვილი კითხვისა, ერთი სიტყვით, არა გვაქვს ხშირად უბრალო ცნობისმოყვარეობაც კი!“

რაკი მთავრობისაგან სასიკეთოს არაფერს მოელოდა, ლადო აღნიაშვილმა გადაწყვიტა, საზოგადოების აზრი წარემართა იმ მიმართულებით, რომ განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გამხდარიყო კლასგარეშე საკითხავი წიგნი. პესტალოცის იდეებით გატაცებულმა, ლადო აღნიაშვილმა ბევრი გააკეთა, რომ მოხარდებოდა ოჯახში შექმნილათ განვითარების სწორად წარმართვის პირობები. მან განიზრახა ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანის“ – 33 წიგნის გამოცემა. მისი ჩანაფიქრით, ეს იყო „ანბანი ცოდნისა, ანბანი მეცნიერებისა“. ყოველ წიგნაკს ქართული ანბანის ესა თუ ის ასო უნდა მისცემოდა სახელწოდებად.

როგორი იყო ამ პაწაწა წიგნების შინაარსი?

„ახალი ანბანის“ პირველი წიგნაკი ეძღვნება ანბანის შესწავლას. წიგნი მცირე ფორმატისაა, შეიცავს 39 გვერდს. ცალკეული ასოების შესასწავლად მასალა დალაგებულია შემდეგი თანამიმდევრობით: თავში მოცემულია სურათი, ქვეშ მიწერილია სურათზე გამოხატული საგნის სახელწოდება

მთლიანად, დაუმარცვლავად. შემდეგ გამოყოფილია შესასწავლი ასო და რამდენიმე ცალ-ცალკე სიტყვა (ცალკე სიტყვები არა აქვს მხოლოდ უკანასკნელ ორ ასოს: ჟ-სა და ჰ-ს). ცალკე სიტყვებს მოსდევს მოკლე წინადადებები. შემდეგ, – თუ როგორ უნდა იწერებოდეს ესა თუ ის ასო, ამას მოჰყვება უკვე სხვადასხვაგვარი სავარჯიშო.

მეორე წიგნაკი შეიცავს ხალხურ ლექსებს, მესამე და მეოთხე – წვრილ ამბებს, მეხუთე – გასართობებს. მეექვსე წიგნაკი წარმოადგენს, „პაწაწა მინერალოგიას“, მეშვიდე – „პაწაწა ბოტანიკას“, ხოლო მერვე – „პაწაწა ზოოლოგიას“.

წიგნაკები უხვადაა ილუსტრირებული იმხანად სახელგანთქმული მხატვარ-გრაფიკოსის გრ. ტატიშვილის მიერ.

ყოველ წიგნაკს მკითხველზე დადებითი და დამაინტერესებელი შთაბეჭდილების მოსახდენად გარეკანსა და სატიტულო გვერდზე წამძღვარებული აქვს, თითქოს საგანგებოდ დაწერილი, აკაკი წერეთლის ლექსის „ქართული ანბანი“-ს თითო ბგერისადმი მიძღვნილი სტროფი. მაგალითად, პირველ წიგნაკს, რომელსაც ჰქვია „ან“, ეპიგრაფად უძღვის:

„ყმაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს  
შენი სამშობლო ძალიან,  
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო,  
პირველი ასო არის „ა“.

ამ წიგნების მნიშვნელობა რომ სათანადოდ შევაფასოთ, უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ რას წარმოადგენდა იმ დროს ქართველი ბავშვებისათვის შედგენილი და გამოცემული წიგნების ფონდი. ამისათვის კი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საგამომცემლო მასალებში ჩავიხედოთ.

აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, ივ. როსტომაშვილისა და მის თანაავტორთა მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, ალ. ნათიძის „ბავშვების მოკეთე“ და არ. ქუთათელაძის „წყარო“. მაგრამ ამათგან

არც ერთი არ იყო განკუთვნილი სკოლისგარეშე საკითხავ წიგნად.

აღსანიშნავია, რომ მაშინ ყველა ავტორს სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში უხვად შეჰქონდა საბუნებისმეტყველო მასალა. ეს, შეიძლება ითქვას, ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი იყო. ამ მხრივ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პედაგოგები და სასკოლო წიგნების ავტორები რუსეთის დიდი პედაგოგის კ. დ. უშინსკის გზას მისდევდნენ.

1892 წელს ჟურნალი „მეურნე“ [122], თავის ფურცლებზე ათავსებს შემდეგ განცხადებას: „გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“, „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში „ახალი ანბანი“ ვლ. აღნიაშვილისა, თითო წიგნის ფასი 10 კაპ. (განცხადებას თან ერთვის ვლ. აღნიაშვილის განმარტება).

1892 წელს გამოიცა და ყველა ქართული წიგნის მაღაზიებში იყიდებოდა „ახალი ანბანის“ შემდეგი წიგნაკები:

1. „ან“, წერა-კითხვა – 39 გვ.
2. „ბან“, წვრილი ხალხური ლექსები – 32 გვ.
3. „გან“, წვრილი ხალხური ამბები – 32 გვ.
4. „დონ“, წვრილი ხალხური ამბებივე – 32 გვ.
5. „ენ“, გასართობი – 31 გვ.

1893 წ.

6. „ვინ“, პაწაწა მინერალოგია – 43 გვ.
7. „ხენ“, პაწაწა ბოტანიკა – 56 გვ.
8. „თან“, პაწაწა ზოოლოგია – 64 გვ.

ეს გამოცემები განიხილეს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, მათი კრიტიკა და ანალიზი ქვეყნდებოდა გაზეთ „კვალში“.

„პაწაწა მინერალოგია“ შეიცავს 43 გვერდს და შედგება შემდეგი თავებისაგან: სამი სამეფო; საიდან წარმოსდგა მიწა? ერთია ყველგან მიწა? როგორ შევიტყოთ? თიხა; შუშა; კირი; მადარო; მადანი; არამი არმად ჩაივლის.

პირველ თავში ავტორი განსაზღვრავს, თუ რა არის არაცოცხალი ბუნება, მცენარე და ცხოველი. ის ორიგინალურად იწყებს: „მე მაქვს ამ საათში ერთი პატარა ქვა, ერთი ძირი საამურად გადაშლილი ია და მყავს ერთი პატარა ჩიტუნია“. შემდეგ არკვევს თითოეულის ბუნებას და საბოლოოდ ასკვნის, რომ „მთელ ბუნებას შეადგენს სამი სამეფო: სამეფო ლითონთა, სამეფო მცენარეთა და სამეფო ცხოველთა“ (გვ. 3). ამის შემდეგ იგი ცდილობს გაარკვიოს ლითონთა სამეფოს ბუნება და მისი გამოყენების ფორმები.

მეორე თავს წამძღვარებული აქვს განმარტება: „ქვეყანაზედ დაუბოლოებელი და აუსრულებელი არა არის-რა. ქვა და რკინა რა არის. მაგრამ დრო და ხანისაგან ისიც-კი იშლება და მტვრად იქცევა“ (გვ. 11). ავტორი დაასკვნის, რომ მიწა წარმოშობილია პიტალო ქვის მთებისა და კლდეების დაშლის შედეგად.

თავში „ერთია ყველგან მიწა“? ავტორი გვაძლევს ნიადაგის მარტივ ანალიზს. იგი იღებს 100 მისხალ მიწას და მასზე ატარებს სხვადასხვა მანიპულაციებს. შემდეგ კი ადგენს, თუ რა ნაწილი რა წონითი ოდენობით შედის მასში.

შემდეგ მოცემულია თიხის ფიზიკური თვისებების დახასიათება. იმის ნათელსაყოფად, რომ ადამიანი არა მხოლოდ ეცნობა ბუნების საგნებსა და მოვლენებს, არამედ იყენებს კიდევ მათ, აღწერილია საწარმოები, რომლებიც ამზადებენ თიხის ჭურჭელს, აგურს, კრამიტს და სხვ.

თავი – „არამი არმად ჩაივლის“ ავტორს დასჭირდა იმისათვის, რომ წიგნაკი დაემთავრებინა სენტენციით. აქ ერთი მეტად ხელოვნურად შექმნილი ამბავია აღწერილი: მადაროს მუშას თხრის დროს მოხრდილი აღმასის თვალი უპოვია და გადაუმაღლავს. ეს ამბავი გაუნდვია თავისი მეგობრისათვის, რომელსაც მისთვის წაურთმევია ძვირფასი თვალი, ხოლო მუშა ზღვაში დაუხრჩვია. ამ ახალ მფლობელს ძვირფასი თვალი დიდ ფასად გაუყიდა, მიღებული თანხა კი მალე შემოხარჯვია. შემდეგ მას მოჰკონებია ძვირფასი

თვლის ნამდვილი მფლობელი, თავისი აკაცობა, გულზე ბოღმა შემოსწოლია და თავი ჩამოუხრჩვია.

ასეთი გულუბრყვილო სენტენციით მთავრდება ეს „პაწაწა მინერალოგია“, რაც იშვიათი არ იყო იმდროინდელი ავტორებისათვის.

„პაწაწა ბოტანიკა“ (სამეფო მცენარეულთა) შეიცავს 56 გვერდს. წიგნაკი უხვად არის ილუსტრირებული. მასში 61 კარგად ილუსტრირებული ნახატია.

წიგნაკში განხილულია შემდეგი საკითხები: მცენარის აგებულება: თესლი; რა საჭიროა მცენარისათვის ბიბილოები? (იგულისხმება ლებნები); ძირი; ღერი (ღერო); ხის წლოვანება; კვირტი; ფოთოლი; განა მცენარე სჭამს? ხორცის ჭამია; მუქთახორა ყვავილი; დედალ-მამალი ყვავილი; მოკეთე დედოფალა; უყვავილონი; ობი რა მცენარეა; განა მცენარეცა ჰგრძნობს რასმე?

ეს სათაურები მოწმობენ, რომ „პაწაწა ბოტანიკის“ სახით ჩვენ გვაქვს ბოტანიკის კურსის ის ნაწილი, რომელსაც ორგანოგრაფია ეწოდება.

ლ. აღნიაშვილის ამ წიგნაკს წითელ ზოლად გასდევს ერთი ზოგადმეთოდოლოგიური დებულება ბუნების ერთიანობის შესახებ, რომელსაც ეყრდნობა იგი ცალკეული საბუნებისმეტყველო ფაქტებისა და მოვლენების განხილვისას. მკვლევარი გვესაუბრება არაცოცხალი ბუნების მოვლენებზე, მცენარისა თუ ცხოველის სასიცოცხლო პირობებზე და ლოგიკურად აყაიბებს აზრს, იმის დასადასტურებლად, რომ ბუნებაში მოვლენები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

„პაწაწა ბოტანიკის“ იმ თავში, რომელსაც ეწოდება „მოკეთე დედოფალა“, ლ. აღნიაშვილი მოგვითხრობს, რომ დედოფალა მინდურის თავის მტერია, მინდურის თავი კი სპობს მიწაში გროვა-გროვა მცხოვრები კრაზანების კვერცხებს. კრაზანები თავისი გრძელი ხორთუმით სწვდებიან იონჯის ყვავილის ბუტკოს და ანაყოფიერებენ მას. ამრიგად, დედოფალა სარგებლობსაც იძლევა. „თავკებს რო ამაში ხელის შემშლელი არავინა ჰყავდეთ,

სუ სინსილას გაუქრობდნენ კრაზანა ჭიას. მაგრამ იმათი მოსისხლე მტერია დედოფალა: სადაც კი მოასწრებს ამ უსინდისო თავუნას, ქოქს უქრობს – ეტყობა, კარგად ესმის იმათი საქმეები. ამან რო თავგები არ გაწყვიტოს, კრაზანა ვედარ დაათესლებდა (დამტვერვა იგულისხმება) იონჯას და ეს ხომ დიდი დანაკლისი იქმნებოდა ჩვენი შინაური პირუტყვისათვის“ (გვ. 47).

როცა კითხულობთ ასეთი გულუბრველობით დაწერილ ამბავს „უსინდისო თავუნას“ შესახებ, ძალაუნებურად გაგონდებათ ბუნებისმეტყველების განვითარების ისტორიის ის ხანა, როდესაც დარვინის მოძღვრებაში მოცემულმა თეორიამ ბუნების ევოლუციური განვითარების შესახებ საზღვარი დაუდო მეტაფიზიკურ პერიოდს. ამ დროიდან იწყება და თანდათან ღრმავდება იმის ძიება, თუ რა გენეტიკური კავშირი არსებობს ცალკეულ მცენარეთა და ცალკეულ ცხოველთა შორის, ან როგორ არის განპირობებული მცენარისა თუ ცხოველის სასიცოცხლო პროცესები და ქცევის ფორმები სხვა ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლით. იმ დროს მიღებული იყო ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა იმგვარად წარმოდგენა, როგორც ეს დედოფალას ამბავშია მოთხრობილი. ასეთ ხერხს დარვინიც ხშირად მიმართავდა თავისი ღრმა ნაახრევის პოპულარიზაციისათვის.

ეს, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ საინტერესო ფაქტი მოწმობს, რომ ლ. აღნიაშვილი კარგად ერკვეოდა იმ საკითხებში, რომლებიც წამოიჭრა ბიოლოგიაში XIX საუკუნეში: ვგულისხმობთ მწვავე ბრძოლას, რომელიც მეტაფიზიკოსებსა და ევოლუციონისტებს შორის წარმოებდა.

როგორც ჩანს, ლ. აღნიაშვილის შეხედულებებში დამკვიდრებულია დამახასიათებელი მოწინავე იდეები ბიოლოგიისა, მაგრამ მათში ბევრი რამ მოძველებულია და მეცნიერებასთან შეუთავსებელი. მაგალითად, მისთვის უცხოა ის, რომ მცენარეთა და ცხოველთათვის იმ თვისებების



მიწერა, რაც ადამიანის სპეციფიკას შეადგენს, დაუშვებელია. ის ფითრის მაგალითზე არკვევს პარაზიტებისა და ნახევრად პარაზიტების საკითხს მცენარეთა სამეფოში და ასკენის: „მაგრამ მარტო ფითრი-კი არ გეგონოთ ამისთანა ცუდი ხასიათისა. ბევრი სხვაც არის ასეთი მუქთახორა: თუ არ მცენარეზე, მიწაში არ იხარებს“ (გვ. 30). ამგვარი ფაქტები მრავლად მოინახება მის წიგნაკებში.

საერთოდ, „პაწაწა ბოტანიკა“ იმ დროის მიხედვით შინაარსობრივად და მეთოდურად სწორად აანალიზებს მცენარის აგებულებასა და სასიცოცხლო პროცესების ცნებებს.

ცნობილია, რომ ბოტანიკაში ყველაზე რთული და ბავშვებისათვის ძნელად გასაგებია ნახშირორქანგის ასიმილაციის პროცესი, რაც მცენარის ფოთოლში წარმოებს და რასაც მცენარეთა ფიზიოლოგიაში ფოტოსინთეზი ეწოდება.

„პაწაწა ბოტანიკის“ თავში – „განა მცენარე სჭამს?“ – ლ. აღნიაშვილი ახლოს მიდის ამ პროცესის ბუნებასთან, მაგრამ, რა თქმა უნდა, გვერდს უვლის მეცნიერული ტერმინებით გამოსახულ ფიზიოლოგიურ პროცესებს და საკითხს მარტივად წყვეტს: „აქ ფოთოლში შემუშავება მიწიდან ამოწოვილი წვენი და შემუშავებული უბრუნდება ისევ მცენარეს. დაჰყვება თავქვე, მაგრამ წინანდელის გზით კი აღარ, ახლა ქერქს ჩამოჰყვება და ასახრდოებს ყოველივე ასოს მცენარისას. ამ წვენისაგან კეთდება შემდეგში ფესვები, ღერო, ტოტები, ფოთლები, კვირტები, კოკრები, ყვავილები და ნაყოფი“. ასე გამარტივებულად მოუთხრობს ავტორი ნორჩ მკითხველებს მცენარეში მიმდინარე სხვა სასიცოცხლო პროცესებზეც.

სხვაგვარად არის აგებული „პაწაწა ზოოლოგია“. წიგნაკი იხსნება სათაურით: „თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“. ამ სათაურით გადმოცემულია გაბაასება ცხენსა, ცხვარსა და ღორს შორის. თითოეული მათგანი თავის თავსა და მონათესავე ცხოველებზე ლაპარაკობს. ამ გაბაასებაში ვლინდება მათი დამახასიათებელი

ნიშნები. ბოლოს ირკვევა, რომ, მიუხედავად მათ შორის განსხვავებისა, ისინი მაინც მიეკუთვნებიან ერთ საგვარეულოს – ჩლიქოსნებს.

ამგვარად, წიგნაკის თავშივე მოცემულია სისტემატიკური ცნება „საგვარეულოზე“, რომელიც თანამედროვე „რაზმს“ შეესატყვისება. შემდეგ განხილულია კლანჭიანთა საგვარეულო, აღწერილია ამ საგვარეულოში შემავალი ცხოველები. განმარტავს, რომ ამ საგვარეულოში შედის ოთხი ნათესაობა: მტაცებელთა, მღრღნელთა, გუდოსანთა და კბილნაკლებთა. ამრიგად, ავტორს შემოაქვს მეორე სისტემატიკური ცნება „ნათესაობა“, რომელიც „საგვარეულოზე“ მომცრო ერთეულია.

უკანასკნელად ის განიხილავს „ფრჩხილიანთა“ საგვარეულოს (პავიანი, შიმპანზე, გორილა, ორანგ-უტანგი) და ასკენის, რომ ყველა ჩამოთვლილი საგვარეულოს ცხოველები ერთმანეთს ჰგვანან იმით, რომ შემოსილნი არიან ბაღნით. ყველანი აჩენენ ცოცხლად შეიღებებს, აწოვებენ ძუძუს. ამისათვის ეს სამივე საგვარეულო ჩაითვლება ერთი მოდგმის ცხოველებად და სახელიც ზედგამოჭრილი იქნება – „მოდგმა მაწოვართა ცხოველებისა“ (გვ. 30).

ამრიგად, ავტორმა შემოიტანა კიდევ ერთი სისტემატიკური ცნება – „მოდგმა“, რომელიც თანამედროვე „კლასის“ ცნებას შეესატყვისება.

შემდეგ განხილულია სხვადასხვა მოდგმის ცხოველები და ამნაირად იქმნება წარმოდგენა უმაღლეს სისტემატიკურ ერთეულზე – ტიპზე, თუმცა ეს ტერმინი ნახმარი არ არის. რაც შეეხება დაბალ სისტემატიკურ ერთეულებს (სახეობა, გვარი), მათ შესახებ ავტორი არაფერს ამბობს. წიგნაკი მთავრდება დასკვნით: „არის კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი ცხოველი, რომლებსაც არა აქვთ ხერხემალი, თავის ტვინი და წითელი სისხლი, მაგრამ ამათზე შემდეგ წიგნში მოვილაპარაკოთ“ (გვ. 62).

„პაწაწა ზოლოგია“ წარმოადგენს თავისებურად შედგენილ ხერხემლიანთა ზოლოგიის პროპედევტიკულ კურსს.

სამივე საბუნებისმეტყველო წიგნი დაწერილია განსაკუთრებული სიტბოთი და სიყვარულით. მხოლოდ ამ პირობით იყო შესაძლებელი, რომ ავტორს ერთ წელიწადში მოეფიქრებინა წიგნების შინაარსი, დაეწერა და ებრუნა მათ გამოცემაზე.

პრესამ მაღალი შეფასება მისცა ამ წიგნაკებს. იყო კრიტიკაც.

მოკლედ მიმოვიხილათ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებსაც ერთი ავტორი ჰყავს – მიხეილ ნასიძე (ფსევდონიმით „პაატა“). იგი არჩევს ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანის“ I-V წიგნაკს.

პირველ წერილში ავტორს მოჰყავს ბელინსკის სიტყვები, სადაც აღნიშნულია მისი დამოკიდებულება, შეფასების კრიტერიუმები საყმაწვილო წიგნების ავტორებისადმი. მოვიყვანო ციტატას [224, 1-2]: „ძნელია, ძალიან ძნელია საყმაწვილო წიგნების წერა! არც საკვირველია, უნდა დაიბადოს კაცი საყმაწვილო მწერლად... ამისათვის საჭიროა არა ტალანტი მხოლოდ, არამედ თვით გენიოსობა... კაცს, რათა შეეძლოს საყმაწვილო ავტორობა, უნდა ედგას სული კეთილის მყოფელი, მოყვარე, მშვიდი, უმანკო, ჰქონდეს გონება განათლებული, განსწავლული, შეხედულება საგნებზეც ნათელი... პოეტური ფანტაზია, რომელსაც შეუძლიან ყოველივე ცხოველ სურათებად წარმოადგინოს. საჭიროა აგრეთვე სიყვარული ყმაწვილებისა, ხედ-მიწევილი ცოდნა მათი მოთხოვნებისა, მათის თავისებურობისა“ (ბელინსკი, ტ. III. გვ. 513).

ეს შეფასება, ჩვენნი აზრით, ზუსტად მიესადაგება ლადო აღნიაშვილის ნიჭსა და პიროვნულ თვისებებს. სწორედ ასეთი იყო იგი.

განაგრძობს რა წინა წერილს, მომდევნო ნომერში [225, 1-2] „პაატა“ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ოჯახში საკითხავ „ახალ ანბანს“. კერძოდ, მიუთითებს მის

ნაკლოვანებებზე: ანბანის შესწავლისას აღნიაშვილი არ ადგას ტრადიციულ გზას და თავისებურად აწყობს რიგზე ასოებს (არც ფონეტიკურ, არც გრაფიკულ ხერხებს არ მიმართავს) აი, ეს თანმიმდევრობა:

ი	ა	თ	ხ	ე	ო	კ	ს	ჰ	უ										
1	2	3	4	5	6	7	8	9	10										
ფ	რ	ძ	მ	შ	ღ	ღ	ლ	ზ	ნ										
11	12	13	14	15	16	17	18	19	20										
ჩ	ჰ	ც	ყ	ტ	ბ		ჭ	წ											
21	22	23	24	25	26	27	28	29											
ბ	ჯ	ქ	ჰ																
30	31	32	33																

„პაატას“ აზრით, ლაღო აღნიაშვილი „არღვევს სწავლებლაში რიგს და წესს, რაც სწავლებლაში ქვაკუთხედი“.

შემდეგ „პაატა“ აღნიშნავს, რომ ყველა დიდ სიძნელეს ანბანის სწავლებისას „შეადგენს ასოთა შეერთება, ერთად წაკითხვა, აქ საჭიროა თანდათანობა, ნელ-ნელა შეაჩვიოს ყრმა კითხვას, აურჩიოს ჯერ ადვილი ასოები, მერე ძნელი. ჯერ უნდა შეაჩვიოს ბავშვი უხმო ასოთა შეერთებას, მერე ერთი ხმოვანი ასო ჩაუმატოთ, მერე – ორი და სხვ. ამ მხრივაც „პაატა“ ნაკლს ნახულობს „ახალ ანბანში“: მეხუთე გაკვეთილშივე აღნიაშვილს მოუყვალებია ორ-ორი უხმო ასო „ოთხი“.

წერილის ავტორს არ მოსწონს აგრეთვე, რომ „ბატონი აღნიაშვილი არა თუ სწერს ასოებს, არამედ პხატავს კიდევც... ჯერ სწორე ხაზებით, მერე სწერს“. იგი აღნიშნავს, რომ „ქართული ასოს ბუნება არ ითვისებს სწორი ხაზებით წერას, ქართული წერა მრგვალია“. ეს კრიტიკა შეეხებოდა „ახალი ანბანის“ პირველ წიგნს.

მომდევნო, მესამე წერილში, განაგრძობს რა კრიტიკას, „პაატა“ აღნიშნავს, რომ საჭიროა „ახალი ანბანის“ სტატიებს შორის კავშირი, თანამიმდევრობა [225, 1-2].

თავის მეოთხე წერილში „პაატა“ პედაგოგიურ შეცდომად მიიჩნევს სახალხო ლექსებში („საბრალო დედაბერი“, „სანთლის გუთანს ავაშენებ“) ეშმაკების, ჭინკების, დევებისა და სხვა არარსებული საგნების ხსენებას, რადგან, მისი აზრით, ამ არარსებული საგნების ხსენებაც, ცრურწმენას უღვივებს ბავშვებს. არც სახალხო გამოცანები და რებუსები მოსწონს „პაატას“ [225... 1-2].

„პაატას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ცნობილი პედაგოგის მიხეილ ნასიძის ზემოაღნიშნული წერილების საერთო ხასიათი, მათი ტონი, მიზანი ის კი არ არის, რომ დაეხმაროს ავტორს, არამედ ის, რომ, „რადაც არ უნდა დაუჯდეს, გააგდებინოს ხელიდან კალამი“ აღნიაშვილს. მაგრამ ვერ გაითვალისწინა „პაატამ“, რომ ღადო მას არ აპატიებდა დამამცირებელ, ცინიკურ ტონს. ღადო აღნიაშვილს არ შეეძლო უპასუხოდ დაეტოვებინა ეს პუბლიკაციები. ღადო აღნიაშვილის წერილი „პასუხად ქაჩალ კრიტიკოსს, ბ. „პაატას“ და ორი კითხვა „ივერიის“ რედაქციისადმი“, რომელიც დათარიღებულია ავტორის მიერ 1893 წლის 5 მაისით და ნებადართულია ცენზურით, გამოქვეყნდა ამავე წლის 10 მაისს.

საპასუხო წერილში ღადო აღნიაშვილი საკადრის პასუხს აძლევს „უაზრო“ ფსევდონიმის ავტორს, რომელიც „კაცს შეუძლიან დღეში ათჯერ გამოიცვალოს“... წერილში აღნიშნულია, რომ ღადო აღნიაშვილი არ დაუშვებს მისი გვარის შებღალტვას, რომელიც „მისმა პატრონმა უნდა ატაროს მთელს თავის სიცოცხლეში“.

წერილის ეპიგრაფში ღადო აღნიაშვილი აღარებს „პაატას“ ავ დედამთილს, შემდეგ კი მოჰყავს დისტერვეგის სიტყვები: „С какою глубокою скорбью мы должны сознаться, что люди не стыдятся утверждать что угодно, что в отношении своих доказательств они потеряли всякую совесть“.

ღადო აღნიაშვილი კარგად იცნობდა მიხეილ ნასიძეს და მის „ქრესტომათიას“, ამიტომ მისი ვინაობაც კარგად იცოდა.

საპასუხო წერილში, რომელიც 99 გვერდს შეიცავს, ლადო აღნიაშვილი მიმოიხილავს მ. ნასიძის „ქრესტომათიას“, სადაც უამრავ შეცდომაზე მიუთითებს ავტორს და აღნიშნავს, რომ მის კრიტიკოსს სურს თავისი ცოდვები აღნიაშვილს გადმოაბრალოს. „გადაფურცლეთ მიხეილ ნასიძის ქრესტომათიის თუნდა I განყოფილება, თუ ერთიც არის შეგხვდეთ სადმე ამბავი ჩვენის ცხოვრებიდან, ჩვენი ერის ნაწარმოები. სამაგიეროდ განიხილეთ სამივე ჩვენი წიგნაკი, სადაც კი მოთავსებულია ლექსები და ამბები... მთლად ხალხურია, მთელი ეს მასალა **პირველად** იბეჭდება. ჩვენ ვადირსეთ მათ მზის თვალი (იგულისხმება ხალხური ლექსები და ამბები). აქვე ლადო აღნიაშვილს მოჰყავს რამდენიმე გამოცანა, ხალხში მოძიებული, რათა თვით მკითხველმა განსაჯოს მისი სიმართლე, უზიარებს მას, თუ როგორ შეიქმნა „ჭკვიანი მონადირე“: თურმე, ეს პატარა ამბავი გავონილი და ჩაწერილი ჰქონია პირველად დეკანოზ ჯიჯავაძისაგან სოფელ ნათლულში; ოთხი ამბავი ამოღებულია თ. რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური ანდაზებიდან, დანარჩენი კი საკუთარი ყურით გაუგონია და თავადვე ჩაუწერია. ლადო აღნიაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს: „წიგნმა, რომელიც პირველად ჩაუვარდება ხელში ყმაწვილს, ყოველივე მხრივ უნდა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს და ღრმა ნაკვალევი დასტოვოს მის გონებაში“. ამის დასტურად მას მოჰყავს ერთი ადგილი მირიპოლსკის მეთოდრიკიდან: „Наконецъ, слѣдую Кригеру, не лишнимъ считаемъ остановиться и на внѣшней сторонѣ книги для чтенія, ..., книга для чтенія должна быть издана мало того-что и опрятно, но даже изящно: бумага должна быть плотная, бѣлая, печать чѣткая, крупная; картинки, — необходимая принадлежность такихъ книгъ, должны быть и задуманы, и выполнены мастерски. Нужно помнить, что это первая книга...“ (курсив авторский)“.

აღსანიშნავია, რომ ლადო აღნიაშვილის მიერ „ივერიის“ რედაქციისადმი მიწერილ წერილში ნათლად ჩანს პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის აზროვნების ისტორიის

კარგი ცოდნა. იგი ეპაექრება „პაატას“ ამ საკითხებშიც. აღნიაშვილი წერს, რომ თუმცა „პაატას“ თავიდან ბოლომდე გადაუფურცლავს უშინსკის პედაგოგიური თხზულებანი, და ბელინსკის მე-III და X ტომები (შვიდჯერ მოიხსენიებს მას), არ ძალუძს სრულად შეაფასოს „ახალი ანბანი“, რადგან ამას ბევრი მიზეზი აქვს, რაზეც გამახვილებულია ყურადღება თვით სტატიაში.

ლადო აღნიაშვილი გულწრფელად უზიარებს მკითხველს თავის გულისტკივილს: „დღეს მთელი კაცობრიობის საგნად შექმნილა აღზრდა ახალ თაობისა. ყოველი ერი, ყოველი საზოგადოება იღვწის მხოლოდ ამისათვის და ამისგან გამოელის თავის კეთილდღეობას. ტყუილად კი არ ეძახიან აღზრდას სარკეს მომავლისას. მასში შეიძლება ამოიკითხოს ერმა თავისი ბედი და უბედობა, თავისი მერმისი... არც ერთი შეგნებული ხალხი არ იშურებს არავითარ ხარჯსა და შრომას, ოღონდაც კი წესიერ გზაზე დააყენოს ჩვენში აღზრდა შთამომავლობისაო... იქ, იმ შეგნებულ ხალხში დღითი დღე წარმატებაშია საქმე აღზრდისა და სწავლისა; სავალდებულოა იმათში პირველდაწყებითი სწავლა; აქვთ აგრეთვე მდიდარი საყმაწვილო ლიტერატურა, ... ჩვენ? არ გვაქვს... საკუთარი სკოლები საზოგადოდ, არც სახალხო სკოლები კერძოდ, არც პირველდაწყებითი სავალდებულო სწავლა..., არც საყმაწვილო ლიტერატურა, არა გვაქვს არავითარი ცოდნა, არა გვაქვს სურვილი მისი შექმნისა, არა გვაქვს სიყვარული კითხვისა, ერთის სიტყვით, არა გვაქვს ხშირად უბრალო ცნობის მოყვარეობაც-კი... (გვ. 9). ინტელიგენცია გამრავლდა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ შემგონებელი, ხალხის შესაფერი ინტელიგენცია, არა გვყავს. თქვენ იქნება ყველა მასწავლებელი პედაგოგი გგონიათ? ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. კუსაც-კი აქვს ოთხი ფეხი, მაგრამ ნახირში არავის გაურევია. „რომ იქმნეს კაცი პედაგოგი, პედაგოგადვე უნდა იყოს დაბადებული“-ო, – გვიწერს დისტერვეგი. ამისთანა მასწავლებელს გულის ფიცარზედ უწერია სწავლის წესები და ვერ ამჩნევს ამას თვითონაც-კი, როდესაც სარგებლობს. ის ასწავლის ისე,

როგორც ამხილებს მას შინაგანი ხმა, ხმა ბუნებისა და მის სწავლებაში გამოისმის სიმშვენიერე გარმონიისა“. ესენი არიან პირველი რიგობის მასწავლებლები, რიცხვით ძალიან მცირენი. ამათ მისდევენ მეორე და მესამე რიგობისანი და „უკანასკნელად – უსულგულო, მანქანა მასწავლებელნი. ესენი არაფერს ასწავლიან გარდა ცარიელი სიტყვებისა... სწორედ ასეთი მასწავლებელნი აფასებენ ძვირად თავის მოღვაწეობას, რადგან იციან ხერხი, შეუძლიათ კაი პირზე გამოჰფინონ ყოველივე თავისი ნაკეთობანი...“, – ამბობს იგივე შესანიშნავი პედაგოგი.

...დიდი განსხვავებაა მასწავლებელთა შორის, – განაგრძობს ლალო აღნიაშვილი, – ყველა მათგანი არ არის ღირსი ატაროს სახელწოდება არა თუ პედაგოგისა, არამედ, უბრალო მასწავლებლისაცა: ჩვენ ქართველობასა გყავს-მეთქი ბევრი, ძალიან ბევრი ამ გვარი უღირსი და სრულიად მოუშადებელი მასწავლებლობა“... შემდეგ ლალო აღნიაშვილი აყენებს სკოლების პრობლემას და აღნიშნავს, რომ „აქამდის იყო საერო განათლების სკოლები ყველა სოფელში, ამას მიემატა კიდევ სასულიერო წოდების სკოლებიც“.

ეს სკოლები, – ლევ ტოლსტოის სიტყვებით, – იმართება ესე იმისათვის, რა მიზანი, უზენაესით (მართველობის მიერ) დაწესებული სკოლებისა მდგომარეობს მომეტებულ ნაწილად არა იმაში, რომ განანათლოს ხალხი, არამედ განანათლოს იგი ჩვენის მეთოდით, – რომ უმთავრესად იყოს სკოლა ბევრი... სკოლა არსდება არა ისე, რომ ყმაწვილებს ეხერხებოდეთ სწავლა, არამედ ისე, რომ მასწავლებელთ ემარჯვებოდეთ სწავლება“ (გვ. 17)<sup>14</sup>.

აღნიაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმდროინდელ მოსწავლეთა სულიერ და ფსიქოლოგიურ გუნება-განწყობილებაზე სწავლის მიმართ. და აგრძელებს ლევ ტოლსტოის აზრს: „თქვენა ხედავთ დატანჯულს, დაბუზულ

---

14 Сочинения графа Л. Н. Толстого. Ч. Н. Педагогические статьи; стр. 14.  
(აღნიაშვილის სტატიიდან)



არსებას გამომეტყველებით მოქანცულს, მშიშარასა და მობეზრებულს, ...არსებას, რომლის სული, ვით ლოკოკინა, შემძვრალა და დამალულა თავის ბუდეში“-ო, – ამბობს იგივე ავტორი იმავე ადგილას... „დაუფიქრდი, რას აძლევს ეს სკოლა ჩვენს ყმაწვილს? რა ადამიანია ამ სკოლიდან გამოსული ბავშვი?“ – უსვამს კითხვას ლადო აღნიაშვილი ბ. „პაატას“ და მიუთითებს ამასთან, რომ წყურვილს სწავლისადმი მუდამყამს იჩენს ჩვენი ხალხი, რომელიც უსწავლელად ვერ გასძღებს, როგორც უპაეროდ და ეს მისწრაფება სწავლისადმი განსაკუთრებულია...

„...რა გაუკეთებია ინტელიგენციას ხალხისათვის? გადავავლოთ თვალი თუნდა მარტო ჩვენ საყმაწვილო წიგნებს – სასწავლო გამოცემა იყოს იგი თუ სალიტერატურო, სულ ერთია: ეს ახპატელოვისა, ეს მდივანოვისა, ესეც ბ. მიხეილ ნასიძისა. ეს ახალ-ახალი გამოცემა „ყარამანიანისა“, ესეც „ქუჩუკ ყარამანიანისა“ და სხვა ათასი ამ გვარი... რა სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ ამ, ზემო ჩამოთვლილ წიგნებს? ამათ უნდა შეაყვარონ ყმაწვილს კითხვა, მეცნიერება, სამშობლო ისტორია, სამშობლო მხარე, სამშობლო ენა, სამშობლო ლიტერატურა; ამათ უნდა აღუზარდონ მას ზნე და ხასიათი, გული?“ – აღშფოთებით აღნიშნავს ლადო აღნიაშვილი (გვ. 19). შემდეგ იგი იმოწმებს მიხ. ნასიძის ქრესტომათიიდან ერთ მაგალითს, ვითომ ჭკუის მასწავლებელს, რომელსაც ეწოდება „ფული ვინ მისცეს!“ და დაასკვნის: „რა უნდა ისწავლოს აქედან ყმაწვილმა? სხვის ხარჯზედ ირჩინოს თავი, – ქურდობა ერქმევა ამას სახელად, ცარცვა-გლეჯა თუ სულის სიმდაბლე და არა უბრალო რამ მახვილობა, ეს სულ ერთია ავტორისათვის. რომ ავტორი თანაუგრძნობს ამ სწავლასა (მიმდევარია თუ არა, მაგისი-კი რა მოგახსენოთ), ამას ამტკიცებს „მთელი მისი ნაშრომ-ნადვაწი ქრესტომათია, რომელშიაც ბლომად არის გაბნეული ამგვარი მარგალიტები – „სოფლელი და ჩარჩი“ (გვ. 5), „ქურდი და ხელოსანი“ (გვ. 41), „გლეხი, კაცი და ვაჭარი“ (გვ. 39) და სხვ. განიხილავს რა უკანასკნელს, ლადო აღნიაშვილი ასეთ კომენტარს უკეთებს მას:

„გლეს კაცს თავშივე არ უნდა ეთქვა: „თუ ვაჭარი არ მოვატყუე, თავი ცოცხალი რაღად მინდაო“. ვინ მოსთვლის იმ სისაძაგლეებს, რაც ბ. მის. ნასიძეს მოუგროვებია და ქრესტომათიის სახელწოდებით დაუბეჭდია“. ლაღო აღნიაშილი აქვე უწოდებს მის. ნასიძეს „ყოყლოჩინა“ ავტორს, ამგვარ ავტორებს და მათ ქრესტომათიებს კი – „ბინძურს“ (გვ. 25).

ამის შემდეგ იგი გადადის თავისი „ახალი ანბანის“ განმარტებაზე და აღნიშნავს, რომ ჩაფიქრებული აქვს მისი 33 პატარ-პატარა წიგნაკად გამოცემა. სახელად წიგნებს ერქმევა ქართული ასოების სახელები: „ან“, „ბან“, „გან“, ე. ი. წერილის ავტორი „აღუთქვამს ქართველ ყმაწვილებს ერთ წიგნს, რომელიც შეიცავს წერა-კითხვას, წვრილ-წვრილ ლექსებს, პატარ-პატარა ამბებს, პირველ-დაწყებით ცოდნას ყოველგვარ მეცნიერებისას... ამ წიგნს „ახალი ანბანი“ დავარქვით, ე. ი. ანბანი ცოდნისა, ანბანი მეცნიერებისა,“ და აქვს შენიშნავს, რომ ამ სახელმძღვანელოს გამართლებას შემდეგში გამოცდილება დაანახებს და იშველიებს კ. დ. უშინსკის სიტყვებს: „კაი სახელმძღვანელო დამოკიდებულია მომეტებულიად გამოცდილებაზედ და გამოცდილებავე დაგვანახებს, მოუტანს თუ არა ეს წიგნი პირველდაწყებით სწავლებას იმ სარგებლობას, რისაც იმედი მქონდა“ (გვ. 29)<sup>15\*</sup>.

როცა ამას წერდა, ლაღო აღნიაშილს უკვე გამოცემული ჰქონდა 5 წიგნაკი, რომლებსაც აკრიტიკებდა ბ. „პაატა“. ეს გამოცემები გაარჩიეს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე [224, 225], კრიტიკა და ანალიზი ქვეყნდებოდა გაზეთ „კვალში“ [253, 254, 255].

რაზე ედავებოდა ბ. „პაატა“ ლაღო აღნიაშილს?

1. რიგი ასოების შესწავლა.

როგორც „ახალი ანბანის“ ავტორი წერს, „პაატას“ პირდაპირ გადმოუთარგმნია ადგილები სოლონინის მეთოდოკითვან და მიუთითებს რამდენიმე ზას წერა-კითხვის შესწავლისათვის. მაგრამ იგი (აღნიაშილი) არ ადგას არც

15 Собр. пед. сочинений Ушинского, стр. 601.

ერთ გზას, „პედაგოგის მიერ შეწყნარებულსაო“, რაზედაც ლადო აღნიაშვილი პასუხობს: ბ. „პაატას“ იმდენივე გაეგება სწავლებისა, რამდენიც მას ჩინური ენისა, იგი „ხამია სრულებით ამ საქმისა“.

„პაატა“ მიუთითებს სამ გზას წერა-კითხვის შესწავლისათვის: ფონეტიკურს, გრაფიკულს და შერეულს. ფონეტიკური გზა აღნიაშვილმა სრულიად უარყო. მან აღნიშნა, რომ მისთვის „ყველაზე დიდი ავტორიტეტი პედაგოგიკაში არის იოჰან-გენრიხ პესტალოცი“ და მოჰყავს მისი მოსაზრება: „ყოველივე ოჯახში მოვალეა თითონ დედა მიუჯდეს თავისი შვილის აკვანს და შიგ აკვანში ჩასძახოდეს ენა ამოუდგმელ ბავშვს, რომ, ის ხმები, ვიდრე ბავშვი მათს გამოთქმას მოახერხებდეს, უკვე ღრმად ჩაუნერგოს მას გონებაში... რაკი ყმაწვილმა ამოიღვა ენა, უნდა ყოველ დღე ამეორებინო ეს საცალკეო ხმები. შემდეგ ამას უნდა მოჰყვეს ვარჯიშობა (მარცვლებისა) ჩათვლისა. რომ გაეადვილებინა, პესტალოციმ შეადგინა განსაკუთრებით ამისათვის „წიგნი მარცვალთა“, ამას მოაყოლა მეორე წიგნი „წიგნი მშობელთათვის“, სადაც ჩამოთვლილი იყო სახელწოდებანი ყველა უმთავრესი საგნისა, ბუნებიდგან იქმნებოდა ეს საგანი, ისტორიიდგან, გეოგრაფიიდგან, კაცთა ხელობიდგან თუ სხვა. ამას მოსდევდა შემდეგ სია ცალკე სახელებისა და ყოველივე ამას ეწოდებოდა ენის შესწავლა“.

ლ. აღნიაშვილი წერს, რომ „დღემდე არ არის სათანადოდ დაფასებული პესტალოციცის აზრები, თუმცა, არ ასცდა მას „ზოგიერთი „ნემენცების“ კრიტიკა“.

„ეს ფონეტიკური წესი დღეს ისტორიას ეკუთვნის და კრუვის, ოლივიეს, შტოლცის მეთოდი მოძველებულია“, – დაასკვნის იგი.

ლადო აღნიაშვილი, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა დაწყებითი განათლების მეთოდიკის ცნობილ მეცნიერთა შრომებს და თავისი აზრების დასადასტურებლად უხვად იყენებს მათ გამონათქვამებს. იგი აღნიშნავს, მაგალითად, რომ ფონეტიკური მეთოდის დადებითი მხარე ის არის, რომ

იგი მოითხოვს: „ასწავლო ჯერ ის ხმები, რომლებიც არიან უფრო ცხადი, მკაფიო და ადვილი გამოსათქმელნი, შემდეგ ცოტა ხმის გაგრძელებით წარმოითქმებიან“. ამასთან, იგი მოიხსენიებს ბ. მიროპოლსკის და ელნიცკის მეთოდებს.

„მიზანი დღევანდელი სახმო მეთოდისა, აი, როგორია: შეაგნებინე ყმაწვილს, რომ ჩვენი, კაცთა ლაპარაკი შესდგება საცალკეო ლექსთაგან და ყოველი ლექსი (სიტყვა) ცალკე მარცვალთაგან, ხოლო ყოველი მარცვალი ცალ-ცალკე ხმათაგან. მთელი სიბრძნე ამ მეთოდისა მდგომარეობს სწორედ ამაში. ამისათვისა ჰქვიან თვით მეთოდს - „მეთოდი თვალსაჩინო წერა-კითხვისა“. შეიძლება ამოვირჩიოთ ისეთი რიგი ასოების სწავლებისა, რომ წერისათვის მკაცრად იქნეს დაცული თანდისთანობა ადვილიდგან ძნელზედ გადასვლაში და იმავე დროს კითხვასაც არ აბრკოლებდეს...

...ჩვენ გვაქვს ერთი სისტემა – გრაფიკული“.

ბ. „პაატას“ და მკითხველის ყურადღებას ლაღო აღნიაშივლი დაწვრილებით შეაჩერებს ასოთა წყობის მისეულ სისტემაზე და განმარტავს გრაფიკული მეთოდის არსს: „შეასწავლე ჯერ ისეთი ასოები, რომლებიც თავის თავად ელემენტს ემსგავსებიან და მერე მათგან წარმოებულნი ანუ რთულნი და არამც და არამც წარმოებული ასო არ ასწავლო მაწარმოებელზედ ადრე“.

ვლადიმერ აღნიაშივლი მიუთითებს ბ. „პაატას“, რომ „პედაგოგისა ერთი წაკითხვა როდი კმარა. უნდა ათჯერ წაიკითხო, სხვათა ავტორებს შეუდარო, შემდეგ შენი ტვინის სამაჯავში გაატარო, მერე საქმით გამოსცადო და მხოლოდ მაშინ შეგიძლიან თქმა“.

2. დიდ შეცდომად უთვლის ბ. „პაატა“ ვლადიმერ აღნიაშივლის უსისტემაობას“.

ლაღო აღნიაშივლის ამ წერილის მესამე თავში იგი ამახვილებს ყურადღებას „ახალი ანბანის“ მეხუთე წიგნზე, რომელსაც ეწოდება „გასართობი“ და მასში მოთავსებული მასალა კი იწვევს ყმაწვილის მიერ დაკვირვებას, ყურადღებას, მოსაზრებას, მსჯელობასა და თვითმოქმედებას.

ლადო აღნიაშვილი სთხოვს ბ. „პაატას“, დააცადოს, ბოლომდე მიიყვანოს დაწვებული საქმე. „იქნებ ჩვენ თვითონ მოვახერხოთ „опыт методики домашнего обучения родному языку“.

3. უკანასკნელი დიდი შენიშვნა, რომელსაც ბ. „პაატა“ აძლევს ლ. აღნიაშვილს, შეეხება თვით მასალის უვარგისობას. ლაპარაკია იმ სახალისო რებუსებზე, რომლებიც ლ. აღნიაშვილის აზრით, „გამოიწვევს პატარა მოსწავლის დაკვირვებას და თვითმოქმედებას. ყველგან იბეჭდება ესეთი მასალა და დიდის სიამოვნებითაც ეტანებიან მას ბავშვები. ამასვე ამტკიცებს დღევანდელი „ჯეჯილი“ და აწ განსვენებული „ნობათი“.

ლ. აღნიაშვილს მოჰყავს 1892 წ. პეტერბურგში გამოცემული წიგნი „Наглядная азбука для обучения и самообучения грамоте по наглядно-звуковому способу“, რომელშიც უხვადაა სავარჯიშოები, 118 გამოცანა, 127 ანდაზა, 20 ენის გასატეხი, 111 ამოცანა, 65 რებუსი საწერად სიტყვების გადაბმის საშუალებით დასურათებული ამოცანით, სათაურით: „бывает ли так?“ и „может ли это быть?“ მისი ავტორიც კი არავენ იცოდა, სანამ არ იქმნა მოწონებული თითქმის ყველა მეთოდისგან, როგორც სასარგებლო და კარგი პირველ დაწვებითი წიგნი თავისის ანბანით (საუბარია პეტერბურგში გამოცემულ ანბანზე).

VI თავში ლ. აღნიაშვილი მიმართავს თვით „ივერის“ რედაქციას და სთხოვს პასუხი უბოძოს ორ კითხვაზე:

1. სცნობს თუ არა პატივცემული რედაქცია უსარგებლოდ მის წიგნებს, გამოცემულებსა და გამოუცემულებს?

2. რა ცოდვა ჩაიდინა ისეთი აღნიაშვილმა... ამ პატარა-პატარა წიგნების გამოცემით?

ბოლოს კი დასძენს: „იმასაც (პედაგოგიკასაო) სპეციალური შესწავლა უნდა და ყველა მუნჯი და მახინჯი იმას არ უნდა წაეპოტინოსო“...

ეს ზემოაღნიშნული პასუხი ლადო აღნიაშვილისა შეიცავს 99 გვერდს. იგი ნათელსა ჰყვენს მის პედაგოგიკურ

შეხედულებებს, მკვეთრად ამჟღავნებს მძაფრი პოლემისტის ღრმა განსწავლულობას, პედაგოგიკისა და მეთოდის ისტორიის საკითხების საფუძვლიან ცოდნასა და ანალიზის უნარს, პრინციპულობას...

ყურადღებას იმსახურებს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებული რეცენზიები „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“ „ბუნების მეტყველების მოყვარულის“ ხელმოწერით, სადაც გარჩეულია აღნიაშვილის „ახალი ანბანის“, წიგნი – VI – „პაწაწა მინეროლოგია“, წიგნი – VII – „პაწაწა ბოტანიკა“, წიგნი – VIII – „პაწაწა ზოოლოგია“ [253, 254, 255].

პირველსავე წერილში „ბუნების მეტყველების მოყვარული“ მიუთითებს, რომ „პირველი ხუთი წიგნაკი გაარჩიეს ამ წლის „ივერიის“ ფურცლებზე [224, 225]: „ჩვენ აღარ შევუდგებით ამათ ხელმეორედ გარჩევას“, – აღნიშნავს წერილების ავტორი. იგი წერს, რომ „ბავშვები დიდი ხალისითა კითხულობენ და მეტადრე ხალხური ამბები ძლიერ მოსწონთ. ნახატებიც, რასაკვირველია, ბავშვს მეტს ხალისს უღვიძებს. აქედან სჩანს, რომ მოთხოვნილება საყმაწვილო წიგნებისა ძლიერ დიდია და ჩვენი საყმაწვილო საკითხავი წიგნების სიღარიბე ყველასათვის ცხადი...

ავტორი წელს შეეხო ბუნების მეტყველებას და გამოსცა სამი ნახატებიანი წიგნაკი..., რომლებითაც ბ-ნ აღნიაშვილს განუზრახავს გააცნოს ბუნების სამივე სამეფო ყმაწვილებს. თქმა არ უნდა, რომ პატივცემულ ავტორს მშვენიერი აზრი მოსვლია და სანატრელიც იყო ღირსეულად აესრულებინა ეს თავისი პატიოსანი განზრახვა. ამასაც ვიტყვით, რომ ბ-ნ აღნიაშვილს ძალიან სამძიმო საქმისათვის მოუკიდებია ხელი, რადგან ქართულ ენაზედ სამეცნიერო ლიტერატურა, ტერმინების უქონლობის გამო, ჯერ ვერ არის შემუშავებული, ამიტომაც... დიდი გაბედულობაა, რომ ქართულ ენაზე შეადგინოს და გამოსცეს კაცმა ბოტანიკა, ზოოლოგია, მინერალოგია და ისიც ბავშვებისათვის გასაგებათ.

ჩვენში არამც თუ ბავშვებში, მათ მშობლებშიაც კი ძლიერ ცოტათაა გავრცელებული ბუნების მეტყველება...

ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ ამისთანა მშობლები უფრო ბევრია ჩვენში, რომლების ყურსაც სრულებით ეჩითირება ეს ახალი უცნაური ტერმინები...

ამ პირობებში მყოფი მწერალი ნეტა რა მეცნიერი უნდა იყოს და რა ენა სიტყვის პატრონი, რომ ადვილ, გასაგებ ენით წაახალისოს ჩვენი მოზარდი თაობა და აღუძრას მათ სურვილი გარემოცულის ბუნების გაცნობისა? ამგვარი მწერალი რუსებს მხოლოდ პროფესორი ბოლდანოვი ჰყავდათ და ჩვენ კი, ვიდრე ამ გვარი კაცები გამოგვიჩნდებიან, მეტი რა გზაა, რუსულ წიგნებიდან უნდა ამოვკრიფოთ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მასალა. ჯერ დედა აზრი შევიგნოთ და მერე ქართულს ნიადაგზე გადმოვრგათ. რა ძნელი ყოფილა ეს ხელობა, ბ-ნი აღნიაშვილის „პაწაწა მინეროლოგიიდან“ შევიტყობთ... სტატიები არ არიან ურიგოდ შედგენილნი და ბევრი რამ საინტერესო ცნობებიც არის არამც თუ ბავშვებისათვის, მათ მშობლებისთვისაც“... [253, 254, 255].

ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანის“ გამოცემაში და გაგრცელებაში ლაღო აღნიაშვილს დიდ დახმარებას უწევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია, გარდა ზემოხსენებული დოკუმენტებისა, რამდენიმე საქმე. ყურადღებას შევაჩერებ ორ მათგანზე: ერთ-ერთ საქმეში ინახება ლაღო აღნიაშვილის მოხსენება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„...რადგანაც ამ ჩემი „ახალი ანბანის“ ბეჭდვაზე ისეთი დიდი ხარჯი მომივიდა, რომ გაიყიდოს მთელი ეს გამოცემა (1200 ცალი), მით მაინც ვერ ააყენებს დანახარჯებს... და რადგან შემდეგი წიგნების დასაბეჭდავად ასეთივე, თუ არა მეტი, ხარჯია მოსალოდნელი, ამისათვის გაკადნიერდები და უმორჩილესის თხოვნით მოგმართავთ კომიტეტს... შეისყიდოს თავისი მაღაზიისათვის 200-200 ცალი თითო წიგნაკისა 20% დაკლებით და მით შემდეგი წიგნების დასაბეჭდავად აღმომიჩინოს მეც შემწეობა, როგორც არა ერთ გზის... გაუმართავს მას ხელი ყოველივე კერძო

გამომცემლობისათვის. წარმოუდგენ ამასთანავე ექვს-ექვს ცალს თითო წიგნაკისას ბიბლიოთეკისა და საკუთარი სკოლებისათვის.

ვლადიმერ აღნიაშვილი,  
თბილისი, 23 აპრილი, 1892 წ. [313].

როგორც ამ განცხადებიდან ჩანს, ავტორობის გზაზე ხშირად უჭირდა ლადო აღნიაშვილს და უფრო მეტი მატერიალური დახმარება რომ ჰქონოდა, ალბად, შესძლებდა „ახალი ანბანის“ ყველა წიგნაკის გამოცემას თავის დროზე (33 წიგნაკად). სამწუხაროდ, მან მხოლოდ 8 წიგნაკის გამოცემა მოახერხა. ეს სიდუხჭირე მას ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა. ამის დამადასტურებლად მოვიყვანო კიდევ ერთ საბუთს: „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კომიტეტს 1904 წ. 15 მაისს მიმართა ლადო აღნიაშვილის დამ – ანნამ წინადადებით: მისი ძმის, ლადო აღნიაშვილის მიერ გამოცემული „ანბანის“ შექენის შესახებ:

„თხოვნა

განსვენებულს ჩემს ძმას, ლადოს დარჩა თვისივე შედგენილი „ანბანი“ რამდენიმე წიგნად სახელწოდებით: „ან“, „ბან“, „გან“, „დონ“, „ენ“, „ვინ“, „ხენ“ და „თან“. მართალია, ყველა წიგნაკებს საერთო სახელი „ანბანი“ ჰქვიანთ და მათი სახელწოდებაც ანბანის რიგზედ არის აშენებული, მაგრამ თვითიველი მათგანი წარმოადგენს განთავისუფლებულ, სრულიად დამოუკიდებელს წიგნაკს. ასე რომ, გაყიდვაც და ხმარებაც თითოეულ წიგნაკისა ცალ-ცალკე ყოველად შესაძლებელი და მოსახერხებელია.

რადგან უბედურს სხვა საღსარი არაფერი დარჩენია ამ წიგნების მეტი, განვიზრახე გავეყიდო ესენი, რომ აღებულის თანხით შევძლო ყოველი ეკლესიური წესის აღსრულება მისის სულის საოხად და, თუ გადარჩა რამე ნაწილი, მატურას დასადგმელად გადავდო.



ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ გამგეობას, თუ შესაძლებლად დაინახავთ, სყიდვით შეიძინოთ დასახელებული წიგნაკებისა ჩემგან ნახევარ ფასად. რაოდენობა და ზედ წარწერილი ფასები შემდეგია:

„ან“	– 100 ც	– თვითღირებულება – 10 კ.
„ბან“	– 123 ც	– თვითღირებულება – 10 კ.
„გან“	– 105 ც	– თვითღირებულება – 10 კ.
„ღონ“	– 92 ც	– თვითღირებულება – 10 კ.
„ენ“	– 107 ც	– თვითღირებულება – 10 კ.
„ვინ“	– 150 ც	– თვითღირებულება – 15 კ.
„ზენ“	– 129 ც	– თვითღირებულება – 20 კ.
„თან“	– 135 ც	– თვითღირებულება – 20 კ.

სულ ღირებული 128 მანეთად“. [316]

## სტატიის სიკლი „საკვირველბანი ბუნების“ ბუნების აღქმისა და შეფასების ასაქმში

ლადო აღნიაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა საყმაწვილო ყოველთვიურ ჟურნალ „ჯეჯილში“, რომელშიც 1896-1903 წლებში მან გამოაქვეყნა სტატიების მთელი ციკლი: „საკვირველბანი ბუნებისა“ – მცენარეებზე და ცხოველებზე. ეს არაჩვეულებრივი სტატიები შეიცავდა დიდ შემეცნებით-აღმზრდელით მასალას, უღვივებდა მოზარდ თაობას სიყვარულს ბუნებისადმი და ყოველგვარი ცოცხალი არსებისადმი, ანცვიფრებდა მკითხველს ავტორის განსწავლულობით, ერუდიციითა და უნარით – ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე წარმოადგინოს მასალა და იმოქმედოს მათ გონებასა და გრძნობებზე, მიანიჭოს მათ უდიდესი სიამოვნება და ინტელექტუალური განცდა, წყურვილი ცოდნის შეძენისა, შემეცნებითი ინტერესების გაღვივებისა და თვალსაწიერის გაფართოებისა, სამყაროს შეცნობისა... აქ ლადო აღნიაშვილი ჭეშმარიტი პედაგოგი, აღმზრდელია.

ჟურნალ „ჯეჯილში“ გამოქვეყნებული სტატიების ციკლს – „საკვირველბანი ბუნებისა“ – მაღალი შეფასება მისცა იმდროინდელმა პრესამ. გაზეთ „ივერის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა ამ სტატიების ანალიზი და ეძლეოდა შეფასება ლადო აღნიაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას. რამდენიმე გამოსმაურების ავტორი იყო ცნობილი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე (1865-1919) – ი. გოგებაშვილის ღირსეული მემკვიდრე, ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ერთ-ერთი ბურჯი. იგი მიაპყრობს მკითხველთა ყურადღებას ლადო აღნიაშვილის ზემოაღნიშნულ საინტერესო სტატიებს და აღნიშნავს, რომ ისინი „მოწონებას იმსახურებენ, თუმცა ზოგიერთი სტატიის უდიდესი ნაკლია სურათების უქონლობა, რადგან „უსურათოდ მოზრდილისთვისაც კი ძნელი წარმოსადგენია, თორემ ბავშვი ხომ სულ ვერ გაიგებს ამგვარ ...ბოტანიკურ,

აგრეთვე ზოოლოგიურ წერილებს. მათ მხოლოდ მაშინ აქვთ ყმაწვილისათვის ორგვარი მნიშვნელობა – კითხვაში წახალისება და პატარ-პატარა ცოდნის შექმნა, – როდესაც სურათებია შიგ ჩართული. საზოგადოდ „ჯეჯილის“ ერთი უდიდესი ნაკლი სურათების უქონლობაა“ [227, 4]. ამასთან, ლ. ბოცვაძე აღნიშნავდა, რომ „ბატონ აღნიაშვილის წერილებს სიამოვნებით და სასარგებლოდ წაიკითხავენ ბავშვები“ [229].

ლუარსაბ ბოცვაძე ლაღო აღნიაშვილს უწოდებს „ბოტანიკური წერილების ბეჯით ავტორს“ და მაინც ურჩევს მას უცხო ქვეყნებს თავი დაანებოს და ადგილობრივ მცენარეების შესახებ გამართოს საუბარი პატივცემულ მკითხველებთან [231, 2-3].

აქვე მოვიყვანო სტატიების ჩამონათვალს, ხოლო სტატიებს იხილავთ დანართში.

**სტატიების სიკლი: „საკვირველებანი ბუნებისა“  
ქურნალ „ჯეჯილში“  
მხანარაუბი**

- ვიქტორია-რეგია – Victoria-Regia – 1896, №2, გვ. 48-49.  
მკვდრეთით აღმდგარი ყვავილი – La fleur de Resurrection – 1896, №3, გვ. 48-50.  
ღამის მშვენიერება იაღაპპა – La Belle de-Nuit – 1897, №2, გვ. 48-50.  
წყლის ზამბახი – Le Nenuphar – 1897, №4, გვ. 48-49.  
ვარდი იერიქონისა – La rose de Iericho – 1897, №5, გვ. 56-59.  
კრუბუთი – La Raflesia – 1897, №6, გვ. 57-58.  
ნეპანტისი – Le Nepenthis – 1897, №7-8, გვ. 82-84.  
ბუშტოსანა – Utricularia vulgaris – 1897, №9, გვ. 52-53.  
ხე-გველა – 1897, №11, გვ. 45-47.  
ხელიფაფას – Timosa – 1898, №1, გვ. 53-54.  
გამარჯობა – gueribar - 1898, №1, გვ. 55-56.

მანათობელი მცენარენი – les lumineuses – oraghum – 1898, №2, გვ. 57-58.

ბამბუკი – 1898, №3, გვ. 48-50.

ჭინჭარი – 1898, №4, გვ. 56-57.

ჰია-ჰია – 1898, №5, გვ. 54-55.

უდიდესი კელაპტარი – Cactus, C’ereus – 1898, №6, გვ. 53-56.

მწერიჭერია – Dionea murapula – 1898, №7-8, გვ. 68-70.

მუაველა – Oxalir acetorella – 1898, №9, გვ. 49-51.

მიხელტა – Aristolochid clematitits – 1898, №10, გვ. 52-54.

ენკინარი – Dipsa cus – 1898, №11, გვ. 52-54.

ღედვსუარი – ficus indicus – 1899, №1, გვ. 57-58.

ბერიკობა მცენარეთა – 1899, №2, გვ. 52-54.

### **სტატიების სიახლი: „საკვირველებანი ბუნებისა“ სსოპელები**

ჰუანაკო – Auchenia Huanaco - 1899, №10, გვ. 39-43.

პუმა (კუგუარი) – 1899, №11, გვ. 48-53.

ბუჟანია (ჟირაფი) – 1903, №9, გვ. 49-54.

კენ გურუ ანუ ბუმერი–Macropus mator–1900, №1, გვ. 27-34.

### **თავი IV. ლადო აღნიაშვილის ღანელი ქართული ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფიის ისტორიანი**

ლადო აღნიაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში. ვიდრე ამ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა გაირკვეს: რა წვლილი შეიტანა მეცნიერებაში ქართული ხალხური შემოქმედების შესწავლამ? ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ვრცლად წარმოვადგინოთ ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიის სრული სურათი, რადგან ის სცილდება ჩვენი ნაშრომის

თემას. მაგრამ კვლევის პროცესში დაინტერესდით ამ პრობლემატიკით და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რამდენადმე შევეხოთ ამ საკითხსაც.

ზემოთ აღნიშნულ საკითხზე ჩვენ დიდი ინტერესით ვმუშაობდით და გამოყენებულ ლიტერატურაში მითითებული გვაქვს ეს წყაროები. განსაკუთრებით გვინდა აღნიშნოთ 2004 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული თემურ ჯაგოდნიშვილის პირველი წიგნი „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“ [66.], რომელშიც თავმოყრილია ფრიად მდიდარი და მრავალფეროვანი, მეცნიერულად ღრმად შესწავლილი მასალა. წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავს: „ქართულ ფოლკლორისტიკაში დიდხანს იყო დამკვიდრებული აზრი, რომლის თანახმად, ჩვენი ხალხური სიტყვიერების შემსწავლელი მეცნიერება – ქართული ფოლკლორისტიკა – XX საუკუნის 40-იან წლებში ჩაისახა. დღეს უკვე გარკვეულია, რომ მას სათავეები XIX საუკუნის დასაწყისში ეძებნება და, რომ ფოლკლორისტიკა მეცნიერების დარგად XX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. სწორედ ამ დროს შეიძინა შინაარსი, გამოიკვეთა ინტერესთა სფერო, კვლევა-ძიებითი პრობლემატიკა და იგი კონკრეტულ მეცნიერულ-თეორიულ საფუძვლებს, მეთოდოლოგიასა და მეთოდოლოგიასაც დაემყარა.

ეს მეცნიერება ეთნოგრაფიის წიაღში არსებობდა.

ჩვენში ოფიციალური ფოლკლორისტიკული ცენტრი 1932 წელს შეიქმნა“ [66, 7-10].

წიგნის ავტორი წერს: „XIX საუკუნის 70-80-იან წლებში სერიოზული და ღირებული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, ნარკვევები და გამოკვლევები გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ პერიოდიკაში, სამეცნიერო საზოგადოებათა კრებულებში. არაერთი ფოლკლორული კრებული შეადგინა და გამოსცა რაფიელ ერისთავმა, რომელიც ზეპირსიტყვიერების ფიქსაცია-პუბლიკაციის პირველი თეორეტიკოსი იყო.

ამ პერიოდის ქართულ ფოლკლორისტიკაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს დ. ყიფიანმა, დ. ბაქრაძემ, ს.

ბარათაშვილმა და სხვ., რომელთა ნაშრომებში ქართული ფოლკლორისტიკის არაერთი პრობლემაა დასმული.

XIX საუკუნის II ნახევარში ზეპირსიტყვიერება საყოველთაო ყურადღების საგანი გახდა, რაც ზეპირსიტყვიერი ტექსტების ძიებასა და ჩაწერაში, პუბლიკაციებში გამოვლინდა. ხალხური სიტყვიერების „გადარჩენა“ დიდ ეროვნულ საქმედ გამოცხადდა, რაც აისახებოდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში („ივერია“, „საქართველოს მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „აკაკის კრებული“, „კვალი“, „მოამბე“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ ქართული ზეპირსიტყვიერი მასალის შეკრება-პუბლიკაციას ეწეოდნენ აგრეთვე რუსი და უცხოელი ჩინოვნიკები, უმთავრესად მასწავლებლები, რომლებიც ამ მასალებს აქვეყნებდნენ რუსულენოვან პრესაში და სამეცნიერო საზოგადოებათა კრებულებში (ი. სლივიცკი, ა. ზისერმანი, ი. პოლონსკი, გ. რადე, ე. ვეიდენბაუმი, ვ. პერევალენკო, ნ. დუნკელ-ვლინგი, ი. ბარტოლომეი, ი. შახოვსკი და სხვანი).

ქართული ზეპირსიტყვიერებისადმი ყურადღება გამოიჩინეს ისეთმა ცნობილმა რუსმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ა. ვესელოვსკი, ვს. მიღერი, პ. ვისკოვატოვი, ვ. პოტანინი, ნ. დერჟავინი, ს. ფარფუროვსკი და სხვ.

...XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობას სათავეში ჯერ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ჩაუდგა, შემდეგ კი ა. წერეთლის ცენტრი, მისი ჟურნალის („აკაკის კრებული“) რედაქციის სახით.“

ქართული ფოლკლორისტული აზრის წარმოშობა, მისი შინაარსი, – განაგრძობს თემურ ჯაგოდნიშვილი, მნიშვნელოვანწილად „თერგდალეულთა“ მოღვაწეობის სულისკვეთებამ განაპირობა. ყველაზე დიდი ზეგავლენა ქართული მეცნიერული აკადემიური ფოლკლორისტული აზრის ჩამოყალიბებაზე მოახდინა „რუსული ისტორიული სკოლის“ კონცეფციამ, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, იმით, რომ ქართველ მკვლევართა უმეტესობას

განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული, მეორე მხრივ, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საერთაშორისო ფოლკლორისტიკაში „ისტორიული სკოლის“ კონცეფცია ახალ სიტყვად ითვლებოდა“ [64, 17].

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დაარსებისთანავე თავისი ინტერესების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ტრადიციულ ყოფაში ზეპირსიტყვიერი მასალის მოძიება და ჩაწერა დიდ საქმედ აქცია. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ ამ საზოგადოების საქმიანობაზე, მით უმეტეს, რომ მისი აქტიური წევრი გახლდათ ლადო აღნიაშვილი.

**ლაღო აღნიაშვილის მიერ ხალხში  
შეგროვილი და გამოცემული ხალხური  
ზღაპრები და მათი ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის  
პირველი ტფა.  
ხალხური (გამოუქვეყნებელი) იბავ-პრაქები**

ქართული ფოლკლორის დიდმა სიყვარულმა შეაძლე ბინა ლადო აღნიაშვილს, არა მუსიკოსს, ქართული ხალხური პროფესიული გუნდის – „ქართული ხოროს“ – ჩამოყალიბება (1885), რომელსაც განსაკუთრებული როლი ენიჭება ქართული მუსიკის ისტორიაში. ამ გუნდის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ლადო აღნიაშვილმა თითქმის პირველმა მიაქცია ყურადღება ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნაწარმოებთა შეგროვებას. ამისთვის დაბეჭდა გაზეთებში მოწოდება სოფლის ინტელიგენციისადმი, რომელსაც სთხოვდა ჩაეწერა და მოეწოდებინა ხალხში გაგონილი ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, ლეგენდები და სხვ. ამისთვის მათ ჰპირდებოდა ფულად ჯილდოს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მოწოდებისა და ხარჯის გაღების ნაყოფია მის მიერ გამოცემული ჩინებული „ზღაპრების“ კრებული.

1890 წელს ლადო აღნიაშვილის მიერ დაარსებულმა „ქართველთა წიგნების გამომცემელმა „ამხანაგობამ“ გამოსცა ლადო აღნიაშვილის მიერ ხალხში შეგროვილი ხალხური ზღაპრები (ნაწ. I), რომელშიც 15 ზღაპარი შევიდა. ეს ზღაპრებია: „ოსტატი და შევირდი“, „ნაცარქექია“, „ღვთისავარ“, „გულამბარა და სულამბარა“, „ორნი ძმანი“, „კონკიაუდარუნა“, „ასფურცელა“ და სხვ. (ამას იუწყებოდა „ივერია“, [219, 2]). ეს იყო პირველი თვალსაჩინო კრებული ქართული ეპოსისა, რომლის გამოსვლას ქართველი საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა. ამ გამოცემას აღ. ხახანაშვილმა (1862-1910) უძღვნა რეცენზია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „პირველი წიგნი ხალხური ზღაპრებისა საკმარისად აგრძნობინებს კაცს, რა ძვირფასი განძი რჩება აქამდე უსარგებლოდ დახშული. იმ დროს, როდესაც მოელს რუსეთსა და ევროპაში საერო ნაწარმოებებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, ჩვენ მეტად ცოტა გამოვიკვლიეთ და შევკრიბეთ სახალხო პოეზიის მასალა. ყოველ კეთილ საქმეს თანამგრძობი უნდა ჰყავდეს. სულითა და გულით ვისურვებთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მოუმართოს ხელი და თავისი წვლილი არ დაიშუროს ამ საქმის გასაფართოვებლად და წარსამართავად [220, 2-3].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლადო აღნიაშვილის მიერ შეკრებილი ზღაპრები 1894 წელს უთარგმნია მარჯარი სკოტ უორდროპს. ეს იყო ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის პირველი ცდა. ამ თარგმანებმა დიდი მოწონება დაიმსახურა ინგლისელ მკითხველთა შორის ლონდონის ჟურნალ „Saturday Review“-ში გამოქვეყნებისთანავე. გაზეთი „ივერია“ (№6) იუწყებოდა: „გაზეთ „Kavkaz“-ს ცნობა მოსვლია ინგლისიდან, რომ მარჯარი სკოტ უორდროპმა ქართული ენა შეისწავლა და ინგლისურ ენაზე გადათარგმნა ვლადიმერ აღნიაშვილის არაკები და შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილი [226, 3].

საინტერესო სტატია მიუძღვნა უორდროპის თარგმანებს მეცნიერმა ლეილა თაქთაქიშვილმა-ურუშაძემ [145, 123-125],



რომელიც აღნიშნავს, რომ „მისს მარჯორი უორდროპს ქართულს საერო სიტყვიერებაში ძვირფასი საუნჯე უპოვია და თავის წიგნში მოუქცევია... ამ თარგმანშიც უკვე ჩანს ის დიდი გულისყური და სერიოზული მიდგომა, რითაც ჩვეულებრივ ხასიათდება უორდროპის ყველა ნამუშევარი“. ამასთან, სტატიის ავტორი დასძენს, რომ მარჯორი უორდროპს ზოგი ქართული ზნე-ჩვეულება და ადათ-წესი ინგლისურად არასწორად აქვს გადატანილი. მაგალითად, ზღაპარში „ნაცარქექია“, ნათქვამია, რომ „ნაცარქექია შევიდა, ყველას (ე. ი. დევებს) ძმობა უთხრა. დევებმაც ხმა არ გასცეს [გვ. 19]. პწკარედი: ის შევიდა და მეგობრულად ესაუბრა მათ. „საჭირო იყო მთარგმნელს ხაზი გაესვა ქართველთა საყოველთაოდ აღიარებული „ძმობის“ ადათისათვის“, – აღნიშნავს თაქთაქიშვილი-ურუშაძე, – „მეგობრულად ესაუბრა“, ქართული „ძმობის“ ან დაძმობილების ცნებასთან შედარებით სუსტია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხარვეზს მთარგმნელი მომდევნო ზღაპრებშივე ასწორებს... ეს პატარა, თითქოსდა, უმნიშვნელო დეტალი მოწმობს, რომ უორდროპი ჯერ კიდევ საკმაოდ არ იცნობს ქართველთა ჩვეულებებს... ხარვეზების მიუხედავად „ქართული ხალხური ზღაპრების“ უორდროპისეული თარგმანი დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს დღემდე, ვინაიდან ის უორდროპის პირველი ნამუშევარია. შეუძლებელია, რომ ის დაზღვეული ყოფილიყო ნაკლოვანებათაგან“ [226, 3].

ქართული ხალხური ზღაპრების გამოცემით ლადო აღნიაშვილმა სათავე დაუდო ხალხური შემოქმედების შეკრების საქმეს. შემდეგში თ. რაზიკაშვილმა გამოსცა ქართლ-კახეთში შეკრებილი ზღაპრების ორი ვრცელი კრებული, დროგამოშვებით ჟურნალ-გაზეთებშიც იბეჭდებოდა ზეპირსიტყვიერების მასალები.

აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ლადო აღნიაშვილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებასთან ერთად, განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობოდა ხალხური, პოპულარული კილოთი წერას, წერდა „პატარ-პატარა ამბებს“, ანუ იგაფ-არაკებს, რომელთა ნაწილი დაუბეჭდავი

დარჩა. „ეს იგავ-არაკები, გასულიერებული ხალხური სიბრძნით, დაწერილია პოპულარული ენით. ხელნაწერი შეიცავს 137 გვერდს, სულ – 214 იგავ-არაკს (მათ შორის საკუთარი – 6, ძველი ხელნაწერებიდან ამოკრებილი – 35, ხალხში გაგონილი – 41, რუსულიდან ნათარგმნი ან გადმოკეთებული – 21, „სწავლულთა კიდობანიდან“ – 6, სპარსულიდან – 40, ეზოპედან – 60 და სხვ.), ზოგისა მხოლოდ თემა აქვს აღებული, დაწერა კი ვერ მოუსწრია“, – წერს ი.იმედაშვილი. [48, 44-46].

ხელნაწერში ლადო აღნიაშვილს მოთავსებული აქვს „შენიშვნები ქართული ენის მართლწერის შესახებ“ (სათანადო მაგალითების და სხვადასხვა ფორმის ნიმუშების აღნუსხვით), რომლებიც 64 მუხლისაგან შედგება. ეს არის „იდიოტიზმები ენისა“ (153 მაგალითი).

სამწუხაროდ, ლადო აღნიაშვილმა ვერ შეძლო ამ იგავ-არაკების გამოცემა უსახსრობის გამო. მაგრამ დიდად დასაფასებელია ლადო აღნიაშვილის ღვაწლი ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებაში და, საერთოდ, მისი ღვაწლი ქართული ფოლკლორისტიკის და ეთნოგრაფიის ისტორიაში. ამ ღვაწლის დაფასება კი იქნება მისი სულიერი მემკვიდრეობის სრული გამოცემა, რაც მოხარდი თაობებისათვის დიდი და საშვილიშვილო საქმე იქნება.

დაბოლოს, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დიდად დასაფასებელია, აგრეთვე ლადო აღნიაშვილის ღვაწლი ქართული სიტყვიერების და ხალხური მუსიკის ნიმუშების შეკრება-გადამუშავებაში. ამ საქმეს იგი თავდადებით ემსახურებოდა არა მარტო მოწოდებით, როგორც პედაგოგი, რომელიც ზრუნავს მოხარდი თაობის ზნეობრივ აღზრდაზე, არამედ, როგორც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი, რომელიც ამ საზოგადოების მიერ შემუშავებულ პროგრამას, – ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებების შეკრებისა (1882), მუდამ ერთგულად ედგა მხარში.

## ლადო ალნიაშვილი და ქართული მუსიკალური კულტურა

მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების მანძილზე ქართველმა ერმა შექმნა უმდიდრესი ხალხური და პროფესიული (როგორც საერო, ისე სასულიერო) მუსიკალური კულტურა.

პირველი, ვინც შეეცადა განესაზღვრა და დაესაბუთებინა ქართული ხალხური მუსიკის თვითმყოფი ბუნება, დიმიტრი არაყიშვილი იყო. მის ბროშურაში „ქართული მუსიკა“ მიმოხილულია ქართული მუსიკის განვითარების გზები, მოცემულია მის თანამედროვე კომპოზიტორთა მოკლე დახასიათება.

დიდმა ივანე ჯავახიშვილმა თავის ცნობილ წიგნში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“<sup>16</sup> განიხილა ქართული მრავალხმიანობის გენეზისის პრობლემები, ხალხური, ვოკალური და საკრავიერი მუსიკის ცალკეული საკითხები, ღრმად და მრავალმხრივ შეისწავლა და გააანალიზა მუსიკალური ტერმინოლოგიის ძირითადი ფონდის მასალები, რომლებიც დაცულია ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში.

ძველი ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიის შესწავლას შრომები მიუძღვნეს: გ. ჩხიკვაძემ, პ. ინგოროყვამ, ვ. გვახარიამ, მ. იაშვილმა, ო. ჩიჯავაძემ, ი. ბახტაძემ.

მძიმე ისტორიულ ვითარებათა გამო დიდი ტრადიციების მქონე ქართული ხალხური მუსიკალური ხელოვნება ერთხანს მოკლებული იყო ფართო საზოგადოების ჯეროვან ყურადღებას, ხოლო XIX საუკუნისათვის თითქმის მივიწყებას მიეცა. ის მხოლოდ ხალხის წიაღში ცოცხლობდა და, თანდათან სრულქმნილი, თაობიდან თაობაში გადადიოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის ცალკეულმა

---

16 ივ. ჯავახიშვილი. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ., 1990. გვ. 273-312.

წარმომადგენლებმა აღლო აუღეს შექმნილ ვითარებას, რომელიც უფსკრულისკენ მიაქანებდა ხალხურ შემოქმედებას და გააჩაღეს აქტიური მუშაობა მშობლიური მუსიკალური კულტურის ნიმუშების შესაგროვებლად, მისი თვითმყოფადობის შესასწავლად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს XIX საუკუნის 60-80-იანი წლები, რომელიც ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდესი მიღწევებით არის ცნობილი. ქართულ და რუსულ პრესაში იბეჭდებოდა გაბედული წერილები ქართველი ხალხის მდიდარი სულიერი მემკვიდრეობის დასაცავად, რაც ეროვნული კულტურის, კერძოდ, მუსიკალური ხელოვნების აღორძინება-განვითარებისათვის ბრძოლის ქმედითი იარაღი იყო.

ხალხური სიმღერების გამოვლინებაში უდიდეს მნიშვნელობას ქართული გუნდების ჩამოყალიბებას ანიჭებდნენ. კარგად ესმოდათ, რომ ამ გუნდების საკონცერტო გამოსვლები დიდად შეუწყობდა ხელს ქართული სიმღერის პოპულარიზაციას, ფართო მსმენელში მის პროპაგანდას, აგრეთვე, ეროვნული გუნდური სიმღერის ძველთაძველი ტრადიციების შემდგომ განვითარებას.

ამ მიმართულებით ნაყოფიერად მუშაობდა ქართველ მუსიკოსთა პირველი პლეადა. მათგან აღსანიშნავია: ფ. ქორიძე, მ. ბალანჩივაძე, ა. ბენაშვილი, ი. კარგარეთელი, ძმები კარბელაშვილები, კ. მადრაძე, რ. ხუნდაძე, ზ. ჩხიკვაძე, რომელთაც დიდი სამსახური გაუწიეს ქართულ კულტურას, ქართული საგუნდო ხელოვნების აღდგენისა და საჯაროდ გამოტანის საქმეს.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლებამ ხელი შეუწყო ბრძოლას ქართული მუსიკის აღორძინებისათვის.

1860 წელს თბილისში დაარსდა ე. წ. „ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტი“, რომელიც მიზნად ისახავდა სასულიერო მუსიკის შესწავლას. საფუძველი ჩაეყარა და ხელი შეეწყო ეროვნული სიმღერების ნოტებზე გადატანას.

1871 ელს. დ. ერისთავმა პეტერბურგში დაბეჭდა „ქართული სიმღერების კოპური“.

1874 წელს აპრილში ცნობილმა მუსიკოსმა ხარლამპი სავანელმა თბილისში ჩამოაყალიბა გუნდი და გამართა კიდევ ერთი კონცერტი, მაგრამ ეს გუნდი მაშინვე დაიშალა.

1878 წელს სიმღერა-გალობის მასწავლებელმა მ. მაჭავარიანმა გამოსცა სიმღერების კრებული „სამშობლოს ხმები“, რომელშიც 20-მდე სიმღერა შედიოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მ. მაჭავარიანს ამ კეთილშობილური საქმის განხორციელებაში დიდი დახმარება გაუწიეს ი. გოგებაშვილმა და დ. ყიფიანის ქალიშვილმა ელენემ (ამ კრებულიდან სამი სიმღერა ი. გოგებაშვილმა თავის „დედა ენაშიც“ შეიტანა).

1885 წელს ა. ბენაშვილმა დაბეჭდა „ქართული ხმები“, რომელშიც 30-ზე მეტი საერო და სასულიერო საგალობელი იქნა შეტანილი.

მაგრამ საჭირო იყო მოთავე და მუსიკის მცოდნე პირი, რომელიც შესძლებდა მუდმივი ეთნოგრაფიული გუნდის ჩამოყალიბებას, საფუძვლიანად შეასწავლიდა ამ გუნდის წევრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის საერო სიმღერებს, გადაიტანდა მათ ნოტებზე და პროპაგანდას გაუწევდა მივიწყებულ მელოდიებს.

ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული კულტურის დიდი ენთუზიასტი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ლადო აღნიაშვილი – საოცარი ენერჯისა და ურყევი ნებისყოფის ადამიანი, რომელმაც 1885 წელს ქართულ ეთნოგრაფიულ გუნდს მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა და ამით ეროვნულ საგუნდო ხელოვნებას თანდათან განვითარების გზა გაუკაფა.

ეს მეტად კეთილშობილური საქმე 1885 წელს ითავა ეროვნული წამოწყებების შესანიშნავმა ორგანიზატორმა და ინიციატორმა ლადო აღნიაშვილმა და ეს საკვირველიც არ არის, რადგან ლადო აღნიაშვილი დაიბადა სოფ. შილდაში, რომელიც ცნობილია უძველესი მუსიკალური ტრადიციებით

და ხალხური სიმღერის უბადლო შემსრულებლებით. მათ შორის, განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდნენ: ლევან ასაბაშვილი („დედას ლევანა“), სოსიკო და ნიკო კოზმანიშვილები, რომლებიც თავიანთი მდიდარი რეპერტუარითა და მაღალნიჭიერი შესრულებით ხიბლავდნენ მსმენელებს.

ბავშვობიდანვე განიმსჭვალა შთაბეჭდილებიანი და მგრძნობიარე ლაღო ხალხური სიმღერის განსაკუთრებული სიყვარულით. ხალხურ სიმღერებს დიდებული სახალხო მომღერლების შესრულებით აღტაცებაში მოჰყავდა პატარა ლაღო. თუმცა ლაღო აღნიაშვილი ვერ მღეროდა, რასაც შემდგომ გულისტკივილით აღნიშნავდა, ის დაჯილდოებული იყო შინაგანი სმენით, საუცხოოდ ერკვეოდა მუსიკალური მასალის მხატვრულ ღირსებაში, რამაც დიდი დახმარება გაუწია სამუსიკო სარბიელზე მუშაობისას.

ლაღო აღნიაშვილის ფრიად ნაყოფიერი მუშაობა ქართული გუნდის დაარსების საქმეში იმ ტირანიისა და დესპოტიზმის ხანაში, მხოლოდ მისი განსაკუთრებული ნებისყოფის, გამბედაობისა და შეუპოვრობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

1914 წელს ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ [76, 77, 78] გამოაქვეყნა სტატიების ციკლი სათაურით – „მუსიკა და ქართველი მემუსიკენი“. პირველი სტატია მიეძღვნა ლაღო აღნიაშვილის დეაწლს პირველი ქართული ხოროს ჩამოყალიბებისათვის. მომდევნო სტატია კი შეეხებოდა შემდგომში ისეთ ცნობილ მუსიკოსებს, როგორებიც იყვნენ: ი. კარგარეთელი, ზ. ჩხიკვაძე, ფ. ქორიძე, ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ა. ყარაშვილი, მ. კავსაძე, გ. ნატრაძე, ი. ჯაბადარი და სხვ., რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართველი ხალხის სულიერ გარდაქმნასა და გადახალისებაში.

აი, რას წერდა „თეატრი და ცხოვრება“ (№12) 1914 წელს: „საგრძნობელი და საგულისხმო მომენტი ქართული მუსიკის აღორძინებისა იყო 1885 წელი. ამ წელში დაარსდა პირველი ქართული ხორო. მოთავე ამ საქმისა იყო ვლადიმერ

დიმიტრის ძე აღნიაშვილი. თუმცა მას სამუსიკო განათლება არსად მიუღია, მაგრამ მას ხელოვნების მნიშვნელობა კი ღრმად სწამდა. ამ კეთილ განზრახვასაც სხვა იდეა ედვა სარჩულად: დიმიტრი აგრენევ-სლავიანსკის ხოროს მოგზაურობამ ევროპასა და ამერიკაში დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთლად განათლებული ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებში. რუსული სიმღერა განათლებულმა ევროპამ კულტურულ შემოქმედებად სცნო, სლავიანსკის ხოროს გულმოდგინეთა და მოწიწებით უსმენდა ლაღო აღნიაშვილი და იგი იმ კულტურულ ნაწარმოების აღდგენის პიონერად დასახა. აღნიაშვილის არსებაში ამ მითქმა-მოთქმამ კეთილი ნიადაგი იპოვა და მთელი მისი არსება შეიპყრო. იგი აარსებს ხოროს არა მარტო იმისთვის, რომ საქართველოს დაბებში და ქალაქებში ჩამოუაროს თავის ხალხს და მშობლიური სიმღერით გულის ყურში ჩააგდოს და გამოაფხიზლოს, არამედ სამშობლო საზღვარსაც გასცდეს და იქ, დიდ რუსეთში, მოსკოვსა და პეტერბურგსაც მოასმენინოს ქართული ჰანგი, აჩვენოს ჩაცმა-დახურვა ქართულ ხოროსი, გააცნოს სიმღერებით განათლებულ საზოგადოებას ზნე-ჩვეულება და შემოქმედება თავის ერისა. აი, ის დედა აზრი, რა განზრახვითაც მან დააარსა ხორო... მის მიერ დაწყებული საქმე ნაციონალური საქმე იყო“ [78, 10-11].

ლაღო აღნიაშვილმა თავისი ხარჯით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თბილისში ჩამოიყვანა სახელგანთქმული მომღერლები და ჩამოაყალიბა გუნდი, რომლის ხელმძღვანელად მოიწვია იმხანად თბილისის საოპერო მომღერალი იოსებ რატილი, წარმოშობით ჩეხი. იოსებ რატილი საგასტროლოდ იყო ჩამოსული საქართველოში და, მოხიბლული ჩვენი ქვეყნით, ქართველებით, სამუდამოდ დარჩა საქართველოში. მან თავისი სიცოცხლის 72 წლიდან, 32 საქართველოში გაატარა. იგი 10 წლის განმავლობაში იყო „ქართული ხოროს“ ლიტბარი.

ამ ნაშრომის ავტორის ინიციატივით, საქართველოში ჩეხეთის საელჩოსა და საქართველოს კულტურის სამინისტ-

ტროს ერთობლივი ძალისხმევით 2001 წლის 14 ივნისს რუსთაველის თეატრში საზეიმოდ აღინიშნა გამოსხვნილი ჩეხი მუსიკოსის ი. რატილის დაბადებიდან 160 წლისთავი (თუმცა დაგვიანებით).

იოსებ რატილის ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე მიექდუნა ცნობილი მეცნიერის სოლომონ ლეკიშვილის მონოგრაფია [51].

უთუოდ საშურია ითარგმნოს ზემოაღნიშნული მონოგრაფია რუსულ და ჩეხურ ენებზე და გამოიცეს სამივე ენაზე.

ვლადიმერ აღნიაშვილის გუნდი ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდის კერად გადაიქცა.

„ქართული ხოროს“ პირველი კონცერტი შედგა 1886 წლის 15 ნოემბერს. მას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ამაზე მეტყველებს 1886 წლის 18 ნოემბერს ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ი. ჭავჭავაძის წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „ქართულმა ხორომ იგალობა ჩვენი საერო სიმღერები. ეს იყო სულის მოძრაობა და გულის ძარღვის ცემა... მუსიკის მცოდნე კაცნი, რომელნიც დღეს მოუხიდნია ქართული სიმღერების სიკეთეს და სიტკბოებას, ბევრ ღირსებას ჰპოულობენ და ბევრსაც მეცადინეობენ გადაიღონ ნოტებზე საყოველთაოდ საცნობლად. ამ მხრით თვითონ ჩვენი ყმაწვილი კაცები შრომობდნენ და ამ შრომის ნაყოფიც დიდი სიამოვნებით მოვისმინეთ ჩვენი ყურით შაბათს, 15 ნოემბერს... ხალხი ბლომად დაესწრო და სიამოვნებით კი არა, აღტაცებით მიეგება ამ ახალ სასიამოვნო ამბავს. თუმცა ვერ გეტყვით, რომ ყველა ქართული ხმები კარგად იყოს გადაღებული, მაგრამ მაინც ქება და ღიღება ეკუთვნით ამ საქმის დამწყებთა, დიდი მადლობა გემართებს ბ-ნ ლ. აღნიაშვილის, რომელმაც ეს მართლა სახელოვნო საქმე იკისრა“ [90, 2].

„ქართული ხოროს“ პირველ კონცერტს დიდმა ილიამ „ივერიაში“ მეორე მოწინავე სტატიაც უძღვნა [91].

საკონცერტო პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და შედგებოდა 3 განყოფილებისაგან. თითოში სრულდებოდა 5 სიმღერა. ესენი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ



საქართველოს სიმღერები, აგრეთვე, უცხოური (ფრანგული, შვედური, გერმანული).

იაკობ გოგებაშვილი აღფრთოვანებულია ლადო აღნიაშვილის ამგვარი ნაბიჯით: „ლადო აღნიაშვილმა თავისი ხოროს დაარსებით, – წერდა ი. გოგებაშვილი, – გამოიჩინა იშვიათი უნარი და თაოსნობა. უწინაც გაუმართავთ ქართული ხორო სიმღერის მცოდნეთა (მაგ.: ბერიძე, ბალანჩივაძე), მაგრამ არც ერთს ამ ხოროს იმისი მეთაფი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც აღნიაშვილის ხოროსა აქვს...“ [200, 2].

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ფართოდ გამოეხმაურნენ ა. ყაზბეგი, ს. მგალობლიშვილი, პ. უმიკაშვილი და სხვ.

სოფ. მგალობლიშვილი იგონებს: „სანდრო ყაზბეგი ეაღერებოდა ვაჟას ლექსებს... ქართულმა გუნდმა აღნიაშვილისამ ხომ კინაღამ გადარია: „დაგვეწყო ახლა კიდევ სხვა ხანა აყვავებისა, აღდგენისა, – მითხრა მან (ყაზბეგმა) ქუთაისიდან ჩამოსვლისას, – მოვესწარი მწერლობის აღდგენას, თეატრის დაფუძნებას და წარმატებას, მოვესწარი კიდევ საერო სიმღერების აღდგენას“. ყაზბეგი აღფრთოვანებას ვერ ფარავს და სოფრომ მგალობლიშვილს სწერს ქუთაისიდან გუნდის შესახებ: „ძმავ სოფრომ! ჩვენმა ახლად შედგენილმა მგალობელთა დასმა აქ, ქუთაისში, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა..., რომ მოვალედ ვრაცხ ჩემი სიხარული გაგიზიაროთ გორელებს. არამც თუ მხოლოდ აღსრულება სხვადასხვა ხმებისა იყო სასიამოვნო და აღტაცებაში მომყვანი მსმენელისა, არამედ მთელმა საზოგადოებამ იგრძნო ამ დასაწყისის სარგებლობა, სწორედ ჭეშმარიტი თვალთ შეხედა... [54, 115-116]. თვითონ ს. მგალობლიშვილი ამ გუნდზე ასეთი მოსახრებისა იყო: „იგი პირველი მერცხალი იყო ფრთებიდან ნელ-ნელა გამომსვლელი, აღორძინების გზაზე დამდგარი საქართველოს ხალხის გაღვიძებისა“ [54, 220].

გუნდის არსებობისათვის საჭირო იყო სახსრები. ამისათვის ლადო აღნიაშვილმა ქართული ფეერიები შექმნა („ყარამანი“ და „ტარიელი“), მაგრამ არ გაუმართლა.

ლადო აღნიაშვილი ყოველნაირად ცდილობდა გუნდითა თვის სახელი მოეპოვებინა. გუნდს ჰქონდა შემთხვევა თავისი მიღწევები ეჩვენებინა უფლებამოსილ პირთათვის და დაეტკბო მათი სმენა. ასე, მაგალითად: გუნდი გამოვიდა თავისი სიმღერებით რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III წინაშე, რომელიც იმ ხანებში საქართველოში ჩამოვიდა, მაგრამ ამანაც ვერ გამოასწორა გუნდის მატერიალური მდგომარეობა.

სამწუხაროდ, თავადაზნაურობა არ იჩენდა დიდ ყურადღებას გუნდისადმი. გენერლები და ჩინოვნიკები – მაშინდელი „კეთილშობილთა“ საზოგადოების – ამილახვრების, ამირაჯიბების და სხვათა წარმომადგენლები – მიიხნევენ, რომ ქართული სიმღერის შესრულება სცენაზე „სირცხვილია და შეუძლებელიც არის!“ – ამაზე წერს ია კარგარეთელი თავის მოგონებაში, რომელიც მოჰყავს ი. იმედაშვილს თავის ნაშრომში [48... 19].

რატილის გულმოდგინე შრომამ და საქმისადმი დიდმა ინტერესმა გუნდის რეპერტუარი სულ უფრო და უფრო გაამდიდრა. საგასტროლო მოგზაურობისას იგი გზადაგზა იწერდა ნოტებზე ძველ სიმღერებს და შემდეგ გუნდს ასწავლიდა. ასე გადაარჩინა რატილმა რამდენიმე ათეული სიმღერა დაღუპვას. დღემდე ცნობილია მის მიერ ჩაწერილი სიმღერები: „დიამბეგო“, „ალილო“, „კახური სუფრული“, „ქვედრულა“, „პატარა საყვარელო“, „ხელხვავი“, „მადლა მთას მოდგა“, „დღეს მერცხალი შემოფრინდა“, „გურული ოღელია“, „მუმლი მუხასა“, „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, „ჰარალალო“, „წაიყვანეს თამარ ქალი“, „ოს იმძრა“, „ქალსა ვისმე ერქვა შროშანა“, „მიყვარს ამფერად“, „სუფრა გაშლილო“, „შაო ყურშაო“, „ოი, ქრისტე აღსდგა“ და სხვა. ყველა ეს სიმღერა „ხოროს“ ნოტებით აქვს შესწავლილი.

„არსებობს ცალკე რატილის მიერ დაწერილი სიმღერების კრებული (ინახება საქართველოს ხალხური შემოქმედების სახელში) და ცალკე გუნდის მთელი რეპერტუარის კრებული ხელნაწერის სახით (ინახება ზ. ჩხიკვაძის არქივში). ფრიად საყურადღებოა ამ კრებულის

ყდაზე წანაწერი, რომელიც ლაკონიურად გვაუწყებს ლადო აღნიაშვილის დვაწლს „ქართული ხოროს“ შედგენისათვის გაწეულს“. – წერდა გრ. ჩხიკვაძე სტატიაში „ხალხური სიმღერის მადლი“, პირველი ქართული ეთნოგრაფიული გუნდის 100 წლისთავის გამო [305, 4].

ხოროს მეცადინეობები იმართებოდა ჯერ რატილის ბინაზე ჩუღურეთში, შემდეგ – ღრმაღელეში, ლიახვის ქ. 16-ში, სადაც მისი შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს), შემდეგ, ზ. ჩხიკვაძის ცნობით, ორბელიანების უბანში; შავთელის ქ. №17-ის II სართულის განაპირა მარჯვენა ოთახში (გრ. ჩხიკვაძის აზრით, ამ სახლს ი. რატილის და აღნიაშვილის მემორიალური დაფა დამშვენდებოდა) [305, 4].

შეუძლებელია აქ არ გავიხსენოთ 1894 წლის ჟურნალი „ივერია“ (№162): „რატილს მხურვალე სიტყვა წარმოუთქვამს ქართველი ერის სადღეგრძელოდ 1894 წ. ბათუმში გუნდის საპატივსაცემოდ გამართულ ნადიმზე. მან თქვა: „ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხობს, რომელსაც შეულახავად შეურჩენია თავისი ენა, ჰანგი და კილო. კაცისთვის უძვირფასესი საუნჯე დედა-ენაა, სამშობლო საგალობლები და ჰანგები. გარდაქმნა-გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა, ხმები და ჰანგები აქვს, შეუძლებელია!“

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა საგალობელია, ისეთი მდიდარი ჰანგებია, რომ მე სხვა ქვეყანას ვერ დავასახელებ, რომელიც ამ მხრივ საქართველოს შეედაროს. მეტადრე მდიდარია საქართველო „ხორით“, სათქმელი ხმებით, რომელთა შორის მრავალი ნამდვილი სიმფონიაა და ჰიბლავს ევროპიელის სმენას“ - ნ. პ.“

ამ ხიბლში გარკვეული წვლილი შეიტანა ლადო აღნიაშვილმა, რომელიც მას ყოველთვის ედგა მხარში თავისი ქართული კაცურკაცობით.

ლ. აღნიაშვილისა და ი. რატილის ერთობლივმა მუშაობამ გუნდში, სამწუხაროდ, დიდხანს ვერ გასტანა. 1888 წ. მაისიდან აღნიაშვილის „ხოროს“ ჯერ მედიტონ ბალანჩივაძე, ხოლო შემდეგ ალექსანდრე ბერიძე უწევდნენ

ლოტბარობას. რატილის ჩამოცილება აღნიაშვილის გუნდისაგან თავადაზნაურობის ინტრიგების შედეგად მომხდარა, რადგან იგი არაქართველი იყო. ამან „ხოროს“ საქმიანობით დაინტერესებულ პირებში სინანული და გულისწყრომაც გამოიწვია, რასაც ერთგვარი პოლემიკა მოჰყვა პრესაში [48, 3-10].

ლადო აღნიაშვილი მუდამ ძიებაში იყო. 1888 წლის დამლევს მან გუნდის წევრთაგან ჩამოაყალიბა „ქართულ ნაციონალურ მემუსიკეთა ორკესტრი“ 26 კაცის შემადგენლობით. ორკესტრი შეიცავდა 12 სახეობის სხვადასხვა აღმოსავლურ და ქართულ სამუსიკო საკრავებს: თარს, ჩონგურს, სანთურს, ჭიანურს, ქამანჩას, დოლს, სალამურს და უენო სალამურს. ორკესტრის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა მცოდნე პირი [187... 2].

1889 წლის მეორე ნახევრიდან ი. რატილი უკვე დამოუკიდებელ გუნდს აყალიბებს. ამ დროიდან ორი ქართული „ხორო“ განაგრძობს პარალელურად არსებობას, რომელთაგან პირველმა 1892 წლამდე იარსება, ხოლო მეორემ – 1896 წლამდე.

1910 წლის 6 დეკემბერს გაიმართა ლადო აღნიაშვილის „ხოროს“ დაარსებიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, ჩატარდა მომღერალთა საზოგადოება – „სანთურის“ (თავმჯდომარე – ია კარგარეთელი, მდივანი მ. კავსაძე) ინიციატივით, რაზედაც წერდა გაზეთი „ახალი აზრი“ 1910 წ. 1 ოქტომბერს.

ლადო აღნიაშვილის „ქართულმა ხორომ“ საფუძველი ჩაუყარა ქართველ მომღერალთა 3 თაობას. მისი წყალობით ჩვენს ხალხში თითქმის ორასამდე სიმღერა აღსდგა, რომლებიც ლადომ ნოტებზე გადაადებინა და გაავრცელა.

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა სია აღნიაშვილის „ხოროს“ წევრებისა, რომლებიც 1885-1889 წლებში ირიცხებოდნენ გუნდში. ესენი არიან:

ტენორები: ლეო ცისკარიშვილი, ტატო ფეიქრიშვილი, გიორგი ჩაგუნავა, კორნელი მადრაძე, ნიკოლოზ ჩახნაშვილი, ვასო ბაგრატიონი, კოტე დვალი, სერგო მამალაძე, სიკო

(სიმონ) აღნიაშვილი, გრიგოლ ჭკუასელი, კოტე კუხიანიძე, ალექსი მათურელი, როსტომ ჩიკვაძე.

ბანები: სანდრო გოცირიძე, მათე იანქოშვილი, საშა ბერიძე, მიხეილ ავალიანი, მოსე კაპანაძე, სოსო ჩიჯავაძე, ექვთიმე ბურჯანაძე, ნიკოლოზ წინამძღვრიშვილი, გ. წიკლაური, კლიმენტი ჭანტურია, იოსებ ჭირაქაძე, აპოლონ გოდერძიშვილი, ლავრენტი მათიკაშვილი, დავით მამულაშვილი.

სხვადასხვა დროს გუნდში ირიცხებოდნენ: მიხეილ მახაბელი, ნიკოლოზ კახიშვილი, ლ. კობახიძე, ლ. წერეთელი, გ. ნატრაძე, ლ. ბეჟანიშვილი, დ. ჭურხული, ა. ჯალიაშვილი, ი. ჯავრიშვილი, ი. სუხიშვილი, ი. კვალიაშვილი, ა. ბასილაშვილი, ერ. პარკაძე, კ. რჩეულიშვილი, კ. ბებუთოვი, დ. ეპიტაშვილი. ამ გუნდში მდებარეობდა ვ. სარაჯიშვილი.

1889 წ. მარტში ლ. აღნიაშვილმა სტამბური წესით ქართული საზოგადოების სახელზე გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც მატერიალურ დახმარებას სთხოვდა გუნდის ბედ-იღბლით დაინტერესებულ პირებს. ეს მიმართვა საყურადღებოა ერთი მხრივ იმით, რომ ის ანგარიშია გუნდის მიერ (განვლილი 4 წლის განმავლობაში) ჩატარებული მუშაობისა, ხოლო, მეორე მხრივ, იმით, რომ მასში მოცემულია გეგმები, რომლებიც აღნიაშვილის ხოროს ხელმძღვანელობას ჰქონდა დასახული.

ს. ლეკიშვილს თავის ნაშრომში მოჰყავს ზოგადი ცნობები აღნიაშვილისა და რატილის ხოროს მიერ 1886-96 წლებში ჩატარებული კონცერტების რაოდენობის, დროისა და ადგილის, აგრეთვე, მათი მონაწილეობით გამართული საღამო-კონცერტების შესახებ [51, 48-55].

ლადო აღნიაშვილის გუნდის გამოსვლების ინფორმაციები და გამოხმაურებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ადგილობრივ პრესაში.

საინტერესოა ი. ჭავჭავაძის ინიციატივა, რომელიც წერდა: „ნუთუ კარგი არ იქნებოდა, რომ ჩვენმა დრამატულმა დასმა... ხოროთი გაღობამ ქართული ხმებისა ზედ გადააბას წარმოდგენებსა!.. ჩვენც სხვასთან ერთად გვეღონია, რომ ეს

ორი საქმე ერთმანეთს შეავსებს და ერთმანეთს უშველის“. მისი აზრი და სურვილი განხორციელდა ა. ყაზბეგის „არსენაში“, სადაც გუნდი ასრულებდა ხალხურ სიმღერას „გავლესოთ, ძმებო, ნამგალი“, ა. წერეთლის „პატარა კახში“ - „მუშურს“ და „მუშმლი მუხასა“, ვ. გუნიას „და-ძმაში“ და „მოლადურებში“ - „სიმღერა მხედართა“, „სიმღერა გმირთა“, „ლოცვა“ - პირველში“ - „ურმული“, „მხედრული“ - მეორეში.“<sup>17</sup>

არანაკლები წარმატებით სარგებლობდა გუნდის წარმოდგენები ე. წ. „ცოცხალი სურათებით“, რომლებიც იდგმებოდა ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით. მაგალითად, დიდი წარმატებით მოეწყო 1888 წ. 26 მარტს ქართულ თეატრში გრ. ორბელიანის „სადღე-გრძელოს“ მუსიკალურ-დრამატული ინსცენირება [181, 2].

ლადო აღნიაშვილის ეთნოგრაფიულმა გუნდმა გამოსარდა ქართული მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა სახელოვანი პლეადა: ზაქარია და ივანე ფალიაშვილები, კავსაძეები, ი. კარგარეთელი, ვ. სარაჯიშვილი და სხვ., რომლებმაც შემდგომში უფრო მტკიცე ნიადაგი მოუმზადეს ხალხური საგუნდო ხელოვნების შესანიშნავ ტრადიციებს.

ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების ნაყოფიერმა სადამო-კონცერტებმა ქართული მუსიკის ისტორიაში გადატრიალება მოახდინა - მყარი საფუძველი ჩაუყარა მივიწყების გზაზე დამდგარ მრავალსაუკუნოვანი ხალხური სიმღერის აღორძინებას, მის შემდგომ განვითარებას. აღნიაშვილის დამსახურებაა ისიც, რომ გუნდის კონცერტებმა გზა გაუკაფა ქართული ხალხური სიმღერების დიდოსტატების პირველი პლეადის წარმომადგენლებს - სანდრო და მიხეილ კავსაძეებს, ძუკუ ლოლუას, სამუელ ჩავლეიშვილს, ვარლამ სიმონიშვილს, არტემ ერქომაიშვილს, კირილე პაჭკორიას, მარო თარხნიშვილს, დედას ლევანას, მიხო ჯიდაურს, ლევან მულაღაშვილს და სხვებს, რომელთაც თავისი გუნდებით დიდი ამაგი დასდეს ქართული ხალხური სიმღერების შემდგომ განვითარებას.

17 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, თბ., 1953, გვ. 15.

## ლადო აღნიაშვილი და ფერეიდანი ქართული

„ქართული ენა ერთადერთი ძაფია, რომელიც ფერეიდანის ქართველობას აკავშირებს ქართულ კულტურასთან; გადაგვარებას ვერ ასცდება იგი, თუ მას არ შეენახა ეს კავშირი... მალე დაეკარგება მას შეგნება, რომ ის „გურჯია“, როგორც კი გამოესაღმება ამ შეგნების ბურჯს, ენას. ვერ უშველის ამ მხრივ ვერც მაღალი ქართული ურემი, ვერც ტიპური ბანიანი სახლი და სხვა ნაშთი ქართველურ კულტურულ სახეობისა, რომელიც მას დღემდე შერჩენია“.

არნოლდ ჩიქობავა

1616 წელს შაჰ-აბასი დიდძალი ლაშქრით საქართველოსკენ დაიძრა. ყიზილბაშებმა კახეთს ორი მხრიდან შეუტყეს. კახეთის მეფემ თეიმურაზმა შაჰის უზარმაზარ არმიასთან შებმა ვერ გაბედა და თავისი ამალით იმერეთში გადავიდა.

საშინელი ტრაგედია დატრიალდა კახეთში: მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი გაჟლიტეს. შაჰ-აბასმა 100 000-ზე მეტი ქართველი აპყარა და ირანის სხვადასხვა მხარეში დაასახლა. სხვადასხვა წყაროდან ცნობილია, რომ მძიმე გზა გაიარეს ქართველებმა, რომელთა დიდი ნაწილი ადიდებულ არაქსზე გადასვლის დროს დაიდუპა, ხოლო მრავალი, უმძიმესი მგზავრობის გამო, სიცოცხლეს გამოესაღმა.

შაჰ-აბასმა ქართველები შიდა ირანში მცირე ჯგუფებად, ცალკეულ სოფლებად განასახლა, რამაც, დროთა განმავლობაში, ჩამოსახლებულნი ადგილობრივი მოსახლეობის უზარმაზარ მასაში გათქვიფა. მხოლოდ ირანის ცენტრალურ, მთიან ნაწილში – ფერეიდანში, ჩაასახლეს ქართველები კომპაქტურად. ამით სურდათ, ირანის იმუამინდელი დედაქალაქი – ისპაჰანი აგრესიულ მომთაბარეთაგან დაეცვათ.

ქართველთა ისტორიაში ფერეიდნელი ქართველები უნიკალური მოვლენაა, რადგან მათ 400 წლის მანძილზე შეინარჩუნეს თავისი ეთნიკური, ეროვნული მეობა, რაც შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობეს:

1. ტყვე ქართველები დაასახლეს კომპაქტურად, რამდენიმე ათეულ სოფლად. ისინი დიდი ხნის განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ ეთნიკური ენდოგამიის წესს (არც მამაკაცები ირთავდნენ არაქართველ ქალებს და არც ქალებს ათხოვებდნენ არაქართველებზე);

2. ქართველობა დასახლდა ფერეიდანის მთიანეთში, რამაც ხელი შეუწყო მათი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

აღმოსავლეთმცოდნე ზურაბ შარაშენიძე თავის წიგნში „ფერეიდნელი „გურჯები“ აღნიშნავს: „მოელი XVII-XVIII საუკუნის განმავლობაში არც ერთი ქართველი, რუსი თუ ევროპელი მოგზაური არ მოხვედრილა ფერეიდანის მხარეში, რის გამოც ამ პერიოდის არაერთარი ცნობა არ მოგვეპოვება იქ მოსახლე ქართველების შესახებ, მხოლოდ 1840 წელს გაიარა გზად ფერეიდანში ინგლისელმა ჰენრი ლეიარდმა, რომელმაც შემოგვინახა პირველი წერილობითი ცნობა იქ მოსახლე ფერეიდნელ ქართველებზე. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნეში უკვე იცოდნენ საქართველოში ფერეიდანში არსებულ ქართველთა დიდი კოლონიის შესახებ. ცნობილი ისტორიული პიროვნება იოანე (იონა) ხელაშვილი თავის ღოცვაში მოიხსენიებს ფერეიდნელ ქართველებს“ [58... 61].

1890 წელს დაიწერა და 1895 წელს გამოვიდა ცნობილი მწიგნობრისა და საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი „ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი“. მიმოიხილავს რა ისტორიულად ქართველი ერის ბედუკუდმართობის, მისი რიცხოვნობის კლების მიზეზებს, ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ საქართველოდან იძულებით სხვადასხვა ქვეყანაში, კერძოდ, სპარსეთში მრავალი ქართველი მოხვდა. რამაც შეამცირა ქართველთა რიცხვი საქართველოში:



„მრავალმა ქართველმა თავიანთი დედა ენა დაჰკარგა, დაავიწყდათ, რაშიც ხელს უწყობდა იძულებით მათი სარწმუნოების შეცვლა და გაათათრება“. მაგრამ, როცა შაჰ-აბასმა „კახეთი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა, ორი საუკუნის შემდეგაც „დარჩენილან ისეთი ქართველნიც, რომელნიც თუმც გაათათრებულან სარწმუნოებით, მაგრამ ქართული ენა და საქართველოს ხსოვნა კი მაინც არ დაუკარგავთ“.

ბ. ჭიჭინაძის აზრით, ასეთ ქართველებს მიეკუთვნება, ათამ (იოთამა) ონიკაშვილი, რომელსაც „მშობლებისაგან გაუგონია, რომ ისინი ქართველები არიან, მათი სამშობლო საქართველოა და სპარსეთში ძალით არიან მოყვანილნი... ჩვენი ძველები იტყოდნენ ანდაზად ხოლმეო, რომ ეგება ეცადლოთ შინისკენ დაბრუნებასაო... მოსხუცებულნი ცხადად სტიროდნენ; რამდენჯერაც გაიგონებდნენ საქართველოს, იმდენჯერ წუხილს და ნატვრას დაიწყებდნენო, რომ ნეტა საქართველო გვაჩვენაო...“ [65, 19]

საქართველოს ძველებურ ამბებს ბავშვობიდან სიამოვნებით ისმენდა ათამ ონიკაშვილი, იმახსოვრებდა და თავის ტოლ მეგობრებს უამბობდა ხოლმე. ოცი წლის ასაკში კი მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოში ჩამოსვლა, რაშიც დაეხმარა ინგლისელი ინჟინერი, რომელთანაც იგი მსახურობდა. როცა ინგლისელი დარწმუნდა, რომ ათამ ონიკაშვილი ქართველი იყო და ოცნებობდა საქართველოში ჩასვლაზე, მან საკუთარი ხარჯით ჩაიყვანა იგი რუსეთის გავლით ბაქოში, საიდანაც ონიკაშვილი ჩამოვიდა ტფილისში 1871 წელს. იგი იყო პირველი ფერეიდნელი ქართველი საქართველოში.

ამ ამბავს ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული პრესა. იოთამა ონიკაშვილის ჩამოსვლა მთელმა ქართველობამ შეიტყო: „ძვირფასი სტუმრის ნახვა ყველამ მოინდომა და შეხვდნენ კიდევ: დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი და პეტრე უმიკაშვილი, რომლებიც ცრემლმორეულნი

ისმენდნენ ონიკაშვილის საუბარს სპარსეთში გადახვეწილი ქართველების შესახებ. მაგრამ მაშინ არავის შეეძლო სპარსეთში წასვლა, თუმცა ნატვრა კი დიდი ჰქონდათ“. აქ ზ. ჭიჭინაძე სიხარულით აღნიშნავს, რომ ეს ნატვრა აღსრულდა. იგი თავად მოესწრო ამას. ათამ ონიკაშვილის ჩამოსვლიდან 23 წლის შემდეგ ზ. ჭიჭინაძე წერს: „ათამ ონიკაშვილი ცოცხალი რომ იყოს, სწორედ აღტაცებული იქნებოდა მით, რომ ძლივს ეღირსა მის ნატვრას შესრულება და სპარსეთში წავიდა საქართველოს ძვირფას მოღვაწე შეილთაგან ბ. ვლადიმერ აღნიაშვილი“. მისი წიგნის ბოლო სტრიქონებში გამოთქმულია იმედი, რომ „ეს ძვირფასი მოღვაწე ქართველთა საკმარის ცნობებს შეჰკრებს ჩვენგან შორს წასულ და სამუდამოდ დაღუპულთ სპარსელთ ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესახებ, რომელ ქართველთა ამბები სპარსეთში აქა-იქ ბევრს ეხსომება კიდევ“ [65, 47].

1872 წელს გაზეთ „დროება“-ში (№13) გაჩნდა პირველი ცნობები ფერეიდნელ ქართველთა შესახებ. ოთხი წლის შემდეგ, 1876 წლის „დროებაში“ (№20) დაბეჭდა წერილი სათაურით: „ქართველები სპარსეთში“ (იქ მცხოვრები ქართველების ნაამბობის მიხედვით), ხოლო ამავე წლის 186-ე და 187-ე ნომრებში ამავე გაზეთმა გამოაქვეყნა 1877 წელს ეჩმიაძინის სასულიერო ჟურნალ „არარატ“-ში დაბეჭდილი, თეირანიდან გამოგზავნილი საინტერესო მასალები, რომლებშიც მოკლედ იყო აღნიშნული ფერეიდანში გადახვეწილი ქართველი მოსახლეობის ვინაობისა და ცხოვრების შესახებ.

ქართული საზოგადოების ინტერესი სპარსეთში გადახვეწილი ქართველების მიმართ არ განელებულა ონიკაშვილის ჩამოსვლის შემდეგაც, მაგრამ მეტად გაცხოველდა იგი 80-90-იან წლებში. ზ. ჭიჭინაძის იმედები გამართლდა. ლადო აღნიაშვილმა მიზნად დაისახა სპარსეთში წასვლა, რათა „თავისი თვალით ენახა და გაეცნო შთამომავლობა იმ ქართველებისა, რომელნიც შაჰ-აბასმა XVII საუკუნეში საქართველოდან გადაასახლა“ [97, 123-124].

1894 წლის აგვისტოში ლადო აღნიაშვილი საკუთარი ხარჯებით (სულ რაღაც ათი თუმნით) გაემგზავრა იმ შორეულ და საშიშროებით მოცულ გზაზე, რომ კიდევ ერთხელ მოეხადა ვალი თავისი ხალხის წინაშე.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის აგვისტოში შესრულდა 115 წელი ამ მოგზაურობის დაწყებიდან.

ვლადიმერ აღნიაშვილი იყო პირველი მოგზაური, რომელმაც ფეხი შედგა ფერეიდანის მიწაზე იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის გაცნობის მიზნით.

ბედმა არგუნა ლადო აღნიაშვილს ყველაფერში პირველობა: 1881-83 წლებში იგი იყო ქართული და რუსული ენის პირველი მასწავლებელი სათავადაზნაურო სასწავლებელში (ინსპექტორი – ნიკო ლომოური), პირველი ქართული ხალხური სიმღერების გუნდის - „ხორა“-ს დამაარსებელი (1885), პირველი ქართველი ფერეიდანში.

იმდროინდელი პრესა ყურადღებით აღევნებდა თვალს ვლადიმერ აღნიაშვილის მოგზაურობას და აქვეყნებდა ინფორმაციებს და მის წერილებს სპარსეთიდან. კერძოდ, მომავალი წიგნის ნაწყვეტები ქვეყნდებოდა 1896 წელს ჟურნალ „მოამბე“-ში [97], აგრეთვე, ამავე წლის ჟურნალ „მეურნე“-ში გამოქვეყნდა ლადო აღნიაშვილის ნარკვევი „სპარსეთის ქართველობა და მათი მეურნეობა“ [96]. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ლადო აღნიაშვილმა საჩუქრად უძღვნა ქართველობას წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ (მგზავრის წერილები), ტფ. 1896.

წიგნი შეიცავს 6 თავს და საყურადღებოა ეთნოგრაფიული და მეცნიერული თვალსაზრისით, მკითხველი აქ გაეცნობა მეტად საინტერესო მასალებს ისტორიის, გეოგრაფიის, ხელოვნების საკითხებზე.

თავი I. კასპიის ზღვიდან თეირანამდე – გვ. 1-37.

თავი II. თეირანი – დედაქალაქი სპარსეთისა – გვ. 38-80.

თავი III. თეირანიდან ისპაჰანამდე და ქალაქი ისპაჰანი – გვ.81-120.

თავი IV. სომხობა სპარსეთისა და ახალი ჯულფა – გვ. 121-165.

თავი V. ფერეიდანი ანუ ქართველთა მოსახლეობა სპარსეთში – გვ. 166-236.

თავი VI. საზოგადო მიმოხილვა – გვ. 237-307.

ღამატება – ზოგიერთი რამ მსგავსება და ურთიერთშორის დამოკიდებულება სპარსული და ქართული ენისა; საზოგადო ძირები პირველ საჭიროების სიტყვებისა; მსგავსება სიტყვათა მოქცევისა (გრამატიკული ფორმებისა); სპარსული ენიდან შემოტანილი სიტყვები, საზოგადო სიტყვები ორივე ენაში, სხვათა ენათაგან შემოსულები – გვ. 308-328.

წიგნს ღამატებით ახლავს ფერეიდანის ქართველთა სამოსახლო ადგილმდებარეობის რუქა სოფლების აღნიშვნით.

წიგნის V თავში, რომელიც ფერეიდნელ ქართველებს ეხება, ლადო აღნიაშვილი დაწვრილებით აღწერს მათ გარეგნობას, მეურნეობას, ქონებრივ მდგომარეობას, ადათ-წესებს, შემორჩენილ ქრისტიანულ ჩვეულებებს, ენას, ზნე-ჩვეულებებს და ხასიათს.

წიგნი სულ შეიცავს 328 გვერდს.

ლადო აღნიაშვილის წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ იმთავითვე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა და დღესაც იმსახურებს მეცნიერულ კვლევასა და გამოქვეყნებას, რადგან მასში ბევრი საყურადღებო დაკვირვება და დასკვნაა.

ლადო აღნიაშვილის წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ წარმოადგენს სპარსეთში გადახვეწილი ქართველების ეთნოგრაფიული სინამდვილის ასახვის მეტად საინტერესო ძეგლს.

ვიდრე აღთქმულ მხარეს – ფერეიდანს მიაღწევდა, ლადო აღნიაშვილმა ბევრი საინტერესო ჩანაწერი გააკეთა, შეისწავლა იქაური ქართველების ყოფა-ცხოვრება, მათი განვითარების დონე, იმდროინდელი სპარსეთის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მდგომარეობა.

ლადო აღნიაშვილს მრავალი საყურადღებო ცნობა

მოაქვს თავის წიგნში: „ხალხს ტიპი ქართველისა საკმარისად აქვს შემონახული: სახლებს აშენებენ ისე, როგორც ქართლში იციან. ძალიან ხშირად შეხედები აგრეთვე უწინდელ ჩვენებურ დარბაზებს რამდენიმე სვეტით. მოელს ირანში, გარდა ამათი, არავინ აშენებს ასეთ სახლებს, აქვთ აგრეთვე ქართული, ჩვენებური ურემი... დღემდე თავის ქალებს აქაური ქართველობა არ აძლევდა სხვა ტომის ხალხს და არც თვითონ მოჰყავდათ ცოლად სხვა ქალები... საკვირველია, რომ სპარსეთში, სადაც საზოგადოდ გვარები (თაიფები) არ არის ხმარებაში და, სადაც კაცი იცნობება მხოლოდ თავისი საკუთარი სახელით, ქართველებს წმინდად შემოუნახავთ თავიანთი გვარები. მაგალითად, აღნიაანი (აღნიაშვილი), ბათუაანი, ბასილაანი, შოშიაანი, ხუციანი... სახელები ყველას სპარსული აქვთ... წუნს ვერ დაუდებთ იქაურ ქართველთა ლაპარაკს, ჩინებულად ლაპარაკობენ ქართულად. ყოველი მათგანი აღიარებს თავს წმინდა ქართველად, მას ესმის, რომ გურჯია და ესმის სრულის შეგნებით, თავი მოსწონს ამით, არამც თუ არ დაუკარგავთ დღევანდელამდე თავისი ნაციონალური სიამაყე და მედიდურობა, არამედ ნამდვილი პატრიოტული გრძნობაც შერჩენიათ.

ტიპი და ზნეკეთილი და სათნოიანი, სტუმართმოყვარე, პატიოსანი, თავმოყვარე, მამაცი, გამბედავი, შემბრალებელი და პირში მოქმელი... ამ 300 წლის განმავლობაში მათ სპარსული ფლიდობა და პირფერობა არ შეუთვისებიათ. აქ ქართველი იგივე გულახდილია და გულუბრყვილო და ისეთივე უანგაროა, როგორც მისი მოძმე ქართველი გლეხი მის ძველ სამშობლოში, მის საქართველოში მცხოვრები...

ფერეიდანი, – განაგრძობს აქვე ავტორი, – ეს არის კუთხე, რომელსაც დღეს ყველაზე მეტი ინტერესი აქვს ქართველი ერისათვის. აქ რიცხვით ყველაზე მეტი ქართველობა შეჯგუფულა ერთად. აქ დაუცავთ დღევანდელამდე ენა მამა-პაპათა, ხასიათი, ტიპი და სიძლიერე სულისა. აქ დღემდე ქართველი არ ივიწყებს, რომ იგი ქართველია, ამბობს ამას შინ და გარეთ, მტერთან და მოყვარესთან, ძლიერთან და

უძღურთან, ამბობს უშიშრად, მოურიდებლად, ამბობს და თავიც მოსწონს. ამ თქმით სრული 300 წელიწადი ებრძოდა იგი მტერთ თავისი ეროვნების დასაცველად, ებრძოდა მათ უსამართლობას და ძალმომრეობას, ითმინა ყოველგვარი გაჭირვება და შეწუხება, გაუძლო საღკლდესავით ათასგვარ ვაისა და უბედურებას, შესწირა მათ ბევრი ძნელად დასათმობი რამ ქართველი კაცის მიერ, მაგრამ მით მაინც თავი ქართველად შეინახა, დაიცო რაც და როგორც შეეძლო დღემდე და აცნობა თავის უფროს მოძმეთ, რომ ჯერ კიდევ ქართული სული მიდგია და ეს სული ვერ აღმომხუთა ვერც დროთა და ჟამთა დენამ, ვერც ძლიერმა ამა სოფლის ძალ-მომრეობამაო. მან თავისი მოვალეობა სამაგალითოდ შეასრულა და ყოველივე ვალი აიყარა წინაშე შთამომავლობისა და უკეთუ დღეიდან იგი დაეცა და უკეთობაში არ წავიდა, ეს იქნება დანაშაული ჩვენი და ბრალი ედება მთელ საქართველოს. თუ მან დღემდე არ იცოდა, დღეს არ იცის მათი არსებობის ამბავი, იცის, რომ იგინი დღემდე ქართველებად დარჩომილან და მოვალეა გაუწოდოს მას ხელი ძმობისა და შეწვევისა. მათი საქმე გმირული საქმეა. მათით გაიზომება სულის ძლიერება ქართველი ერისა, მათით უნდა მოიწონოს თავი ქართველობამ...

...დროა ქართველებმაც ხელი გასძრან, – დასძენს ღრმა გულისტკივილით ლადო აღნიაშვილი, – ყოველი თავისი საქმე თვით აკეთონ. სხვათა ხელში შეყურება ხელს არ გვაძლევს. ნუთუ დღემდე ვერ დავრწმუნდით, რომ ყველა თავისას ცდილობს და ვიდრე ჩვენც ჩვენსას არ ვეცადნეთ, ღმერთი ციდან არ ჩამოგვიყრის. ნუთუ საეჭვოა, რომ ქართველს, მცირედის მომზადებითაც რომ იყოს, უფრო მეტი შეუძლიან შესძინოს თავის ეროვნებას, ვიდრე უცხოეს, რაც უნდა დიდის მომზადებით იყოს აღჭურვილი“.<sup>18</sup>

არ შეიძლება სულის სიღრმემდე არ შეძრას ლადო აღნიაშვილის ამ მოწოდებამ თითოეული ჩვენგანი,

---

18 აღნიაშვილი ლადო, სპარსეთი და იქაური ქართველები, ტფ., 1896, გვ. 218-219 (კურსივი ჩემია – ც. ბერიძე).

არ ჩააფიქროს არა მარტო სპარსეთში გადახვეწილი ქართველების ბედ-იღბალმა, არამედ სამშობლოში მყოფი ყოველი ქართველის ბედმა. აღნიაშვილი წარსულიდან ელაპარაკება მომავალ თაობებს, მოძღვრავს მათ, მოუწოდებს უფრო მეტი ეროვნული სიამაყე და სულისკეთება გამოიჩინონ ერის საკეთილდღეოდ, რადგან ვალი დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა და ამ ვალს ღირსეულად უნდა გადახდა!

იმ გამოჩენილ ქართველებს შორის, ვინც ყურადღებით აღევნებდა თვალს ლადო აღნიაშვილის ცხოვრებას, მოღვაწეობას და იყო ლადო აღნიაშვილის ღვაწლის დიდი დამფასებელი, გახლდათ იოსებ იმედაშვილი – ჩვენი ერის დიდი მოჭირნახულე, ლადო აღნიაშვილის პირველი ბიოგრაფი. ლადო აღნიაშვილის გარდაცვალებიდან 25 წლისთავზე იოსებ იმედაშვილმა ამ დიდ მოღვაწეს მიუძღვნა ნაშრომი „ლადო აღნიაშვილი“ [48], რომელშიც რამდენიმე გვერდი დაუთმო აღნიაშვილის სპარსეთში მოგზაურობას, იქაური ქართველების გაცნობას და თან დაურთო რამდენიმე ფოტოსურათი ფერეიდნელი ქართველებისა.

სწორედ აღნიაშვილმა გაუღვივა განსაკუთრებული ინტერესი ი. იმედაშვილს ფერეიდნელებისადმი. ცოტა მოგვიანებით მან დაწერა კიდევ ვრცელი ნარკვევი ფერეიდნელ ქართველებზე სათაურით: „Ферейданские грузины“.

როგორც ცნობილია, იმედაშვილი, სხვა მრავალმხრივ მოღვაწეობასთან ერთად, გამოსცემდა შესანიშნავ ყოველკვირეულ სალიტერატურო-სათეატრო ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“ (1910-1926), სადაც იბეჭდებოდა ძალზე საინტერესო და აქტუალური წერილები თეატრის წარსულსა და აწმყოზე, დრამისა და სცენის პრობლემებზე. მის ფურცლებზე ხდებოდა კრიტიკული განხილვები ამა თუ იმ საკითხისა, ქვეყნდებოდა გამოჩენილ ადამიანთა ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობები, სურათები სცენის მოღვაწეთა, ხელოვანთა და სხვა. ჟურნალის თანამშრომელ-კორესპონდენტებად ითვლებოდნენ ვ. აბაშიძე, ივ.

გომართელი, ი. გრიშაშვილი, ვ. გუნია, შ. დადიანი და სხვა ცნობილი მწერლები და მხატვრები.

ი. იმედაშვილი კარგად იცნობდა ლაღო აღნიაშვილის მიერ სპარსეთიდან გამოგზავნილ ყველა მასალას და კერძო წერილების შინაარსს, რადგან მეგობრობდა ამ წერილების ადრესატებთან: სიკო აღნიაშვილთან და ალექსი მირიანაშვილთან. მოგვიანებით, 1914 წელს, ლაღო აღნიაშვილის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, მან ეს წერილები დასტამბა თავის ჟურნალში მოგონებების სახით.

1914 წელს ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ გამოაქვეყნა ლაღო აღნიაშვილის რამდენიმე წერილი ალექსი მირიანაშვილისადმი, მიწერილი სპარსეთიდან [84, 85, 86], პირველი მათგანი დათარიღებული იყო 1895 წლის 22 აპრილით. ამ წერილებში ლაღო უზიარებს თავის კოლეგას და მეგობარს უშუალო შთაბეჭდილებებს ამ მოგზაურობის შესახებ. აქ კარგად ჩანს ლაღო აღნიაშვილის მახვილი თვალი, თხრობის არაჩვეულებრივი უნარი და იუმორის გრძნობა.

„სპარსეთში მოგზაურობაზე ლაღო აღნიაშვილი დიდი ხანია ოცნებობდა, – წერს ა. მირიანაშვილი, – ამ მოგზაურობის მიზნად მას დასახული ჰქონდა პოვნა, საკუთარი თვალით ნახვა და აღწერა იმ ქართველებისა, რომლებზედაც, გარდა ჩვენი ისტორიის მოწმობისა, ხშირად ჩამოვარდებოდა ხოლმე საუბარი როგორც რუსეთის, აგრეთვე, სხვა ევროპულ პერიოდულ გამოცემებში...“ [83: 5]. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ხელმოკლეობის გამო წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ ლაღომ ვერ დაამშვენა იმ აუარებელი სურათებით, რომლებიც ამ განზრახვით სპარსეთიდან ჩამოიტანა და დასძენს, რომ ეს სურათები მას აქვს.

სპარსეთში მოგზაურობის დროს ლაღო აღნიაშვილმა ისე კარგად შეისწავლა სპარსული ენა, ლაპარაკი და წერა-კითხვა, რომ შემდგომში იქაურ მეგობრებთან მიწერ-მოწერა ჰქონდა. სპარსული და ქართული ენის ზოგიერთი



რამ მსგავსება და ურთიერთდამოკიდებულება კი მან აღწერა თავის წიგნში „სპარსეთი და იქაური ქართველები“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ წიგნში შესანიშნავად არის აღწერილი აგრეთვე სპარსეთი თავისი წარსულით და აწმყოთი, გეოგრაფიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებით, სპარსი ხალხის ვინაობა, ზნე-ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა, მიწათმოქმედება, სარწმუნოებრივი მხარე, ღირსშესანიშნავი ძეგლები და ადგილები, მთავარი ქალაქები. ეს ყველაფერი ავტორს წიგნში მეტად მხატვრულად და შთამბეჭდავად აქვს გადმოცემული. აქ არის საკუთარი მოსახრებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, შენიშვნები, ანაღიზი, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობას. ამიტომ მეტად საშური და საჭირო საქმეა ამ წიგნის გამოცემა.

სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ლადო აღნიაშვილი ისევ შეუდგა თავის აქტიურ საქმიანობას საზოგადოებრივ სარბიელზე.

თავის მხრივ, სპარსეთში გადახვეწილ ქართველებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია თვით ლადო აღნიაშვილს, მისმა პატრიოტულმა სულისკვეთებამ გაუძლიერა მათ სურვილი საქართველოში ჩამოსვლისა. ლადო აღნიაშვილის დაბრუნების შემდეგ მას მოჰყვა ისპაჰანელი ქართველების საპასუხო მოგზაურობა.

იმდროინდელი ქართული პრესა კარგა დიდი ხნის მანძილზე ათავსებდა წერილებსა და ცნობებს ამ საპასუხო მოგზაურობის შესახებ. აი, რას წერს გ. ლასხიშვილი თავის მემუარებში: „ფერეიდანელების ჩამოსვლამ დიდი სენსაცია გამოიწვია. მაშინ ქართველ საზოგადოებრიობაში შესდგა კომიტეტი, რომელსაც დაევალა მათზე მზრუნველობა. წაიყვანეს კახეთში და საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. შემდეგ შეაგროვეს ფული, შეიძინეს დედა ენა და სხვა სახელმძღვანელოები, საკითხავი წიგნები, მოიწვიეს მასწავლებელი იმ განზრახვით, რომ ფერეიდანში ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოების პირველი ქართული სკოლა გაეხსნათ.

ოთქმის ერთი წელი დაჰყვეს სპარსელმა ქართველებმა საქართველოში და დაბრუნდნენ მასწავლებლის თანხლებით. მაგრამ ეს უკან დაბრუნება უბედური გამოდგა: საზღვარზე მათ თავს დაესხა ავაზაკთა ბრბო, გაძარცვეს, მასწავლებელი დასჭრეს და ის იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. რამდენიმე წლის შემდეგ ერთი მათგანი კვლავ ესტუმრა საქართველოს, მაგრამ ყოველი გეგმა კავშირის დაჭერისა და იქ ქართული სკოლის დაარსებისა სრულ დავიწყებას მიეცა“ [50, 289-290].

ი. იმედაშვილი თავის წიგნში „ლადო აღნიაშვილი“ (1860-1904) წერს: „მის მიერ სპარსელ ქართველთა შორის გაბნეული თესლი იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ ლადოს მოგზაურობის 10 წლის შემდეგ 1906-1907 წ.წ. საქართველოს ეწვივნენ სპარსი ქართველები – ხუციშვილი და ონიკაშვილი და ჩვენგან კულტურული დახმარება ითხოვეს“ [85, 86]. ამავე მიზნით ჩამოვიდა სეიფოლა იოსელიანიც (1922-23 წ.წ.).

ფერეიდნელი ქართველების შესახებ, და, კერძოდ, ამ ფერეიდნელი ქართველების მოგზაურობაზე საქართველოში აღნიშნული მონოგრაფიის ავტორს საკმაო მასალა დაუგროვდა, რომელზეც მუშაობს წიგნის გამოსაცემად.

აღსანიშნავია ისიც, რომ მანამდე, 1900-1902 წლებში, თბილისში ჩამოვიდა კიდევ ორი ფერეიდნელი ქართველი – მოჰამედ მაყაშვილი და მისი სიძე – ნასრულა, ამის შემდეგ ფერეიდანში იყო ი. ჭეიშვილი.

აქვე მინდა გავიხსენო ზ. შარაშენიძის წიგნი „ფერეიდნელი გურჯები“, კერძოდ, 1916 წელს ირანში ქართული ესკადრონის მეთაურის, შტაბს-კაპიტან პავლე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძის, მოგონება, სადაც ის მოიხსენიებს ფერეიდნელი ქართველის სეიფოლა იოსელიანის ოჯახში სტუმრობას, იქაურ ქართველებთან შეხვედრას: „უნდა ითქვას, რომ ის პრობლემები, რომლებსაც ისინი მაშინ აყენებდნენ, დღესაც წესრიგში დგას... მაგრამ ჩვენი ქართველები ისე უგულოდ შეიქნენ, ჩვენზე არ ფიქრობენ... საჭიროა სკოლა, ქართული ჟურნალ-გაზეთები... იმედი მაქვს, ჩვენი ქართველი საზოგადოება არ დაიშურებს უკანასკნელ

გროშს ამ ხალხის სულიერი დაკმაყოფილებისათვის“, –  
წერს პ. ლორთქიფანიძე [58, 70-73]. ამ წერილის დაწერიდან  
გავიდა 93 წელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ის პრობლემები,  
რომლებსაც იქაური ქართველები მაშინ აყენებდნენ, დღესაც  
აქტუალურია, გადასაწყვეტია!

ქართული საზოგადოებრიობის ცოდნა ფერეიდნელი  
ქართველების შესახებ გამდიდრდა მას შემდეგ, რაც ამბაკო  
ჭელიძემ იმოგზაურა ამ მხარეში. ის კარგად იცნობდა  
ლადო აღნიაშვილს, რადგან მასთან მუშაობდა კოოპერატივ  
„შუამავალში“. მას ბედმა არგუნა სპარსეთში ჩასვლა და  
იქაური ქართველების გაცნობა. გასაგები მიზეზების გამო,  
ა. ჭელიძეს დიდი ინტერესი ჰქონდა ფერეიდანისადმი.  
ამის შესაძლებლობა მას მისცა ირანში საბჭოთა ბანკის  
გახსნასთან დაკავშირებით ფინანსისტის მოვალეობის  
შესრულებამ. იქ მან გაიცნო ფერეიდნელი ქართველი და  
დაუშეგობრდა მას. ეს იყო ყულამ ჰოსეინ მიქელაშვილი.  
შეხვდა აგრეთვე სეიფოლა იოსელიანს, გაიცნო მოჰამედ  
მაყაშვილი, ნოვრუზ ხუციშვილი, ზეინალ აბდინ-ხან  
ონიკაშვილი.

1924 წელს იგი ჩავიდა ფერეიდანში და შეხვდა იქაურ  
ქართველებს, რომლებიც გულთბილად შეეგებნენ მას.  
ამბაკო ჭელიძე ირანში 1929 წლამდე დარჩა. 6 წელი დაჰყო  
მან ამ ქვეყანაში და ჩამოიტანა მეტად ძვირფასი ცნობები  
ფერეიდნელი ქართველების შესახებ, დაწერა წიგნი  
„ფერეიდნელი ქართველები“ (თბ., 1951). ფერეიდანიდან ა.  
ჭელიძის ოჯახმა 5-6 წლის ბავშვი ემირ (ამირან) პაპიაშვილი  
ჩამოიყვანა, აღზარდა და 5 კლასის დამთავრების შემდეგ  
დააბრუნა ფერეიდანში.

ამბაკო ჭელიძის შემდეგ, 1944 წელს ფერეიდანს ეწვია  
ირაკლი კანდელაკი, რომელმაც გადაიღო დოკუმენტური  
ფილმი იქაურ ქართველებზე. 1969 წელს ფერეიდანში ყოფნის  
დროს ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა გურამ პატარაიამ  
გადაიღო ფილმი „მორია გურჯისტანამდე“, გიორგი  
ასათიანმა და ირაკლი ონოფრიშვილმა კი ფერეიდნელთა  
სახეები შემოუნახეს შთამომავლობას.

სხვადასხვა დროს, მეცნიერული მიზნით, ფერეიდანში იმყოფებოდნენ: ნოდარ კოჭლაშვილი, ნოდარ ნაჭყებია, ზურაბ შარაშენიძე, მაგალი თოდუა, თედო უთურგაული, დარეჯან ჩხუბიანიშვილი.

„ფერეიდნელთა მეტყველებისა და ყოფის საკითხებს ნაშრომი მიუძღვნეს: თეო ჩხეიძემ, თინათინ ჭავჭავაძემ, მათა მაჭავარიანმა, გიორგი ჭიპაშვილმა, გიორგი გოცირიძემ“...

1965 წლის გაზაფხულზე ზურაბ შარაშენიძე მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის სამრეწველო-სავაჭრო გამოფენაში, რომელიც თეირანში (ირანში) გაიხსნა. აქ მან გაიცნო ფერეიდნელი ნოსრათულა ხოსროშვილი და სხვა იქაური ქართველები.

თავის წიგნში „ფერეიდნელი გურჯები“ ზურაბ შარაშენიძე აღნიშნავს, რომ ლადო აღნიაშვილის სპარსეთში მოგზაურობის შემდეგ ზოგი რამ შეიცვალა ფერეიდნულ ქართულ დიალექტში, მაგრამ არსებითი ცვლილებები მასში არ მომხდარა და იმოწმებს ცნობილ ქართველ მეცნიერს ვ. თოფურიას, რომელიც შენიშნავს: „ფერეიდნული იზოლირებული დიალექტია, თითქმის სამნახევარი საუკუნეა, რაც ის მოწყვეტილია თავის ფუძე კილოს – კახურ ინგილოურს და სრულებით არ განიცდის ქართულ ცოცხალ კილოთა და სალიტერატურო ენის გავლენას, სამაგიეროდ, გამეღენელად გამოდის სულ სხვა სისტემის ენა – სპარსული, რომლის გარემოცვაშიც ის იმყოფება. მიუხედავად ასეთი პირობებისა, ფერეიდნელმა თავისი სახე არ დაკარგა, მან კარგად შეინახა კახურ-ინგილოურისთვის XVII საუკუნეში დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებები და თანაც ევოლუციის შედეგად შეიძინა ის ახალი მოვლენები, რომლებმაც იჩინეს თავი რიგ ქართულ დიალექტებში...“ [58, 98].

ამდენად, ფერეიდნული ქართული ენის მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ დიალექტთა ისტორიისა და საერთო ენის განვითარების შინაგანი კანონების შესასწავლად.

როცა ფერეიდნელების საკითხს ვეხებით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ თამილა ცაგარეიშვილის წიგნი „ფერეიდნელები საქართველოში“ [63, 55], რომელშიც მეტად საინტერესოდ არის მოთხრობილი საქართველოში ფერეიდნელი ქართველების ჩამოსახლების შესახებ 1972-76 წლებში და ამასთან დაკავშირებული პრობლემები. ნაშრომს ახლავს ეთნოგრაფიული მასალებიც. იმ წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ფერეიდნელ ქართველთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლინგვისტურ, ფოლკლორულ და სოციოლოგიურ შესწავლას მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო. როგორც ამ წიგნის წინასიტყვაობაში არის აღნიშნული, „ამ მამულიშვილურ საქმეს სათავეში ჩაუდგა აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომლის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით 1973-74 წლებში ახალ ჩამოსახლებულ რეპატრიანტებში საგულისხმო მუშაობა აწარმოა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ, უფროს მეცნიერ-თანამშრომლის ლევან ფრუიძის ხელმძღვანელობით [63, 3].

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ეთნოგრაფებმა: ნ. ბრეგვაძემ, ნ. მაისურაძემ, მ. მირიანაშვილმა, ბ. ნანობაშვილმა და თ. ცაგარეიშვილმა.

როგორც ზემოთ აღნიშნული წიგნიდან შევიტყვეთ, მშობლიურ მიწაზე პირველად ჯავად ჰასანის ძე ბათუაშვილმა დადგა ფეხი [63, 27]. ეს მოხდა 1972 წლის 15 მარტს. 1972-76 წლებში მას მოჰყვნენ სხვებიც, სულ 22 ოჯახი, 120 სული. ისინი დაასახლეს საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონების სოფლებში: ჭანდარში, ჩუმიდაყში, ახაშენში, ვაზისუბანში, შაშიანში. მათ დაახვედრეს კომფორტაბელური ბინები, საკარმიდამო ნაკვეთები, ვენახები, შეუქმნეს კარგი პირობები. ამის შემდეგ მთელი 6 წლის მანძილზე ჩამოსვლა შეწყდა. სამწუხაროდ, ამ რეპატრიირებული ქართველების ნაწილი (9 ოჯახი) 1979

წელს უკან, ფერეიდანში დაბრუნდა. ამას გარკვეული მიზეზები ჰქონდა, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანს. ყველაზე შეურაცხყოფელი კი მათთვის, ალბათ, ის იყო, რომ მათ „ირანში „გურჯებს“ ეძახდნენ, საქართველოში კი – „თათრებს“ (რადგან ისინი ღორის ხორცს არ ჭამდნენ და ღვინოს არ სვამდნენ). იმ დროს საქართველოში სულ დარჩენილა 14 ოჯახი.

„სად გვეყვანან ირანში დასაქარგი ქართველები?“, გურამ ყორანაშვილის ეს სტატია, რომელიც გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა [301, 5], ღრმად ჩავვაფიქრებს ამ პრობლემაზე.

სპარსეთში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობათა საკითხების შესწავლისათვის, უთუოდ, დიდ ყურადღებას იმსახურებს ცნობილი ქართველი ირანისტის ნომადი ბართაიას წიგნი „ირანული ჩანახატები ანუ ახალი ერა ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში“<sup>19</sup>. მოვიშველიებთ რამდენიმე ამონარიდს ამ წიგნიდან: „ირანი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის და სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანაა. 25 საუკუნეს ითვლის მისი არსებობა. ბოლო 5 წლის მანძილზე ინტენსიური გახდა მეგობრული თანამშრომლობა საქართველო-ირანს შორის, კულტურულ ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვან ისტორიაში სრულიად ახალი ერა დაიწყო.

1996 წლის 3 ივლისს ირანში სტაჟირებაზე გაემგზავრა ირანისტების ერთი ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ მას მერე, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, აქედან ირანში ამ სახით არავინ გამგზავრებულა, ეს პირველი ნაბიჯია ირან-საქართველოს ახალ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში.

1997 წლის მაისში ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, გილანისა და იმერეთის

---

19 ნომადი ბართაიას წიგნიდან „ირანული ჩანახატები ანუ ახალი ერა ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში“ – „ოთხი საუკუნე, ვითარცა ოთხი წამი“ – „ინტელექტი“, თბ., 2001, გვ. 100-102.

მხარეთა შორის დაიდო მეგობრული თანამშრომლობის ხელშეკრულება (ნაბიჯი მეორე). 1997 წლის 20 სექტემბერს კი გილანის უნივერსიტეტში ამ ხელშეკრულების ტექსტის საბოლოო ვარიანტს ხელი მოეწერა და გილანის უნივერსიტეტში გაიხსნა „საქართველოს ოთახი“, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ჯემშიდ გიუნაშვილმა – საქართველოს მაშინდელმა ელჩმა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

2001 წლის 1-10 ოქტომბერს ირანის ისლამური რესპუბლიკის ისფაჰანის მხარის ფერეიდნის რაიონში გაემგზავრა მცირე სამეცნიერო ექსპედიცია თსუ ეთნოლოგიისა და ირანისტიკის კათედრების დოცენტების ოთარ მიმინაშვილის, ნომადი ბართაიასა და ფოტო-ჟურნალისტ მიხეილ როსტომაშვილის შემადგენლობით. ამ სახის ექსპედიცია ფერეიდანში პირველად მოეწყო.

2000 წლის 23 ოქტომბერი ერთ-ერთ მნიშვნელოვან თარიღად დარჩება ქართულ-ირანულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში. ამ დღეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი ქართულ-ირანული ურთიერთობებისადმი.

2000 წ. 24 დეკემბერს გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქართულ-ირანული პოეზიისა და მუსიკის საღამო (ნაბიჯი მესამე).

ეს ყველაფერი კარგი და მისასალმებელია.

საქართველოში ყოველთვის ეხსომებათ, რომ ჩვენგან შორს, სპარსეთში ცხოვრობენ ქართველები, რომლებსაც არასდროს დაავიწყდებათ მათი წარმომავლობა და წმინდად ინახავენ ქართულ წეს-ჩვეულებებს, ენას, ტრადიციებს. ამიტომ საჭიროა, არა მარტო გვახსოვდეს ეს, არამედ ვეცადოთ, პერიოდულად მაინც მივაწვდინოთ მათ ხმა და ჩვენი ქართული სიტბო ვაგრძნობინოთ, რომ არ ჩაქრეს მათში ის სულისკვეთება, რომლითაც ისინი ხვდებოდნენ ლაღო აღნიაშვილს და სხვა იქ ჩასულ ქართველებს. თითოეულმა ჩვენგანმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს

ამ საქმეში. გვახსოვდეს, აგრეთვე, რომ სპარსეთში გადახვეწილი ქართველების პირველი მკვლევარი იყო ლადო აღნიაშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მათი ყოფა-ცხოვრებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა-ძიებას, წარმოაჩინა ფერეიდნელი ქართველები, რომლებსაც დღესაც, 400 წლის შემდეგაც, არ დაუკარგავთ ქართველობა. აქვე არ შეიძლება, არ შევეხეთ გიორგი ჩიტაიას წერილს, რომელიც დაბეჭდილია თამილა ცაგარეიშვილის ძალისხმევით გამოცემულ ცნობილი მეცნიერის ხუტომეულის მეხუთე ტომში (თბ, 2001). ამ წერილის სათაურია – „ქართული ეთნოგრაფია ვალშია ლადო აღნიაშვილის წინაშე“. აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია წერს: „შესანიშნავი და ფასდაუდებელია ის ღვაწლი, რომელიც ლადო აღნიაშვილს საქართველოს წინაშე მიუძღვის.

ლადო აღნიაშვილმა შუამავლის ფუნქცია იკისრა სამშობლოსა და სამშობლოს გარეთ საუკუნეების მანძილზე გადახვეწილ თანამემამულეებს შორის, ადაგზნო ქართული სული ორსავე მხარეს და გაახსენა საქართველოს თავისი დაკარგული შვილი.

ეს მისია მან ბრწყინვალედ შეასრულა. მისი წყალობითაა, რომ დღეისთვის ჩვენ გვაქვს ეთნოგრაფიული ნარკვევები ირანში გადახვეწილი ქართველების შესახებ, ცნობები მათ ყოფა-ცხოვრებაზე და ტრადიციებზე, რომელიც სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვის შესანიშნავი წყაროა.

სწორედ ლადო აღნიაშვილის დამსახურებაა, რომ მის ნაკვალევზე არა ერთი ქართველი დაინტერესებულა და გადასულა ფერეიდანში...

და, თუ დღესაც, ქართველობენ ფერეიდნელი ქართველები, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ლადო აღნიაშვილსაც.

ლადო აღნიაშვილი ის პირველი ქართველი იყო, რომელმაც ეთნოგრაფიული სიზუსტით აგვისახა მათი ყოფა და ჩაგვახედა მათ სულიერ სამყაროში.

საჭიროა მისი ღვაწლის შეფასება და სათანადო



ადგილის მიკუთვნება საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიაში“ [62, 60-61].

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ უდრმესი მადლობა გადავუხადოთ გ. ჩიტაიას შრომების შემდგენელ რედაქტორებს და გამომცემლებს: ბატონ ზურაბ წერეთელს და ქალბატონ თამილა ცაგარეიშვილს გიორგი ჩიტაიას მემკვიდრეობის დაფასებისთვის, იმ დიდი, ტიტანური შრომისთვის, რაც მათ გასწიეს.

ჩვენ კი ვალს ღაღო აღნიაშვილის წინაშე იმით ვიხდით, რომ ყველაფერს ვაკეთებთ, სიტყვითა და საქმით, მისი მემკვიდრეობის წარმოსახენად და ერის წინაშე ამ დიდი ამაგდარი ადამიანის ღვაწლის ჯეროვნად დასაფასებლად.

## **თავი V. ლაღო აღნიაშვილი და ქართული თეატრი**

კულტურის დიდმა აღმავლობამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საფუძველი მოუშადა ქართული თეატრის შექმნას ამავე საუკუნის მეორე ნახევარში, გაცხოველდა ინტერესი თეატრისადმი. ეს განპირობებული იყო იმ ეპოქის მრავალი საინტერესო მოვლენით.

ახალი ქართული თეატრის შექმნის იდეა დაიბადა მანანა ორბელიანის სალონში. თეატრის ხელმძღვანელობა გიორგი ერისთავმა იკისრა. მანვე პირველი სპექტაკლი გამართა 1850 წ. 2(14) იანვარს თბილისის გიმნაზიის შენობაში. იმ დღეს წარმოდგენილი იყო გ. ერისთავის კომედია „გაყრა“.

გიორგი ერისთავის თეატრმა გამოადვიდა ხალხის ინტერესი სასცენო ხელოვნებისადმი. ქალაქებსა და დაბასოფლებში იქმნებოდა სცენისმოყვარეთა დასები.

ღაღო აღნიაშვილი იყო თეატრის დიდი მოყვარული, სცენოგრაფი. სოფ. საგარეჯოში მამასახლისად არჩევის შემდეგ მან განავითარა თავისი აქტიური მუშაობა საგარეჯოელ სცენისმოყვარეთა წასახალისებლად. აქ უნდა აღინიშნოს რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებიც შეეხება

საგარეჯოს თეატრის ისტორიას, რაც ინტერესმოკლებული არ იქნება თეატრის საკითხებით დაინტერესებულ პირობათვის და, პირველ ყოვლისა, საგარეჯოს საზოგადოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საგარეჯოს სახალხო თეატრი უძველესია საქართველოში. 1976 წელს საგარეჯოს სახალხო თეატრს 100 წელი შეუსრულდა.

საგარეჯოში პირველი დრამატული დასი დააარსა 1875 წელს ქართული ენის სახალხო მასწავლებელმა ალექსანდრე ცხვეთაძემ მცირერიცხოვან სცენისმოყვარე ენთუზიასტებთან ერთად. 1876 წელს დაიდგა პირველი სპექტაკლი. ეს იყო პ. ცხვეთაძის პიესა „ბედნიერი ქორწილი“. რეჟისორად მიიწვიეს ლევან ჩერქეზიშვილი. პირველი სპექტაკლის წარმატებამ ფრთა შეასხა ენთუზიასტებს. შემდეგ მათ დადგეს „გაყრა“, „სამშობლო“, „არსენა“, „დაძმა“, „პეპო“, „რაც გინახავს, ვედარ ნახავ“, „ხანუმა“ და სხვა. თეატრის ისტორიის მემპტიანეები აღნიშნავენ, რომ სცენისმოყვარე ქალებს შორის, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს მის წინსვლას და განვითარებას, იყო ვარო (ბარბარე) მჭედლიშვილი-აღნიაშვილისა.

როგორც ცნობილია, ქალის გამოსვლა სცენაზე იმხანად სამარცხვინოდ ითვლებოდა. ამიტომ მათ როლებს თავდაპირველად კაცები ასრულებდნენ. პირველი გამბედავი ქალი, რომელმაც, როგორც იტყვიან, „ნავსი გატეხა“ საგარეჯოს თეატრის სცენაზე, გახლდათ ვარო (ბარბარე) მჭედლიშვილი-აღნიაშვილისა. მან განასახიერა შუშანას როლი სუნდუკიანის პიესაში „პეპო“ (1878). მის შემდეგ თეატრში მოვიდნენ შემდგომ ცნობილი მსახიობები: დარო მაისურაძე, ლიზა ვაშაკიძე, სოფიო ბერიძე, მართა ხატიაშვილი და სხვ. საინტერესოა, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლების არც ერთ პუბლიკაციაში არ მოიპოვება ინფორმაცია აღნიაშვილების ოჯახის მონაწილეობის შესახებ საგარეჯოს თეატრის ისტორიაში. ამ დოკუმენტურ მასალას წინამდებარე ნაშრომის ავტორმა მიაკვლია საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა

განყოფილებაში. სწორედ ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით მოგვეყავს აქ რამდენიმე საყურადღებო ფაქტი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიაშვილის ოჯახი და საგვარეულო დიდად გატაცებული იყო თეატრალური წარმოდგენებით. მათ საგარეჯოში ჰქონდათ შექმნილი სცენისმოყვარეთა კოლექტივი. გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ მასალებში, რომლებსაც ჩვენ გავეცანით, მოყვანილია ასეთი ფაქტი: ერთ-ერთი საქველმოქმედო სპექტაკლის მომზადებისას, რომელიც სოფლის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გაიმართა, დიდი შრომა გასწია ლადო აღნიაშვილის დედამ – ეკატერინემ, რომელმაც მთელი სცენა მორთო ხალიჩებითა და ფარდებით...

ერთ-ერთ სპექტაკლს – ვოდვეილს – ესწრებოდნენ მღვდლები, მათ შორის, თევდორე მღვდელი (პირველ რიგში – 1 მან.), რომლებმაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ დადგმისადმი და აღნიშნავენ: „რომც გამოგვრეკონ მღვდლობიდან, მაინც წავიდეთ“.

სპექტაკლების შემდეგ გათენებამდის იყო დროს ტარება. წარმოდგენები იმართებოდა გილაშვილის სახლში.

ლადო აღნიაშვილი აქტიურად ეხმიანებოდა თეატრალური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, აქვეყნებდა მასალებს სპექტაკლებზე იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. მან თვითონაც სცადა დაედგა სპექტაკლები ქართულ ხალხურ თქმულებებზე დაყრდნობით. 1888 წელს ეს განზრახვა განახორციელა კიდევ და ქართული დრამატული დასის მეშვეობით გაიმართა წარმოდგენები: ორი ფგერია – „ყარამანიანი“ (3 მოქმედებად და 11 სურათად) და „ტარიელი“ (3 მოქმედებად და 10 სურათად). ამის შესახებ იუწყებოდა ჟურნალი „თეატრი“ [71, 16]. ამ სპექტაკლების სცენარები დაცულია სცსსა-ში [330, 331].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიაშვილების ოჯახს და თავად ლადო აღნიაშვილს გარკვეული წვლილი მიუძღვით ჩვენი ქვეყნის თეატრის განვითარების ისტორიაში.

დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ ბიბლიო-გრაფიას ამ საკითხთან დაკავშირებით.

1. არაბული გ. „მდიდარი ტრადიციები“. // საქართველოს ქალი, 1877 წ. №9, გვ. 22-23.

2. ბურთიკაშვილი ალ. „სოფლის თეატრში“, // სოფლის ცხოვრება, 1962, 11, 14, 16 იანვარი, გვ. 4.

3. გომართელი ნ. „ცხოვრების მარტიანე“ (საგარეჯოს თეატრის 100 წ.). // „სოფლის ცხოვრება“, 1976, 15 მაისი, გვ. 4.

4. გომართელი ნ. „ტრადიციების კვალზე“. // სოფლის ცხოვრება. 1990. 15 იანვარი, გვ. 8.

5. ელერდაშვილი ალ. „პირველი დასი“ (90 წ. დაკავშირებით) // ივრის განთიადი. 1966. 20 იანვარი, გვ. 4.

6. თარხნიშვილი მიხ. „უძველესი სახალხო თეატრი“ (90 წ. დაკავშ.). // საბჭოთა ხელოვნება, 1965, №11, გვ. 48.

7. იმედაშვილი გ. (ი. იმედაშვილის არქივიდან), თეატრის საიუბილეოდ. // სოფლის ცხოვრება. 1980, 10 იანვარი. გვ. 3.

8. კობერიძე მ. „შთაგონებული ცხოვრების 100 წ.“ // სოფლის ცხოვრება. 1981, 28 იანვარი. გვ. 4.

9. მთვარაძე ს. 50 წელიწადი. საგარეჯოს თეატრი. ღვეან აღნიაშვილის წინასიტყვაობა: „კულტურული დღესასწაული“. ტფ., 1926, 54 გვ.

10. სირაძე ნ. „საგარეჯოს სახალხო თეატრი 100 წლისა“. // თეატრალური მოამბე. 1976, №5. გვ. 57-58.

## **თავი VI. ლადო აღნიაშვილი – კულტურის და გამოცხადელი**

1887 წელს ლადო აღნიაშვილის აქტიური მონაწილეობით დაარსდა“ ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“. ეს ის დრო იყო, როცა ქართულ წიგნს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გასაქანი, არ არსებობდა საგამომცემლო გეგმა, ბეჭდავდნენ რაც მოხვდებოდათ და როგორც შეეძლოთ. ზაქარია ჭიჭინაძემ და გრ. ჩარკვიანმა დიდი ჭაპანწყევტით

თითქმის 15-20 წელიწადი (90-იან წლებამდე) მოანდომეს, რომ წიგნების საგამომცემლო საქმე ჩამოეყალიბებინათ. ამ დროს დაიბადა აზრი „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ დაარსებისა, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელთაგანი ლადო აღნიაშვილიც იყო.

ცნობილია, რომ ჩვენს ლიტერატურაში 90-იანი წლებიდან ფეხმოკიდებული და მომრავლებული იყო ე. წ. „ბაზრული ლიტერატურა“, – უმთავრესად კომერციული მიზნით გამოცემული, ვიღაც არამწერლებისა და ლიტერატურისაგან დაშორებულ პირთა მიერ. მაშინ, როცა მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის გამომცემა დიდად შევიწროებული იყო ცენზურის პირობებში. შესაძლებელია, რომ სწორედ ამგვარმა ვითარებამ გამოიწვია „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობის“ დაარსება 1887 წელს. ამ საქმეში აღნიაშვილს უდიდესი დეაწლი მიუძღვის აღ. ჯაბადართან, რ. ფანცხავასთან (ხომლედი), ნ. ზედგენიძესთან, ს. ინასარიძესთან, გრ. ჩარკვიანთან და სხვებთან ერთად.

ეს გამომცემლობა ისე გაფართოვდა, რომ საკუთარი სტამბაც კი გამართა და მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას. ეს „ამხანაგობა“ ათეული წლების მანძილზე გამოსცემდა ყოველდღიურ გაზეთ „ცნობის ფურცელს“ თავისი ყოველკვირეული სურათებიანი დამატებითა და სქელტანიან ყოველთვიურ ჟურნალ „მოამბეს“. ამ „ამხანაგობას“ ეკუთვნის აგრეთვე ილია ჭავჭავაძის 5 წიგნის, აკაკი წერეთლის ორი ტომის, აღ. ყაზბეგის ოთხტომეულის, იოსებ დავითაშვილის ლექსთა კრებულისა და სხვა შესანიშნავი გამოცემები.

„ქართველთა წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ“ უდიდესი სამსახური გაუწია ქართული მწიგნობრობის აღორძინებას ჩვენში.

1883-84 წლებში ლადო აღნიაშვილი უახლოეს მონაწილეობას იღებდა საყმაწვილო ჟურნალ „ნობათი“-ს გამომცემაში. იგი იყო ინიციატორი მისი გამოცემისა და სარედაქციო კოლეგიის წევრი სამსონ ინასარიძესა და

აღ. მირიანაშვილთან ერთად, ოფიციალურ რედაქტორად კი ირიცხებოდა ანრი სოლდულაძე, რომელსაც უფრო ენდობოდა მთავრობა. ჟურნალი წრის თაოსნობით გამოდიოდა. ზემოხსენებულ პირთა გარდა ამ წრის წევრები იყვნენ: ალ. ჯაბადარი და ვასილ რცხილაძე. ამავე ხანებში სომხებმაც გამოსცეს ასეთივე ჟურნალი „წყარო“. ორივე გამოცემას საერთო მიზანი ჰქონდა – ქართველ-სომეხთა ურთიერთობის განმტკიცება, მაგრამ ეს აზრი ჩაიფუშა.

მეტად მნიშვნელოვანია ლადო აღნიაშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობა. იმდროინდელ პრესაში მრავლად გვხვდება მისი პუბლიკაციები, აგრეთვე, თბილი გამოხმაურებები, როგორც მასზე, ასევე მის წერილებზეც. საინტერესოა აგრეთვე, რომ ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება ლადო აღნიაშვილის „თხოვნა“ ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებაზე. 1852 წლის იანვარში გ. ერისთავის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „ცისკარი“. იგი ლიტერატურულ ორგანოს წარმოადგენდა. მაგრამ „ცისკარმა“ სულ 2 წელი იარსება – 1853 წლის ბოლოს იგი დაიხურა. სწორედ ამ ჟურნალის აღდგენა სურდა ლადო აღნიაშვილს, მაგრამ უსახსრობის გამო ვეღარ მოახერხა.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (სცსსა) დაცულია წერილი, რომელშიც ნათქვამია: „Владимир Дмитриевич Агниашвили – учитель народного училища обратился в Главное управление по делам печати с ходатайством о разрешении ему издавать в этом городе с дозволения цензуры под его редакцией ежемесячный грузинский детский журнал «Циспери» («Небесный»). Программа на стр. 2-3, всего на 6 листах. Разрешение получил 22 мая 1889 года“ [329]. სამწუხაროდ, ეს ჟურნალიც ვერ გამოვიდა სხვადასხვა შემაფერხებელი მიზეზის გამო.

ლადო აღნიაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რადგან ისინი დიდ როლს ასრულებდნენ ქართველი ერის თვითმყოფადობის დაცვის საქმეში. ეროვნული მოძრაობის პროგრამის

განხორციელებისას ქართული პრესის ფურცლებზე აისახებოდა ეროვნული მოძრაობის საჭირობორტო საკითხები, ყალიბდებოდა საზოგადოებრივი აზრი.

ლადო აღნიაშვილი ეხმაურებოდა მნიშვნელოვან მოვლენებს, მონაწილეობდა პოლემიკაში, იხილავდა ქართული ენის სიწმინდის დაცვის, საბავშვო ლიტერატურისა და სხვა პრობლემებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლადო აღნიაშვილი თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილში“, სადაც 1896-1903 წლებში გამოაქვეყნა სტატიების ციკლი „საკვირველებანი ბუნებისა“ და სხვ., რომელთა მეშვეობითაც იგი მოსწავლეებს „უნერგავდა ბუნებისა და მეცნიერების შესწავლისადმი ღტოლვას, გათვითცნობიერებისა და თვითგანვითარების წყურვილს“ [113-136].

ჟურნალ „ჯეჯილთან“ მას აკავშირებდა მჭიდრო თანამშრომლობა, რაზედაც დაწვრილებით შევხერდით აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის განხილვისას.

## **თავი VII. ლადო აღნიაშვილი – პირველი საქონაქაშიო საქმის დაარსების ინიციატორი**

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოს დაბა-სოფელ-ქალაქებს კალიასავით მოედგნენ ჩარჩი-ვაჭრები, რომლებსაც გლეხის ნაჭირნახულევი თითქმის მუქთად მიჰქონდათ, ხოლო მომხმარებელი მამასისხლად იძენდა: სურსათ-სანოვაგესა და სხვა ნივთებს. როგორც ი. იმედაშვილი წერს, „ქ. ტფილისი სავსებით ჩარჩი-ვაჭრების ხელში იყო“ [48, 57].

ლადო აღნიაშვილმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და განიზრახა ისეთი ამხანაგობის დაარსება, რომლის წყალობითაც შესაძლო იქნებოდა ჩარჩების კლანჭებიდან ნაწილობრივ მაინც თავის დაღწევა, სააღებ-მიცემო საქმის

კოოპერატიულ საფუძველზე მოწყობა. შეადგინა გეგმა, დაწერა პროექტი წესდებისა, რომლის მთავარი დებულებანი იყო:

§1. ამხანაგობასა აქვს საგნად გაუჩინოს ბაზარი მწარმოებელთ და შეამსუბუქოს ხარჯი მომხმარებელთა (მყიდველთ), ე. ი. იქმნას ნამდვილი შუამავალი მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის;

§ 2. ამ აზრით ამხანაგობა ყიდულობს და ჰყიდის:

ა) ყოველსავე საგანს ადგილობრივის წარმოებისას, როგორც მაგ.: ღვინოს, პურს, სიმინდს, ქერს, ფეტვს, მატყლს, აბრეშუმს, თამბაქოს, ზეთსა და ერბოს, ყველს, ხე-ტყეს, ხილეულს და სხვ.

ბ) ყოველსავე ნაწარმოებს რუსეთისა და სხვა ქვეყნებისას, როგორც, მაგ.: ყოველგვარს მანქანებს, იარაღებს დასაკრავებსა და სამუშაოს, რკინეულს, აბრეშუმეულს, მატყლეულს, ბუმბულს, შუშეულს...

3. ამხანაგობას აქვს ნება:

ა) შეიძინოს თავის საკუთრებად ქონება უძრავი და მოძრავი;

ბ) გამართოს და იქონიოს ქარხნები, სავაჭროები, კანტორები, სააგენტოები, საწყობები, მაღაზიები, სოფლის დუქნები, სარდაფები და სხვ.“ [48].

ეს საკითხი განიხილეს „ივერიის“ რედაქციაში.

აი, რას წერს ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში: „უილიაოდ არაფერი თვალსაჩინო და სავალდებულო საქმე არ დაიწყებოდა. ილია იყო ავტორიტეტი, კანონმდებელი ქართველებისათვის. მისი სიტყვა სჯეროდათ, იმის გამოცდილებას, იმის დამჯდარ, დარბაისლურ ჭკუას დიდად აფასებდნენ. „ივერიის“ რედაქციაში ჩვენ კრებებზე ლიტერატურული საკითხების გარდა ბევრს სხვა, ჩვენი ქვეყნის საჭირობორატო საქმეებზედაც გვქონდა ხოლმე სჯაბაასი. დიდად გვაწუხებდა ჩვენი მშრომელი ხალხის ეკონომიური დაქვეითება. ვფიქრობდით, როგორმე მოგვევლო ამ საქმისათვის. ბევრი იყო თქმული, ბევრი



ნააზრევი, მხოლოდ როგორ მოგვეკიდა ხელი საქმისათვის, ვერ შევთანხმებულებიყავით. ბოლოს გამოჩნდა მოსაქმე ხალხნიც, კახეთში განეზრახათ დიდი საქმის დაწყობა ჩვენი ეკონომიური დაქვეითების გამო. შეედგინათ საკმაოდ ვრცელი წერილი, სადაც გამორკვეული იყო აგრეთვე კარგად შემუშავებული გეგმა მოქმედებისა და წესდებისა იმ საზოგადოებისა, რომელიც ამ საქმეს თავში უნდა ჩასდგომოდა. გადაწყდა გაემართათ საწყობები, გაეხსნათ სავაჭრო დუქნები, დაეარსებინათ კოოპერატივები, მოეწყოთ სოფლებში პატარა ბანკები, გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებები, ჩაებათ ამ საქმეში ხალხი, რომელიც მშიერ-მწყურვალი, „შიშველ-ტიტველი“ დაიარებოდა, სიღარიბისა და გაჭირვებისათვის თავი ვერ აეცდინა.

დედააზრი ამ სავაჭრო დასაწყისისა, – აღნიშნავს იაკობ მანსვეტაშვილი, იყო შემდეგი: „ჩვენი ქვეყანა უხვი და მადლიანია... ამას რომ რიგიანი და გულშემატკივარი პატრონი გამოუჩნდეს, მოუაროს და გასავალი მისცეს, ჩვენი ხალხის ბედს ძალდი ვეღარ დაჰყუფდა. მთელი სიმდიდრე ხელში უვარდებათ სოფლის თუ ქალაქის მტაცია-მგლეჯელებს, ჩარჩ-მოვაჭრეებს და მოვახშეებს... უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენი სიმდიდრე ჩვენსავე ხალხს შერჩეს ხელში.

ილიამ მოიწონა ეს წინადადებები და აღუთქვა დახმარება... ჩვენ ბედზე და ჩვენდა სასიქადულოდ მაშინვე გამოჩნდნენ ისეთნი მუშაკნი, რომელთაც კისრად იდგეს ამ საქმის ცხოვრებაში განხორციელება. ამათ უნარი და საქმიანობაც გამოიჩინეს და საქმის სიყვარული და ერთგულებაც. დავასახელებ მათ შორის ღადო აღნიაშვილს. მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, ორიოდ მეტი სიტყვა ვსთქვა ამ დიდად ღირსეულ, ჩუმ, არა-მყვირალა მოღვაწის შესახებ, რომელსაც დიდი ღვაწლი და სამსახური მიუძღვის ქართული ხალხის წინაშე... „ღადო აღნიაშვილი დიდი ინიციატივის ადამიანი იყო. რასაც ხელს მოჰკიდებდა, უსათუოდ ბოლომდე მიიყვანდა, განზრახვას ხორცს შეასხავდა“. [52].

1897 წელს ლადო აღნიაშვილმა დაიწყო ტფილისში პირველი საკოოპერაციო საქმე, დააარსა ქართველთა საადებმიცემო ამხანაგობა „შუამავალი“. გამგეობის თავმჯდომარე თავადვე იყო, დირექტორები კი – ივანე კახეთელიძე და იასე მახარობლიძე.

მაჩხაანის კოოპერატიული მუშაობის ამბით გატაცებული, ლადო აღნიაშვილი მხურვალედ შეუდგა საკოოპერაციო საქმის მოწყობას. შეადგინა საზოგადოება, შეკრიბა საწევროები და გახსნა სავაჭრო დუქანი. პირველ ხანებში საქმე კარგად წავიდა, მაგრამ იგი მალე დაიშალა, ისევე, როგორც მაჩხაანის კოოპერატივი. როგორც ი. მანსვეტაშვილი იგონებს, ამას მიზეზი ბევრი ჰქონდა:

„მოაერობა თავიდანვე ეჭვის და უნდობლობის თვალთ უყურებდა ახალ წამოწყებას... არც ჩარჩვაჭრები იყვნენ კმაყოფილნი. დაიწყეს ბრძოლა, ნამდვილი ომი, არ ერიდებოდნენ არაფერს, თვით არასაკადრის ჭორსა და ცილისწამებასაც. ამათ ბანი მისცეს, მხარი დაუჭირეს ბობოლა ვაჭრებმა, უფრო მსხვილმა კალიებმა და გაუმაძღარმა წურბელებმა, მისცეს პირი პირს, ხელი ხელს და შეერთებული ძალით გამოილაშქრეს ჩვენი ჯერ ნორჩი შეუიარაღებელი დაწყებულების წინააღმდეგ... მესამე და ყველაზე თავი მიზეზი იყო ჩვენი სიღარიბე, ხელმოკლეობა, უფულობა – კრედიტი არ გვქონდა, ფულს ვერ ვშოულობდით. ერთიც და მეორეც კომერციული ბანკების ხელში იყო. ქართველებს არც ერთი საკომერციო ბანკი არ გააჩნდათ იმ დროს. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაც კი ჭაჭანებად არ მოგვეპოვებოდა. ბანკებიც, საკრედიტო საზოგადოებანიც სულ უცხოელების ხელში იყო, იმათ ხელში იყო, მაშასადამე, კრედიტიც და ჩვენი საქმის სვე-ბედიც. ჩვენ რომ საქმიან კრედიტზე დაუწყებდით ლაპარაკს, ესენი ლაზღანდარულ კილოთი გვიპასუხებდნენ: „ეს რა თქვენი საქმეა? ღმერთს თქვენთვის სხვა შნო და უნარი მოუცია: ლხინი, ქეიფი, ნადიმი... აბა ამაში ვინ გყავთ ტოლი და მოცილე!“ [52].

ლადო აღნიაშვილი დიდ იმედებს ამყარებდა „შუამავალზე“, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს იმედი არ გაუმართლდა. უმთავრესად იმიტომ, რომ ვაჭრები მის წინააღმდეგ ამხედრდნენ და თვით „შუამავლის“ ხელზე მოსამსახურენი მოიმხრეს... მათი ინტრიგანობისა და შეუგნებელ წევრთა უვიცობით დაიხურა „შუამავალი“.

მაგრამ ეს პირველი ნაბიჯი უშედეგოდ არ დარჩენილა, მან ერთგვარი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, მოამზადა ნიადაგი გაფართოებული კოოპერატიული მოძრაობისათვის შემდგომ პერიოდში.

### **თავი VIII. თანაგაქროვნთა მოგონებები ლადო აღნიაშვილზე**

ლადო აღნიაშვილზე მრავალი თბილი მოგონებაა შემონახული XX-XXI საუკუნეებში.

1904 წლის აპრილში, ლადო აღნიაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მრავალი სამგლოვიარო განცხადება და წერილი გამოქვეყნდა გაზეთებში: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, ჟურნალ „მოგზაურ“-ში და სხვ. ეს წერილები მისი გარდაცვალების შემდეგ არსად გამოქვეყნებულა და მათ ამ ნაშრომში პირველად გაეცნობა მკითხველი.

დიდი გულისტკივილით ეხმაურებოდნენ ლადო აღნიაშვილის ავადმყოფობას მისი მეგობრები. ერთ-ერთ წერილში, რომელიც გამოქვეყნდა 1902 წლის 8 მაისის „ცნობის ფურცელში“ [272, 3] სათაურით „დავიწყებული მოღვაწე“ „არტისტი-მომღერალის ხელმოწერით“ ვკითხულობთ:

„16 წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც ბ. აღნიაშვილმა პირველად გამართა საერო ხოროს კონცერტი. ქართველები წინათაც ვმღეროდით: მღეროდა ქართველი ხალხი, უმღეროდა დედა თავის შვილს, მაგრამ ყველა – კი თავისთვის – სიმღერა იშვიათათთვის იყო წარმოსადგენი, როგორც დამოუკიდებელი ხელოვნება. ქართული მუსიკის

ისტორია ხსენებულ დროიდან იწყებს სიცოცხლეს. 16 წლის წინათ ამ ერთმა, თითქმის მუსიკის არაფრის მცოდნე, კაცმა შესძლო 30 კაცის ერთად თავის მოყრა, მოწვევა მუსიკის მცოდნე პირის და გაჩაღება საერო სიმღერებისა... იმისთანა თავგანწირვას და ერთგულებას, როგორც ვლადიმერ აღნიაშვილმა გამოიჩინა, ვერა ვხედავთ. აი ამ ქართული სიმღერების გამჩაღებელს და დამწყობს ამ საქმისას ისეთი ბედი ეწერა, რასაც გულქვა კაცი მტერსაც არ მოუსურვებს: დაჰკარგა გონება და ერთი ისღა დარჩა, რომ ეს სიცოცხლითვე მკვდარი კაცი სულით ავადმყოფთა სახელში მოეთავსებინათ.

ამ დავრდომილი კაცის სახელის მოსაგონებლად კარგს ინებებენ ჩვენი სიმღერის მოყვარულნი გამართონ კონცერტი, რის შემოსავალიც ან ცოტა რამ შემწეობა მიეცეს ამ ავადმყოფს ან კიდევ მისი სახელობით გამოიცეს კრებული ან ნაწერი რამე ქართულ მუსიკაზე. ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მუსიკის მოყვარულნი, თუნდაც ამ ასპარეზზე მეტოქენიც, დაივიწყებენ პირად ანგარიშებს, მისცემენ ერთმანეთს მხარს საერთო საქმის გასაუმჯობესებლად და ამნაირად თავის ზნეობრივ ვალს აღასრულებენ“.

„ცნობის ფურცელი“, 1904, 12 აპრილი, №2464, გვ. 1 [274, 1].

ახალი ამბები. სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყოთ მკითხველთ: შაბათს, საღამოს, ფ. მიხეილის საავადმყოფოში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე ერთ დროს მუყაითი მოღვაწე ლადო აღნიაშვილი.

„ივერია“, 1904, 14 აპრილი, №89, გვ. 1 [244, 1].

შაბათს, 10 აპრილს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მიხეილის საავადმყოფოში ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი.

პანაშვიდი დანიშნულია საღამოს 7 საათზე.

„ივერია“, 1904, 15 აპრილი, №90, გვ. 1 [245, 1-2], 16 აპრილი, №91, გვ. 2 [378, 2].

„ნინო და ალექსი მირიანაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძმისა და ცოლის ძმისა ლადო აღნიაშვილისა“.

„სვიმონ და მარიამ აღნიაშვილი აცხადებენ გულითადის მწუხარებით გარდაცვალებას დაუვიწყარს ლადოსას აღნიაშვილისა. გამოსვენება პარასკევს, 16 აპრილს, დილის 10 საათზე“.

„ცნობის ფურცელი“, 1904, 15 აპრილი, №2467, გვ. 3-4 [276, 3-4].

ლადო აღნიაშვილი (ნეკროლოგი)

ზოგადი ცხოვრების მიმოხილვისას აღნიშნულია, რომ „ტფილისის ქართულ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში ლადო აღნიაშვილმა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც ამ ეკლესიის მრევლისაგან, აგრეთვე ამ ეკლესიის ზედამხედველ-გამგეთაგან.

ლადო აღნიაშვილი ეკუთვნოდა იმ ქართველთა გუნდს, რომელთაც სწამთ ჩვენი ერის კულტურული მისწრაფება და იმედიანის თვალთ უცქერიან მომავალს. ამიტომაც განსვენებული ყოველს ქართულს საზოგადო საქმეს მუდამ გულითა და სულით ეჭიდებოდა და ზოგჯერ კიდევ ამისთანა საქმეს ჰქმნიდა საკუთარის ინიციატივით“.

1885 წ., მცირედი ჯამაგირის პატრონი, ლ. აღნიაშვილი იწვებს სასიქადულო საქმეს: ქართული ხალხური მღტივების, სიმღერების შეკრებას და მათ დაბეჭდვას, იწვევს მასწავლებელს, აგროვებს სიმღერის მცოდნეთ და მოყვარეთ, ხშირად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თავის ხარჯით იბარებს ერთად რამდენსამე კარგ მომღერალ გლეხებს; აქ, ტფილისში ინახავს მათ კვირის-კვირობით იმ აზრით, რომ ამღეროს და მუზიკის მცოდნეთ ნოტებით ჩააწერინოს მათი ნამღერალი. როცა საკმაო მასალა შეუგროვდა, განიზრახა ახლა მუდმივი ქართული ხოროს დაარსება. ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1886 წელს გაიმართა პირველი კონცერტი აღნიაშვილის ქართული ხოროსი, რომელმაც, რამდენადაც გვახსოვს, მთელი

მსმენელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენდა მისი შემდეგი კონცერტები. მერე ვხედავთ, რომ აღნიაშვილის საქმემ გამოიწვია მიმბაძავნი და ამ გვარად ორიოდე წელიწადში საქართველოს ყოველ კუთხეში კაცი გაიგონებდა მისის კრებულიდან აღებულ მოტივების სიმღერას.

საზოგადოდ აღნიაშვილი ერთს საქმეზედ ვერ ჩერდებოდა: ერთსა და იმავე დროს რამდენსამე საქმეზედ ჰყვიქრობდა და შრომობდა. თუმცა, მაგალითად, დიდი ხნის მიტოვებული ჰქონდა მასწავლებლობა, მაგრამ თავისს თავს მაინც პედაგოგად სთვლიდა. სასიამოვნოდ მიაჩნდა როგორც კითხვა, აგრეთვე წერა. ამ დარგში ჰბეჭდავდა პატარ-პატარა წიგნებად მშვენიერად დასურათებულს „ქართულს ანბანს“, რომელიც საკმაოდ ძვირად უჯდებოდა. ამავე დროს მხურვალე მონაწილეობას იღებდა და თითქმის ყოველს ნომერში ჰბეჭდავდა წერილებს ქართულ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“. მასვე ეკუთვნის აგრეთვე რუსულად დაბეჭდილი „Первый шаг...“ მანვე გამოსცა რუსულ-ქართული „უბის ლექსიკონი“, ქართული ხალხური ზღაპრები და სხვ. ყველაზედ უმეტესად აღსანიშნავია აღნიაშვილის ერთი საქციელი, რომელსაც ბევრი ქართველი ვერ იკისრებდა და ვერ გაბედავდა: იგი 1894 წელს მიდის სამოგზაუროდ სპარსეთის მიყრუებულ კუთხეებში უფულოდ, უარარაოდ იმ მიზნით, რომ იქ აღმოაჩინოს შაჰ-აბაზისაგან გადასახლებული ქართველები..., რის შედეგადაც დაიბადა მშვენიერი ენით დაწერილი წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“, რომელიც დიდის ქების ღირსია“.

„ცნობის ფურცელი“, 1904, 16 აპრილი, №2468, გვ. 3 [275, 3].

ახალი ამბები. განსვენებულს ლადო აღნიაშვილს დღეს დილით წაასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, შემდეგ დაკრძალავენ კუკიის სასაფლაოზე.

„ცნობის ფურცელი“, 1904, 17 აპრილი, №2469, გვ. 2 [279, 2].

ახალი ამბები: გუშინ, 16 აპრილს დაკრძალეს გვამი ახლად გარდაცვალებულის ლადო აღნიაშვილისა. დილის 10 საათზე ცხედარი მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდან გაასვენეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი. წირვაზე გალობდა მონადირაშვილის ხორო. პანაშვიდს შემდეგ მიცვალებული კუკიის სასაფლაოზე წაასვენეს. გზაზე რკინის გზის ხელოსანთა მუსიკა უკრავდა. საფლაოზე წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვა. კუბო, შემკული იყო შემდეგის გვირგვინებით: „ტფილისის სათავადაზნაურო სკოლისაგან“, „საგარეჯოელ ინტელიგენციისაგან“, „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან“ და სხვ. დასაფლავებას დაესწრნენ ქართველი ინტელიგენცია, ქართულ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, გუბერნიის მარშალი, „წ. კ. საზოგადოების“ გამგეობის წევრნი, არტისტები და დიდძალი ხალხი.

„ივერია“, 1904, 16 აპრილი, №91, გვ. 2 [246, 2].

ლადო აღნიაშვილის გარდაცვალების გამო ქუთაისიდან მოგვივიდა შემდეგი წერილი ჩვენის თანამშრომლისგან, თ. ხუსკივაძისაგან:

„დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქართველს დასწავადა გულის ლადოს გარდაცვალება.

მაგრამ მე, მის გულითად მეგობარს და სკოლის ამხანაგს კი უმეტეს მომეკიდა ცეცხლი ასე უდროვოდ, ასე ტანჯვით შეჯახულ-შებორკილმა მისმა სიცოცხლის მოსპობამ. ძნელია მეგობრის დაკარგვა, მაგრამ უფრო ძნელი ის არის, რომ ჰკარგავ საზოგადო მოღვაწეს, ეროვნული სიცოცხლით გატაცებულ ახალგაზრდას, ჭეშმარიტების თავდადებულ მქადაგებელს, ბოროტების მგმობელს, ჯვარზე მცმელს და თავის ქვეყნის მხურვალე სიყვარულით მოტრფიალეს. დიად, ძნელია ასეთი კაცის დაკარგვა. ასე ადრე, ასე ნორჩადვე და მით უმეტეს იგლოვს ლადოს დაკარგვას ყოველი ნამდვილი ქართველის გული. მეც ვუერთებ ჩემ გულითად მწუხარებას ჩვენი ქვეყნის

ერის გრძნობიერ გლოვას გამოეხატავ და მასთან ერთად ვუსურვებ ამ წუთის სოფელში ტანჯულ-წამებულ ლადოს იმ სოფლად მაინც სულის სიმშვიდეს და ქრისტეს მიერ მყუდრო საუკუნო ცხოვრებას.

„ივერია“, 1904, 17 აპრილი, №92, გვ. 2 [247, 2].

დასაფლავება ლადო აღნიაშვილისა.

„გუშინ, დილის 11 საათიდან, მრავალი ხალხი მივიდა ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც ესვენა გვამი უანგარო მოღვაწის ლადო აღნიაშვილისა. სახე ყველას მოდრუბლული და კაეშნიანი ჰქონდა. ყველა სწუხდა უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარ მამულიშვილისას.

საყდარში წირვა იდგა. ხალხი ნელ-ნელა ემატებოდა... მოვიდნენ წარმომადგენელი ადგილობრივ გაზეთებისა, ქალაქის გამგეობისა, სათავადაზნაურო სასწავლებლისა. მოიტანეს გვირგვინებიც და შეუძკეს ძვირფასი კუბო... პირველ საათზე თითქმის ერთიან გაივსო ხალხით მთელი გალაგანი...

წირვა გათავდა. დაიწყო ანდერძის აგება... გგონია, აგერ ახლა მაინც დაიწყებს გალობას ქულაჯაში გამოწყობილი ქართული ხორო. ამაოა თქვენი ღოდინი. კაცისთვის, რომელმაც ჩაჰყარა მტკიცე საძირკველი და ამ ოცი წლის წინათ დააარსა მუდმივი ქართული ხორო, გალობდა მხოლოდ ბ. მონადიროვის გუნდი.

გათავდა ანდერძის აგებაა მიცვალებული გაატარეს ჯერ ბარატინსკის ქუჩაზე, შემდეგ ვორონცოვის ხიდზედ, მიხეილის პროსპექტზე და მიიტანეს კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზედ... გზაზედ მდაბიო ხალხი უფრო მიემატა.

გაჩუმდა ხალხი. სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელმა ივანე რატიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, საკმაოდ ვრცლად დაახასიათა უანგარო მოღვაწეობა განსვენებულისა.

სიტყვა წარმოსთქვა და პატარა ლექსიც წაიკითხა ი. ევლოშვილმა.



ლექსითვე მიჰმართა მიცვალებულს ბ-მა აღ. მჭედლი-  
შვილმა. 3 საათზე კი მიწაში ჩაუშვეს ძვირფასი გვამი“.

„ივერია“, 1904, 21 აპრილი, №95, გვ. 2 [248, 2].

ოდესიდან ასეთი დეპეშა მივიღეთ:

„გულითად მწუხარებას ვაცხადებთ ჩვენის  
ლიტერატურისა და მუსიკის მოღვაწის ლადო აღნიაშვილის  
გარდაცვალების გამო“ – ქართველი სტუდენტები.

„ივერია“, 1904, 29 აპრილი, №101, გვ. 2 [249, 2].

სიტყვა, თქმული ლადო აღნიაშვილის დასაფლავების  
დღეს ივანე რატიშვილის მიერ:

მშვიდობით, დაუვიწყარო ძმაო ლადო!

მშვიდობით, გულსმოდგინე, შრომისაგან დაღალულ-  
დაქანცულ და დატანჯულ მოღვაწეო.

გათხრილია შენთვის საფლავი: ჩვენმა საერთო  
დედამ, შავმა მიწამ უნდა მიირქვას შენი უსულო გვამი,  
შენი ძვირფასი გული... ეხლა კი უსიცოცხლო, მაგრამ  
ოდესღაც მშფოთვარე და მხურვალე, გრძნობებით სავსე.  
ამ გულში ღვიოდა უტყუარი და უეჭველი, უანგაროებით  
განმსჭვალული სიყვარული შენი დედა-ქვეყნისადმი. ეს  
სიყვარული აშფოთებდა და აღელვებდა შენს სულს,  
ამოძრავებდა მოუსვენრად შენს გონებას და იწვევდა  
დაუცხრომელ სამუშაოდ. მრავალგვარი იყო შენი მუშაობა,  
შენი პირველი სიტაბუკიდან მოყოლებული, უკანასკნელ  
სამუშაო ძალ-ღონის დაკარგვამდე. მრავალგვარი კეთილი  
განზრახვა დაიბადა შენს გონებაში; არა ერთი სასარგებლო  
და უანგარო წადილი გამოჰკვება შენმა გრძნობიერმა  
გულმა, არა ერთს შესანიშნავ საქმეს მისცა დასაწყისი  
შენმა მხნე და მადლიანმა ხელმა, ან კიდევ მტკიცე და  
ერთგული დახმარება გაუწია სხვისგან დაწყებულ საქმეს.  
შენი სახელი მტკიცედ არის დაკავშირებული „ქართველთა  
წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ დაარსებასთან.

შენი მშობელი ერის გამოსაფხიზლებლად და მის  
საეროვნო გრძნობის დასამტკიცებლად, შენ ითავე მეტად

შესანიშნავი და დაუვიწყარი საქმე: მოიწვიე მცოდნე და დახელოვნებული კაცები, შეაკრებინე და დააწვინე მრავალი ქართული საერო სიმღერა, ჩვენი ერის გულიდან საუკუნოებით ამონაძახი. შეკრებილ დაწერილი სიმღერების ასასრულებლად და ხალხში მოსაფენად, შენივე გარჯით, დაუზოგველობით შეადგინე ქართული ხორო და ამ ხოროს გამგებლად მოიწვიე იმ ერის შვილი, რომელმა ერმაც თავის საეროვნო ბრძოლაში ასე მშვენივრად და მოხერხებით გამოიყვანა სიმღერა და მუსიკა. შენმა ხორომ დაიწყო ტფილისით, მერე დაიარა საქართველო, დასძახა ქალაქსა და დაბაში ქართული კილო-ნაკვთი და ყველგან ქართველი კაცის გული ააძგერა ცხოველი საეროვნო გრძნობითა და ხალისით. დღეს აღარ არის შენი ხორო, როცა შენგან დაწყებული საქმე ღონივრად გაშლის ფრთას და გამოიჩინოს თავის ცხოველმყოფელს ძლიერებას. შენი მშობელი ერის სიყვარულივე იყო მიზეზი, რომ დაიძარ და თავდაუზოგველად გაუდქქ შორსა გზასა... წახვედ პირანის გულქვავი და უწყალო მტარვალ-მფლობელისაგან გადაკარგული ქართველების ნაშთის მოსანახად. კიდევ მონახე უბედურნი, ახარე მათ ქართველობა და ჩვენ ყველასაც გვაუწყე მათი არსებობა და ყოფა-ცხოვრება. ვინ იცის, ამ შენმა საქმემ მომავალში რა ნაყოფი მოიტანოს: იქნება შენგან ჩაგდებულმა მარცვალმა მომავალში ხე აღმოაცენოს და ამ ხემ გამოიღოს ნაყოფი უამსა თვისსა...

შენი პირველი ახალგაზრდობის მოღვაწეობა სამასწავლებლო სარბიელს ეკუთვნის. ამ სარეცელზედაც შენ შენებური სიყვარულით და მხნეობით ირჯებოდი, წერითაც და საქმითაც. შენგან შედგენილი საბავშვო წიგნაკები და სხვადასხვა წერილები ძვირფასია და პატივისცემით დასახსოვნი ჩვენი ღარიბი საადმზრდელი მწერლობისათვის; ხოლო შენს სამასწავლებლო მოღვაწეობას შენი ყოფილი მოწაფეები, ტფილისის ქართველ კათოლიკეთა საეკლესიო სკოლიდან გამოსულნი, გულითადის სიყვარულით ივანებენ: გავიხსენოთ ერთს ჩვენს ქართულ გაზეთში დაბეჭდილი წერილი ერთის შენის ყოფილის მოწაფისა, რომელიც ამ

წუთისოფლისა ამოებას გასდგომია, მაგრამ გაუგია თუ არა შენი უკურნებელი სენით შეპყრობა, თავისი წველილი გამოუგზავნია შენს საშველად და თან ის წერილიც – გაზეთში დასაბეჭდათ, გავიხსენოთ ის წერილი და ვნახავთ, თუ რა გრძნობით უვსებდა გულს ნორჩ მოწაფეებს ღაღო აღნიაშიელი.

შენისთანა იდეალისტმა ისეთ საქმესაც კი მიაქცია ყური, როგორც ვაჭრობის საქმის საკითხია ქართველებისათვის, და ამ საქმესაც მოჰკიდე ხელი და ქართველთა ამხანაგობა შეადგინე იმისთვის, მაგრამ ესეთი საქმე არ იყო შესაფერი და ხელსაყრელი შენი იდეალისტური ბუნებისათვის. მაინც შენ ხომ სცადე ჩვენთვის დიდად საჭირო და სასარგებლო საქმის დაწყება და დაე, სხვებმა განახორციელონ შენი განზრახვა და მტკიცედ მოაწყონ ჩვენი ვაჭრობის საქმე ქართველი ერის კეთილდღეობისათვის.

ბოლოს დროს შენ გაწუხებდა და გაშფოთებდა ჩვენი ქართული მსახდვრავი სიტყვების შემუშავება აწინდელი სამეცნიერო მსახდვრავი სიტყვებისათვის ლექსიკონის შედგენას რომ აპირებდი, გვიწვევდი დასახმარებლად, მაგრამ სწორედ ამ დროს გიდალატა ბედმა და დაჰკარგე სამუშაო ღონე... უკურნებელმა სენმა შეგიპყრო და აი დღეს მტირალნი ვაცილებთ შენს უსულო გვამს სამარეში.

აქ, ამ საფლავთან აღარ მოჩანან მაღალჩინოვანნი პირნი, გამოსვენების დამამშვენებელნი. მით უკეთესი, აქ ადგილი არა აქვს ცრუ გამოსვენებას: აქ თავი მოგვიყრია, შენ გულ დამწვარ ნათესავებთან ერთად, შენს გულითადს მეგობრებსა და პატივისმცემელთა, რომ უტყუარი და წრფელი გრძნობით მადლობა და პატივი შევსწიროთ ჩვენთვის დაუვიწყარ სახელსა, შენს უანგარო და ნაყოფიერ ღვაწლსა! მოვსულვართ, რომ ძველებური, მამა-პაპური, მაგრამ უკვდავი, სიტყვები ვუთხრათ პატიოსანს და თავის დედა-ქვეყნის ერთგულ შვილისა:

საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა შენი!”

„მოამბე“, 1904, №4, გვ. 123 – 124 [98, 123-124].

ვლადიმერ აღნიაშვილი [ნეკროლოგი].

„ჩვენს საზოგადოებას კიდევ ერთი ერთგული მუშაკი მოაკლდა – ვლადიმერ აღნიაშვილი, რომელიც 16 აპრილს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დაკრძალეს. ვლადიმერ აღნიაშვილი მიიცვალა 44 წლისა, შედეგად ოთხი წლის სულით ავადმყოფობისა. განსვენებული იყო მხნე მუშაკი ჩვენის თვითმოქმედების სარბიელზე.“

1881 წელს მან გორის სამასწავლებლო სემინარია დაამთავრა, რამდენიმე წელიწადს მასწავლებლობდა, შემდეგ მასწავლებლობას თავი დაანება და მთელი თავისი დრო შესწირა ჩვენს სხვა-და-სხვა საერთო საქმეებს, რომელიც ჩვენს საზოგადოების თაოსნობის და თვით-მოქმედების ნაყოფია. ამ საქმეების დაწყებაში არა მცირედი მონაწილეობა ჰქონდა ვლადიმერ აღნიაშვილს. მხურვალე მონაწილეობა მიიღო მან, მაგალითად, „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა“ და ქართველთა საგაჭრო ამხანაგობის „შუამავალის“ დაარსებაში. თვალსაჩინო თაოსნობა გამოიჩინა აღნიაშვილმა 1886 წელს ქართველთა მომდერალთა პირველის გუნდის დაარსებით. გარდა ამისა, განსვენებული მონაწილეობას იღებდა ქართულს მწერლობაში. მან დაბეჭდა, სხვათა შორის, „ქართული ანბანი“ სურათებით, „უბის ლექსიკონი“, „ქართული ხალხური ზღაპრები“ და რამდენიმე წერილი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“.

1894 წელს აღნიაშვილი სპარსეთში გაემგზავრა იმ აზრით, რომ თავის თვალთ ენახა და გაეცნო შთამომავლობა იმ ქართველებისა, რომელნიც შაჰ-აბაზმა მე-XVII საუკუნეში საქართველოდან გადაასახლა. ამ მოგზაურობის ნაყოფი იყო ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილი დიდად საინტერესო წერილები „სპარსეთი და იქაური ქართველები“, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა“.

ჟურნალი „მოგზაური“, 1904, №5-6, გვ. 326-345 [100].

ბერიკაცის წერილები

„...აპრილის 17-სა. საწყალი ლადო აღნიაშიელი, იმასაც მიწა მიაყარეს, ჯერ ისევ ყმაწვილ კაცს. სიკვდილით კი ოთხი წელიწადია, რაც მკვდარი იყო ის საცოდავი!

მშრომელი, მუშა, თავგამოდებული მოღვაწე, მამულის ერთგული მოტრფიალე და მოსიყვარულე; ბევრი ფიქრები, მიუხვწვევლი სურვილები, განუხომელი ლტოლვილება, უჩირქო განცხრომილობა – ყველა თან ჩაიტანა, საფლავეში გაიყოლა... გულკეთილი ამხანაგი, ზრდილი თანამშრომელი, ბევრის მოთავე, თავის ღონისა და სიცოცხლის ხნის შეფერებით ბევრის გამკეთებელი; გარეგნობითაც ფაქიზი და პედალოღიაში ესტეტიკი!

უქონელი და შეუძლებელი, შეძლებასაც მოულობდა და თავის თავს არას ახმარებდა, საქვეყნო საქმეს აძლევდა: აქ ქართულ გალობის და სიმღერების საქმის ვარაუდს ეწეოდა, ადგენდა და თავის ხარჯით წიგნებს აბეჭდინებდა, სპარსეთში სამას-ოთხასი წლის დაკარგულ ქართველებს ეძებდა!

სამუდამო იყოს ხსენება მისი. ემსახურებოდა თავის ქვეყანას, რამდენიც ძალა და ღონე ჰქონდა!..“

იმ გამოჩენილ ქართველთა შორის, ვინც ყურადღებით ადევნებდა თვალს ლადო აღნიაშიელის ცხოვრებას, მოღვაწეობას და იყო ლადო აღნიაშიელის ღვაწლის დიდი დამფასებელი, გახლავთ იოსებ იმედაშიელი. ლადო აღნიაშიელის გარდაცვალებიდან 10 წლისთავს მიუძღვნა მან რამდენიმე წერილი, რომლებიც მის მიერ გამოცემულ ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრება“-ში გამოქვეყნდა 1914 წელს, ხოლო ლადო აღნიაშიელის გარდაცვალებიდან 25 წლისთავზე იოსებ იმედაშიელმა გამოსცა პირველი მონოგრაფიული ნაშრომი „ლადო აღნიაშიელი“ [47] და ამით მისი პირველი ბიოგრაფის სახელი დაიმკვიდრა. აი, როგორ

ახასიათებდა ამ ნაშრომში ი. იმედაშვილი ამ შესანიშნავ პიროვნებას: „ლადო აღნიაშვილი იყო უკეთილშობილესი საზოგადო მოღვაწე, მაღალი იდეალებით გატაცებული, გარეგნობით ახოვანი, საამო შესახედავი, სულით მგზნებარე და მუდამ ფაქიზი“ [48, 3].

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო – საისტორიო არქივის ლიტერატურულ განყოფილებაში დაცულია ი. იმედაშვილის განცხადება, დათარიღებული 1929 წლის 17 აპრილით. იგი მიმართავს სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციას, პრეზიდიუმს თხოვნით: ლადო აღნიაშვილის გარდაცვალებიდან 25 წლისთავის გამოს, ხსოვნის საღამოს ჩატარების შესახებ [332]. ამ განცხადების პასუხად 1929 წლის 15 აპრილს შედგა ამ ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა [332], სადაც გადაწყდა ლადო აღნიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოს ჩატარების საკითხი. ეს საღამო ჩატარდა.

აქვე არის დაცული მეორე დოკუმენტიც.

1950 წლის 27 მარტს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ მიმართა თბილისის პარტიის რაიკომის ერთ-ერთ მდივანს განცხადებით ლადო აღნიაშვილის საფლავის მოვლა-პატრონობის შესახებ [333]. დღეს ამ დიდი ერისკაცის საფლავს ადგილი აქვს მიჩენილი კუკიის სასაფლაოს ეკლესიის წინ სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა გვერდით, რომლებსაც მოწიწებით პატივს მიაგებენ მადლიერი თაობები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ გამოჩენილ ადამიანთა სახელები, რომლებმაც თავისი სტატიებით ჟურნალ-გაზეთებში გარკვეული წვლილი შეიტანეს ლადო აღნიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად, პატივი მიაგეს მის ნათელ ხსოვნას. ისინი ჩვენ ყველა მოვიხსენიეთ ამ ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში. მაგრამ კიდევ ერთ-ხელ გვინდა მადლიერების გრძნობით წარმოვაჩინოთ ქართული კულტურისა და მეცნიერების, ჩვენი ეროვნული

ტრადიციების ეს ცნობილი და ღვაწლმოსილი დამცველნი და ერის წინაშე აღნიაშვილის ღვაწლის დამფასებელნი. ესენი არიან: მაცაბერიძე ვ., ჩხიკვაძე გ., ლასხიშვილი გ., მანსვეტაშვილი ი., მგალობლიშვილი ს., შარაშენიძე ზ., შილაკაძე ვ., ჩიქოვანი მ., ჩიტაია გ., ჭიჭინაძე ზ., ჯავაღნიშვილი თ., მირიანაშვილი ა. და სხვ.

მონოგრაფიის ავტორიც ეცადა თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა ლაღო აღნიაშვილის – ამ დიდი მამულიშვილის წარმოჩენაში, არა მარტო სიტყვითა და კალმით, არამედ პრაქტიკული პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით. თავს მოვალედ ვრაცხ, წარმოვადგინო ეს მცირედი ინფორმაცია კონკრეტული ღონისძიებებისა.

2000 წელს ლაღო აღნიაშვილის დაბადებიდან 140 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო მთელი რიგი ღონისძიებები: რუსთავის ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა ძალებით ჩატარდა საღამო „ლაღო აღნიაშვილი და საქართველოს მუსიკალური კულტურა“, ამავე წლის 15 ნოემბერს III კლასში – საქალაქო ღია გაკვეთილი რუსულ ენაში, სადაც შეჯამდა წინასაანბანო ლექსიკური კურსი, რომლის დამკვიდრება ლაღო აღნიაშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

„წინასაანბანო ზეპირი ლექსიკური კურსის პრობლემა დაწყებით კლასებში რუსული ენის სახელმძღვანელოების ავტორთა პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში“ (გ. კალანდარიშვილი, ვლადიმერ (ლაღო) აღნიაშვილი, ი. გოგებაშვილი)“ – ასეთი თემა წარმოადგინა მონოგრაფიის ავტორმა 2001 წ. 15-26 აგვისტოს დონის როსტოვში დახელოვნების ინსტიტუტში ჩატარებულ მასწავლებლთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსებზე, რამაც დადებითი შეფასება დაიმსახურა.

2002 წელს მეცენატ რ. მგალობლიშვილის დახმარებით გამოიცა ციური ბერიძის წიგნი „ვლადიმერ (ლაღო)

აღნიაშვილი. ბიობიბლიოგრაფია“ (1000 ეგზემპლარი), რომელიც განხილულ იქნა საჯაროდ 2002 წლის 26 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და 2002 წლის 1 ოქტომბერს რუსთავის სამუსიკო სასწავლებელში ქალაქის მასშტაბით. ამ განხილვებს ესწრებოდნენ გამორჩენილი ქართველი მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ზემოაღნიშნულ ნაშრომს. ზემოაღნიშნული წიგნი გავრცელდა უფასოდ თბილისისა და რუსთავის განათლებისა და მეცნიერების, კულტურის კერებში (მათ შორის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, წიგნის პალატაში, რუსთავისა და თბილისის ყველა ბიბლიოთეკაში, კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და სხვ.). წიგნი „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ბიობიბლიოგრაფია“ ანოტირებულია რეფერირებულ ჟურნალში „Кавказский реферативный журнал (общественные и гуманитарные науки). multidisciplinary abstracts on the caucasus (social and humanitarian sciences). თბ., 2003 – tbilisi,“ №2, გვ. 75 (ინგლ. ენაზე), გვ. 239-240 (რუს. ენაზე).

2003 წლის 19 ივნისს წინამდებარე ნაშრომის მასალებზე დაყრდნობით, რუსთავის ე. შარტავას სახელობის №4 საშუალო სკოლის მოსწავლეთა ძალებით დაიდგა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „ღვაწლი ლადო აღნიაშვილისა“ (რეჟისორი – ჯული ომხერელი).

2004 წლის 10 აპრილს შესრულდა 100 წელი ლადო აღნიაშვილის გარდაცვალებიდან. ამ თარიღის აღსანიშნავად წინამდებარე ნაშრომის ავტორმა მიაწყო აღნიაშვილების გვარის წარმომადგენელთა შეკრება, გვარის კურთხევა და გააცნო დამსწრეთ ლადო აღნიაშვილის დამსახურება ერის წინაშე. აღევლინა მისი სულის მოსახსენებელი პარაკლისი სამების პატარა ეკლესიაში (რომელიც აგებულია აღნიაშვილების მიერ), კუკიის სასაფლაოზე,



სადაც დასაფლავებულია ლადო აღნიაშვილი, და შილდის ღვთისმშობლის ეკლესიაში, სადაც იგი მოინათლა. გარდა ამისა, მონოგრაფიის ავტორმა მთელი რიგი ღონისძიებები მიუძღვნა ლადო აღნიაშვილს: რეფერირებულ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში პუბლიკაციების გარდა, რადიო „თავისუფლებამ“, რადიო „ივერიამ“ ორ-ორი გადაცემა მიუძღვნეს მონოგრაფიის ავტორის კვლევით მუშაობას ლადო აღნიაშვილის ღვაწლის წარმოჩინების მიზნით.

2006 წლის 14 აპრილს რუსთავის №4 საჯარო სკოლაში ჩატარდა ღონისძიება „ლადო აღნიაშვილი და ფერეიდნელი ქართველები“, რომელშიც მონაწილეობდნენ ამ სკოლის მოსწავლეები, ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ამჟამად ისტორიის მასწავლებელი მადონა ჩიკვილაძე, ლადო აღნიაშვილის მემკვიდრეობის თაყვანისმცემელი და ამ ღონისძიების რეჟისორი და სულისჩამდგმელი რეჟისორი – ჯული ოშხერელი.

2008 წლის 10 აპრილს, ლადო აღნიაშვილის ხსოვნის დღეს, ქ. რუსთავის №4 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი. ამავე დღეს სამების პატარა ეკლესიაში აღევლინა ლოცვა დიდი ხელოვანის სულისმოსახსენებლად, ხოლო 16 აპრილს სკოლაში ჩატარდა საღამო.

ქ. რუსთავის №4 საჯარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში: „ქართველი მწერლები“. „ირმის ნახტომის“ პროგრამით გათვალისწინებულ ვებ-გვერდების შექმნაში მონაწილეობდნენ ამ სკოლის მოსწავლეებიც.

ხელთა გვაქვს ყველა ამ ღონისძიების ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, და, აგრეთვე, კომპიუტერული ვერსიები.

ჩვენი ნაშრომი გვინდა დაგვასრულოთ იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებით: „ლადო აღნიაშვილი უცნაური, თავისებური კაცი იყო, „ორიგინალი“, რუსები რომ იტყვიან. ერთ დღეს გადაწყვიტა, ევროპული ტანისამოსი აღარ უნდა ვატარო და შეიმოსა ქართულ ძველებურ ტანისამოსში.

ჩაიცვა ქართული მოკლე ყურთმაჯებიანი გულამოჭრილი ქულაჯა, გაიკეთა გულზე ღამაზი ატლასის დოშლული, ფეხთ ჩაიცვა ჭვინტებიანი მაღალყელიანი ქართული წულები, თავზე მოიგდო ბუხრის ქუდი, გვერდზე კოხტად ჩატეხილი და დაიარებოდა ასე ქუჩაშიც და სამსახურშიც. იტყოდა ღიმილით: „ეს ნამდვილი ქართული ჩაცმულობა“-ო. ესეც უნდა ითქვას: აღნიაშვილი მოხდენილი ტანისა და სახის კაცი იყო და ეს ტანისამოსი უკეთ უხდებოდა, ვიდრე ვეროპული“ [52, 93].

ეს მოგონება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ღაღო აღნიაშვილი იყო იშვიათი ქართული, ეროვნული ცნობიერების მატარებელი და მოზარდი თაობებისათვის ის ამ მხრივაც არის ჭეშმარიტი მაგალითის მიმცემი. სწორედ ასეთ დადებით მაგალითებზე უნდა აღიზარდონ ჩვენი მოსწავლეები. ამიტომ საჭიროა ასეთი დიდი ერისკაცების მემკვიდრეობის შესწავლა, შეფასება, გამოცემა, საზოგადოების წინაშე მათი წარმოჩინება-პოპულარიზაცია.

ასეთი იყო ღაღო აღნიაშვილი – განათლებისა და კულტურის დიდი ამაგდარი, უანგარო საზოგადო მოღვაწე, ერის ჭეშმარიტი მოჭირნახულე.

## რეზიუმე

გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, ლინგვოლოგიკოსის, ლექსიკოგრაფის, ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფის, პუბლიცისტის ლადო აღნიაშვილის მოღვაწეობა ცხადყოფს მის დაუღ დაუღალავ შრომას ერისა და სამშობლოს, მოზარდი თაობების საკეთილდღეოდ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლადო აღნიაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა, პედაგოგიკური მემკვიდრეობა და შეხედულებები.

1881-83 წლებში იგი იყო ქართული და რუსული ენის პირველი მასწავლებელი სათავადაზნაურო სასწავლებელში.

23 წლის ასაკში შექმნა და გამოსცა სახელმძღვანელო „Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школъ“, რომელშიც მეცნიერულად დაასაბუთა წინასაანბანო ზეპირი ლექსიკური კურსის აუცილებლობა.

ავტორმა მნიშვნელოვნად განავითარა და სრულყო დიდი ქართველი პედაგოგის გ. კალანდარიშვილის მიერ (პირველად პედაგოგიკის ისტორიაში) პრაქტიკულად განხორციელებული უცხოური ენის (კერძოდ, რუსულის) სწავლებაში ზეპირი, წინასაანბანო ლექსიკური კურსი, მეცნიერულად დაასაბუთა ამის აუცილებლობა და განსაზღვრა იგი 120 სიტყვით. სწორედ ამაშია მისი უდიდესი დამსახურება. ეს კურსი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ პედაგოგიკურ მეცნიერებაში მისი განვითარების მომდევნო ეტაპებზე (იაკობ გოგებაშვილი, სოლომონ ფურცელაძე, კარლო მაჭარაშვილი).

1887 წელს „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მიერ დაბეჭდილ ლადო აღნიაშვილის „რუსულ-ქართულ უბის ლექსიკონში“ („Карманный словарь“) ძირითადად წარმოდგენილია იმდროინდელი არქაული ლექსიკა.

პესტალოცის იდეებით გატაცებულმა ლადო აღნიაშვილმა მოზარდებს შეუქმნა კლასგარეშე დიდაქტიკური და აღმზრდელობითი ლიტერატურული მემკვიდრეობა: ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანი“ და სტატიების ციკლი

მოზარდი თაობისათვის „საკვირველებანი ბუნებისა“.

ლადო აღნიაშვილამდე არავის უცდია დაეწერა საბუნებისმეტყველო ელემენტარული კურსის სახელმძღვანელო. ეს თაოსნობა პირველმა მან იკისრა და ამით ნორჩ მკითხველს შესთავაზა ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგის შესასწავლი სახელმძღვანელოები ისეთი თანამიმდევრობით, როგორც მიღებულია დღევანდელ სკოლაში.

ლადო აღნიაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში. მან შექმნა პირველი ქართული ხალხური სიმღერების ეთნოგრაფიული გუნდი – „ქართული ხორო“ (1885).

„ქართულმა ხორომ“ საფუძველი ჩაუყარა ქართველ მომღერალთა 3 თაობას, აღადგინა ორასამდე სიმღერა, რომლებიც ლადო აღნიაშვილმა ნოტებზე გადააღებინა და გაავრცელებინა.

ლადო აღნიაშვილის ეთნოგრაფიულმა გუნდმა გამოზარდა ქართული მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა სახელოვანი პლეადა: ზაქარია და ივანე ფაღიაშვილები, ძმები კავსაძეები, ი. კარგარეთელი, ვ. სარაჯიშვილი და სხვ., რომლებმაც შემდგომში უფრო მტკიცე ნიადაგზე დააყენეს ხალხური საგუნდო ხელაწინების შესანიშნავი ტრადიციები.

ლადო აღნიაშვილი ცნობილია, როგორც პირველი ქართველი მოგზაური, რომელმაც ფეხი დაადგა ფერეიდანის მიწას. სწორედ მისი დამსახურებაა, ქართველთა შემდგომი დაინტერესებულა და მოგზაურობა ფერეიდანში.

1890 წელს მის მიერ ხალხში შეგროვილი 15 ხალხური ზღაპარი (წიგნი I) ინგლისურ ენაზე პირველად თარგმნა მარჯორი სკოტ უორდროპმა 1894 წელს. ქართული ხალხური ზღაპრების გამოცემით ლადო აღნიაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა სათავე დაუდო ხალხური შემოქმედების შეკრების საქმეს.

ლადო აღნიაშვილმა პირველმა განახორციელა ორი ფეერია (მუსიკალურ ლიტერატურული კომპოზიცია) – „ყარამანიანი“ და „ტარიელი“ (1888) ქართულ ხალხურ თქმულებებზე დაყრდნობით.

ლადო აღნიაშვილის ინიციატივით საძირკველი ჩაეყარა „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობას“ (1887), რომელმაც მრავალი ქართული წიგნი გამოსცა და ამით უდიდესი სამსახური გაუწია ქართული მწიგნობრობის აღორძინებას ჩვენში.

ლადო აღნიაშვილი იყო საყმაწვილო ჟურნალ „ნობათის“ გამომცემის ინიციატორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ლადო აღნიაშვილი არის პირველი საკოოპერაციო საქმის – ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის „შუამავალი“-ს დაარსების ინიციატორი. ეს იყო პირველი ნაბიჯი, რომელმაც შემდგომში ნიადაგი მოუმზადა გაფართოებულ კოოპერატიულ მოძრაობას.

## RESUME

Vladimer (Lado) Agniashvili (1860-1904) is a famous Georgian teacher, public man, linguist-didactist, lexicographer, specialist in folk-lore, ethnographer and publicist.

His life, social and pedagogical activity shows us his great devotion to his nation, native land and young generation.

We should specially note his pedagogical activity, heritage and views.

In 1881-1883 Agniashvili was the first teacher of Georgian and Russian languages in the nobility college .At the age of 23 he published the textbook “The first step in learning of Russian language for primary Georgian schools”.

In the textbook he significantly developed the problem of oral, pre-alphabet lexical course in teaching of Russian language.

In the history of pedagogics this problem was first put by a great Georgian teacher G.Kalandarishvili. Agniashvili scientifically defined due number of words as 120. Later this course was improved

in Georgian pedagogical science by Iakob Gogebashvili, Solomon Purtseladze and Karlo Macharashvili.

In “Russian-Georgian Pocket Dictionary” (published in 1887) by the “Cooperation of Georgian books publishing) is mainly represented contemporary archaic vocabulary. We should also specially note “New Alphabet” and the series of articles for young generation “The Miracles of Nature” for home reading.

In the project “New Alphabet” was the “Alphabet of knowledge and science”.

Agniashvili intended to publish 33 books of “The Alphabet” each according to Georgian letters. But he had time to finish only 8 books. Deeply impressed by the ideas of Pestalotsi Agniashvili did all he could for the young generation to have good conditions for correct development.

Nobody had tried to create the textbook of elementary systematic courses in Natural History before Agniashvili. He offered to young people textbooks in various branches of natural history in the succession we have nowadays. In particular, it was due to teach inanimate nature first then botany and at last zoology. We can say without exaggeration that really extraordinary job was fulfilled by this distinguished scientist.

Agniashvili has taken great part in the development of Georgian folk-lore and ethnographical history. We should pay special attention to his participation in the “Society of spreading literacy among Georgian people”. This society had definite influence over his world outlook and ideology.

Agniashvili has made a valuable contribution to the musical culture of Georgia. He created the first ethnographical ensemble of Georgian folk-lore songs “Georgian Choir” (1885). This ensemble was the first to perform these songs on the stage and arouse great excitement in the Georgian society. “Georgian choir” gave foundation to three generations of Georgian singers. Almost 200 songs were restored, recorded and spread. This ethnographical ensemble grew up the Plaid of Georgian musical leading figures such as: Zakaria and

Ivane Paliashvili, the Kavsadzes, I. Kargareteli, V.Sarajishvili and others, who later developed distinguished traditions of folk-lore art.

Lado Agniashvili was the first Georgian traveller who visited Fereidianian Georgians and his book “Persia and Georgians of that place” (1896) gave impulse to many other Georgian publicmen to get interested in the life of considerable part of Georgian people who has lived apart from the native land for more than three centuries, but still have the cognition of their Georgian origin.

In 1890 Agniashvili published 15 folk stories collected among the people. These stories were translated into English by Marjory Scott Wardrope in 1894. This was the first step in collecting folk-lore materials, that gave impulse to the further investigation of folk-art.

Lado Agniashvili was the first who performed two fairy plays “Karamaniani” and “Tariel” (1888) on the basis of folk stories.

On his own initiative Agniashvili created “Cooperation of Georgian books publishing” (1887), which published plenty of georgian books that made a valuable contribution to the development of literacy in Georgia.

Lado Agniashvili was the initiator of publishing of a magazine “Nobati” and the member of the editorial board.

Lado Agniashvili was the initiator of foundation of the first cooperative business “Mediator”- Georgian cooperation of sale and purchase. This cooperation was not successful, but it was the first step that prepared the basis to wider cooperative activities in the future.

Vladimer Agniashvili was indefatigable public man, great enthusiast of Georgian culture and education, the real son of the nation. All abovementioned give us belief that Agniashvili will be given worthy place in the history of pedagogics, folk-lore and ethnography.

## ღანართი

სტაგნიაციის სიკვდილად – „საკვირველბანი ბუნებისა“

### ინფორმის ხა-გველა

ევროპის სამხრეთ ტყეებში ხშირათ იზრდება ერთგვარი მცენარე-სურო, ეს მცენარე ისეა შეზრდილ-შეგრეხილი ხეებზე, რომ ხეები აღარც-კი ჩანან სუროს მშვენიერ და მუდმივ მწვანე ფოთლებში. სუროს აღარებენ ხოლმე იმისთანა მეგობარს, რომელიც თავის ამხანაგს არც ჭირში და არც ღვინოში არ მიატოვებს, არ უღალატებს.

მეტათ ბევრი იზრდება ამისთანა მცენარე ცხელი ქვეყნების ტყეებში, და იქ ეს მცენარე უფრო დიდია და მაგარიც, მხოლოდ ეს დაუპატიუებელი სტუმარი ხშირათ თავის მასპინძელს ძალიან ცუდს სამსახურს გაუწევს ხოლმე.

სწორეთ გაოცდებით ბრაზილიის ხშირი და გაუვალი ტყეები რომ ნახოთ. ვეებერთელა ხეები თავიდან ბოლომდის ათასნაირ სურო მცენარეებით არის გაბანდული. სურო ამ ხეებზე ჯაჭვებივითაა გაბმულ-გამობმული, ჯაჭვებიც ათასნაირ ყვავილებით არის დაკაზმული; ადამიანის თვალი ამ ყვავილებზე უმშვენიერეს ვედარას ნახავს; ხედავ ამ სურათს და თვალები გიჭრელდება, აღარც იცი რომელი ყვავილი რომელს ამჯობინო, თან ამ ყვავილებში ნაირ-ნაირი ჩიტები დაფრინავენ საზრდოს საწუწნელათ.

ღიას! მშვენიერი სანახავია ეს დიდებული სურათი სურო მცენარეებისა, მხოლოდ თუ ახლო მიეკარეთ, ძალიან სიფთრხილე გმართებთ. ამ მცენარეთა შორის ზოგი იმისთანაც შეგხვდებათ, რომლის ფოთლებიც საშინლათ ისუსხებიან, იკბინებიან. ხედავთ აგერ, მაგალითათ, ათასფეროვანი ყვავილებით შემოსილი ტოტია ჩამოშვერილი, თქვენც მოისურვეთ ერთ-ერთი ყვავილის მოგლეჯა და ტოტი ჩამოიწიეთ, მაგრამ რას ხედავთ? ამ ტოტს მეორე



მოყვება, მეორეს მესამე და ასე. ეს კიდევ არაფერი, ამ ტოტებიდან ათასი მკბენარა ჯიანჭველა, ბუზი და კოლო დაგაცვივათ თავზე, დაგესევათ და სულ ცივის ხმით გაკივლებო... ან კიდევ, ვთქვათ, ტყეში ამისთანა მცენარეს უცაბედათ ფოთოლი შეაგლიჯეთ, მაშინვე ითქრიალებს იქიდან წვეთ-წვეთათ რძის მაგვარი წვენი და, მტრისას, თუ ეს წვეთები კანზე დაგეცათ, კანი მაშინვე აგეფუთქებათ და ზედ ბზუკებსაც დაგაყრით; ხოლო თუ თვალში მოგხვდათ, მშვიდობით თვალს, დაგეცებოთ...

მაგრამ ამას რაღას ვხედავთ? ორი ხე ერთმანეთს ჩახუტებიან; ერთს მჭიდროთ შემოუჭერია თავისი ტოტები მეორისათვის და გაუძაგრავს კიდევ. ასე რომ, ამ ხეს თავისთავად გაჩერება აღარ შეუძლია, ან-კი რაღანაირათ? როცა ძირი სულ გახმობია, დაფუტუროვებია. ეს გარშემოხვეული ხე არის ხე-გველა ბრაზილიის ტყეებისა, ლეღვის მაგვარი. ხე-გველა ჯერ სუროსავით ფოთხილად შეცოცდება ხოლმე ხეზე, ხოლო მერე და მერე თანდათან იზრდება, მსხვილდება და ხეს ზედ ეკლაკნება; თან გრძელ ტოტებს იყრის, ტოტებიც შემდეგ ხეს შემოეხვევიან და ასე რკალივით გარს შემოერთებენ. რაღა თქმა უნდა, ეს რკალი ხეს საშველს აღარ აძლევს ისაზრდოს, ფესვიდან ამონაწოვი საზრდო მას ზევით ვეღარ აუდის და ხეც ამნაირათ ხმება, კვდება, ვითომ და თავის გულითად მეგობრის მკერდზე.

(„ჯეჯილი“, 1897, №11. გვ. 45-47).

### **30მტორია-რეგია (Victoria-Regia)**

წარსული საუკუნის დამლევეს მდინარე ამაზონკის ერთ ტოტში, რიო-მამორეში მიდიოდნენ ნავით მეცნიერი გენკე და ერთიც ესპანელი სასულიერო პირი. მდინარის კიდებები ისე უხვათ იყო ბუნებისაგან შემკული, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებდა. აღტაცებაში მოყვანა მას აგრეთვე ეს

ჩვენი მოგზაურნიც და სულ მის შვენიერებაზედა ჰქონდათ ერთმანეთში ბჭობა და ბაასი.

უცებ გენკემ შესწყვიტა ლაპარაკი და გაუშტერა თვალი ერთ რაღაც უშველებელსა და უცნაურ მცენარეს, რომელიც ნელათ ტივტივებდა ზედ წყალზე, გენკე ისე გაშრა მის პირველ დანახვაზე, რომ სიტყვის თქმა ვედარ მოახერხა და მუხლის თავეებზე დაემო მის წინ, გაოცებულნი.

...ეს იყო მშვენიერი და მართლა უცნაური მცენარე; ეს იყო მეფე, მეფე დიდებულ მცენარეთა შორის. ეს იყო ვიქტორია-რეგია.

მისი ფოთლები ჰგავს პატარა, ლამაზი მოყვანილობის, ნავებს. წრე ფოთლის გარშემო გამოვა თითქმის ექვსი ადლი<sup>ა</sup>. ფერი აქვს ორგვარი: ზემოდან დაჰკრავს მომწვანო ფერი, ქვეშიდან, ლამაზი მუქი წითელია. თან იმოდენათ უდრეკია, რომ ზედ, როგორც რაიმე კუნძულზე, სხდებიან აუარებელი წყლის ფრინველები და გაუდით განუწყვეტელი ჟივილ-ხივილი.

ყვავილი მისი თეთრია, უმტვერო თოვლივით, სიდიდით მზის ბაკის ტოლა იქნება, თუ არ დიდი. ფერით თეთრია, როგორც ვოქვით, მხოლოდ პირველ ხანებში, – შემდეგ კი ვარდის ფერი ხდება და ბოლოს სრულიად წითლდება.

ამასთანავე, როდესაცა ჰყვავის, საშინელ სიცხოველეს გამოსცემს: თუ კაცმა ხელი შეახო იმ დროს ვიქტორიას, დასწავს და შეაკივლებს, როგორც ცეცხლის ნაკვერჩხალი.

სუნი აქვს მშვენიერი, შეუდარებელი, ნაყოფს იკეთებს მრგვალს – პატარა საზამთროს ოდენას. გული ნაყოფისა სავსეა ფქვილის მაგვარი ნივთიერებით და გემრიელია.

ვიქტორია-რეგია უფრო ხშირათ სამხრეთ ამერიკის წყლებშია და მართლა განსხვავებულია ყველა სხვა ყვავილებიდან, როგორც სიდიდითა და მოყვანილობით, აგრეთვე ფერით, სუნით, ნაყოფით და ფოთლით...

(„ჯეჯილი“, 1896, №2. გვ. 48-49).

## ამკვლევით ალმღები ყვავილი (La fleur de Resurrection)

ეს საიდუმლოება ბუნებისა, ნამდვილი საიდუმლოებაა და, თუ გნებავთ, სასწაულიც. საიდან და როგორ გაჩნდა ქვეყანაზე ეს ყვავილი? არ იცის არავინ. ეს არა ჰგავს არავითარ სხვა მცენარეს მთელს ქვეყნიერებაზე. არ იციან დღემდე მისი ჯიშო. ეს ერთად ერთია მთელ დედამიწის ზურგზე: არ ჰყავს მას წინაპარი, არა ჰყავს შთამომავლობა, – ობოლია, უთვისტომო, უნათესავო.

ძალიან ახირებული და თითქმის დაუჯერებელია ამ ყვავილის ამბავი. თვით მისი პირველად შექმნა და ხელში ჩაგდებაც-კი უფრო ზღაპარსა ჰგავს, ვიდრე მართალს, კაცმა რო ყური დაუგდოს.

ეს მომხდარა 1848 წელს. ამ დროს განეხრახა სახელოვან მეცნიერ დეკს ზემო მისრეთის (ეგვიპტის) ქვეყნებში მოგზაურობა და იმ არე-მარის კვლევა-ძიება. ამ მოგზაურობის დროს დეკი შეჰხვედრია ერთ მოხუც არაბს, რომელიც მას სიკვდილიდან გადაერჩინა. არაბი ღარიბი კაცი ყოფილიყო, მაგრამ მას მაინც მოუნდომებია თავისი მხსნელისათვის ნივთიერათ მადლობის გადახდა და გადაუხადა კიდევ: მას ეძღვნა მეცნიერ დეკისათვის ისეთი საჩუქარი, რაც მთელ ქვეყნის სიმდიდრეს შეეწონებოდა, რასაც მთელ ამა სოფლის დიდებული მეფენიც ვერ შემძლებელ იქმნებოდნენ.

რა იყო ეს ასეთი ძვირფასი საჩუქარი?

ეს იყო ერთი პაწია მცენარე: სუსტი, უღონო, გამოფიტული, გამხმარი; მხოლოდ ორგან ეტყობოდა თითო პატარა კვირტი და ისიც, მთლათ ამომწვარი მზისაგან. ეპონა ეს ყვავილი არაბს ტრამალ\* მინდვრათ. ძველის ძველ სამარეში, ერთ მიცვალებულ მისრელი მოგვის გულზე. არაბი დიდათ უქებდა დეკს ამ ყვავილის ღირსებებს და ეუბნებოდა, რომ ვერავითარი მცენარე ვერ შეედრება ამ პაწია ბილილას<sup>20\*\*</sup>, ისეთი თვალთმაქცობა ჰჭირსო.

დეკს, რასაკვირველია, სარწმუნოთ ვერ მიეჩნია ესეთი

---

20 ადლი – არშინ ნახევარია.

გადაჭარბებული ქებათა-ქება ამ უბრალო მცენარისა და ტუჩებში ღიმი მოჰსვლოდა.

მაშინ არაბს აეღო რამდენიმე ცვარი წყალი, დეწკაპწკაპებინა იმ მცენარისათვის და გაოცებულ მეცნიერის თვალთა წინ მომხდარიყო ნამდვილი სასწაულ-მოქმედება. – მცენარე ათროთლებულიყო, აურუოლებულიყო; დერო ცოტ-ცოტაობით გასწორებულყო, კვირტები გაესილიყო; მთელ მცენარეს ფერი მისცემოდა და, როგორც ახლათ გამოფხიზლებულს, ზმორვა და ნელი მოძრაობა შესდგომოდა – სიცოცხლე დასტყობოდა. შემდეგ კვირტები გადაჰსნოდა და მშვენიერი, თვალის მიმტაცი, ნორჩი, როგორც ახლათ გაფურჩქნელი, ყვავილები გადაეშალა. ნელ-ნელაობით, მძიმე-მძიმეთ გადაეხსნა ყვავილს გული და გულშიაც ჩაკონილი რამდენიმე მარცვალი-თესლი გამოსჩენოდა.

მაგრამ აი უბედურება! სად უნდა ჩააბნოს მან ეს უძვირფასესი მარცვლები? რომელ მიწას უნდა ანდოს, რომელ სხივს მზისას. ვის შეეძლება მისი მოვლა, მისი აღმოცენება? როგორ უნდა გამოიმეტოს მან ის საყვარელი თესლები, რომლებიც, ვინ იცის, რამდენი საუკუნოებია, ესე ჩაკრული და ჩახუტული ჰყავს გულში!

შემდეგ მკვდრეთით აღდგომისა, მცენარე კვლავ მოსწყდა, მოდუნდა; დაეკარგა ფერი და ელვარება; დაეკეცა ფოთოლი, ფოთოლს შეეხვია, გაყვითლდა, გახმა. ერთის სიტყვით, იგივე გახდა, რაც იყო.

ახლა ისევ მკვდარია საწყალი მცენარე, ერთი წამის წინ კი ცოცხალი იყო, ჰყვალდა, ელვარებდა და კვალად ისევ მოკვდა. თვალთა სჩანს მხოლოდ ისევ ის ორი კვირტი ამომწვარი და ამომხმარი მზისაგან.

მეცნიერმა დეკმა მოიტანა თან ეს ყვავილი და რატომ ათასჯერ მეტათ არ აღადგინა იგი მკვდრეთით.

სიკვდილის შემდეგ მან უანდერძა ეს ყვავილი ერთს თავის მეგობარს, მეცნიერს ლიამს, რომელიც აგრეთვე მრავალ-ჯერ აცოცხლებდა ხოლმე ამ სასწაულთ მომქმედ ყვავილს.

ბოლოს, ერთი ამ ყვავილთაგანი უთავაზეს დიდებულ გუმბოლდტს, რომელსაც, ვინ იცის, რამდენჯერ აღუდგენია მკედრეთით ეს მისრეთის სამარის ყვავილი მთელ სამეცნიერო აკადემიის თანდასწრებით. ყვავილი, რასაკვირველია, იმის ხელშია ცოცხლდებოდა და კვდებოდა, როგორც არაბისა და დეკის ხელში; ხოლო ვერც ის დიდებული გუმბოლდტი მისწვდომოდა მის საიდუმლოებას და ყოველთვის ნაღვლითა და გულნატკენობით ამბობდა ხოლმე: „მე ჯერ ამის მაგვარი არა ვიცი-რა მთელს ბუნებაში“.

(„ჯეჯილი“, 1896, №3, გვ. 48-50).

### **ღამის მშვენიერება – იალაკვა (La Belle de-Nuit)**

სინათლე სიხარულია, სიამოვნება ყველასათვის და, რასაკვირველია, მცენარეებისა და ყვავილებისათვისაც.

ამოანათებს თუ არა დილის მზის სხივი და გაუღიმებს ბუნებას, შესცინებენ მას სიხარულით მცენარეებიც, და გაჰმართავენ ღხინსა და მხიარულებას: ყველა თრთის, ტოკავს, იზმორება; ყველას შნო ედება, ფერი ეძლევა, ეღვარება ემატება; ერკვევიან ძილს ნელ-ნელა, ბოლოს სრულიად იფურჩქნებიან და ჰფენენ თავის გარშემო სამოთხის სურნელებას. ამ სურნელებას ეტანებიან ყველა მხრიდან მათსაებ ღამაზი ჭრელი პეპლები და თვალმარგალიტივით მოელვარე მწერები; ეხვევიან ბზუილითა და გალობით და ეწაფებიან მის სიტკბოებას.

მაგრამ გაღიხრის დღე, იკლებს სინათლე, დადგება საღამო და ყვავილებიც ათავებენ დღესასწაულს, ახლა ყველა ემზადება დასასვენებლათ, ყველანი იძინებენ. იცოდე, ამ დროს რომ ბადში გაიარო, ხმაურობა არ დაიწყო, – ღამაზ ყვავილებს გაედვიძებათ, შეკრთებიან.

ასეა ყველა მცენარე, ასეთია ბუნების კანონი, მაგრამ ამ ბუნების კანონს არ ემორჩილება ერთი ყვავილი, ...ეს არის უცხო, ფრიად ღამაზი და სახელათ „ღამის მშვენიერება“

ეწოდება. როცა სხვა ყვავილები ემზადებიან დასაძინებლათ, ის მაშინ ერკვევა ძილისაგან; როცა სხვები იბურებიან, ის მაშინ იფურჩქნება; როცა სხვებს სძინავთ, ის მაშინ არის ღხინსა და მხიარულებაში.

ეს ყვავილი მოიტანეს პირველათ პერუს ქვეყნიდან ისპანიაში ამ სამასი წლის წინათ. ვინც ნახა, ყველას გაუკვირდა ეს. მართლაც-და, საკვირველია ყვავილი, რომელიც თითქოს ნაჩხუბარია მზესთან და შემომწყრალიაო. დაარქვეს მას სახელი „პერუს სასწაული“, მხოლოდ შემდეგში ჟიურიმ შეუცვალა მას სახელი და უწოდა „ღამის მშენიერება“.

და ეს სახელი სწორეთ ზედ-გამოჭრილია იმაზე, ვისაც კი ერთხელ მოუკრავს თვალი მის სურნელოვან, თეთრათ, წითლათ ანუ ყვითლათ გადაშლილ ყვავილის გვირგვინისათვის, ყველა იტყვის, რომ ეს ნამდვილი ღამის მშენიერებააო.

რაწამს რიჟრაჟი გაჩნდება ცაში, ეს საკვირველი ყვავილიც დაიხრება და დაიბურება; დაუჭკნება შტოები და დაეშვება მკვდარსავით. მისი ღრმა ძილი გრძელდება მხოლოდ ერთი დღე, სანამ ცხოვრების მომნიჭებელი მზე ბრძანებლობს ცაში. მაგრამ გადაიხრება თუ არა დღე და წამოვა ბინდი, „პერუსის სასწაული“ მოჰყვება თრთოლვას, ტოკვას, იფხიზლებს ნელ-ნელა, იფურჩქნება და ბოლოს სრულიად გადაიშლება და გაუღიმებს ვარსკვლავების ციმციმსა და ღამის საიდუმლო მყუდროებას.

არც სრულიად მწყრალათ არის ეს ყვავილი სინათლესთან; ის არ არის ნაჩხუბარი მზესთან; იმას მხოლოდ ერიდება მისი ძლიერი სხივებისა და ვერ იტანს იმ დიდ სინათლეს, ჭკნება და უძლურდება.

ის არ ნატრობს წყვდიადსა და კუმებტ ღამეს, რომელიც მტერია ყოველგვარი სიცოცხლისა; ის ეტრფის და ეაღერსება იმ მშვიდ ღამეებს თბილი ქვეყნისას, როდესაც ღურჯი ცა მოჭედულია მკრთალის ვარსკვლავებით.

ამ ღამის მშენიერებას აქვს თავისი ისტორია, რომელსაც ზღაპრათ მოუთხრობენ იმის ქვეყანაში.

საწყალი ბნელი ღამე, შემოსილი ძაბით, შევედრა ერთხელ შემოქმედს და თხოვა:

„შენ ყოველივე მიანიჭე დღეს: მოძრაობა, სიცოცხლე, ჭიკჭიკი ფრინველთა, ბზუილი მწერთა, ფერადობა და სურნელება ყვავილთა.

„როდესაც მე ამოვდივარ ქვეყნათ, ქვეყანა უკვე მკვდარია და მეფობა ჩემი თავდება სწორეთ მაშინ, როდესაც იგი ცოცხლდება. დღემ მიიღო ყველაფერი და ჩემ ბედობაზე კი ერთი ყვავილიც არ მოიპოვება, რომ მისი ხილვითა და სუნნელებით ვნუგეშობდეო“.

– საწყალო ღამეე! სწორეთ რომ შესაბრალისი ხარო! და მის შავს სამოსელს მიანიჭა სამკაულათ ეს ყვავილი – „ღამის მშვენეირება“.

(„ჯეჯილი“, 1897, №2, გვ. 48-50).

## მანათობელი მცენარენი (Ies Iumineuses)

შენ იცი, რას ჰქვიან ციციანთელა, იცი, რომ ეს არის ერთი უბრალო მწერი (ფრთიანი ჭია) და თავისთავათ გამოსცემს სინათლეს. მაგრამ იცი ისიც, რომ მცენარეც გამოსცემს სინათლეს?

წარმოიდგინე, რომ არის. არის ინდოეთში, არის ამერიკაში, არის ავსტრალიაში, ზოგი მათგანი სოკოსა ჰგავს, ზოგი ბალახს, ზოგი ბუჩქს. მცენარეებსაცა ჰყავთ თავის მანათობელი.

ერთი ამგვარი პატარა სოკო სრულიად საკმარისია, რომ გაანათოს მთელი ოთახი; მის სინათლეზე შეუძლია წაიკითხოს კაცმა წიგნი, რაც უნდა წვრილი ასოთი იყოს დაბეჭდილი.

და თუ ამისთანა მცენარეები სადმე ძალიან ხშირია, ჯგუფ-ჯგუფათ არის ამოსული, სწორეთ გაჩირადღნებული ეგონება კაცს ის არე-მარე.

1845 წელს, როდესაც ერთბაშათ გაჩაღდა ცეცხლის მაგვარი სინათლით სირიის მთები, ისე შეკრთენ და შეშინდენ იქაური მცხოვრებნი, რომ ეგონათ, – სწორეთ მეორეთ მოსვლა არისო.

მაგრამ ყველა ამ საკვირველ მანათობელ მცენარეთა შორის, უფრო ყველაზე საკვირველია „ორაგჰუმ“, რომლისაგანაც დღემდე განცვიფრებულია ლონდონის სამეფო სამეურნეო საზოგადოება.

ეს მცენარე მუდამ ანათებს, სიცოცხლეშიაც და სიცოცხლის შემდეგაც, – ცოცხალიცა და მკვდარიც.

მოსჭერ ერთი ამისთანა მცენარე, შეინახე და მის დღეში გამოუღეველი გექნება ოთახში სინათლე; და თან იმოდენათ დიდი, რომ მის სინათლეზე შეიძლება თავისუფლათ კითხვაცა და კერვაც, ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ ერთი საათით სველ მჩვარში გაახვიო, სხვა არაფერი არა უნდა-რა.

მაგრამ უფრო საკვირველი ის არის, რომ ამ მცენარისა ძირიც ისევე ანათებს, როგორც ღერი. მის ძირსაც რომ ერთი საათით სველი მჩვარი შემოახვიო, ისე გაგინათებს ოთახს, თითქო ღამპრით გაუჩაღებიათო.

წყალი ამ უცნაური მანათობელისათვის იგივეა, რაც ღამპრისათვის ნავთი ანუ ზეთი.

წყლის წვეთით, როგორც უკვე ვიცით, „მკვდრეთით აღმდეგი“ მცენარე ცოცხლდება და ყვავილსა კჷმლის.

წყლის წვეთით „Qoraghum“ ცოცხლდება და ნათელს უშვებს.

წყლის წვეთით ორივენი დგებიან სამარიდან, რომ გვითავაზონ: ერთმა თავისი ყვავილი და მეორემ თავისი სინათლე.

(„ჯეჯილი“, 1898, №2, გვ. 57-58).



## „გამარჯობა“ (Gueribar)

ეს მცენარე იცის აფრიკაში, იქაურ მცხოვრებლებს, ზანგებს,<sup>21\*</sup> დაურქმევიათ მისთვის სახელათ „Gueribar“, რაიცა ჰნიშნავს ჩვენებურათ გამარჯობას და, მოდი, ჩვენც ნუ გამოვუცვლით ამ სახელს, დაუუძახოთ ჩვენც მას „გამარჯობა“.

ეს მცენარეც მიმოზას მოდგმას ეკუთვნის, მხოლოთ ცოტაოდენი განსხვავდება ხელიუფასაგან.

თუ ამას ხელი შეახო კაცმა, ანუ დახარა მისკენ თავი და თანაც სიტყვა რამ წაილაპარაკა, ისიც დაჰხრის იმავე წამს ზროს<sup>22\*\*</sup> და მიატრიალებს იქითკენ ფოთლებს, თითქოს ჰსურს იმასაც, მისცეს პასუხი კაცის მისაღმებასაო. სწორეთ ისე ჰხრის ზროს და ისე ჰშლის ფოთლებს, რომ გეგონება, – ნამდვილათ ქუდს გვიხდის, თავს გვიკრავს და გამარჯობას გვეუბნებაო.

ასეთი ზრდილობიანობა მცენარისაგან, თქვენც დამეთანხმებით, ფრიად საკვირველი ამბავია. საკვირველათ სჩვენებით ეს მოვლენა აგრეთვე თვით იმ ქვეყნის ზანგებსაც და ამის ასახსნელათ შემდეგი ამბავი გამოუგონიათ.

ძლიერთა უძლიერესი მეფე Avoe ათვალიერებდა ომიდან წამოყვანილ ტყვეებს. იმ დროს ის ტყვეები ისე იყვნენ ჯავრით გაბორბლებულები, რომ სალამი არ აღირსეს ძღვევამოსილ მეფეს, როდესაც წარსდგნენ წინაშე Avoe-სი.

მეფე განრისხდა ამაზე და თავების დაყრევინების მაგიერ, გაიძრო ხმალი და ხმლის წვერით შეეხო იმ ტყვეებს. ტყვეები დაუყოვნებლივ გარდაიქცნენ მცენარეებათ და მას შემდეგაა, რომ ის მცენარეები ყველას და ყოველთვის თავს უკრავენ და სალამს აძლევენო.

და გულ-კეთილი ზანგი დღესაც იმ აზრისაა, რომ თუ ვინმე მოსჭრის ან მოსტეხავს გამარჯობას, ის მით ჰკლავს ცოცხალ არსებას, სპობს ნამდვილ სიცოცხლესო.

ახლა, როდესაც ჩვენ გავიცანით ყველაზე ზრდილობიანი, ყველაზე აღერსიანი მცენარე, ჩვენც მოვექცეთ მას

21 ზანგი ჰქვიან აფრიკელ შავ ხალხს.

22 ზროს ჰქვიან ბალახის ღეროს.

აღერსიანათ, ჩვენც დაგუკრათ მას თავი და გუთხრათ: „გამარჯობა“, „გამარჯობა“.

(„ჯეჯილი“, 1898, №1, გვ. 55-56).

### **„ხელიფაფას“ (Timosa)**

არის ცხელ ქვეყნებში ერთი მოდგმის მცენარეები და სახელათ ყველა იმათ მიმოზა ეწოდებათ.

კაცმა რომ ხელი შეახოს ერთ-ერთ მის ფოთოლს, მცენარე იწყებს თრთოლვას, მღელვარებას: ფოთლები ეხურება, შტოები ეხრება, მთლათ დამტკნარს, გულწასულს ემზგავსება. ახლოს რომ ცხენს მიატკენებდენ, მიმოზას იმის ფეხის ხმაზე შიშით გული უსკდება, თავბრუ ეხსმის.

აბა საკვირველება ამას ჰქვიან. წარმოიდგინეთ, მცენარე, ჰგრძნობს შეხებას, მცენარე ჰგრძნობს ხმაურობას, ჰგრძნობს სიცხე-სიცივეს...მცენარესა აქვს, თურმე, გრძნობა. გრძნობა აქვს ისეთივე, როგორც ცხოველს.

მაგრამ, უკაცრავათ, იქნებ ეს არც ისეთი გრძნობა იყოს, როგორც ცხოველებსა აქვთ, – ეს არც ჩვენ ვიცით სინამდვილით. დღემდე მეცნიერები ვერ მიმხვდარან ამ უბრალო ბალახების უცნაურ თვისებას. უყურებენ ისინიც და უკვირთ, უკვირთ და ვერ აუხსნიათ ეს მოვლენა.

ამ მცენარეთა მოდგმას ეკუთვნის „ხელიფაფას“. ხელიფაფასიც ბალახივით მცენარეა; მოდის ამერიკის ქვეყანაში, ფოთოლი იცის რთული: თითო ფოთლის ყუნწს ოთხი შტო აქვს და თითო შტოს 15-20 წყვილი ფოთოლი აბია, სანახაობით ძალიან ღამაზია.

